

13.00

# THE CECIL MAGAZINE



H. C. M. X X I X

კონსტანტინე ჭიჭინაძე

რესტავრაცია  
მანევრი



M C M X X I X



ଶ୍ରୀରାମକୃତ

დოკუმენტის სახელი  
გრიშაშვილი - ბერძოლ  
სახელი გრიშაშვილი  
გრიშაშვილი გრიშაშვილი  
18/5-295.

## რუსთაველი გარევაო

34958



0 3 0 3 0 6 0

1 9 2 8

სტამბა პოლიგრაფ-  
სკოლისა,  
წერეთლის ქ., № 3  
მთავრობის 2022  
ტირაჟი 1500.

## ავტორისაგან

ამ წიგნში წარმოდგენილია უფრო დაწვრილებით ის მასალები, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩემს მიერ წაკითხულ მოხსენებაზე რუსთაველის თეატრში გასული წლის 5 თებერვალს. მას აქა-იქ დამატებული აქვს ამ მოხსენების შემდეგ ქართულ პრესაში ვეფხის ტყაოსანის შესახებ აღძრული კამათის გამო ზოგიერთი ჩემი მოსაზრებანი.

ამგვარად ეს წიგნი იძლევა რუსთაველის პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის თითქმის მთლიან სურათს და უკანასკნელ ხანებში ამ საკითხის გარშემო გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკას.

წიგნის გამოცემას რამდენიმედ დააგვიანდა სხვა და სხვა მიზეზით. ერთი თავი ამ წიგნიდან დაიბეჭდა კრებულ „არითეონში“.

კონსტანტინე ჭიჭინაძე.

20 ნოემბერი 1928 წ.

ქ. ტფილისი

# რუსთაველის გარშემო

## შესაბალი

იმ მისაზრებით, რომ ჩემს მიერ აღებული თემისათვის არა სპეციალურად მომზადებულ მკითხველს არ გაუძნელდეს ქვემოდ დასმულ საკითხებში გარკვევა, მე საჭიროდ მიმართია ჯერ-ჯერობით ელემენტარულად განვმარტო, თუ რაში მდგომარეობს ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის საკითხი. მე ვამბობ ტექსტის, ვინაიდან ამ წიგნში მსჯელობა მექნება უმთავრესად პოემის ტექსტის შესახებ და, გარდა ამისა, ჩემის ლრმა რწმენით, მხოლოდ ტექსტის სწორი დადგენა და მას-ში სინათლის შეტანა მოგვცემს ყველა იმ მთავარი საკითხების გასაღებს, რომლებიც, ერთად თავმოყრილნი, რუსთაველის პრობლემას წარმოადგენენ.

საქართველოს სხევა და სხევა მუხუმებში დაცულია, დაახლოებით ხუთმეტამდე, ვეფხის-ტყაოსანის ისეთი ხელნაწერები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პოემის ტექსტის დადგენის საკითხში. ყველა ეს ხელნაწერები, გარდა ერთისა, რომელიც ვადაწერილია მეცხრამეტე საუკუნეში და ცნობილია არტანუჯული ვეფხის-ტყაოსანის სახელით, ეკუთვნიან მე-XVII საუკუნეს და მე-XVI საუკუნის დასასრულს. ამ ხელნაწერებს პოემის გარშემო წარმოებულ კვლევა-ძიებაში უპირისპირდება თავისი მნიშვნელობით პირველი ნაბეჭდი ვეფხის-ტყაოსანი, რომელიც გამოსცა საქართველოს მეცემეახტანგ მე-VI 1712 წელს, რის გამო მას ეწოდება სახელად ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგის სეული რედაქცია. ვახტანგის მიერ გამოცემული ვეფხის-ტყაოსანი, რომელსაც ემყარებიან პოემის ყველა შემდეგი დროის ბეჭდვითი გამოცემანი, გარდა ს. კაკაბაძის პირველი გამოცემისა, არსებითად განსხვავდება ძველ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტისაგან. ამ განსხვავების შესახებ ლაპარაკი მექნება კრცლად შემდეგში, ჯერ-ჯერობით კი დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მისი საერთო აღნიშვნით. ვახტანგისეული რედაქცია ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე ხელნაწერებით წარმოდგენილი პოემის ტექსტი. ყველა ძველი ხელნაწერები სჭარბობენ ბოლოში ვახტანგის მიერ გამო-

ცემულ ვეფხის-ტყაოსანს მთელი ათი თავით. გარდა ამისა, განსხვავება არსებობს ცალკე ტაქტების მეტ-ნაკლებობისა და ზოგჯერ მათი შინაარსის მხრით ტექსტის საერთო ანუ ძირითად ნაწილშიაც.

პოემის მქვლევარები ერთხმად აღიარებენ იმ აზრს, რომ ხელნაწერებში წარმოდგენილი ზედმეტი თავები წამატებული აქვს რუსთაველის მიერ დაწერილ ვეფხის-ტყაოსანს შემდეგი დროის მელექსეთა, ეგრეთწოდებულ ყალბისმქნელთა მიერ. ამასთანავე ყველა მქლევარები იმ აზრის არიან, ვითომც პოემის თვით ძირითად ნაწილშიაც, ესე იგი ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებში, მრავლად არის ყალბი ტაქტები და ზოგჯერ მთელი ადგილებიც.

ზემოთ ნათქემის შემდეგ მე შემიძლია წინასწარ წარმოვადგინო ჩემი სანი შემდეგი დებულება, რომელთა დასაბუთება. ამ წიგნის მთავარ სავანს წარმოადგენს:

1. ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგისეულ რედაქციაში ყალბი ტაქტები არ არის;

2. პირიქით, ვახტანგისეულ რედაქციას აკლია რუსთაველის მიერ დაწერილი ტაქტები;

3. რუსთაველს გამოუშვია თავისი პოემა რამდენიმე ვარიანტით.

იმ დროს, როდესაც ორ პირველ დებულებას მიეცემა ქვემოთ ქათეგორიული მტკიცების ხასიათი, მესამეს წარმოვადგენ როგორც ჩემს ჰიპოტეთურ მოსაზრებას, რომლის საბოლოო გამართლება თუ უარყოფა დამოკიდებული იქნება პოემის ტექსტის გარშემო მომავალ მუშაობაზე.

I. ანალიზის

პირველად ყოვლისა შედარებისათვის გვაგონდება ეგრედწოდებული ჰომეროსის საკითხი. ბევრი მელანი ლახარჯულა და მრავალი კალამი გაცვეთილა ამ საკითხის გარშემო ატეხილ ბრძოლაში. გადავავლოთ თვალი ამ ბრძოლას და ალვნიშნოთ კონსპექტი-ურად, რამდენადაც საჭიროა ჩვენი პირდაპირი მიზნისათვის, მისი მთავარი ეტაპები. კამათი ჰომეროსის პოემათა ტექსტების გარშემო გაისხნა ჯერ კიდევ ძველ სამერძნოთში. იმდროინდელი ზოგიერთი გრამატიკუსები ფიქრობდენ, რომ ილიალასა და ოდისეაში

შიგა და შიგ ყალბი, შემდეგი დროის გადამწერთა და დეკლამატორთა მიერ ჩართული, ან უნებლიერ დამახინჯებული სტრიქონები უნდა ყოფილიყო. მაშინ მხოლოდ ცალკე სტრიქონების სიყალბეზე იყო ლაპარაკი. კვლევა-ძიება ამ საკითხის გარშემო განსაკუთრებით გალრმავდა და გაფართოვდა ქალაქ ალექსანდრიაში, რომელიც განსაზღვრულ პერიოდში მთელი ძეველი საბერძნეთის მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის ცენტრად იყო გადაქცეული. აქ პირველად დაიწყო ჰომეროსის პოემების გულმოლგინე „გაწმენდა“ საეჭვო აღგილებისაგან (ამ მხრით განსაკუთრებით ცნობილია ზენო დოდე ალექსანდრი ი ელი). ამავე ეპოქაში პირველად გამოითქვა ის აზრი, ვითომც ილიადა და ოდისეა სხვა და სხვა ავტორის ნაწარმოები ყოფილიყო (ჰელლანდიკი). მაგრამ ჰომეროსის პოემათა ტექსტებს ჰყავდათ თავიანთი დამცველებიც. მათ შორის კველაზე უფრო შესანიშნავი იყო ილექსანდრიის სახელგანთქმული წიგნთსაცავის გამგე არის-ტოფანი, რომელმაც ზოგიერთი ყალბად მიჩნეული და პოემიდან თითქმის უკვე განდევნილი აღგილები ბრწყინვალედ დაიცვა და დაუბრუნა ისევ ტექსტს; მხოლოდ მან, თავის მხრით, ყალბად მიიჩნია ოდისეას დაბოლოება. ჰომეროსის მკვლევართა შორის ალექსანდრიული გვპეირდან უნდა იქნეს აქ დასახელებული კიდევ ერთი დიდი ფილოლოგი — არის ტარხი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა შემდეგი დროის მკვლევარებზე. სხვათა შორის, მან გაიღაშეს იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს ოდისეა სხვა ავტორის მიერ ყოფილიყო შექმნილი. ჩვენთვის მეტად საინტერესოა, თუ რა არგუმენტაციას მიმართა არისტარხმა ამ საკითხში. მან შეაღარა ილიადა და ოდისეა ერთმანერთს და პირველ პოემაში აღმოაჩინა ისეთი ნიშნები, რომლებიც წინასწარ გულისხმობდენ მეორე პოემის შექმნას. ასეთი მიღვომა ერთავტორიანობის დასამტკიცებლად მეტად ობიექტიურია და, მაშასადამე, სავსებით მისაღები, მხოლოდ საქმე იმაშია, თუ რამდენად რეალურია და არა მოჩვენებითი მკვლევარის მიერ აღმოჩენილი ზემოხსენებული ნიშნები ილიადაში. მაინც მე ვსთხოვ მცითხველს დაიხსომოს ეს დეტალი, ვინაიდან ჩვენ მოგვიხდება მისი გახსენება შემდეგში, ვეფხის-ტყაოსანის განხილვის დროს.

საშუალო საუკუნეებში, ლათინური კულტურის გაბატონების ხანაში, ინტერესმა ჰომეროსისაღმი ძალიან დაიკლო. მაშინ კველაზე დიდ პოეტად მსოფლიოში ვირგილიუსი იყო მიჩნეული, ხოლო ჰომეროსი მის მეტერებდა და თანამელროვედ ითვლებოდა. მაგრამ ახალ საუკუნეებში ჰომეროსმა ისევ მიიქცია განათლებული ქვეყნების უმა-გალითო ყურადღება. ამ გარემოებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი

ვილლუაზონის მიერ ვენეციის წიგნთსაცავში ძველი სქოლიო-ების აღმოჩენამ (1778 წ.), რამაც მოულოდნელი ნათელი მოპტინა ალექსანდრიელი ფილოლოგების, ვანსაკუთრებით კი არისტარხის, კვლევა-ძიებას ჰომეროსის საკითხის გარშემო.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, სახელდობრ 1795 წელს, გერმანელმა გამოჩენილმა ფილოლოგმა ვოლფ მა გამოაქვეყნა ჰო-მეროსის „შესახებ ლათინურ ენაზე წიგნი „*Prolegomena ad Homerum.*“ ვოლფის გამოკვლევამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა არა მარტო ჰომეროსის საკითხში, არამედ მთელ ფილოლოგიაში: მან დე-ტალურად განიხილა ილიადა და მის სხვა და სხვა ნაწილებ შორის იმდენი წინააღმდეგობანი აღმოაჩინა, რომ შეუძლებლად ალიარა მისი შექმნა ერთი ავტორის მიერ. მისი აზრით ილიადა უნდა ყოფილიყო შე-თხზული არა ერთი პოეტის, არამედ რამდენიმესაგან (პომერ იდე ები). აღმოჩენილ წინააღმდეგობათა გარდა, ვოლფის მთავარ აჩვენებულს წარმოადგენდა ის მოსაზრება, ვითომვ ჰომეროსის დროს დამშერლობა საბერძნეთში ჯერ კიდევ შემოლებული არ უნდა ყოფილიყო, ხოლო ზეპირად შეთხვა და დახსომება ერთი პირის მიერ ისეთი დიდი პოე-მების, როგორიც ილიადა და ოდისეა არის, შეუძლებელი იყო. სხვა და სხვა რაპსოდების მიერ შეთხვული და ზეპირად თაობიდან თაო-ბაზე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გადანაცემი პოემების ჩაწერა, ვოლფის აზრით, პირველად მოხდა მე-VI საუკუნეში, ქრისტეს დაბა-დებამდე, ათინის მტარვალის პიზისტრატეს მიერ არჩეული კოშისისა-გან. ვოლფის თეორიას სახელად ატომის ტური თეორია ეწოდა. ამ თეორიას გასულ საუკუნეში უმაგალითო გამარჯვება ხედა წი-ლად. მან თითქმის უბრძოლველად დაიპყრო მთელი გერმანიის ფი-ლოლოგია. საინტერესოა მეტად, თუ როგორ შეხვდა ამ თეორიას სამი ყველაზე უფრო გამოჩენილი იმდროინდელი გერმანელი პოეტი: კლოპ შტოკი აღუშფოთებია ვოლფის თეორიას, შილლერ მა უწოდა მას ბარბაროსული თეორია, გოეთე მიემხრო მას, ხო-ლო მოხუცებულობაში უარპყო იგი. მაგრამ პოეტების აზრს ვინ მიაქცევდა ყურადღებას. ვოლფს გამოუჩნდენ მრავალი მიმდევრები, რომელთა შორის ზოგიერთებმა უკიდურეს სიმახინჯემდე მიიყენეს მასწავლებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. დაიწყო ჰომეროსის პოემათა ტექსტების ნამდვილი ჯვარუმა და, მართლაც, ბარბარო-სული დასახიჩრება ვითომდა მეცნიერული ანალიზის სახით. გერმა-ნელმა მკვლევარებმა იმის გამორკვევის დროს, თუ რა არის ილიადასა და ოდისეაში ნამდვილი და ყალბი, ისეთი სუბიექტიურობა გამოი-ჩინეს, რომელიც ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის მიულებელია

სრულიად. ამის შესახებ ცნობილი ინგლისელი მკვლევარი მაგაფი სწერს შემდეგს:

— „გერმანელ მკვლევართა შორის ბევრი ფიქრობს, რომ ილიადას-ზოგიერთი ნაწილები სრულებით არ შეეფერებიან დანარჩენებს; ისინი თქვენ იმ სტრიქონებსაც კი გიჩვენებენ, თუ სად დაიწყო შემოქმედება ნაკლები ნიჭის პოეტმა, და შემდეგ იმ სტრიქონებს, სადაც მოთხობის ძაფი ისევ დიდი პოეტის ხელში გადავიდა. ამგვარი კრიტიკა იმდენად სუბიექტიურია, იმდენად დამოკიდებულია თვითონ კრიტიკის ცვალებად გემოვნებასა და მსჯელობაზე, რომ მე არც კა განვიხილავ ამ საკითხს. მრავალი იმ ადგილთაგანი, რომლებსაც გერმანელი შელები უღირსად სთვლიან, მე მიმაჩინა შესანიშნავ პოეზიად“...

აი რასა სწერს იგივე მაგაფი იმ შედეგთა სრული სხვა და სხვა-ობის შესახებ, რომელსაც იძლეოდა გერმანელი ფილოლოგების სუ-ბიექტიური კრიტიკა:

„ცდებს ილიადას პირველყოფილი ელევენტების აღმიასჩენად გერმანელები საკმაოდ დიდხანს და კეთილსინდისიერად აწარმოებდენ რმისათვის, რომ გამოიერარავებინათ თავიანთი მუშაობის სრული ამაოება. ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ამ საკითხში თუნდაც ორი სკეპტიკოსი შესთანხმებოდა<sup>1</sup> ერთმანერთს, მაგრამ, კიდევაც რომ მოხდეს შეთანხმება, ისინი მაინც ვერ შესძლებენ დაუმტკიცონ მიუდგომელ კრიტიკოსს, რომ მათ მიერ მიღწეული შეუებები წარმოადგნენ უფრო მეტს, კიდრე უბრალო მკითხაობას“.

ეს ციტატები მომყავს მხოლოდ იმ მ.აზნით, რომ გავიხსენოთ მაშინ, როდესაც ლაპარაკი გვექნება ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა მეთოდოლოგიური შეცდომების ანალიგიურ მაგალითებზე.

გერმანელმა მკვლევარებმა მკვდრეთით აღადგინეს ჯერ კიდევ ალექსანდრიულ ეპოქაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოდისეა შექმნილია ილიადასა და მისი ავტორის, ან, როგორც მაშინ ფიქრობდენ, ავტირების დამოუკიდებლად (სეპარატის ტული თეორია). დიდი გამბედაობა იყო საჭირო ამ შეხედულების წინააღმდეგ ხმის ამოღებისათვის მაშინდელ გერმანიაში.

მაგრამ პომეროსის პოემათა ერთავტორიანობის იდეას (უნიტარული თეორია) ენერგიული დამცველები გამოუჩნდენ ინგლისში (მიური, გლადსტონი და სხ.) თუმცა ვოლფის ატომისტურმა თეორიამ იქაც დიდი გავლენა მოახტინა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პომეროსის მკვლევარები ორ დიდ ბანაკად იყოფიან: ერთნი არღვევენ, შლიან და აჭუკმაცებენ მისი პოემების ტექსტებს, მეორენი სასტიკი თავგამოდებით იცავენ ამ ტექსტების მთლიანობას. ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები კი, მიუხედავად იმისა რომ ისინი არაფერში არ ეთანმებიან ერთმანერთს, არ-

სებითად ერთ ბანაქში არიან მოქცეულნი, ოოგორც პოემის ტექსტის დაშლელნი და დამრღვეველნი; ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის მთლიანობას მათ შორის დამცველი სრულებით არა ჰყავს.

რა მდგომარეობაში იმყოფება ამ უამაღ პომეროსის საკითხი? ჩვენი უნივერსიტეტის პროფ. გ. რ. წერეთელი ვრცლად ეხება ამ საკითხს თავის წიგნში „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (გვ. 49 — 73.)

პატივუმული მეცნიერის გადმოცემით ესლა საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ პომეროსი არის ნამდვილი ისტორიული პიროვნება და ილიადას ერთად ერთი ავტორი. იმ წინააღმდეგობათა შიზეზს, რომელსაც ადგილი აქვს ილიადაში, თანამედროვე მეცნიერები სსნიან მოსაზრებით, ვითომც ილიადა მის ავტორს თანდათანობით გაეფართოვებინოს. აი რასა სწერს გრ. წერეთელი ამის შესახებ: „ილიადას დღევანდელი სახე გვიჩვენებს, რომ პომეროსმა თავისი პოემა შეჰქმნა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, სანამ არ მისცა მას საბოლოო, დასრულებული სახე“... ეს აზრი განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩემგან, ვინაიდან სწორედ ამგვარივე მოსაზრება. გამოვსთქვი მე ვეფხას - ტყაოსანის შექმნის შესახებ ჩემს წიგნში „ალიტ. ქ. შ. და ვეფხ.-ტყაოს. პრობლემა“. ჩვენს პროფესორს მოჰყავს თანამედროვე ევროპიული მეცნიერის ფინსლერის შეხედულება, რომ პომეროსს თავისი პოემის თავდაპირველ სიუჟეტად აულია აქილესის რისხვა, — „პოემა, რომელსაც სრული უფლებით შეიძლებოდა „აქილეადა“, „დარქმეოდა“. მაგრამ პომეროსი არ შეჩერებულა ამ პირველ მონახაზზე. აქილეიდასაგან მან შეჰქმნა ილიადა, ტრიასომის ეპოსი“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ის აზრი, ვითომც ესა თუ ის ძელი პოეტური ნაწარმოები კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი იყოს, თანამედროვე მეცნიერებს დიდ შეუსაბამობად მიაჩნიათ. ვოლფის თეორია—აპოლოგია ამ შეუსაბამობისა—რამდენიმე ათეული წლის არაჩეცულებრივი ბატონობის შემდეგ საბოლოოდ უარყოფილია ამ ჟამად. საინტერესოა, თუ რა ბედი ეწვია ვოლფის მთავარ საფუძველს იმის შესახებ, ვითომც პომეროსის პოემების შექმნის დროს საბერძნეთში დამწერლობა არ არსებობდა, -- საფუძველს, რომელიც თავის დროზე შეურყევლად ითვლებოდა? აი რასა სწერს პროფ. წერეთელი ამის გამო: „როგორც ვოლფის თეორიის შინაარსიდან სჩანს, მის მთავარ საფუძველს წარმოადგენს მოსაზრება დამწერლობის გვიან შემოლების შესხებ, მაგრამ ამას არ ადასტურებენ უახლოესი აღმოჩენანი. ბერძნული ანგანი გამოგონილია არა უგვიანეს მე-IX საუკუნისა.

ქრისტეს წინ და ჩვენს განკარგულებაში ეხლა რამდენიმე წარწერა არის მე-VIII საუკუნის დასაწყისისა“.

პომერონის შესახებ კი დღეს იმ აზრის არიან, რომ ის სცხო-ერობდა არა მეოქროთშეტე საუკუნეში, როგორც წინად ფიქრობდენ, არამედ მეცხრეში (900 – 850 წლებში).

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, შილლერმა ბარბაროსული თეო-რია უწოდა ატომისტურ თეორის; ეს სახელწოდება სავსებით შეეფე-რება მას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემქმნელი მეტად კულტუ-რული პირი იყო. გასული საუკუნის გერმანელ ფილოლოგებს ალბად ძალიან გაეცინებოდათ, რომ ვინმეს ეწინასწარმეტყველებია ვოლფის დამარცხება და შილლერის აზრის გამარჯვება მომავალში. მაგრამ ჩვენ არამც და არამც საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვი-დგინოთ, ვითომც ფილოლგიურ კვლევა-ძიებაში დამარცხელა მეცნიერი და გამარჯვებული დარჩა პოეტი. არა, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვი-ყოთ, რომ შილლერის მიდგომა პომერონის საკითხისაღმი არ იყო წმინდა „პოეტური“, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, ესე იყი ზიდ-გომა მოკლებული ყოველგვარ ობიექტივობას და საღ ლოლიკურ მსჯე-ლობას. ლიტერატურული კვლევა-ძიება არ არის ვიწოდებული შემო-ფარგლული მეცნიერული დისკიპლინა, ისე როგორც, მაგალითად, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია და სხვა. ბევრი რამ არის საჭირო იმისათვის, რომ ამ საკითხში თავისი საფუძვლიანი აზრი გამოსთქვას ადამიანმა, მაგრამ ეს „ბევრი რამ“ მხოლოდ გარედან მიღებულ ცოდ-ნას არ წარმოადგენს. აი რა არის უმთავრესად საჭირო: ლიტე-რატურისა და ლიტერატურის ისტორიის კარგი ცოდნა, საფუძვლი-ანი ცოდნა პოეტიკის, თანდაყოლილი და კარგად აღზრდი-ლი ესთეტიკური გემოვნება, პოეტის ფსიქოლოგიასა და საერ-თოდ პოეტური შემოქმედების ფსიქოლოგიაში გარკვევის უნარი და, დასასრულ, გამჭრებელ გონება. თუ ამ საფუძვლების მიხედვით მოვა-ხდენთ ვოლფისა და შილლერის ერთმანერთთან შედარებას, ჩვენ უპირა-ტესობას უეჭველად შილლერის მხარეზე დავინახავთ, განსაკუთრებით პოეტური შემოქმედების ფსიქოლოგიის ცოდნაში, ვინაიდან შილ-ლერი სიყრმიდნ სიკვდილამდე უალრესად დატვირთული იყო ამ ფსიქოლოგით. აი სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შილლე-რის მიდგომა ილიადასაღმი იყო ნამდვილად მეცნიერული და რომ შილლერი ამ საკითხისათვის უკეთესი მეცნიერი იყო, ვიდრე ვოლფი. უველაფერი, რაც ვსოდეთ აქ შილლერის შესახებ, შეი-ძლება კიდევ უფრო ხაზგამით გოეთეზე ითქვას, რომელიც პომე-რონის პოემებს დედანში, ძველ ბერძნულ ენაზე კითხულობდა.

ჩვენი უდიდესი ჩამორჩენილობით უნდა აიხსნას ის შეხედულბა, ვითომც ლიტერატურული კვლევა-ძიება პოეტის საქმე არ არის და, თუ მაინცა და მაინც ის ხელს მოჰყიდებს ამ საქმეს, მისი შრომის შედეგი უთუოდ ზღაპარი უნდა იქნეს. პირიქით, ხშირად სწორედ იმ მკვლევართა ნაშრომებში ვნახულობთ ყოვლად შეუსაბამო მოსაზრებებს, რომლებიც პოეტურ შემოქმედებას პირადი ვამოცდილებით არ იცნობენ. ზოგჯერ ეს ნაშრომები მხოლოდ იმიტომ არშეგვიძლია- ჩავსთვალოთ ზღაპრად, რომ მეტად მოსაწყენი საკითხავი არიან.

ამ უამად დასავლეთ ევროპაში და ჩრუეთში პოეტები და, საერთოდ, მხატვრული სიტყვის შემომქმედნი უდიდეს მონაწილეობას იღებენ ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგალითად თანამედროვე გერ- მანიაში სწორედ პოეტები ჰქმნიან მთელ ახალ მიმართულებებს ამ დარგში. \*)

დღეს ევროპიული ფილოლოგიისათვის წარმოუდგენელია, რომ მკვლევარის სული ისე დაშორებული იყოს მისი კვლევა-ძიების ობიექტისაგან, როგორც ამას საქართველოში აქვს აღგილი. ჩვენი მკვლევარებისა და კრიტიკოსების უდიდეს ნაწილს თითქო თავის უპირველეს მოვალეობად მხატვრული შემოქმედების შინაგანი კანონებისა და ელემენტარული პოეტიკის სრული უკოდინარეობა მიაჩნიათ. ბევრ მათგანს ნამდვილად სჯერა, რომ შეიძლება კაცმა არ იცოდეს თუ როგორი პროცესი ხდება პოეტის სულში, როდესაც ის ლექსესა სწერს, არ გაეგებოდეს, თუ რა არის რითმა, რიტმი, პოეტური ფიგურები, დასასრულ, მოკლებული იყოს ყოველგვარ ესთეტიური ალლოს და მაინც ადვილად გადასჭრას ურთიულესი ლიტერატურული პრობლემები.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ანალოგიებს. ჩვენთვის კიდევ ფურთ საინტერესოა ვეფხის-ტყაოსანის გარშემო წარმოებული კვლევა-ძიების შედარება ასეთსავე კვლევა-ძიებასთან გერმანული ეპიური პოემის ნიბეჭლუნგის გარშემო. ეს პოემა შეიქმნა გერმანიაში დაახლოვებით იმავე დროს, რა დროსაც ვეფხის-ტყაოსანია დაწერილი. ავტორი პოემისა ცნობილი არ არის. ვასული საუკუნის დასაწყისში ნიბეჭლუნგები განიხილა ვოლფის მოწაფემ ლახმანში და აღმოჩინა მასში ის, რაც მას წინასწარ დაესიზმრა — მრავალი წინააღმდეგობა პოემის სხვა და სხვა ნაწილებში შორის, რის გამო, ლაბშანის აზრით, ის შექმნილი უნდა ყოფილიყო არა ერთის, არამედ რამდენიმე

\*) ამის შესახებ — В. ჯირმუნისი: „Новейшая течения истор.-литературной мысли в Германии.“

ավտորուս մոյեր. մյալլեարմա գամուսկա პոյմուս Ծյեխտու და Շից շան-  
սեցազբյուլո Ռութիւն ճանապարհ, հռցուրը վուտումը պալծո, სյուլ 745  
Ծյան (Տէրություն), յս օցու ճանալու ազգային պատուի պատու մոյեմուս մյեսամյեցու.  
նոնդելլունցը օպուտա սայրուու 39 ազգեանուրագ, ման օցու շանչու ապ  
տաշագ. Շեմցաց ճրուուս յրութիւնյամ ալմուսինա հռմ ամ տաշեցագ Ծյա-  
քը օպուտա յանանիւնը օպուտ ճրուուս լաճմանուստացու հալապ մուստիւրու մնոն-  
շանցուն քշունու հուրեց 7-ս: Ծյան տա սայրուու հուրեց պարագ տաշեցու  
ոպուտա Շեմցաց, հապ սայսեցու ապշարացյան օմաս, տա համունագ ե-  
լլունցը յինձու պարագ պարացյան մոյեր պոյմուս Ծյեխտու օպուտ  
լաճմանու տաշու յրութիւնյամ ճանապարհ հալապ սայսպարագ, հռմց-  
լու սրուլո սայսպարագ սայսեցու գամուսիարաց Շեմցաց. մյե  
առ ճաշասախեց այ օմատ, զոնաօւան նոնցուրտու մատցանու տությունու  
սուրպա սուրպա յանմեռուրեց մումունցու մանին, հռցաւսապ վայեցիս-Ծյա-  
ռասանու ատ ե թ օ ն ծ ա բ ա ր ո ւ ր ո ւ ա (Յոյմուս Ծյեխտու պարագ մոինցը լու-  
սացու ալմունցու) սայսպարագ օմասախեց մյեյնեց լապարացու.  
մեռլու լաճմանու յրու մուսանիւնը մուզուպան այ, հռցուրը հայնուցու  
մյերու սանոնցը յունու մյալլեարմա Շենունշա, հռմ նոնդելլունցը օմու-  
րեց յրուտիւնուրտու ხան տյացնունցու յլաճարացյան, ხան Շենունցու, հապ,  
մուս աթրու, օմու մահայեց յունու, հռմ պոյմա սեցա դա սեցա ապտուրեց ս-  
լիշերու. լաճմանու ամունենքու հռմ գայնունքու պարագունք վա-  
յեցիս-Ծյառասանս, հայեն պոյմա սայսպարագ արշամենտու օյնենցու մատուցու  
յամատու ճրուու. զետեսա-Ծյառասանս սրուլուու սայսպարագ նաշունցը նոն-  
սոննայեց նոնցու տյացնունցու մումարտացն յրուտիւնուրտու, նոնցու Շե-  
նունցու. ամ յարայունքու մյե մուզայու պարագունք հյեմս პորաց վիցնշա  
վայեցիս-Ծյառասանս մյասախեց դա վենունցու մաս ծցերատա Շերիցու մուն-  
տու, մացրամ, յինձու օտյան, հռմ նոնցու առու օսետու Շեմտեշեցա, հռ-  
ցաւսապ ալարա սիանս ապարագ, տա րա մուսանիւնը օտյան նոնդելլունցը դա  
ռուստացը ամ ռու հապալսախեցու եմարեց ճրուու. յրուու համ յու  
ժանամջունցը օտյան: ասետ վիշտունմանս, օս, հռցուրը ծցերա  
սեցա վրայունմանցը; յունու պոյմա սերուու սայտունշուլ պարագունք առ այ-  
սացը.

Ճագատ սանոնցը օգնութեան ազգացա անալոցուստացու նոնդելլունցը օպուտ  
ելլոնաշերտու սայուտեն. արևեծուն ամ պոյմուս սամու Ծյունու ելլոնաշերտու —  
A, B և C. պայտանշ մոյւրա Ծյեխտու Ծյաճմուալցյան յարուանտու A, պայ-  
տանշ պայտանշ C. լաճմանու յանունու յս ելլոնաշերտու դա յամուունա  
ու դասկան, հռմ հրաժայու Ա Շեյուրա պայտանշ մաշա դա, մաշա-  
սացամյ, պոյմուս პորաց դեգանտան սոյրու ժաճլու պարագ պարագունք  
ելլու ելլոնաշերտու C պայտանշ աթալու դա յաժարատունցը պարագունք առ այ-  
սացը.

მიერ შეთხუზული ტაეპებით. მაგრამ ლახმანის გარდაცვალების შემდეგ მკვლევარმა პოლუმანმა სრულიად საწინააღმდეგო აზრი და-ამტკიცა. მისი შეხედულებით ვრცელი ვარიანტი С ყველაზე ძველი უნდა იყოს, ხოლო მოქლე რედაქცია A ყველაზე ახალი. მან გამოს-თქვა მოსაზრება, რომ გადაწირათა პროცესში ხდებოდა არა განვირ-ცობა ნიპელუნგების ტექსტის, არამედ მისი შემოკლება. თუ რო-გორ სწარმოებდა ეს შემოკლება, ამის საილიუსტრაციოდ ჰოლცმანს მოჰყავს ასეთი შესაძლებელი შემთხვევა: გადამწერი მიადგა გადაწე-რის დროს ტაეპს, რომელიც იწყება სიტყვებით: „უთხრა მას მეფე...“, მაგრამ შეცდომით მან გადასწერა არა ეს ტაეპი, არამედ ამავე სი-ტყვებით დაწყებული რომელიმე შემდეგი ტაეპი იმავე გვერდზე და, ამგვარად, გამოსტოვა უნებლიერ ერთი, ორი ან რამდენიმე სტროფი. გარდა ამისა, ჰოლცმანის აზრით, შესაძლებელი იყო გადამწერთა მიერ ზოგიერთი სტროფების განზრას გამოტოვებაც. ამის შემდეგ მკვლევარებმა თანდათან აიმაღლეს ხმა ლახმანის თეორიის წინააღმ-დეგ, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე მეფობდა გერმანიაში. ბო-ლოს ეს თეორია ისე გაღნა მისი მოწინააღმდეგების ხელში, რო-გორც თბილ ოთახში შეტანილი თოვლის გუნდა. ამ უამად უდავოდ არის ცნობილი, რომ პოემა ნიპელუნგები დაწერილია ერთი ავტო-რის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მისი სხვა და სხვა ნაწილები და ცალკე სტროფები ერთნაირი პოეტური ღირსების არ არიან, რაც ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ლახმანისათვის იმ შე-ხედულების მტკიცებაში, ვითომც ეს ნაწარმოები კომპილიატიური ხასიათისა იყოს.

აი რასა სწერს ამის შესახებ ცნობილი თანამედროვე რუსი ფი-ლოლოვი — გერმანისტი უირმუნსკი თავის წერილში „Новейшие течения историко-литературной мысли в Германии“:

„... в начале XIX века братья Гриммы и Лахман, по при-меру исследователя Гомера — Вольфа, рассматривали герои-ческие поэмы, подобные Илладе или Нibelungen, как свод (или спев) самостоятельных эпизодических песен, образую-щих как бы последовательные главы единого эпического сказа-ния. Гейслер, однако, доказал на германском материа-ле, что такие эпизодические песни-главы на самом деле никогда не существовали: различие между песней и поэмой — не в об-еме сюжета, который остается постоянным, исчерпывая данное сказание целиком, а в стилистических приемах раз-работки того же сюжета. Песня заключающая 200-300 сти-хов, отличается краткостью сосредотачивающейся на несколь-ких драматических вершинах сюжета, экономно пользуется

героями и драматическими сценами. Поэма, имеющая несколько тысяч стихов, повествует о тех же событиях более подробно и медленно, заполняя промежутки между вершинами, задерживаясь на описаниеах и психологической мотивировке событий, вводя большое число второстепенных действующих лиц и новых сцен. Происходит процесс стилистического „набухания“ („Auschwellung“), связанный от устного перехода к письменному в с влиянием литературных образцов — античных, а в более позднюю эпоху — романских поэм\*. \*)

ამ ციტატის შინაარსი კარგათ უნდა დაიხსომოს ჩემი წიგნის მკითხველმა.

საჭიროა კიდევ ერთს მეტად მნიშვნელოვან გარემოებას მიევა-  
გულით ყურადღება. ძეველ საბერძნეთში და საშუალო საუკუნეების  
დასაცლე ეპროპაში ეპიურ პოემებს ამღერებდენ ან ჰეითხულობდენ  
საჯაროდ პროფესიონალური მომღერლები და დეკლამატორები.  
საბერძნეთში ასეთები იყვნენ რაპსოდები, გერმანიაში მინეზინგერები,  
საფრანგეთში ტრუბადურები და მენესტრელები. მათ დიდი ექსპრე-  
სია შექვინდათ თავიანთ ხელოვნებაში, უალრესად ღელავდენ თვი-  
თონვე საკუთარი დეკლამაციით და ამ მღელვარებას გადასცემდენ  
მსმენელებს. ამიტომ შესაძლებელია იქ ზოგიერთ იშვიათ შემთხვე-  
ვაში შემსრულებელი მართლა აძლევდა თავის თავს ნებას შეესწო-  
რებინა ან განვერც პურის ზუგიერთი ადგილი, განსაკუთრებით, მა-  
შინ, როდესაც მისი ავტორის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპო-  
ებოდა, ან როდესაც საინტერესო ეპოსის გარშემო დაწერილი ესა  
თუ ის ნაწარმოები სუსტი იყო შესრულების მხრით და არსებობდა  
მისი გაუმჯობესების შესაძლებლობა. მაგალითად, უდაოდ არის ცნო-  
ბილი, რომ ტრუბადურები საფრანგეთში აგრძელებდენ ან ხელახლა  
ამჟამავებდენ უცნობი ავტორების მიერ წინააღ შეითხულ პოემებს მშო-  
ბლიური ისტორიიდან აღებულ ნახევრად ლეგენდარულ ამბებზე (მერო-  
ვინგები, კარლოვინგები). ფრანგული ლიტერატურის გამოჩენილი ისტო-  
რიკოსი ლანსონი ამას იმ გარემოებით ხსნის, რომ საფრან-  
გეთში მშერლობა ძალიან აღრე გადაიქცა პროფესიად. პოეზია ერ-  
თადერთი საარსებო წყარო იყო ტრუბადურებისა და მენესტრელები-  
სათვის. პირველნი სწერდენ პოემებს, მეორენი ყილულობდენ მათვან  
ამ პოემებს და ასრულებდენ საჯაროდ სხვა და სხვა ფეოდალების კარ-  
ზე. მსმენელები მოითხოვდენ, მათგან ისეთ ნაწარმოებებს, სადაც შე-  
ქებული იქნებოდენ მათი საყვარელი გმირები მშობლიური ეპოსიდან.

\* ) Пoэтика, 1927 № 2, გვ. 23.

ამ მოთხოვნილების დაქმაყოფილება შესაძლებელი ხდებოდა ერთი-და იმავე შინაარსის მრავალი ვარიაციით და ხელოვნური გაფართოებით. გარდა ამისა, ფრანგული ეპოსის ძეველი უსახელო პოემები სა-ერთოდ სუსტად, კერძოთ კი ნაკლული რითმებით იყო დაწერილი. ტრუბალურები ასწორებდენ მათ და შეჰქონდათ შიგ სრული რითმები. სკვლიდენ აგრეთვე მათ მეტრს მოდის მიხედვით. მაგალითად, რო-დესაც საფრანგეთში შემოვიდა ალექსანდრიული ლექსი, ათმარცვლო-ვანი ზომით დაწერილი პოემები გადააკეთეს თორმეტმარცვლოვანედ ორმარცვლოვანი სიტყვების ჩამატებით. ყველაფერი ეს ხდებოდა უმთა-ვრესად იმის გამო, რომ ამ პოემებს არ აჩნდა დიდი ხელოვანის, მაღა-ლი პოეტური შემოქმედების ბეჭედი. ზემოხსენებული ლანსონი სწერს:

„მაშინ, როდესაც მოხდა პოემების ჩაწერა, ისინი უკვე გადარჩენილად შეიძლებოდა ჩათვლილიყვნენ. მომავალ თაობებს შე-ეძლო ფრთხილად ეწარმოობინა მათი ენის განახლება, მაგრამ ვინ გაჰქიმდავდა მათი უწმიდესი ფორმის მოსპობას ან მათ შესეგძას თა-ვისი შეხედულების მიხედვით? ფრანგულ საგმირო პოემებს კი სხვა ბედი ეწვია: ერთი — იმის გამო, რომ მათი არა საკმავლო ფაქიზმი ფორმა არ აღმრავდა განსაკუთრებულ პატივისცემას, და მეორეც იმისათვის, რომ მათი რედაქტორები და მკითხველი საზოგადოება ყურადღებას მხოლოდ შინაარსს აქცევდენ“.

ავილოთ ეხლა ზემოხსენებულთან ერთად ის პირობები, რომ-ლებშიაც ხდებოდა ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის გადაცემა თაობიდან თაობაზე. ჩევნში ძეველად პოემების საჯარო კითხვა მიღებული არ იყო. ვეფხის-ტყაოსანის ტექსტს არავინ არ ამღერებდა, მას მხო-ლოდ იწერდენ. პოემის სიუჟეტი ქართული ისტორიიდან არ არის აღებთლი, რომ ყოველ მელექსეს თავისი უფლება გამოეცხადებია მასზე. რაც უმთავრესია, ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია ისეთი ბრწყინ-ვალე შაირით, რომლის მხგავსი ქართულმა პოეზიამ არ იცის; მისი გასწორება, გაუმჯობესების მიზნით, არცერთს ჭკუთა მყოფელს არ მოუვიდოდა თავში. ძეველ საქართველოში ვეფხის-ტყაოსანი მეორე სახარებად იყო მიჩნეული. პოემა უაღრესად ინდივიდუალური შემოქ-მედების ბეჭედს ატარებს. ყველამ იცოდა. თუ ვინ იყო მისი ავტო-რი, პატივისცემა მისდამი თავისისცემად იყო. გადაქცეული. ვინ გა ჰაბედავდა, ლანსონის სიტყვები რომ ვიზმართ, რუსთაველის პოემის უწმიდესი ფორმის დარღვევას, თუ არა ჭკუთა შეშლილი? თუ ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა მიერ გამოვინილი ყალბისმქნე-ლების მთელი შტაბი მივიღეთ მხედველობაში, უნდა ვითქმიროთ, რომ რაც საქართველოში შეშლილი ყოფილა, ყველას ამ პოემის გადა-წერა ჰქონია მინდობილი.

34958

## II. ვეზეის-ტყაოსნის ათეტიზათოლთა ზოგადი საფუძვლები.

ვოლფის თეორიამ უდიდესი გავლენა შოახდინა ქართველ ფილოლოგებზე რუსული ფილოლოგიის გზით. მაგრამ, მაშინ როდესაც რუსეთში ლიტერატურული კრიტიკის თვალი არასოდეს არ მოსწყვეტია ამ მეცნიერების განვითარების უკანასკნელ ეტაპებს ევროპაში, ჩვენებური კრიტიკა გაყინულია ერთხელ მიღებულ საფუძვლებზე და დღესაც განაგრძნობს უამგადასული გზებით სიარულს. ვეფხის-ტყაოსნის მკვლევარები არა თუ ანგარიშს არ უწევენ ევროპის მეცნიერული კრიტიკის უკანასკნელ მიღწევებს, ისინი იმ ძელ მეთოდებსაც კი უაღრესად ამარტივებენ და ახურდავებენ, რომლებზედაც დამყარებულია მათი მუშაობა.

განვიხილოთ ჯერ საერთოდ, თუ რა მოსაზრებებს ემყარებიან ისინი, როდესაც ვეფხის-ტყაოსნში ჭალბ ადგილებს ნახულობენ.

1) ძველი მწერლების მოწმობა. ყოველ მათგანს მოჰყვას არჩილ მეფის მრავალტანჯული სტრიქონები: „ნანუჩის რუსთვლის ნათქვამში“... და სხვა. არჩილი ძალიან უნიჭო პოეტი იყო. საქართველოს საქმე მაშინ წახდა, როდესაც მისმა მეფებმა, იმის მაგიერ რომ მთელი თავიანთი ძალონე მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისათვის მოენდომებიათ, ლექსების წერას მიჰყეს ხელი. არჩილის პოეტურ ალლოს ჩვენ ვერ ვენდობით. არც იმ გარემოებასა აქვს მნიშვნელობა, რომ არჩილ მეფე ძველი მწერალია, ვინაიდან პირველი წყაროებისგან ის მეტად დაშორებულია. ალექსანდრიილი ფილოლოგები ოცდაერთი საუკუნით უფრო ახლო იდგენ პომეროსთან, ვიდრე დღევანდელი მკვლევარები, მაგრამ ბევრ რამეში სცდებიან პირველნი და მართალი გამოდგენ უკანასკნელები. გარდა ამისა, ვეფხის-ტყაოსნის ნაწილები რომლებსაც არჩილი სხვების მიერ „შეთავებულადა“ სთვლის, უკრო ძველსა და ზოგჯერ უფრო ნიჭიერ პოეტებს რუსთაველის მიერ დაწერილად მიაჩნიათ. მაგალითად, თეიმურაზი ვეფხის-ტყაოსნის გმირების შესახებ სწერს შემდეგს:

ბოლოდვეც განვლენ საწუთო, სოფლის საქმენი არ ესა,  
იგ უსახონი ქალყმანი მიწასა მიაბარესა.

ამ სტრიქონებიდან აშკარად სჩანს, რომ თეიმურაზი ვეფხის-ტყაოსანის თავებს სთვლიდა პოემის განუყოფილ ნაწილად. ამასვე აჯასტურებს „ომანიანის“ ავტორის მოწმობეც.

2) ნათქვამის განმეორება ვეფხის-ტყაოსანში. ეს საფუძველი ლახმანმა ნიბელუნგების განხილვის დროს შემდეგი სახით გამოსთქა: „წინა და მოძევენო ტაეპებში ნახმარი სიტყვებისა და გამოთქმების უბადრუკი განმეორება“. მართლაც, ვეფხის-ტყაოსანში აქა იქ შეხვდებით ისეთ ადგილს, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით მის განმეორებას, რაც უმაღ ან შემდეგშია ნათქვამი. ასეთ განმეორებებს ათეტიზატორები სთვლიან ყალბისმქნელთა მიერ ჩამატებულ ადგილებიდ, მაგრამ არა ყველან; არამედ იქ, სადაც მკვლევარს საჭიროდ მააჩნია განმეორების შემცველი ტაეპის გაყალბება. ნათქვამის განმეორებას აერთოდ უაღრესად დამახასიათებელია ეპიური პოეტებისთვის. ისინი ცდილობენ რომ პოემის ჩარჩოები გასწიონ და გააფართონ მისი ეპიზოდების ზედმეტი დეტალიზაციით, რასც შედეგად ხშირად ნათქვამი აზრის ან სიტყვების განმეორება მოჰყვება. არ ის-ტორელე თავის პოეტიკაში სწერს: „დრამაში ეპიზოდები მოკლეა, ეპოსში კი გაჭიანურებული“—ო. ვრცელი კი არა, „გაჭიანურებულიო“, ესე იგი განზრახ გაფართოებული. მაგალითისათვის არის—ტორელე ასახელებს ოდისეას, რომლის მთავარი ძაფის გადმოკვემა, მისი თქმით, შესაძლებელია სულ რამდენიმე სიტყვით, და მართლაც ის ექვს სტრიქონში გადმოგვცემს ამ შინაარსს. თუ გადავათვალიერებთ სხვა ძეველ ქართულ ორიგინალურსა და თარგმნილ პოემებს, ყველგან აღმოვაჩენთ განმეორებებს. ავილოთ, მაგალითად, შემდეგი ტაეპი „ბარამ გურიანში“:

კვლა ნახა უცხო დარბაზი თვით უნახავი თვალისა,  
მას შიგან ტახტი ურიცხვი დგას ზურმუხტის და ლალისა.  
მზეებრ ანათებს დარბაზსა შუქი მათისა წყალისა  
მუნ არსად იყო სქენება ოქტორიალურსა და თარგმნილ პოემებს;

**ცოტა ქვემოთ მოდის შემდეგი ტაეპი:**

დასხვდეს, კვლა სუფრა მიიღეს თვით უნახავი თვალისა,  
ხონები სავსე საჭმლითა ზურმუხტისა და ლალისა,  
უკუნსა ღამეს ანათებს შუქი მათისა წყალისა.  
თამაშობდეს და უხინობდეს ჯარი წნათობთა ქალისა:

ამ მეორე ტაეპში გამოთქმები: „თვით უნახავი თვალისა“, „ზურმუხტისა და ლალისა“, „შუქი მათისა წყალისა“ აღებულია პირველი ტაეპიდან. მაშ ერთი ამ ტაეპთაგანი ყალბი ყოფილა? ნუ თუ „ბარამ გურიანსაც“ ჰყავდა თავისი ინტერპოლიატორები?

გარდა ამისა, საკითხავია, თუ რა მოსაზრებით უნდა ვიფიქტოთ, რომ ინტერპოლიატორის მიერ ჩამატებული ადგილი უკვე ნათექვამის განმეორება იქნება? რითი ღა უნდა ავხსნათ მისი „შემოქმედების“ წყურვილი, თუ შას ახალი არაფერი აქვს სათქმელი? ჩემის აზრით, საბუთი გვაქვს ვიფიქტოთ, რომ ინტერპოლიაცია, პირიქით, ნათექვამის განმეორება არ იქნება. ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთ ყალბად მიჩნეულ ტაეპებში ეს განმეორება რუსთაველისათვის იმდენად დამახასიათებელი ფორმით ხდება, რომ მარტო ამით შეიძლება დამტკიცდეს მისი ორიგინალობა.

3) წინააღმდეგობა ან ლოლიკური შეუსაბამობა. ეს ნაკლიც განსაკუთრებით ეპიურ პოეზიას სჩევენია. ხშირად პოეტი ივიწყებს იმას, რაც მან წინად სთქვა, და ამბობს შემდეგ მის საწინააღმდეგოს, ან სწერს ისეთ რამეს, რაც საერთოდ ეწინააღმდეგება მოვლენებისა და ნივთების ლოლიკას. ზოგჯერ ამის მიზეზია არა გულმავიწყობა, არამედ ტეხნიკურ დაბრკოლებათა თავიდან აცილების მიზნით წყრილმანების უყურადღებოდ. დატოვება. არისტოტელეს ასეთი წინააღმდეგობის ნიმუში მოჰყავს პომეროსიდან: პოეტი ამბობს, დიომედი ლვინოს უსხამდა ზევესს, მაგრამ ცნობილია, რომ ლმერთები ლვინოს არ სუამდენო. აი ერთი სტროფი ილიადადან, რომელიც აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს:

„ვერ გაგმირა საკვირველი ფარი ძლიერი ენეოს მიერ გატყორცნილმა ქარიშხალიანმა ჯირითმა, დასუსტებულმა ოქროთი, ლვთიური საჩუქრით. ორი ფენა გაჲკვეთა მან, მაგრამ სამი კიდევ დარჩა. ხუთი ფენა შეაწია მასში ერთმანერთს კოჭლმა ზეციერმა მხატვარმა. ორი თითბრისა ზემოდან, ორი კალის შუაში და ერთიც თქმოსი. ამ ოქროს ფენამ შეაჩერა ჯირითი“.

აქედან სჩანს, რომ ჯირითს გაუკვეთია არა ორი, არამედ ოთხი ფენა, ან ფენები არ ყოფილა დალაგებული ისე, როგორც პოეტი ამბობს. ძველ გრამატიკოსებს დიდი კამათი ჰქონიათ ამის გარშემო.

წინააღმდეგობა მხატვრულ პროზაშიაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ერთი მქვლევარი შემდეგ წინააღმდეგობაზე მიგვითითებს „დონ-კიხოტში“: ავტორი ჯერ ამბობს, რომ სანჩის დაეკარგა სახედარი, ხოლო შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ის ზის ამ სახედარზე.

არა თუ პოეტი, წინააღმდეგობაში შეიძლება ჩავარდეს მეცნიერული შრომის ავტორიც. მაგალითად, ვეფხის-ტყაოსანში წინააღმდეგობათა ძებნის დროს, წინააღმდეგობაში ვარდება პროფ. კეკელიძე თავის მხრით. განვიხილოთ იგი. პროფესორი ამტკიცებს, რომ პოემის შესავალი შეიცავს მრავალ ცალკე წინააღმდეგობას და მთლიანად აღებულიც პოემის შინაარსის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს („ქარ-

ლიტ. ისტორია“, II ტ., 89-92 გვ.), რის გამო შეიძლება ითქვას, რომ ის „არამც თუ არ ეკუთვნის პოემის ავტორს, სამი საუკუნით მაინცაა და-შორებული მისგან“<sup>10</sup>. რომ ეს აზრი სრულიად არ შეეფერება სიმართლეს და მხოლოდ უბრალო გაუგებრობის შედეგია, ამაზე ვრცლად ვსწერდი ჩემს პირველ წიგნში ვეფხის-ტყაოსანის შესახებ, მაგრამ აյ კი და-უშვათ თუნდაც ორიოდე წუთით, რომ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც პროფ. კეკელიძეს ჰგონია. ავილოთ მკვლევარის უკანასკნელი მოსაზრება მისი შეხედულების დასამტკიცებლად; მას მოპყავს პოემის შესავალიდან ადგილი „რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა, და-უშვის ლექსმან ძეირობა“ და დასძნს: „აქ ქართული ნახმარია სიტყვის შეიძლებით საზოგადოთ; კლასიკური ხანის მწერლობაში ამას ჩვენ ვერსად ვერ ვხვდებით, ხოლო აღორძინების ხანის ძეგლებში ეს, შეიძლება ითქვას, სისტემაზა გადაქცეული“ (გვ. 92); მაგრამ შემდეგ პროფ. კეკელიძეს სიტყვა „ქართული“ ამავე მნიშვნელობით თვითონ პოემის ერთ-ერთ ტაქტშიაც უნახავს და ამ ტაქტის განხილვას ის გვაძლევს წიგნის ბოლოში დამატების სახით (გვ. 503). წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ამ ტაქტის ბედი „გა-დაშვეტილია“ — ის უნდა აუცილებლად გააყალბოს მკვლევარმა, რომ ძალაში დარჩეს მისი მტკიცება იმის შესახებ, ვითომც ქართული სიტყვის მნიშვნელობით რესტავრიროს დროს ამ იხმარებოდა. არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც სასამართლო წინასწარ უშვეტს დამნაშავეს სასჯელს და შემდეგ ფორმალობის დასაცავად ფიქტიურ გასამართლებას მოაწყობს. ასეთი ფიქტიური გასამართლების ხასიათს ატარებს კეკელიძის მსჯელობა ხსენებული ტაქტის გარშემო. აი ეს ადგილი: „საყურადღებოა, რომ ლექსი „ქართული სიტყვის“ მნიშვნელობით თვით პოემაშიაც არა გეხვდება; არის ერთად ერთი ტაქტი, სადაც ვკითხულობთ:

ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი  
მხესა ასრუ ეუბნების, ყოთ გაზრდილსა ამო მზრდელი;  
ქალმან მისცა მარგალიშვილი სრულქმა მისი საწადელი.  
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ეს აწინდელი.

მაგრამ ეს ტაქტი აუცილებლად ყალბია, შემდეგ ჩამატებული პოემაში: აი ამისი საბუთები...“ და მას მოპყავს აქ ხუთი „საბუთი“. მათ შორის პირველი სამი და ერთი უკანასკნელი იმდენად უსაფუძვლოა, რომ მათზე ლაპარაკი არც ლირს; მე მხოლოდ მეოთხე მოსაზრებაზე შევჩერდები, სადაც ადგილი აქვს სწორედ იმ წინააღმდეგობას მკვლევარის მსჯელობაში, რომლის გამოც მოვიყვანე მთელი ქსეპიზოდი მისი კრიტიკიდან. აი ეს მეოთხე „საბუთი“ მთლიანად:

„ზემო ტაქტებში აწერილია ის საშინელი, მწევავე და მწარე გრძნობა. და აზრები, რომელთაც იწვევს ავთანდილის გულში ტარიელისადმი მიცემული სიტყვა და რომელთაც აძლიერებს თინათინის წინადადება. დაქორწინების მაგიერ კვლავ მოშორებოდა მას და წასულიყო მეგობრის დასახმარებლად; ამ ტაქტში კი ავთანდილი წარმოდგენილია როგორც „ყმა-ტკბილი და ტკბილ-ქართული“, რომელსაც ქალმა შეუსრულა „მისი საწადელი“ და ამით თთქოს შეუქმნა „ლხინი ესე აწინდელი“. კარგი ლხინი და საწადელი ს შესრულებაა, შენმა მხემ, ქორწილისა და შეერთების მაგიერ, უგზო-უკვლილ გადაკარგვა ისე, რომ სახლში მობრუნების იმედიც კი არ არის! ცხადია „საწადელის შესრულებად“ ვერ ვიგულისხმებთ ვერც საკუთრივ „მარგალიტის მიცემას“, როგორც გამსვენებული ა. სარაჯიშვილი ჰუკრებდა („ვეფხის-ტყაოსანის ყალბი ადგილები“), ვერც სატრფოს ხევენა-კოცნას, ვინაიდან ხევენა-კოცნას პოეტი ჰგმობს, ხოლო სიახლოვეს ამ შემთხვევაში ის არა ლხინად, არამედ ვაებადა სთვლის...“

ავილოთ ამ ამონაშერიდან ჯერ ფრაზა „ხვევნა-კოცნას პოეტი ჰგმობს“. სადა ჰგმობს პოეტი, ე. ი. რუსთაველი, ხევენა-კოცნას! პოემის შესავალში — „მძულს უგულო სიყვარული, ხევენა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. მაგრამ ყველაფერს ზემოთ მოყვანილს და ბევრს კიდევ სხვას პროფ. კეკელიძე განა მხოლოდ იმისათვის არა სწერს, რომ შესავალის სიყალპე დაგვიმტკიცოს? აკი შესავალი პოემასთან შედარებით სამი საუკუნით უფრო გვიან არის დაწერილი?! აქ კი პროფესორს მოჰყავს შესავალში გრძოლებული აზრი, როგორც რუსთაველის მიერ ნათ ქვამი. რომ გადაადუღოთ ერთად ყველა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ვეფხის-ტყაოსანში გვხდებიან, ჩეენ ვერ მივიღებთ მათგან ერთს ასეთ სასტიკ წინააღმდეგობას, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველს წერის დროს მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ ვერსიფიკაციის წესების გამო, ხოლო კეკელიძეს — არავითარი.

მაგრამ ეს მაგალითი იმდენად დამახასიერებელია იმ საარაკო კვლევა-ძიებისა და კრიტიკის, რომელსაც ვეფხის-ტყაოსანის გარშემო აქვს ადგილი, რომ მე საჭიროდ მიმაჩნია იგი აქვე განვიხილო არსებითად, ვინაიდან შემდეგში ამის შემთხვევა აღარ მომეცება. „ხევენა-კოცნას პოეტი ჰგმობს“... ნუ თუ მართალია ეს? ნუ თუ რუსთაველი წინააღმდეგია შეუვარებული ქალ-ვაჟის ხევენა-კოცნის? სად გამოსთქვა მან ასეთი აზრი? — არსად. რუსთაველი ჰგმობს გარყვნილებას, მეძაობას, მრუშობას, უგულო სიყვარულის მტლაშა-მტლუშს, ხოლო რაც შეეხება შეუვარებულთა ხევენა-კოცნას, პოეტი ქნებებული სტრიქონებით ავვიწერს მას, მაგალითად:

მუზარადი მოქადანა, შევნის აკვრაციმასა ლელსა,  
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაჭედო ყელი ყელსა.

### და იქვე კვემოდ:

მათ ერთმანერთსა აკოცეს, სდგანან ყელ გარდაჭედობილი,  
კვლა შეეწებნები ხშირ-ხშირად ვარდნი ბაგეთად პობილი.

„ხოლო სიახლოვეს ამ შემთხვევაში ის არა ლხინად, არამედ  
ვაებადა სთვლის“, სწერს კ. კეკელიძე და ამ აზრის დასამტკიცებლად  
მოჰყავს შემდეგი ტაქი:

ყმამან ჰყადრა: სიახლითა შევრთე ჭირი შეიდასა მე რვა,  
ცუდი არის დამზრალისა გასათბობად წყლისა ბერვა,  
ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა;  
თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგშორდე, ათასჯერ ვა!

ნუ თუ ამ ტაქიდან მართლა იმ დასკვნის გამოწანა შეიძლება,  
თითქო რუსთაველი სიახლოვეს „არაქლინიად, არამედ ვაებადა სთვ-  
ლის?“ რის თქმა უნდა ამ ტაქში პოეტი? რუსთაველი აგვიშერს აქ  
იმ ნაღველსა და გულის ტკივილს, რომელსაც განიცილის შეყვარებული  
იმ შემთხვევაში, თუ მან შემჩნია თავის საყვარელ ადამიანს გულგრი-  
ლობა მისდამი. ამ გრანიტის პუშკინი შემდევი სახით გადმოგვცემს:

Без вас мне скучно — я тоскую,  
При вас мне грустно — я терплю.

რუსთაველს ამ აზრის ნათელსაყოფად მოჰყავს შესანიშნავი ანა-  
ლოგია: „ცუდი არის დამზრალისა გასათბობად წყლისა ბერვა“ —  
ცუდი არის, როდესაც სიცივით გათოშილ ადამიანს ცეცხლის მაგიერ,  
ცივი წყლისათვის უხდება სულის ბერვაო. მაგრამ ეს არის მხოლოდ  
საყველურის გამოთქმა და არა იმის მტკიცება, ვითომც ავთანდილს  
თინათინთან ახლოს ყოფნა სასიხარულოდ არ მიაჩნდეს. ბოლოს-  
და ბოლოს, თუ მხატვრული ნაწარმოების კრიტიკას ისე დავაწვრილ-  
მანებთ, როგორც ამას ვეფხის-ტყაოსანის მკელევარები სჩადიან, თვი-  
თონ ამ ტაქით შეგვიძლია სრულიად საწინააღმდევო აზრის დამტ-  
კიცება. მართლაც, აქ ნათქვამია: „თუ გეახლო ერთხელ ვა და, რა  
მოგშორდე, ათასჯერ ვა!“ არითმეტიკიდან ვიცით, რომ ათასი ათას-  
ჯერ მეტია ერთხე, და, თუ სიახლოვე იშვევს ერთს, ხოლო მოშორება  
ათას „ვას“, მაშინ, ცხადია, აეთანდილისათვის სიახლოვე ათასჯერ  
უფრო სასიხარულო უნდა ყოფილიყო, ვიდრე სიშორე.

მაგრამ ჩეენ ვერც ამით გავათავებთ ამ საინტერესო კრიტიკული  
ეპიზოდის განხილვას. როგორც, ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდანა  
სჩანს, კეკელიძეს სურს გაგვიშუქს მდგომარეობა ისე, ვითომც ავ-  
თანდილს ძალიან აწუხებს და ამძიშებს ტარიელიასათვის მიცუმული

სიტყვა უკანვე დაბრუნების შესახებ და ვითომც „ამ საშინელს, მწვა-  
ვესა და მწარე გრძნობებს და აზრებს“ კიდევ უფრო აძლიერებს „თი-  
ნათინის წინადაღება — დაქორწინების მაგირ კვლავ მოშორებოდა  
მას... აბა ვნახოთ, თუ ყველაფერი ეს მართლა ასეა პოემაში. უწი-  
ნარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პროფ. კეკელიძის გად-  
მოცემით გამოდის, თითქმ ეს ადგილი პოემაში (ავთანდილისა და  
თინათინის შეხვედრა და საუბარი ტარიელის ამბის გაგების შემდეგ)  
მეტად ნალვლიანი და შავი ფერებით იყოს დაწერილი, ხოლო ტაქპი  
„ყმა-ტებილი და ტკბილ-ქართული..“ თავისი სალისი და სასიხარულო  
ტონით შეუფერებელ დისონანსად გაისმოდეს შიგ, რის გამო ვითომც  
საფიქრებელია, რომ ის ყალბისშეწელის შიერ იყოს ჩამატებული. ნა-  
მდვილად კი არაფერი ამის მზგავი არ არსებობს. პირიქით, მთელ  
ამ სცენაში სასიხარულო ტონი უაღრესად სჭარბობს მწუხარებასა და  
ნალველს. სცენა შემდეგი სტრიქონებით იწყება:

ყმა მ ხ ი ა რ უ ლ ი წინაშე დასვა სკამითა მისითა;

სხედან ს ა ვ ს ე ნ ი ლ ხ ი ნ ი თ ა ორთავე შესატყვისითა;

უბნობენ ლა ლ ნ ი, წ ყ ლ ი ა ნ ნ ი, არა სიტყვითა მქისითა...

ალფროთოვანებული ავთანდილი ხელმეორედ უამბობს თინათინს  
ტარიელის ამბავს. თინათინი გახარებულია ერთი იმით, რომ ამდენი  
ხნით მოშორებული მიჯნური დაუბრუნდა; მისი სიხარულის მეორე  
მიზეს წარმოადგენს ავთანდილის მიერ ასე უცნაურად გადამალული  
მხედრის ნახვა; დასასრულ თინათინს, უხარია, რომ ტარიელი ასეთი  
საზღაპრო გმრი და საოცრად ლამაზი ჭაბუკი ყოფილა. ამ სიხარულმა  
მთვარესავით გაანათლა მთელი მისი სახე:

ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა,

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა.

ავთანდილს „საშინელი მწვავე და მწარე გრძნობა და აზრები“  
კი არ აწუხებს ტარიელისათვის მიცემული სიტყვის გამო, როგორც  
ამას კ. კეკელიძე გვიმტკიცებს, არამედ ის, რომ მან უნუგეშოდ დას-  
ტოვა თავისი ძმად ნაფიცი. აი რას ეუბნება ის თინათინს:

ნამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და წილად,

კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად, —

ა ვ ა, მაქვს მცა უმისოსა ლ ხ ი ნ ი ა რ მ ა დ, თ ა ვ ი ფ ლ ი-

დ ა დ!

თინათინი წინადაღებას კი არ აძლევს ავთანდილს „დაქორწი-  
ნების ნაცვლად კვლავ მოშორებოდა მას და წასულიყო მეგობრის  
საძებნელად“, არამედ აქებს მის საქციელს, უწონებს ფიცის არ გა-

ტეხას („შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა“), მიუხედავად იმისა, რომ მას მეტად სამძიმო და მიაჩნია ავთანდილის ხელახალი მოშორება („ჩემი თქვი, რა ვქმნა ბედკრულმან, მზე მიმეფაროს მი ცისა!“) უნდა ითქვას, რომ თინათინისადმი დიდ უსამართლობას იჩენენ, როგორც ავთანდილი, ისე პროფ. კეკელიძე; მაგრამ მაშინ, როდესაც კეკელიძის უსამართლობას არა აქვს არავითარი გამართლება, გარდა იმ წვრილმანი მოსაზრებისა, რომ ამით როგორმეთავის წინასწარ აღებული აზრის დამტკიცებას შეუწყოს ხელი, ავთანდილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მართალია თავის უსამართლობაში, ესე იგი იმ საყვედურში, რომლითაც ის გულგრილობასა სწამებს თინათინს. საქმე იმაშია, რომ რუსთაველმა ძალიან კარგად იცის შეყვარებულის ფსიქოლოგია: ძლიერი სიყვარულით შეპყრობილ ადამიანს ყოველთვის ჰჯონია, რომ მისი სიყვარულის ობიექტი გულგრილია მისდამი. ავთანდილსაც აწუხებს ასეთი ეჭვი; მიუხედავად იმისა, რომ თინათინს ულრმესად უყვარს იგი, ის უჩივის მას გულგრილობას, ჯერ ოსტატურად აბრალებს თავს და შემდეგ, წასვლის წინ, სთხოვს მისცეს მას სიყვარულის რაიმე რეალური ნიშანი. თინათინმა ძალიან რეაციურად წარმოიდგინა ეს ნიშანი და მარგალიტები მისცა სახსოვრად. ავთანდილს, რა თქმა უნდა, გაეხარდა ასეთი საჩქრის მიღება, მაგრამ ეტყობა, რომ მას უფრო სხვანაირი „სასიცოცხლო“ ნიშანი აინტერესებს, და ბოლოს მართლაც მიიღო ეს ნიშანიც... „ღმერთმა ჰქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი“ შეეხება არა მარგალის მიღებით გამოწვეულ სიხარულს, არამედ იმას, რის შესახებაც ლაპარაკია შემდეგ ტაქში. საქმე იმიშია, რომ ავთანდილს აქ მართლა ხედა წილად უდიდესი ლხინი და ბედნიერება; მთელი წლების მანძილზე კუუს შერყევამდე შეყვარებულ ავთანდილის ფარული ნატვრა ბოლოს თავის რეალურ განხორციელებას პოულობს: თინათინი და ის გადაეხვევიან და ჰქონიან ერთმანერთს. რუსთაველი აღტაცებით აგვიწერს ამ სცენას:

რა სჯობს რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალა თანა ახიოს,  
ანუ ბაალ ალვა საროსა ახლოს ჰრებოს, ახიოს!

ქ. კეკელიძე კი გვიმტკიცებს: „ხვევნა-ქოცნას პოეტი ჰემობსო“. ამის მომდევნო ტაქში რუსთაველი სწერს:

მათ მიხედა ლხინი ყოველი ერთმანეთისა ჭერეტითა,  
ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა.

ქ. კეკელიძე კი გვარტმუნებს, რომ „სიახლოვეს ის ამ შემთხვევაში არა ლხინად, არამედ ვაებადა სთვლის“-ო. აი შარი თუ გინდათ, სწორედ ეს არის! აუვერი მოსაზრება, გამოთქმული აქ მკვლევარი-

საგან, ყალბია, მის მიერ აქ მოყვანილი ოუსთაველის ყოველი აზრი-დამახინჯებულია უკიდურესად. ამის შემდეგ ლამის მეც დავრწმუნდე, რომ ვეფხის-ტყაოსანის გარშემო ყალბისმქნელობას მართლა აქვს აღ-გილი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში... მე არა მჯერა, რომ ჩევნი პოემის სხვა და სხვა აღგილების ასეთი ყალბი ინტერპრეტაცია უბრალო გაუგებრობის შედეგი იყოს; არა, აქ აღგილი აქვს გაცილებით უფრო დასაგმობ მოვლენას: მკვლევარი თავისი აზრის დასამტკიცებლად ყირამალა აყენებს რუსთაველის ამა თუ იმ ტაეპის შინაარსს მხოლოდ იმ იმედით, რომ მკითხველი საზოგადოება, რომელიც ვეფხის-ტყაოსანს ზემდიწევნით არ იცნობს, ვერ დაინახავს ამას.

მაგრამ განეაგრძოთ ისევ ვეფხის-ტყაოსანის ათეტიზატორთა საერთო საფუძვლების განხილვა:

4) გრამატიკული შეცდომები. ვეფხის-ტყაოსანში აქა იქ შეგხვდებათ გრამატიკული ნორმების დარღვევა. თუ ასეთ ანომალიას აღგილი ეჭნა ეჭვ ქვეშ აღებულ ტაეპში, მაშინ მკვლევარი მიუთითებს მასზე, როგორც ამ ტაეპის სიყალბის დამადასტურებელ მოვლენაზე. ეს საფუძველი მოკლებულია ყოველგვარ სერიოზულობას. გრამატიკული ნორმების დარღვევა ჩევეულებრივი მოვლენა არის ლექსში; ამას იწვევს არა ენის უცოდინარობა პოეტის მიერ, არამედ ზოგჯერ ისეთი ტენიიური დაბრკოლებანი ამა თუ იმ პოეტური ეფექტის მიღწევის გზაზე, რომელთა გადალახვას, გრამატიკის შეწირვით, ჰქედავს ხშირად უფრო დიდი, ვიდრე პატარა პოეტი. ბ. ტომა-შევსკის მოპყავს პუშკინიდან ასეთი მაგალითი: როდესაც პოეტს დაუწერია „ბახჩისარის შადრევანში“ „...но кто с тобою грузинка, равен красотой?“, მას შეუმჩნევია აქ გრამატიკული შეცდომა (მდედრობითი სქესის სიტყვა შეთანხმებულია მამრობითი სქესის სიტყვა-სთან) და განუზრახავს ლექსის ასე გასწორება: „равна, грузинка красотой?“. მაგრამ ბერების „ка“ — „кар“-ს ამგვარი შეხვედრა არაკეთილმოვანად მოსჩვენებია, რის გამო უპირატესობა ისევ პირველი რედაქციისათვის მიუკია. ბ. ე ი ხ ე ნ ბ ა უ მ ს\*) მოყვანილი აქვს მრავალი მაგალითები იმისა, თუ ლერმონტოვის ლექსიგბში რამდენად დაჩრდილულია სიტყვებისა და გამოთქმების სემანტიური საფუძველი, ხოლო ნაცვლად ამისა ხაზგასშულია მათში დეკლამაციონური (ბერითი) ხასიათის ეფექტები. ამ ნიადაგზე ის ხშირად სინტაქსიურსა და ეტიმოლოგიურ შეცდომებსაც უშევებს (მაგალითად: „пишний гость на пирѣ“).

\*) ტომა შევსკი და ეინერ ბაუმი ფორმალისტური სკოლის ცნობილი ჭარბობაზეგნდები, არაა ასამარტინოვები რუსულ კრიტიკაში,

ქართული ენის გრამატიკული ნორმების დარღვევა არა თუ ლექსში, პროზაშიაც ხშირად ხდება. ასეთი შეცდომებისაგან თავისუფალი არ არიან ყველაზე უმაღლ ვეფხის-ტყაოსანის იმ მკვლევართა ნაწერები, რომლებიც განსაკუთრებული გულმოლგინეობით ეძებენ შეცდომებს პოემის ყალბად მიჩნეულ ტაეპებში.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც არისტოტელი ამბობს თავის პოეტიკაში, გრამატიკული შეცდომა ზოგჯერ მოჩვენებითა, და მისი მოსპობა შეიძლება სასვენი ნიშნების სათანადო განწესრიგებით. სწორედ ასეთ შემთხვევას აქვს აღვილი რუსთაველის შემდეგ სტრიქონში, რომელშიაც პროფ. კ. კეკელიძე გრამატიკულ შეცდომას ნახულობს:

დაესჯე, რუსთაველმან გავლექსე, მისთვის გულ ლახვარსობილი.

აქ სიტყვა „ლახვარსობილი“ შეთანხმებულია არა „რუსთაველმან“-თან, არამედ „დაესჯე“-სთან, რაც უნდა ნათელჲყოს სტრიქონში თავის ადგილის დასმულმა მძიმეებმა.

5) სტილის შეუფერებლობა. პოემის მკვლევარები ამა თუ იმ ტაეპის გაყალბების დროს თითქმის ყოველთვის აცხადებენ, რომ მისი სტილი რუსთაველის სტილს არ შეეფერება. ეს „საფუძველი“, ასე ვსთქვათ, უფასო დამატება არის დანარჩენი მათი მოსაზრებისა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. რა არის პოეტის სტილი? ეს არის ჯამი ჯველა იმ შეცნობილი თუ შეუცნობელი შემოქმედებითი ხერხებისა, რომლებიც პოეტის ნაწარმოებს ახასიათებს; სტილს ნათელჲყოფს პოეტის მიერ სიტყვიერი მასალის შერჩევა და დალაგება, თვითონ ამ შერჩევული სიტყვების მორფოლოგია, ნათი სემასიოლოგიური და ფონეტიკური მხარე, წინადადებათა მოკვეთის მანერა, პოეტური ფიგურებით სარგებლობა, ამა თუ იმ სახეების ან გამოთქმების ამოჩემება, მიღრეკილება იღეათა კონკრეტიზაციისა თუ მათ შესახებ განყენებული მსჯელობისადმი, უფრო ფართოდ, სილექტის გაშლა მისი დეტალების განსხვავებული დამუშავება და მთელი ნაწარმოების კომპოზიციონური თავისებურებანი.

აქეთ შესწავლილი ამ მხრით ვეფხის-ტყაოსანი მის მკვლევარებს? რა თქმა უნდა, არა. მათ ნაშრომებში არა თუ რუსთაველის სტილის დახასიათებას ვერ ნახავთ, იმასაც კი ვერ გაიგებთ, თუ რას წარმოადგნას ბოლოს და ბოლოს ეს სტილი საერთოდ—სასმელია ის თუ საჭმელი. უკეთეს შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როდესაც ეს „სტილის შეუფერებლობა“ მართლა აფიქრებს მათ, ისინი ხელმძღვანელობენ მხოლოდ პირადი მოწონებით, იმ სუბიექტიური საზომით,

რომელიც ისე სასტიკად არის დაგმობილი ინგლისელი მკვლევარის ჟემოთ მუყვანილ სიტყვებში. ყოველივე ამის სისწორეში ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთხვევა დავრჩიშუნდეთ ქვემოთ, როდესაც ვეფუნის-ტყაოსანის ათეტიზატორთა ნაშრომებში წარმოდგენილი კონკრეტული მასალის განხილვაზე გადავალთ.

რაც შეეხება სუბიექტივიზმს კრიტიკაში, ის დასაშვებია მაშინ თუ კრიტიკოსი მიზნათ ისახავს ნაწარმოების მხატვრულ დაფასებას. ამ შემთხვევებაში კარგად დაწერილი სუბიექტიური, მავალითად, იმპრესიონისტული, კრიტიკა ყველაზე უურო საინტერესოა საკითხავად. აქ კრიტიკოსმა შეიძლება ვერ მოგვცეს მწერლის ნამდვილი გაეგება, მაგრამ მას შეუძლია შეჯებნას პარალელურად ისეთი რამ, რასაც ექნება დამოუკიდებელი ღირებულება, როგორც მეორე მხატვრული სულის გამოაშეარავებას მიღებულ შთაბეჭდილებათა ნიადაგზე. მხოლოდ აქ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კრიტიკოსისთვის სწორედ ეს მხატვრული სული—ღრმა ბუნება, პოეტური ალლო და დილი ესთეტიური გემოვნება. თუ შევაუსებთ ამ მხრით ვეფუნის-ტყაოსანის მკვლევარებს, ჩვენ დავრჩიშუნდებით, რომ მათ, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავითირი საბუთი არა აქვთ იციქრონ, რომ იმათი სუბიექტიური კრიტიკის ნაყოფი მეტად სამწუხარო ფურცლებად არ დარჩება ქართული კრიტიკის განვითარების ისტორიაში.

მეორე მხრით, რაც უმთავრესია, სუბიექტიური მსჯელობა ყავლად დაუშვებელია იქ, სადაც ლიტერატურული კვლევა-ძიების საგანს შეადგენს არა ნაწარმოების მხატვრული დაფასება, არამედ მისი წარმოშობის საკითხი—დაწერის დრო, ავტორის ვინაობა, ორიგინალობა, ნამდვილი და ყალბი ადგილები და სხ.

ვეფუნის-ტყაოსანის, ასე ესთქვათ, ოფიციალური მკვლევარები რალაც კასტური მედიდურობით იმიჯნებიან ყველა იმ პირებისაგან, რომლებსაც ვითომდა პოეტური თვითნებობა შეაქვთ ამ პოემის გარშემო წარმოებულ კვლევა-ძიებაში. ნამდვილად კი საკითხისამდი სწორედ მათი მიღომა არის წმინდა „პოეტური“, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით.

პირადად მე ვკლილობ რაც შეიძლება მეტი ობიექტივობა და ვიცვა ვეფუნის-ტყაოსანის გარშემო მუშაობაში. ამ მუშაობის დროს ჩემი საფუძველია ფორმალიზმი, როგორც ლიტერატურული კვლევა-ძიების მეთოდი, რომელიც ეწყარება მწერლის სტილის რაც შეიძლება ფართო და ღრმა შესწავლას. ფორმალიზმი, როგორც განსაზღვრული კრიტიკული სკოლა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამდე-

როვე გერმანიაში, ხოლო რაც შეეხება მასში შემაკალ ელემენტებს და მის ნაწილობრივ გამოყენებას, ის ძელი დროიდანვეა ცნობილი; მაგალითად, ალექსანდრიელი ფილოლოგები ჰემობდენ ძელი გრამატიკოსების მუშაობაში პომეროსის პომების გარშემო იმას, რომ ისინი ყურადღებას მხოლოდ იშვიათსა და ძნელად გასაგებ სიტყვებს აქცევდენ, მაშინ როდესაც შესწავლილი უნდა ყოფილიყო, თუ როგორ და რა მნიშვნელობით ხმარობდა პომეროსი ჩვეულებრივ სიტყვებს. ამ მხრით, ჩვენ რომ ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთი მკვლევარები, რომლებიც საკითხის გადაწყვეტას რამდენიმე ძველი ქართული თუ სპარსულ-არაბული სიტყვით, ან საცვლ ისტორიული ცნობებით ფიქრობენ, გადავიყვნოთ რაიმე სასწაულის ძალით ალექსანდრიულ ეპოქაში, ესე იგი ორასი წლით უკან ქრისტეს დაბადებამდე, მე დარწმუნებული ვარ, ისინი მაშინაც კი ჩამორჩენილი აღმოჩნდებიან თავიანთი ლიტერატურული კვლევა-ძიების მეოთოდებით.

მთელი ეს კვლევა-ძიება და კამათი იმდენად მოწყვეტილია თანამედროვე გარეშე სამყაროსაგან, რომ ის ძალიან წააგავს ჭურში ჩამსხდარი ადამიანების სიმღერასა და აყალ-მაყალს. ქართული ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსის თვალს არ გამოეპარება ალბად შემდეგი ყოვლად შემაძრუნებელი ფაქტი: თითქმის მთელს იმ ლიტერატურაში, რომელიც რუსთაველს შეეხება, არ არის დასახელებული არცერთი უცხო ფილოლოგი, არ არის მოყვანილი არცერთი ციტატა უცხოელთა ნაშრომებიდან მეთოდოლოგიური საკითხების გასარკვევად და, დასასრულ, გაყვანილი არ არის არცერთი პარალელი ანალოგიურ მაგალითებთან ევროპის მწერლობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მწერლობა მთელი მეცნარეატე საუკუნის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა სწორედ ამ ანალოგიური საკითხების გარშემო. სამაგიეროთ, ლიტერატურა რუსთაველის გარშემო გავსილია ცნობებით ქართული ისტორიის ისეთი ზოგჯერ სრულიად დაუდგენელი ფაქტებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებსაც აბსოლუტურად არა აქვთ არავითარი კავშირი არც ვეფხის-ტყაოსანთან და არც იმის ავტორთან. ამ ისტორიული კვლევა-ძიების აბლაბუდაში გახვეული რუსთაველოლოგია უფრო კვერცხის ნაჭუჭუში გამომხრჩალ წიწილს წააგავს, ვიდრე სიცოცხლით საკე მეცნიერებას.

ამის შემდეგ გადავალ რუსთაველის შესახებ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა და პომების ახალი გამოცემების განხილვაზე და ამ კონკრეტული მასალის გარჩევას დაუკავშირებ იმ დებულებათა მტკიცებას, რომლებიც მე წიგნის შესავალში წარმოვადგინე.

### III. ვეფხის-ტყაოსანის მე-26 გამოცხადა ი. აგუ- ლაძის რედაქტორობით.

ი. აბულაძის მიერ გამოცემული ვეფხის-ტყაოსანის ფურცლებზე მცითხველი აქა-იქ დაინახავს სქოლიოებში სხვა შრივტით დაბეჭდილ ტაეპებს. გამომცემლის აზრით ეს ტაეპები ჩამატებულია პოემაში ყალბისმქნელების მიერ. პოემის ტექსტს წინ უძღვის აბულაძის კრი-ტიკული წერილი, სადაც ის, სხვათა შორის, ვრცლად იხილავს სა-თითოოდ ყველა ამ ტაეპების სიყალბის საკითხს. კათეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ აბულაძის მსჯელობა ამ ტაეპების გარშემო მოკლებულია არა თუ მეცნიერულ ნიადაგს, უბრალო სერიოზულო-ბასაც კი. ის ადარებს ვახტანგისეულ გამოცემას ძველ ხელნაწერებს, და საკმაოა ერთ რომელიმე ხელნაწერში შემთხვევით არ აღმოჩნ-დეს მის მიერ ეჭვმიტანილი ტაეპი, რომ ამ გარემოებას იხვევს ხელ-ზე და გადატრით აცხადებს მის სიყალბეს. ზოგჯერ ის ემყარება მხო-ლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ კომისიის მიერ გამოთქმულ მოსაზრე-ბას; კერძოთ, ი. აბულაძე განსაკუთრებით ხშირად იშველიებს განს-ვენებული ა. სარაჯიშვილის ავტორიტეტს, რომლის შესახებ ის, სხვათა შორის, სწერს, რომ „ეს ბუნებით სპეტაკი და სიმართლის სიყვარული პიროვნება ვერ შერიგებოდა ჩანართების ავტორთა უგვან მსჯელობასა და აშეარა სიყალბეს“, თითქო სპეტაკი ბუნება და სი-მართლის სიყვარული რაომე გარანტიას აძლევდეს მკვლევარს იმისა-თვის, რომ მისი კვლევა - ძიების ნაყოფი უთუოდ ჭეშმარიტება იქ-ნება. ხანდახან კი აბულაძე სრულებით არავის და არაფერს არ ემ-ყარება, გარდა თავისი ესთეტიკური გემოვნებისა, რომლის მხედვით მას თამაშად გამოაქვს დასკვნა, რომ ესა თუ ის ყალბად მიჩნეული ტაეპი არის „უგვანი“, „უშნო“ ან „რუსთველის სტილისათვის შეუ-ფერებელი“.

გარდა ზემოხსენებული „საბუთებისა“, ი. აბულაძე მის მიერ პოემის ტექსტიდან თითქმის ყოველი გაძევებული ტაეპის შესახებ სწერს, რომ მისი ამოლებით „მოთხრობის ძაფი არ წყდება“, თით-ქოს ამ მოსაზრებას ჰქონდეს თუნდაც იოტის ოდენი მნიშვნელობა. მოთხრობის ძაფის გაუწყვეტლად ტაეპების ამოლება შეიძლება არა

თუ ვრცელი ეპიური პოემებიდან, სადაც ხშირად, როგორც ეს ზე-მოთ იყო გარკვეული, მართლა ბევრი რამ არის ზედმეტი, არამედ პატარა ლირიული ლექსებიდანაც, თუ ეს ლექსები დაწერილი არ არის რომელიმე მტკიცე ფორმით (სონეტი, ტრიოლეტი, რონდო და სხ.). თუ როგორ ხერხდება ამა თუ იმ ნაწარმოებიდან ადგილების ამო-ლება ისე, რომ მისი მთლიანობა არ დაირღვეს, ეს ძალიან კარგად იციან სხვა და სხვა ქრესტომატიების შემდგენელებმა. არის ხოლმე შემთხვევა, რომ ნაწარმოების მხატვრულობა კიდევაც იგებს ასეთი შემოკლებით. აი ამის უბრალო მაგალითი: პუშკინის ლექსი „Пс до-рогое зимней скучной...“ ჩვენ ყველას სახელმძღვანელოებში გვისწავ-ლია. თუ ამ ლექსს წავიკითხავთ პუშკინის ლექსების ტომში, დავინა-ხავთ, რომ იქ არის ჩვენთვის უცნობი ტაეპები, სადაც პოეტი მი-მართავს ვიღაც ქალს და სწერს: „Скучно, нина...“ ეს ლექსი გაცი-ლებით უკეთესია შემოკლებული, კინაიდან სახელმძღვანელოების შემდგენელთა მიერ ამოლებულ ტაეპებს მართლა რაღაც დისონანსი შეაქვთ შიგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი პუშკინს არ დაუწერია. გასული საუკუნის ნატურალისტური რომანებიდან შეიძ-ლება მთელი გვერდების გამოკლება, ისე რომ ნაწარმოების ძაფი არა თუ არ გაწყდება, პირიქით, უკეთესად გაიმართება.

აბულაძე ზოგჯერ იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ მის მიერ წარმოებული ოპერაციის დროს მოთხრობის ძაფი მართლა არ გაწყ-დეს. იმას ჰვინია, რომ ძაფი არ გაწყდა, ნამდვილად კი წყდება.

გადავიდეთ ეხლა ტექსტის განხილვაზე. თანახმად ჩეს მიერ ზე-მოთ წამოყენებული სამი დებულებისა, მე განვიხილავ ჯერ იმ ყალბად მიჩნეულ ტაეპებს, რომლებიც ამოლებულია ვასტანგისეული რედაქ-ციიდან. აბულაძის განოცემაში ასეთი ტაეპები აოის დაახლოებით ოთხმოცამდე. ყველას განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ გავარჩიოთ მხოლოდ ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშები.

სქლილში ჩატანილია, როგორც ვითომდა ყალბი, ტაეპი „თა-ვსა ზის პირ-მზე ავთანდილ...“ (25<sup>1</sup>) მხატვრული თვალსაზრისით ეს ტაეპი ბევრად სჯობს ზოგიერთ მის მეზობელ ტაეპებს. მკვლევარი ფიქრობს რომ მასში ადგილი იქვს უკვე ნათქვამის განმეორებას. რაც თითქო ადასტურებს მის სიყალბეს. აბულაძე სწერს: „Мელექსეს გაჭირებას უნდა მივაწეროთ ის, რომ აქ განმეორებულია სიტყვები: „თქვეს თუ“. (გვ. VII). სიტყვების განმეორების შესახებ უკვე გვქო-ნდა ზემოთ ლაპარაკი. თავისივე სიტყვებისა და მთელი ფრაზების განმეორება პოეტის მიერ ხდება უმთავრესად ორი შემდეგი მიზეზით. არის ისეთი სახეები, რომლებიც ამა თუ იმ პოეტისათვის განსა-

კუთრებით ახლობელია, ისინი ხშირად წამოიჭრებიან მის წინაშე და ისიც მათ სიტყვიერ გამოხატულებაში იძლევა ერთმანერთი-საგან ცოტათ თუ ბევრად განსხვავებულ ვარიაციებს. არსებობს ,მა-გალითად, მთელი წიგნი პუშკინის თვითგანმეორებათა (ავტორემინის-ცენტრის) შესახებ\*). პოეტის მიერ ლექსების გადაღებას ზოგიერ-თები პოეტიკაში უწოდებენ იტალიანურ თერმინს პასტიჩიოს. პასტიჩიო შეიძლება როგორც სხვისი, ისე საკუთარი ლექსების. უკა-ნასკნელი, როგორც ზემოთ უსწერდი, განსაკუთრებით ახასიათებს ეპიკოს პოეტებს, კერძოთ რუსთაველს იმდენად, რომ ეს უნდა ჩაით-ვალოს მისი სტილის ერთ-ერთ მთავარ თვისებად და გამოყენებული უნდა იქნეს როგორც არა სიყალბის, არამედ ორიგინალობის შაჩქე-ნებელი ნიშანი. აი რუსთაველის პასტიჩიოების რამდენიმე ნიმუში უდაო ადგილებიდან:

1. საროსა მჯობი ნაზარდი მზგავსი მზისა და მთვარისა.
2. საროსა მზგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა.
1. განახელმწიფება გვირგვინი ზეცით მოსრულმან ზენამან.
2. რა მოვა ჩემოვის განგება ზეცით მოსრულმან ზენამან.
1. რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების.
2. არ გარდავა გარდუვალდ მომავალი საქმე ზენა.
1. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავყვე წამავალსა.
2. აწლა დავიწყო ამბავსა მის ყმისა წამავლობასა.

სიტყვების განმეორების მეორე მიზეზი ის არის, რომ სტრი-ქონში ხშირად რჩება ცალიერი ადგილი, რომლის შეესება ზოგიერთ შემთხვევაში საქმად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, როგორც დიდი ისე პატარა პოეტთვის. ასეთ ადგილებს პოეტი ავსებს ხოლმე უმნიშვნელო, ზოგჯერ მის მიერ უკვე საღმე იქვე ახლოს ხმარებული სიტყვებით. თანამედროვე გამოცდილი პოეტი სიტყვების ასეთ უხერ-ხულ განმეორებას იშვიათად დაუშვებს. მაგრა მას სრულებით არ ურიდებოდენ ძველი ეპიკოსი პოეტები; ვეფხის-ტყაოსანშიაც პირდა-პირ აუარებელია ეს მეორე ტიპის სამწუხარო განმეორებანი, სამწუ-ხარო მით უმეტეს, რომ ისინი ზოგჯერ თითქოს ადვილად ასაც-დენი უნდა ყოფილიყო პოეტისათვის. ჩენენი პოეტის მკვლევარები არ უწევენ არავითარ ანგარიშს ამ გარემოებას. ისინი მხოლოდ ისეთ ტაეპებში აქცევენ ყურადღებას სიტყვის უაღილო განმეორებას, რომელთა გაყალბება მათ მიზანს წარმოადგენს.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულსა და მის მომდევნო ტაეპში ორჯერ ხმარებულ გამოთქმას „თქვეს თუ“, ეს არც თუ უხერხუ-

\* ) Владислав Ходасевич: „Поэтическое хождество Пушкина“.

ლია, ვინაიდან იგი უფრო რუსთაველის იმ ბრწყინვალე პოეტური ხერხის ნაყოფია, რომლის შესახებ მე დაწერილებით ქვემოთ მექნება ლაპარიკი. ამ ტაეპის ზედმეტობას პოემაში აბულაძე სკხათა შორის იმითაც ასაბუთებს, რომ აქ ნახსენები სოგრატი და ავთანდილი ერთხელ ზემოთ (ცამეტი ტაეპით ადრე) უკვე იყვნენ დასახელებული და მათი ხელმეორეთ დასახელება ვითომუ საჭირო არ იყო. ეს ყო-ოვლად უნიადაგო მოსაზრება გვაგონებს ლაბმანის ცდას, რომლითაც „ნიბელუნგების“ ზოგიერთი ტაეპების სიყალბე მას იმით უნდოდა დაემტკიცებია, რომ ბურგუნდის გმირთა სახელები მათში უფრო ხშირად იყო მოყვანილი, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა.

ი. აბულაძეს ვახტანგისეული ტექსტიდან გაუქევებია, როგორც ვითომდა ყალბი, ტაეპები — „კვლავ უბრძანა: თავსა ჩემსა...“ და „უბრძანა: რამცა ვიწყინე...“ (30<sup>1</sup>—30<sup>2</sup>). ამ ტაეპების ზემოთ როს-ტევანი გამოსთვამს თავის მწუხარებას იმის გამო, რომ მთელ მის სამეფოში არ არის კაცი, რომელსაც ესწავლოს მისგან „სამამაცონი ზენია“, და შემდეგ ამბობს: „ცოტასა შემწევს ავთანდილ, ჩემგანვე ნაზარდობითა“. მეფის ამ სიტყვებზე ავთანდილი გაიღიმებს მორი-დებული თავდახრით იმის ნიშანად, რომ ის არ იზიარებს თავისი გამზრდელის ასეთ შეხედულებას. როსტევანი ეკითხება: „რას იცი-ნი, ანუ ჩემგან რა ჟეგრცხვენდა“-ო. ავთანდილმა ვერ შეპკადრა პასუხის გაცემა. მეფე ხელახლა შეეკითხა: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო?“. ამის შემდეგ ავთანდილი მიმართავს მეფეს, მოგახსე-ნებ, მაგრამ მიბომე ფირმანი, რომ არ გამირისხდები ნათქვამის გა-მოო. როსტევანი ფიცას სდებს, რომ ავთანდილის სიტყვები არ იქ-ნება მისთვის საწყენი, რასაც მოჰქვება ავთანდილის თამამი პასუხი, რომელშიაც ის იწვევს მეფეს შევილდოსნობაში შესაჯიბრებლად. აი ამგვარად არის ეს ადგილი როგორც ვახტანგისეულს, ისე ყველა ხელნაწერ ვეფხის-ტყაოსანში. ი. აბულაძე იღებს შეაში ორ ტაეპს, რის შემდეგ გამოდის, ვითომუ ავთანდილი მეფის პირველი შეკით-ხვისთანავე ხეპრულად მიახალებს მას პირში: შენ ვინა ხარ, მშვილ-დოსნობა ჩემი იკითხეო. უნდა ვითიქროთ, რომ ავთანდილი გაცი-ლებით უფრო ზრდილობიანი იყო, ვიდრე პატივცემულ აბულაძეს ჰეონია, და რუსთაველმა, რომელმაც ორი ტაეპი შესწირა მეფის თხოვნას იმის გიმო, რომ გაემხილა მისთვის ავთანდილს თავისი გალიმების მიზეზი, უკეთ იცოდა სასხლის კარზე არსებული ეტიკე-ტი, ვიდრე მისი პოემის მკვლევარებმა. ეს საერთოდ. ეხლა განვიხი-ლოთ აბულაძის ყველა ის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით მას ასე-თი სასტიკი განაჩენი გამოუტანია ამ ორი ტაეპისათვის. აუაროთ

გვერდი ქველევარის განცხადებას, რომ ეს ტაეპები „სტილით, შინაარსით და ლექსითაც რუსთაველის ნათქვამისაგან განსხვავდება“, ეს სტერეოტიპული ფრაზა მცირეოდენი ვარიაციით, როგორც უფასო დამატება, ყოველთვის თან ახლავს ან წინ უძღვის მის მსჯელობას ამა თუ იმ ტაეპის სიყალბის დასამტკიცებლად. რა უყოთ, მარტო აბულაძის ბრალი არ არის, თუ პოეტის „სტილი და ლექსი“ (თითქოს აქ კავშირი „და“ რაიმე შუაში იყოს) ქართული ფილოლოგიის კომპეტენციის საგანს არ შეადგენს.

ი. აბულაძე სწერს: „ეს ხანა (30<sup>1</sup>) იწყება ჩანართი ხანის ჩვეულებრივი დასაწყისით „კვლავ“: „კვლავ უბრძანა: თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო?“ — მეფის ამგვარი კილო საოცარია, რაღაც ავთანდილს საგმობი და დამცინავი სიტყვა არ უთქვამს, არც სხვა რამ შეურაცყოფა მიუყენებია მეფისათვის“. (შესავალი გვ. XXIX). საოცარი აქ მეფის სიტყვები კი არა, ი. აბულაძის სიტყებია. მეფემ ჰქითხა გალიმებულ ავთანზილს, რას იცინიო, და არა რას დამცინიო. ავთანდილს საგმობი სიტყვა არ უთქვამს, გვარწმუნებს აბულაძე. ეს ვიცით, მაგრამ ნუ თუ ის ფიქრობს, რომ დაგმობა უთუოდ სიტყვიერ ფორმაში უნდა გამოაშარავდეს და მისი გამოხატვა არ შეიძლება, კერძოთ, გაცინებით ან სახის მიმიკით? როსტევანის მიერ სერიოზული ტონით გამოთქმული მწუხარება იმის შესახებ, რომ მას, როგორც რაინდს, არა რჩება ლირსეული მემკვიდრე მთელს არაბეთში, ავთანდილის სახეზე იწვევს ლიმილს. განა ამ გალიმების შემნიშვნელ მეფეს საკმაო საბუთი არა პქონდა ეკითხა ავთანდილისათვის: „რას იცინი, რა დამგმეო?“ ამ სიტყვების ტონის შესახებ ი. აბულაძე ისე ლაპარაკობს, თითქოს პირადად დაესწრო მათ წარმოთქმას. ამ სიტყვებს პოემის ყველა გამოცემაში თან ახლავს უბრალო კითხვის ნიშანი; აბულაძე კი უმატებს მას, ალბად ტონის ასაწევად, განცვიფრების ნიშანსაც. მას, შეუძლია ორი ასეთი ნიშანი წაუმატოს კიდევ — ეს მისი ნება არის. ხოლო ჩემთვის და ყველასათვის, ვინც ჰყრძნობს როსტევანის სათნო ბუნებას, ამ სიტყვების ტონი იქნება წყნარი და ავთანდილისადმი სიყვარულით გამთბარი.

მკვლევარი განაგრძობს: „ვერც ყმის პასუხია მოხდენალი, იგი უპასუხებს მეფეს: „მოგახსნებ და ფირმანი მიბოძეო“ — გამოდის, რომ ჯერ უნდა თქვას, რის ნებაც არა აქვს და მერე კი აილოს ამის ნებართვა. ესეც გაჭირვების ლექსია“. ჩემის აზრით კი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დიდი გაჭირვების საბუთი. რუსთაველი ამბობს ერთგან: „ცხენებსა შესხდეს, აილეს მათ მათი ჩაბალახები“. გამოდის რომ ჯერ ცხენებზე შემსხდარან ტარიელი და მისი ძმადნაფიცები

და შემდეგ აულიათ ჩაბალახები ხელში. განა შეიძლება ასეთი მსჯელობა? ლექსში ძალიან ხშირად ხდება სიტყვების თანამიმდევრობის წესის დარღვევა ლოღიკის ან გრამატიკის თვალსაზრისით, და პოეტიკაში ამას სახელად ინ ვერსია ეწოდება. თვითონ აბულაძე იქვე, შემდეგ ფრაზაში, კიდევ უფრო არღვევს ლოღიკურ მსჯელობის წესებს: „იგი უფრო ვისიმე უნიჭო და გამოუცდელი მელექსის ნაწერსა ჰგავს: ამიტომ რითმებიც ვერ არის შეწყობილი: 1)... რა დამგმეო, 2)... ფარმანი მიბოძეო, 3)... არ გარისხდე, არ გასწყრეო, 5)... არ ამიკლო ამაზეო“. რითმები მიტომ „ვერ არის შეწყობილი, რომ ეს გამოუცდელი მელექსის ნაწერსა ჰგავს“, თუ პირიქით? პროზაში მართლაც ყოვლად დაუშვებელია სიტყვების ასეთი არევდარევა, ხოლო ლექსი კი ამას მოითმენს ხოლმე. რაც შეეხება არსებითად აბულაძის მოსაზრებას რითმების შესახებ, უნდა ითქვას, რომ მის თვალში, გინც იცნობს რითმის თეორიას საერთოდ და კერძოთ კი რუსთაველის რითმის ხასიათს, ეს „საბუთიც“ ახირებულია. რუსთაველის მაღალი შაირი (4+4) უმთავრესად ორმარცვლოვან რითმას იძლევა; ამ რითმების შემადგენლობაში დასაყრდენი ბერა ჩვეულებრივ არ შედის. ზემოთ მოყვანილი რითმები, რომელთა მსგავსი მე მრავალი შემიძლია ამოგსწერო ვეფხის-ტყაოსანიდან, რომ ეს საკირო იყოს, სწორეთ ამგვარია\*). ეს ტაქტიც მაღალ შაირს წარმოადგენს. სულ სხვა ეფექტი იქნებოდა, რომ აბულაძეს რუსთაველის მდაბალ შაირში (3+5) მოენახა ამგვარი რითმები.

მეორე (30<sup>2</sup>) ტაქტის შესახებ აი რასა სწერს ი. აბულაძე: „ამ აშეარა ყალბი ხანის მომდევნო მეორე 30<sup>2</sup> (=30<sup>1</sup> ვგ, 9), რომლის გაღარჩენას ადრე ჩვენ ვცდილობდით (sic!), აგრევე ვერ არის მონდენილი: სულ რომ არა იყოს რა, მეფის მხრით ავთანდილის წინაშე თავისი ასულის თინათინის მზის დაფიცება ვერ არის საკადრისი საქციელი“. რა მოხდა ასეთი? როსტევანმა შეპფიცა ავთანდილს, რომ ის არ შერისხავს მას, თუ იტყვის თავის გალიმების მიზეზს, ეს ზემოხსნებულ ტაქტში ამგვარად არის გამოთქმილი: „პფიცა მზე თინათინისა მის მზისა მოწუნარისა“. მკვლევარს არასაკადრის საქციელად მიაჩინა ეს დაფიცება. აქ ი. აბულაძე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს მას გულდასმით არც კი წაეკითხოს ვეფხის-ტყაოსანი, და აი რატომ: როდესაც როსტევანს ნადირობის დროს უკვალოდ გაუსხლტება ხელიდან მათ მიერ ნანახი უცხო ჭაბუკი, ის უდიდეს მწუხარებას ეძ-

\*) იხ. მაგალითად, 1319 ტაქტი აბულაძის გამოცემით (რითმები: ნუო გავათუო—გავაცრუო—შევაგუო).

ლუვა, შინ დაბრუნებული ჩაიკეტება ოთახში და ზის დალვრემილი აეთანდილთან ერთად. ხანი რომ გავა, იყითხავს თინათინს და გაგზაუნის მოლარეს მის მოსაყვანად. და ამის შემდეგ მე-66 ტაქტში (აბულაძის გამოცემით) ვკითხულობთ:

თინათინ ადგა, მოვიდა, მოპუვა მამისა ნებასა;  
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა;  
მამამან გჟირდსა დაისვა, აკოცა ნებასა.

თურმე ზრდილაბის თვალსაზრისით დასაშვები იყო, რომ მეფეს ალერსიანად დაეკოცნა თინათინი აეთანდილის წინაშე ცალკე ოთახში, ხოლო ამავე თინათინის მზის დაფიცება მამისაგან საჯაროთ მისი გამეფების დღეს, ესე იგი იმ დღეს, როდესაც ამ მზის დაფიცებისა საფალდებულო შეიქნა მთელი არაბეთისათვის, არასაკადრისი საქციელი ყოფილა იმის გამო, რომ შეკრებილებაში ავთანდილი ერია! არასაკადრისი საქციელი და სამწუხარო მოვლენა, ჩემის აზრით, ის არის, რომ აი ასეთი „საბუთების“ მიხედვით სწყვეტენ ვეფხის-ტყაოსნის მკვლევარები მათ მიერ ამოჩემებული ტაქტების ბეჭედ.

ზემოხსნებულ ტაქტა სიყალბის საბოლოო დასაბუთების მიზნით, ი. აბულაძე სწერს, რომ „ყველა ზემორე თქმულს მხარს უჭერს ნ. მარრის ავტორიტეტული მოწმობა ამ ხანათა ჩანართობის შესახებ.“ არც ეს არის საბუთი; ჩემის აზრით, უკვე დრო არის გადაჭრითი ითქვას, რომ აკად. ნ. მარრის ავტორიტეტი ვეფხის-ტყაოსანის საკითხში მისმა მოწაფეებმა შეტისმეტად გააზრიადეს.

ი. აბულაძეს ყალბად მიაჩნია ტაქტ „მეფე საწოლს შემოვიდა...“ (62<sup>1</sup>). თუ გავიხსნებთ, რაც ზემოდ ითქვა ეპიური პოეზიის შესახებ და დაუკვირდებით ამ ტაქტის შინაარსს, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მისი ამოღება პოემის ტექსტიდან ყოვლად დაუშვებელია. ლახმანი სრულიად სამართლიანად შენიშნავდა „ნიბელუნგების“ ერთი ადგილის გამო, სადაც პაგენი გადადის ნავიდან, ხოლო ზემოდ კი არაფერია ნათქვამი ნავში ჩაჯდომის შესახებ, რომ ენაწყლიანი ეპიური აუცილებლად მოიხსენიებდა ნავში ჩაჯდომასაც. რა თქმა უნდა, ადვილად შესაძლებელია, რომ ასეთ პოეტს გამორჩეს ესა თუ ის დეტალი, რომლის აღნიშვნა საჭიროა მის ნაშარმოებში, მაგრამ თუ ის მოხსენებულია იქ, მაშინ მისი ორიგინალობა ეჭვის ქვეშ არ უნდა იქნეს დაყენებული. კერძოთ, ვეფხის-ტყაოსანის ეს ადგილი ასეთ სურათს წარმოადგენს: ტაქტი № 62, ავეტერს, თუ როგორ დაიშალა ნადირობა ტარიელთან შეხვედრის გამო, ხოლო მომდევნო ტაქტში აბულაძის გამოცემით, სრულიად მოულოდნელად ნათქვამია, რომ თინათინმა, მამის შეწუხება როცა გაიგო, მოლარე

იხმო და პეტხა: „ძილია თუ ლეიძილობაო“ . აშკარაა, რუსთაველი, როგორც წმინდა წყლის ეპიკოსი, ასეთ ნახტომს არ დაუშვებდა. შეუძლებალია ტყეში მონადირეთა ალყის დაშლაზე ლაპარაკს უშუალოდ მოჰყოლოდა კითხვა: „მეფეს სძინავს თუ მღვიძარია“ -ო. მართლაც, აბულაძის მიერ ტექსტიდან განდევნილ ტაეპში (62<sup>1</sup>) ვკითხულობთ:

მეფე საწოლს შემოჟიდა სევდიანი დალრეჯილი.

აი ამ ტაეპის შემდეგ სრულიად ბუნებრივის თინათინის შეკითხვა, მეფეს სძინავს თუ ფხიზელიაო.

ი. აბულაძეს განუდევნია ტექსტიდან ტაეპები: „მონათა ჰეკადრეს...“ (76<sup>1</sup>), „მეფე ბრძანებს: მართალ იყო...“ (75<sup>2</sup>) და „ესე თქვა და სიხარულით...“ (76<sup>3</sup>). პირველ მათგანში მოთხრობილია, თუ რა პასუხი მოუტანეს მეფეს მონებმა, რომლებიც მან ტარიელის საძებნელად გაგზავნა, რის გამო მისი ტექსტიდან ამოლება ყუვლად დაუშვებელია. თუ რუსთაველმა საჭიროდ დაინახა პირველი პირით გაღმოეცა ის ბრძანება, რომელიც მონებმა მიიღეს წისვლის დროს („უბრძანებს: წალით, პატიქთა თავიმცა რად დაპრიდეთა“), ნუ თუ იგი დაბრუნებული მონების პასუხს — ამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მომენტს, ისე უყურადღებოდ მიაფუჩებდა, როგორც ეს ი. აბულაძის გამოცემაშია წარმოდგენილი?

მეორე ტაეპის გასაბათილებლად აბულაძე სწერს შემდეგს: „ეს 76<sup>2</sup> ხანა მარტო იმისთვის არის უარსაყოფელი, რომ მასში თინათინ წოდებულია ასულადაც და ძე-თაც, რამაც ხელი შეუწყო იმ შემცდარ აზრს, ვითომც ხელმწიფე ქალი, რომლადაც უნდა ვიგულისხმოთ თამარ მეფე, მე-XII საუკუნეში იწოდებოდა ძედ და არა ასულად“. აქედან სჩანს, რომ აბულაძე ფიქრობს, ვითომც სიტყვა ძე რუსთაველის ლექსიკონში ვაჟის სინონიმი იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ავილოთ ცნობილი სტრიქონი. „სხვა ძე არ ესვა მეფესა; მართოდენ მარტო ასული“ და ჩაესვათ აქ ძეს ნაცვლად სიტყვა ვაჟი, მაშინ ამ სტრიქონის შინაარსის სახით ჩვენ გვექნება ასეთი შეუსაბამობა: სხვა ვაჟი არ ჰყვანდა მეფეს, გარდა ქალისა. ნამდვილად კი ძე ვეფხის-ტყაოსანში იხმარება შვილის მრიშვნელობით, და ზემოთ მოყვანილი სტრიქონის შინაარსი არის შემდეგი: სხვა შვილი არ ჰყავდა მეფეს, გარდა ქალისა. აი ისეთი ადგილი, სადაც ვაჟზეა ლაპარაკი: „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა“. მეორე ადგილი, სადაც თინათინი ისევ ძედ არის წოდებული, „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“, ზოგიერთი ხელნაწერების მიხედვით ი. აბულაძეს შემდეგნაირად გაუსწორებია: „ჩემი მზე დავ-

სვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“. ჩემს პირველ წიგნში ვეფხის-ტყაოსანის შესახებ მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე რუსთაველის სტილის იმ უალრესად ნიშანდობლივ თვისებას, რომ ის ეფონიური მიზნით მეტად ხშირად იმეორებს ამა თუ იმ სიტყვას ერთი სტრიქონის ფარგალში; მაგრამ ძალიან იშვიათად შეგხვდებათ, რომ მის მიერ ამ სახით გამეორებული სიტყვა ორივეჯერ ერთსაღა-იმავე გრამატიკულ ფორმაში იყოს მოცემული. კერძოთ, სიტყვა მზის გამეორება რუსთაველს ხშირად აქვს სტრიქონში, დაასლოებით ოცდაათჯერ ვახტანგისეული რედაქციის მანძილზე, მაგრამ მათ შორის არ არის არცერთი ისეთი განმეორება, რომ ორივეჯერ სიტყვა მზე ერთი და იმავე პროფესით იყოს ნახმარი. აი რამდენიმე ამის ნიმუში:

1. აფთანდილცა თაყვანი სცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა.
2. იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად.
3. წამწამ დაბრუნდას, იაჯის მისთვის მზისავე მზობასა.
4. ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა მართებს მზესა მზობა.
5. შენმან მზემან არვის მიხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი.
6. მე ლომი ლომსა დაგისვა გვერდსა შენ მზესა მზეთასა.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ი. აბულაძის მიერ გასწორებული სტრიქონი „ჩემი მზე დავსეად ხელმწიფედ, ვისკან მზე საწუნელია“, სადაც სიტყვა მზე ასე უშნოთ და უხერხულად არის გამეორებული სრულიად უცვლელი გრამატიკული ფორმით, ნამდვილად გასწორებული კი არა, დამაზინჯებულია, ისე როგორც ყველა სხვა მის მიერ გასწორებული ადგილები ვეფხის-ტყაოსანში, რაზედაც შემდეგ მექნება ლაპარაკი.

ზემოთ განხილულის მომდევნო ტაეპი „ესე თქვა და სიხარულით...“ (76<sup>3</sup>) აბულაძეს ყალბად მიაჩნია იმის გამო, რომ იქ „მეფე მეტის-მეტად ახირებულად იქცევა“. ეს ახირებულობა ვითომც იმაში გამოიხატება, რომ როსტევანი შეწუხების ნაცვლად სიხარულსა და გართობას მიეცემა, როდესაც გაიგებს, რომ მონებს ტარიელის კვალი ვერ უპოვნიათ. რუსთაველი სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათი ხელოვანია, და იქ, სადაც ი. აბულაძეს ახირებულობა ეჩვენება, ნამდვილად აი ამ იშვიათ ხელოვნებას აქვს ადგილი. საქმე იმაშია, რომ როსტევანმა ამ ტაეპში უკვე დაასრულა თავისი მისია პოემის სიუჟეტის განვითარებაში. პოეტის პირდაპირ შიზანს წარმოადვენს, რომ ავთანდილის მიერ ტარიელის საძებრად წასვლას მიეცეს მიჯნურის ნამდვილი ველად გაჭრის ხასიათი. ავთანდილმა უნდა იკისროს ეს უმძიმესი ტვირთი არა როგორც როსტევანის ერთგულმა კარისკაცმა,

არაშედ როგორც თინათინის თავგანწირულშა რაინდმა და მისმა გახელებულმა მიჯნურმა. მისი სამი წლის ხეტიალის მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს არა მოხუცი მეფის კაპრიზი, არამედ მისთვის სათაყვანებელი დედოფლის უზენაესი ნება და სურვილი. მართლაც, ავთანდილი ყველგან და ყოველთვის თავისი გაჭრის ერთადერთ მიზეზად თინათინის ბრძანებას ასახელებს. რუსთაველმა საბოლოოდ ჩამოაშორა როსტევანი მისგანვე დაწყებულ საქმეს — ტარიელის ძებნას. ამიერიდან ის ამ ძებნის არა თუ ხელის შემწყობი, სასტიკი მოწინააღმდეგება, ვინაიდან მას ვერ აუტანია საყვარელი შვილობილის მოშორება. ავთანდილს უხდება ძვირფასი გამზრდელის უსაზღვროდ გამწარება, განსაუთრებით მეორეთ გაბარეის დროს, რითაც პოეტი კიდევ უფრო ამწვავებს ავთანდილის სულიერ ტკივილებს, და ამ ხერხით ზედმეტად აძლიერებს დიდი სიყვარულის დიდ ტრაგედიას. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ როსტევანს მონების დაბრუნების შემდეგ ისევ განეახლებია თავისი მწუხარება და დაუინებით მოეთხოვა ტარიელის მონახვა, მაშინ მივიღებდით იმას, რაც ი. აბულაძეს შეიძლება სახსებით დააკმაყოფილებდა, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით კი მიუღებელი იქნებოდა. მართლაც, განა მაშინ თინათინს უფლება ექნებოდა დაევალებია ავთანდილისათვის ტარიელის საძებრად წასვლა მხოლოდ იმის გამო, რომ ის მას უყვარდა? განა ავთანდილს თვით როსტევანი საქმაოდ არ უყვარდა, რომ უშუალოდ მისი გულისთვის ეკისრა ასეთი მძიმე მოგზაურობა? გარდა ამისა, სად არის აქ საღილოიკა? საიდან მოუვიდოდა ასეთი „ახირებული“ იდეა ყალბის-მქნელს? იმას მანიც ხომ ვერ უარყობთ, რომ ყალბისმქნელი პოემის მცოდნე უნდა ყოფილიყო, და რისთვის ჩაურთავდა მასში იმგვარ ტაქს, რომლის შინაარსი თითქმ სრულიად შეუფერებელია ტექსტისათვის?

შემდეგ მიღის კიდევ მთელი რიგი ტექსტიდან გაძვებული ტაქებისა, რომელთა უმეტესობის საჭოროება თავის აღგილზე ნათელია დღესავით; მაგრამ, ამ უარღესად დამახინჯებული გამოცემის განხილვა რომ არ გაგვიგრძელდეს, გვერდ აუკლი მათ.

ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრის სცენა ყალბის-მქნელების წამდვილი თავშესაფარი ყოფილა, მაგრამ ი. აბულაძეს რკინის ცოცხით გამოუგვია იქედან მათ მიერ ჩართული ტაქები. აი ერთი მათგანი, — ასმათზე არ მოქმედობს ავთანდილის არც თხოვნა და არც მუქარა, ის დიდხანს კატეგორიულ უარს აცხადებს გაუმჯღავნოს მას ტარიელის ვინაობა:

კვლავ ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო? ეგ ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო! მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლევინო, ვითა უსტარი ბედითი, ადვილად დავახევინო.

დააკირდით ამ სამაგალითო შედარებას უკანასკნელ სტრიქონში: ტარიელისა და წესტან-დარეჯანის სამწუხარო თავგადასავალის მცოდნე ასმათი თავისითავს ადარებს უბედური ამბავის შემცველ წერილს, რომლის მოსპობა სასურველია, არა თუ საწყენი. თურმე ეს მშვენიერი ტაქტი, როგორც ი. აბულაძე გვაუწყებს, „სტილითაც და შინაარსითაც პოემის ტექსტისათვის სრულიად შეუფერებელი“ ყოფილა.

როდესაც ტარიელი და ავთანდილი პირველად ნახავენ ერთ-მანეროს, ორივე ძალიან კმაყოფილია ნახულით, და ერთი მეორეს ბრწყინვალე ქებას შეასხავენ. ჯერ ტარიელი ეუბნება:

აწ ვაშად მოხველ, მიამა ნახვა შენისა პირისა,  
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა,  
მაგრამ გარჯილხაო, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა,—  
ძნელია პოვნა კაცისა, ღმრთივ ჟეცით განაწირისა“.

ამაზედ ავთანდილი უპასუხებს:

ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა,  
მაგისა ნაცვლად რად ვიყავ ლირსი ქებისა თქვენისა?!

სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,  
რადგან ვერ შეგცვლის პატიჟი ეგზომთა ცრემლთა დენისა!“

ი. აბულაძის გამოცემაში ამ ტაქტს მოსდევს ისევ ტარიელის სიტყვები:

ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალების;  
მიკეირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების!  
მაგრა წესია მიჯნური მიჯნურსა შეებრალების,  
შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალების?“

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ტარიელის ასეთი სიტყვები? მან შეაქო ავთანდილი, ავთანდილმაც უპასუხა ქებით,—სად არის აქ და-ვალება? განსაკუთრებით რა შუაშია სიტყვები: „შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალების?“ სად იყო ლაპარაკი საყვარელთან გაყრაზე? საქმე იმაშია, რომ ნამდვილად ავთანდილს ზემოთ მოყვანილი ტაქტით არ გაუთავებია თავის სიტყვა, მას ეს სიტყვა შეაწყვეტინა ი. აბულაძემ, რომელსაც ზედმეტი ლაპარაკი არ მოსწონს. აი ავთანდილის სიტყვის დაბოლოება:

„ამა დღემან დამავაწყა გული ჩემი ვინ დაბინდა,  
დამიგდია სამსახური, იგი იყოს, რაცა გინდა,  
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა,  
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა.“

აი ამის შემდეგ კი სრულიად გასაგებია ტარიელის პასუხი: „შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალების?“ აბულაძე კი იღებს ტექსტიდან ამ აუცილებელ ტაეპს და რჩება ულრმესად დარწმუნებული, რომ ამით „პოემის მოთხრობის ძაფი არა წყდება“ აი რასა სწერს ის ამ ტაეპის შესახებ: „ეს ხანა ისეთი შინაარსისაა, რომ მისი დატოვებით თუ განდევნით მოთხრობის შინაარსს არაფერი უშავდება“. გაუგებრობა ამაზე შორს ველარ წავა.

ნესტან დარეჯანის მეორე წერილიდან ტარიელისადმი, როდესაც ამ უკანასკნელმა ხატაელებზე გაიმარჯვა, ი. აბულაძეს ამოულია ორი ტაეპი „ლმერომან თუცა ენა ჩემი...“ (406) და „თუცა მიგდის ლვარი ცრემლთა...“ (406), რომელთა სიყალბის დასამტკიცებლად ის იშველიებს აღ. სარაჯიშვილის ავტორიტეტს და თავის მხრით უმატებს, რომ „მათი შინაარსი სრულებით არ შეეფერება ტანაულ მიჯნურთა სულიერ ვითარებას“. პატივცემულ მქვლევარს დავიწყნია, რომ ამ წერილის დაწერის დროს ნესტან-დარეჯანი და ტარიელი სრულებითაც არ იყვნენ ტანჯული მიჯნურები; მათი ტანჯვა დაიწყო გაცილებით უფრო ვეინ. ეს დრო კი მათი სიყვარულის უღრუბლო განთიადი იყო: ტარიელი გამარჯვებული დაბრუნდა ბრძოლის ველიდან და ნესტან-დარეჯანი აღტაცებული უცქეროდა თავის კოშკიდან „ომგარდახდილი“ მიჯნურის ტრიუმფალურ მოსელას სასახლეში. გარდა ამისა, ყოვლად დაუშვებელია ხსენებული ტაეპების ამოღება წერილიდან, რომელიც შესდეგება სულ ოთხი ტაეპისაგან და ამ ათეტიზაციის შემდეგ ნახევრდება ისე, რომ მასში აღარაფერი რჩება გარდა ნესტან-დარეჯანის თხოვნისა რიდის ჩუქების შესახებ. ამ რიდის გამოთხოვა ი. აბულაძის მიერ შემოკლებულ წერილში ისე უეცარი და უხერხულია, რომ გეგონებათ თითქო ნესტან-დარეჯანი ქუჩის ქალი იყოს, რომლისათვის მიჯნურს იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც ის საჩუქრებს იძლევა.

572<sup>1</sup> ტაეპის სიყალბეს, სადაც აწერილია, თუ როგორ ემუდარება ასმათი არაბეთისაკენ გაბრუნებულ ავთანდილს ადრე დაბრუნებას, ი. აბულაძე ასაბუთებს, გარდა, რა თქმა უნდა, სტილის უგვანობაზე მითოებისა, შემდეგი მოსაზრებით: „რაღა საჭირო იყო დინჯი ასმათის მხრით ასეთი თამამი საჭკიელი, როგორც შამბსა და ყრუ ადგილებში ადევნება ავთანდილისა...“ მართალია, შამბებში და ყრუ ადგილებში უცხო მამაკაცთან სიაჩული ქალის მხრივ მეტად თამამი საჭკიელია, რომელსაც კარგი შედეგი არ მოჰყვება. ასმათიც რომ გადამცდარა ჭეუიდან, ეს სჩანს პოემის ერთი შემდეგი ტაეპი-

დან (1211), რომლის ორიგინალობას ყოველ შემთხვევაში ი. აბულაძე ეპვ ქვეშ არ აყენებს:

ავთანდილ ცხენსა გარდახდა ასმათის მოსახვეველად,

მან მიჰყო ხელი აღვასა, შტო მოჰყვა მოსარხეველად.

ესეც თქვენი დინჯი ასმათი! მაგრამ სუმრობა თავისთვის იყოს. ყველამ, ვისც კი ვეფხის-ტყაოსანი წაუკითხავს, ძალიან კარგათ. იცის, რომ ავთანდილი, როგორც ტარიელის ძმად ნაფიცი, ასმათს დასავით უცქერის ამ უკანასკნელსაც თავი ავთანდილთან იმგვარადვე უჭირავს, როგორც ტარიელთან — ის შამბებშიაც ჩაჰყება მას, თუ საჭირო იქნა, კიდევაც მოხვევა და კიდეც აკოცებს, როგორც ძმას, ასე რომ ი. აბულაძის ეჭვები აქ უადგილოა სრულიად. გარდა ამისა, ი. აბულაძე სწერს, რომ ამ ტაეპში გამოთქმული „გრძნობაც მეტის მეტად სანტიმენტალურია“, რომ აქ თავმოყვარე ასმათმა „ვიღაც მასხვარი დედაკაცივით მუხლი მოუყარნა, ზენარითა და თითით ეხვეწება და სხვა“. აბულაძე გველაპარაკება ასმათის სანტიმენტალობაზე, მაშინ როდესაც ვეფხის-ტყაოსანში დევებივით გმირები საათობით მოსთქვამენ და ზოგჯერ მთელი ჯარები ცრემლებად იღვრებიან. სტრიქონი: „მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა“ წარმოადგენს შემდეგი სტრიქონის პასტიჩიოს: „ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.“ ასტომ ეს ადგილი არ მიაჩნია ი. აბულაძეს ყალბად? განა ავთანდილს არა ჰქონდა თავმოყვარეობა, ასმათის წინ რომ დაიჩიქა და თითით დაუწყო ვედრება? განა იმ დროს და იმ ქვეყანაში, რომელიც პოემაშია მოცემული, უფრო მეტი დამცირება არ იყო კაცის დაჩოქება ქალის წინაშე, ვიდრე პირიქით? ჩემის აზრით, ასეთ მოსაზრებებზე არა ნაკლებ დამაჯერებელი იქნება, რომ ამა თუ იმ ტაეპის შესახებ აბულაძემ პირდაპირ განაცხადოს: „ამ ტაეპის სიყალე მე დამესიზმრა წინა ღმეს. თანაც ის თავისი სტილით და შინაარსით ის სრულებით არ უდგბა რუსთველის ნათქვამს, ამიტომ ჩენ საჭიროდ დავინახეთ მისი სქოლიოში ჩატანა“. ფრიდონისაკენ გამგზავრებული ავთანდილის ძოთქმა ი. აბულაძეს შეუბრალებლად გაუწმენდია „ყალბი“ ადგილებისაგან. პოემის ტექსტიდან გაძევებულია სხვათა შორის ყველასათვის ცნობილი სახელგანთქმული ტაეპი (837):

აა, მმოწმობენ ვარსკლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:

მშე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,

მთვარე, აპირონ, მარინი მოვლენ და მოწმად შევებიან,

მას გააგონენ, ანაცა ცეცხლი უშენოდ მდებიან.

უსაზღვროა ამ ტაეპის ექსტაზი, გრანდიოზულია მასში გაშლილი ადამიანის სულის ტკივილები, ბეგრების მუსიკალურ წყობაში აქ არ

შეიძლება არავითარი ნაკლის გამონახვა. ფასასრულ, მასში ჩამოთვლილი სახელები დალაგებულია განსაცვიფრებელი ხელოვნებით, რასაც მე განსაკუთრებული ყურადღება მივაჭირ წინადაც („ალიტ. ქ. შაირში“, გვ. 23). და აი თურმე სწორედ ეს ტაქტი ყოფილი ყალბი, რომლის დაწერა მხოლოდ უზიდეს პოეტს შეეძლო! ი. აბულაძე მოკლედ სწყვეტს ამ ტაქტის ბეჭე: „837! ხანა ისე უადგილოდ არის ჩართული ამბავში, რომ მკითხველი ვერ მიხვდება, თუ ვის მიქმართავს ტანჯული შიჯნური, მნათობებს თუ სატრფოს, რასაც ყურადღება მიაჭირა ჯერ კიდევ ა. სარაჯიშვილმა“. როგორ თუ უადგილოდ არის ჩართული? ეს ტაქტი წარმოადგენს ავთანდილის მიერ მნათობებისადმი მიმართვის რეზიუმეს: ავთანდილი ჯერ სათითოოდ შესჩივის მნათობებს და შემდეგ კი ყველას ერთად მოუწოდებს და თავისი ცრემლების მოწმებად ასახელებს. რა არის აქ მკითხველი-სათვის გაუგებარი? განა დღესავით ნათელი არ არის, რომ ავთანდილი მიმართავს მნათობებს და არა თინათინს? მართალია, გრამატიკული თვალსაზრისით სტრიქონში „მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან“, უნდა იყოს არა უ შენოდ, არამედ უ მისოდ, მაგრამ აქ ერთი სიტყვა შეცვლილია მეორეთი წმინდა ევფონიური მიხნით, ვინაიდან პირველ სიტყვაში არის ისეთი ბგერები (ე და ნ), რომლებიც გვხვდებიან სტრიქონის დანარჩენ სიტყვებში და რომელთა განმეორება ახდენს მუსიკალურ ეფექტს:

მას გააგონენ, რა ნიცა ცეცხლი ნი უშენოდ მდე ბიან.

ამის ნაცვლად სტრიქონი „მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უ მისოდ მდებიან“ სრულიად მიუღებელი იქნებოდა პოეტის სმენისათვეს.

ტაქტი „ფრიდონისებრი მოყმენი“... (858<sup>1</sup>), ი. აბულაძის აზრით, ყალბია, გარდა სტილის შეუფერებლობისა, იმის გამო, რომ მასში სილამაზის მხრით ავთანდილი ფრიდონს მაღლა არის დაყენებული:

მხე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან,  
დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.

ი. აბულაძის აზრით კი „აზირებულია 858<sup>1</sup> ხანის შინაარსი, რადგან პოეტს ერთნაირად უყვარს და შეაქებს თავის „სამთა გმირთა მნათობთა“, რომელთაც „სჭირს ერთმანეთის მონება“. აბულაძე აქაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქმ მას ვეფევის-ტყაოსანი გულდასმით არ ჰქონდეს წაკითხული. ნუ თუ მას არ ახსოვს პოემაში ასეთი ადგილი ამ „სამთა გმირთა მნათობთა“ შესახებ:

ჰევანდა თუცა შეყრილიყვნეს ორნა მზენი, ერთი მთვარე.

დან (1211), რომლის ორიგინალობას ყოველ შემთხვევაში ი. აბულაძე ეჭვ ქვეშ არ აყენებს:

ავთანდილ ცხენსა გარდახდა ასმათის მოსახვეველად,  
მან მიჰყო ხელი აღვასა, შტო მოჰყვა მოსარხეველად.

ესეც თქვენი დინჯი ასმათი! მაგრამ ხუმრიობა თავისუფის იყოს. ყველამ, ვისც კი ვეფხის-ტყაოსანი წაუკითხავს, ძალიან კარგათ იცის, რომ ავთანდილი, როგორც ტარიელის ძმად ნაფიცი, ასმათს დასავით უცქერის ამ უკინასენელსაც თავი ავთანდილთან იმგვარადვე უჭირავს, როგორც ტარიელთან — ის შამბებშიაც ჩაჰყვება მას, თუ საჭირო იქნა, კიდევაც მოეხვევა და კიდეც აკოცებს, როგორც ძმას, ასე რომ ი. აბულაძის ეჭვები აქ უაღვილოა სრულიად. გარდა ამისა, ი. აბულაძე სწერს, რომ ამ ტაეპში გამოთქმული „გრძნობაც მეტის მეტად სანტიმენტალურია“, რომ აქ თავმოყვარე ასმათმა „ვილაც მათხოვარი დედაკაციით მუხლი მოუყარნა, ზენარითა და თითოთ ეხვეწება და სხვა“. აბულაძე გველაპარაკება ასმათის სანტიმენტალობაზე, მაშინ როდესაც ვეფხის-ტყაოსანში დევებივით გმირები საათობით მოსთქამენ და ზოგჯერ მთელი ჯარები ცრემლებად იღვრებიან. სტრიქონი: „მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითოთა ეხვეწებოდა“ წარმოადგენს შემდეგი სტრიქონის პასტიჩიოს: „ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითოთა ეხვეწებოდა.“ რატომ ეს ადგილი არ მიაჩნია ი. აბულაძეს ყალბად? განა ავთანდილს არა ჰქონდა თავმოყვარეობა, ასმათის წინ რომ დაიჩიქა და თითოთ დაუწყო ვედრება? განა იმ დროს და იმ ქვეყანაში, რომელიც პოემაშია მოცემული, უფრო მეტი დამცირება არ იყო კაცის დაჩიქება ქალის წინაშე, ვიდრე პირიქით? ჩემის აზრით, ასეთ მოსაზრებებზე არა ნაკლებ დამაჯერებელი იქნება, რომ ამა თუ იმ ტაეპის შესახებ აბულაძემ პირდაპირ განაცხადოს: „ამ ტაეპის სიყალე მე დამესიზმრა წინა ღმეს. თანაც ის თავისი სტილით და შინაარსით ის სრულებით არ უდგბა რუსთველის ნათქვამს, ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მისი სქოლიობში ჩატანა“.

ფრიდონისაკენ გამზღვრებული ავთანდილის მოთქმა ი. აბულაძეს შეუბრალებლად გაუწენდია „ყალბი“ ადგილებისაგან. პოემის ტექსტიდან გაძევებულია სხვათა შორის ყველასათვის ცნობილი სახელგანთქმული ტაეპი (837):

აჲა, მმოწმობენ ვარსკლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,  
მთვარე ასპიროზ, მარინი მოვლენ და მოწმად მყვებიან,  
მას გააგონენ, რანიცა ცეცხლი უშენოდ მდებიან.

უსაზღვროა ამ ტაეპის ექსტაზი, გრანდიოზულია მასში გაშლილი აღაშიანის სულის ტეივილები, ბგერების მუსიკალურ წყობაში აქ არ

შეჩრდება არავითარი ნაკლის გამონახვა. დასასრულ, მასში ჩამოთვლილი სახელები დალაგებულია განსაკუიფრებელი ხელოვნებით, რასაც მე განსაკუთრებული ყურადღება მივაჭირ წინადაც („ალიტ. ქ. შაირში“, გვ. 23). და აი თურმე სწორედ ეს ტაეპი ყოფილა ყალბი, რომლის დაწერა მხოლოდ უზიდეს პოეტს შეეძლო! ი. აბულაძე მოკლედ სწყვეტს ამ ტაეპის ბედს: „837<sup>1</sup> ხანა ისე უადგილოდ არის ჩართული ამბავში, რომ მკითხველი ვერ მიხვდება, თუ ვის მიშმართავს ტანჯული შიჯნური, მნათობებს თუ სატრფოს, რასაც ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ა. სარაჯიშვილმა“. როგორ თუ უადგილოდ არის ჩართული? ეს ტაეპი წარმოადგენს ავთანდილის მიერ მნათობებისადმი მიმართვის რეზიუმეს: ავთანდილი ჯერ სათითოოდ შესჩივის მნათობებს და შემდეგ კი ყველას ერთად მოუწოდებს და თავისი ცრემლების მოწმებად ასახელებს. რა არის აქ მკითხველი-სათვის გაუგებარი? განა დღესავით ნათელი არ არის, რომ ავთანდილი მიმართავს მნათობებს და არა თინათინს? მართალია, გრამატიკული თვალსაზრისით სტრიქონში „მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან“, უნდა იყოს არა უ შენოდ, არამედ უ მისოდ, მაგრამ აქ ერთი სიტყვა შეცვლილია მეორეთი წმინდა ევფონიური მიზნით, ვინაიდან პირველ სიტყვაში არის ისეთი ბგერები (ე და ნ), რომლებიც გვხვდებიან სტრიქონის დანაჩენ სიტყვებში და რომელთა განმეორება ახდენს მუსიკალურ ეფექტს:

მას გააგონენ, რა ნიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან.

ამის ნაცვლად სტრიქონი „მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უ მისოდ მდებიან“ სრულიად მიუღებელი იქნებოდა პოეტის სმენისათვის.

ტაეპი „ფრიდონისებრი მოყმენი“... (858<sup>1</sup>), ი. აბულაძის აზრით, ყალბია, გარდა სტილის შეუფერებლობისა, იმის გამო, რომ მასში სილამაზის მხრით ავთანდილი ფრიდონზე მაღლა არის დაყენებული:

მხე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეუყრებიან,  
დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.

ი. აბულაძის აზრით კი „ახირებულია 858<sup>1</sup> ხანის შინააგისი, რადგან პოეტს ერთნაირად უყვარს და შეაქებს თავის „სამთა გმირთა მნათობთა“, რომელთაც „სჭირს ერთმანეთის მონება“. აბულაძე აქაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო მას ვეფხვის-ტყაოსანი გულდასმით არ ჰქონდეს წაკითხული. ნუ თუ მას არ ახსოვს პოემაში, ასეთი ადგილი ამ „სამთა გმირთა მნათობთა“ შესახებ:

ჰგვანდა თუცა შეყრილიყვნეს ორნა მზენი, ერთი მთვარე.

გარდა ამისა, განა თეითონ იმ ადგილიდან, საიდანაც ეს 858<sup>1</sup> ტაეპია ამოლებული, აშკარად არა სჩანს, თუ რამდენად უფრო ლამაზია ავთანდილი ფრიდონზე? ფრიდონის მონადირეებს აი რა დაემართათ ავთანდილის დანახვაზე:

იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,  
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვევოდეს, ბნდებოდეს,  
იქით და აქეთ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,  
ვერცა ჰყადრებდეს: „გინ ხარო?“ ვერცა რას ელბნებოდეს;

ფრიდონმა გაგზავნა მონა ამბის შესატყობად და აი რა მოუვიდა ამ მონას:

მონა ჭიცხლა მოეგბა, ნახა სარო მორჩი ტანრ,  
დადგა, თვალი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი.

განა ეს მონადირეები და მონები ყოველ დღე არა ხედავდენ ფრიდონს, მაშ რისთვის დააღეს მათ პირი ავთანდილის დანახვაზე, თუ კი ფრიდონი მასზე ნაკლები სანახავი არ იყო? დასასრულ, თვით ამ 858<sup>1</sup> ტაეპს მოსდევს 859 ტაეპი, რომელშიაც აწერილია, თუ როგორ გაემგზავრენ ფრიდონი და ავთანდილი სასახლისაკენ—აქ ლა-ვარაკია მხოლოდ ავთანდილის მშვენიერებაზე:

ავთანდილის ჭვრეტად სპანი იქით-აქეთ იქმენ ჯრასა;  
თქვეს: „ასეთი ხორციელი შეუქმნია რაგვარ რასა!“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თვით რუსთაველის მიერ მისი სამი გმირი შეფასებულია შემდეგნაირად: სილამაზის მხრით პო-ეტი ტარიელსა და ავთანდილში განსხვავებას არ ნახულობს, ხოლო ორივეს ფრიდონზე მაღლა აყენებს; რაც შეეხება გმირობას, უპირა-ტესობა მინიჭებული აქვს ტარიელს. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ადგილიდან:

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწვდომნია,  
მაგრა ტარიას შემბმელი არვისგან მლსანდომნია,—  
მზე მნათობთაცა დაჰვარავს, არცლა ნათლად ბომნია.

სქოლიოში ჩატანილია ტაეპი (ფატმაზი ეუბნება ავთანდილს):

სხვა გიამბო საკვივრელი რიდისა და ყაბაჩისა,  
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოსა და ძეირფასისა,  
მაგრა მისი არა ვიცი ქმნილი იყო რაგვარ რისა,  
სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

ამ ტაეპის შესახებ ი. აბულაძე სწერს შემდეგს: „1010<sup>1</sup> ხანის აზრი სრულიად ბუნდოვანია და გაუგებარი; ეს ხანა სრულიად უშინაარსოა და, როგორც ამგვარი, ნამდვილ ხორცმეტად უნდა ჩაითვა-

ლოს.“ საქმე შემდეგშია. როდესაც ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის გამარჯვებას ხატაელებს, ის დაწერილებით აუწერს მას, თუ როგორი საკვირველი რიდე იგდო მან ხელში ხატაეთის აღების დროს. აი ამის შესახე ტაქტი 375:

ვერა შევიგნ, ჩა იყო, ანუ ნაქმარი რაულად:  
ვისაც უჩვენი, უკვირდის, ღმრთისა თქვის მან სასწაულად;  
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად;  
სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლსა შენართაულად.

შემდეგ ეს რიდე, რომელიც ტარიელს ინდოეთში შესვლის დროს მოხვეული ჰქონდა, ნესტან-დარეჯანმა მიიღო საჩუქრად. ამ რიდის შესახებ ვეფხის-ტყაოსანში იმის გამოა ამდენი ლაპარაკი, რომ პოეტს ის ალებული აქვს, როგორც ეგრედშოდებული გამოსაცნობი ნიშანი, რომელიც ხშირად იხმარება მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი დრამებში, ძველ ეპიურ პოემებში და თანამედროვე დეტექტიურ რომანებში. ამ გამოსაცნობ ნიშანს არისტოტელე მთელ თავს უძლვნის თავის პოეტიკაში. რისთვის სჭირდება რუსთაველს ეს ნიშანი? აი რისთვის: როდესაც ფატმანი ამ რიდეს თითქმის სრულიად იმგვარადვე აუწერს ავთანდილს, როგორაც ის ტარიელმა აუწერა, მისთვის ეკვ გარეშე ჩეხება, რომ მან ნესტან-დარეჯანის კვალს მიაგნო. გარდა ამისა, ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან ტარიელს წერილთან ერთად სანიშნოდ უგზავნის ამ ქსოვილის ნაჭერს, რასაც ის შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს თავის წერილში:

ააა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა,  
გარდმიკვეთია ალბი, ჩემო, ერთისა კიდისა.

როდესაც ავთანდილი დაბრუნდა ტარიელთან და სიცილით უთხრა მტირალს, რომ მან გაიგო ნესტან-დარეჯანის ამბავი, ტარიელმა ეს არ დაიჯერა. მაშინ ავთანდილმა „გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა“, რაც საქმარისი იყო იმისათვის, რომ ელდანაცემი ტარიელი გულშემოყრილი დაცემულიყო ძირს. და აი სწორედ ის ტაქტი, რომელიც აუცილებელ რგოლს წარმოადგენს ამ პოეტური ხერხის გაშლაში, აბულაძეს ნამდვილ ხორცმეტად მიაჩნია. ის ვერ გაუგია მას, მაგრამ რათ უნდა იყოს ამგვარი გაუგებრობისათვის პასუხისმგებელი რუსთაველი, ან მისი პოემის ესა თუ ის ტაქტი? მეორე მხრით, რა არის 1010<sup>1</sup> ტაქტში გაუგებარი ან ბუნდოვანი? ი. აბულაძეს უშინაარსოდ მიაჩნია ალბად ამ ტაქტის უკანასკნელი, სწორედ ყველაზე უფრო შინაარსიანი და ლამაზი სტრიქონი, რომელშიაც მოცემულია შესანიშნავი, რუსთაველისათვის მეტად დამახასია-

თებელი, ანტითეზა — ესე იფი ლოგიურად ერთიმეორის მოწინაა-ლშედებე ცნებათა დამაპირისპირებელი პოეტური ფიგურა (სილბო — სიმტკიცე):

სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

განა ი. აბულაძე არ იყო, რომ ამის მონათესავე ცნობილი სტრი-ქნი „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ ერთ დროს ყალბად გამოაცხადა, აქაოდა ტყვიის ლბილი გრდემლი ვის გაუგონია, გრდემლი მაგარი უნდაოზ სტილით გამოიცნობა არა მარ-ტო რუსთაველი, არამედ მისი მკვლევარებიც.

ი. აბულაძეს, ასე გასინჯეთ, ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხოდან მოწერილ სახელგანთქმულ წერილშიაც კი მოუნახავს ყალბი ადგილები. მაგალითად, ყალბი ყოფილა მისი აზრით აი ეს შესანიშ-ნავი ტაქპი:

ჰედაგ, ჩემო, ვით გაგვარნა სოფელმან და უაშმან კრულმან,  
ვეღარ გნახ საყვარელი მზიარული მზიარულმან,  
ნეტარ რა ჰქნას უშენომან გულმან შენგან დალახვრულმან,  
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

ჩემის აზრით, ამ წერილის ბადალი სამიჯნურო წერილი მსოფ-ლიო ლიტერატურაში არ მოიპოვება. მაგალითად, პუშკინის ტატია-ნას ცნობილი წერილი ონეგინისადმი ისე ვერ ასწედება მას, რო-გორც ფიქრის გორა იაღმუზს. აქ არის ყველაფერი: თავგანწირუ-ლებამდე მისული უსპეტაკესი სიყვარული, უდიდესი ტრაგიზმი მდგო-მარეობაში და უმაღლეს ბრწყინვალებამდე აყვანილი პოეტური ფორ-მა. ეხლა ვიკითხოთ ამის შემდეგ, თუ რისთვის, რა მოსაჩრებით ჩა-ურთავდა ამ ყოვლად უნაკლული წერილში პოემის ესა თუ ის გა-დამწერი თავის მიერ შეთხხულ ტაქპებს? იმის დასამტკიცებლად, რომ ეს კითხვა არ არის მოკლებული სერიოზულ მნიშვნელობას, მე მოვი-ყვან ძველი საბერძნეთის ლიტერატურის ისტორიკოსის ზემოთ დასახე-ლებული მაგაფის წიგნიდან ერთ ადგილს, რომელიც შეეხება ოდი-სეას გარშემო ატეხილ პოლემიკას გერმანელ ფილოლოგთა შორის:

„ზემოთ მოყვანილ ჰიპოთეზას ჩამატებათა შესახებ, კირსგოფი ი საკებით უარპყოფს, როგორც არამეცნიერულს, ვინაიდან დღემდე არ გამონახულა იმ აშეარა მიზეზშე მითითების შესაძლებლობა, რო-მელმაც ეს ჩამატებანი გამოიწვია. ეს მნიშვნელოვანი პრიციპი, რო-მელიც კანონად უნდა იყოს გადაქცეული კრიტიკაში, საშინელ ლახ-ვარსა სცემს მოპირდაპირეთა მოსაზრებას, რის გამო ისინი გააფთრე-ბით ესხმიან მას თავზე“<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> Дж. Н. Магафф и: „История классического периода греческой литературы“, гл. 55.

ფიახ, ეს პრინციპი კანონად უნდა იყოს გადაქ ეული ფილო-ლოგიურ კვლევა-ძიებაში, მაგრამ, არა თუ კანონად, მას ვეფხის-ტყაოსანის მკვლევრები, პ. ინგოროვებას გარდა, არ უშევენ არავითარ ანგარიშს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ი. აბულაძესცა აქვს ორი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა მიწეზით ჩაურთავს ყალბისმქნელს ვეფხის-ტყაოსანის ამა თუ იმ ადგილში თავისი ნაწარმოები. ი. პირველი მისი მოსაზრება: გადამშერისათვის „წაუძლევია სულს და...“ მეორე მოსაზრება წარმოადგენს პირველის, ასე ვსთქვათ, ვარიანტს: „გადამშერს აშლია ლექსის წერის საღერლელი და..“ ვაგვიგონია, რომ ბავშვს წასძლია სულმა და მოიპარა კამფეტი, მაგრამ ვის უნახავს და სად გაგონილა სულის წაძლევით ლექსების წერა? რა არის „აშლია ლექსის წერის საღერლელი“? ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული კრიტიკის უკიდურესი გაუულგარება და გამასხარავება.

ქაჯეთზე გალაშქრების წინ გამართული თათბირიდან სქოლიოში ჩატანილია უკანასკნელი ტაქი „კვლა ერთმანერთსა მიუგეს...“ (1251<sup>1</sup>) ამ ტაქის ამოღების შემდეგ ტექსტში აღარ მოსჩანს აშკარად, რომ გმირებშა ტარიელის რჩევა მიიღეს. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ეს მნიშვნელოვანი მომენტი გადაჭრით არ აღნიშნა რუსთაველს და მართლაც, აი ამ 1251<sup>1</sup> ტაქში სწერია: „დაასკვნეს იგი თათბირი ტარიას განაზრახები.“ ი. აბულაძეს კი ჰავნია, რომ „ამ საეჭვო ხანის სქოლიოში მოთავსებით პოემას არაფერი აკლდება.“

თავიდან „ქაჯეთის ციხის აღება“ ი. აბულაძეს ამოულია სამი საუკეთესო ტაქი (1252<sup>1</sup>, 1252<sup>2</sup> და 1255<sup>1</sup>). აქ აწერილ ბრძოლაში აშკარად სჩანს რუსთაველის წერის მანერის დამახასიათებელი ნიშნები: ტაქის შესავსებად ზოგჯერ წინა ტაქში ნათქვამის ნაწილობრივი განმეორება და მოვლენათა თანამიმდევრობის დარღვევა, (როგორც ეს, მაგალითად, „ლომ-ვეფხის დახოცა“-შია), რასაც შეცდომაში შეუყვანია ი. აბულაძე, რომელიც ფიქრობს რომ აზრი დანარჩენ ტაქში „უმეტნაკლებოდ“ არის გამოთქმული. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთსავე შეცდომას სჩალიოდენ ლახმანი და მისი მოწაფენი, როდესაც მათ „ნიბელუნგები“-ს ტექსტში ინალოგიურ შენთხვევებთან ჰქონდათ საქმე. მესამე ტაქის (1255<sup>1</sup>) სიყალბის დასამტკიცებლად აბულაძე იშველიებს ნ. მარრის ავტორიტეტს. აი ეს ტაქი:

ნაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთია:

კრონის წყრომით შემხედველმან მოიშორა სიტყბო რზისა:

მათვე რასხეთ გარდუბრუნდა ბორბალი და სიბრგველე ცისა.

ველნი მცვართა ვერ იტევდეს, გადადდა ჯარი მკედრისა.

არა თუ ნ. მარრი, ვოლფი და ლახმანი რომ აღდგენ მკვდრეთით ისინიც კი ვერ შესძლებენ ამ ტაეპის სიყალბის დამტკიცებას. რუსთაველი აქ სჩანს ყველაფერში. აიღეთ სტრიქონი:

მათვე რისპვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა  
და გაიხსენეთ მისი პასტიჩიონ ნესტან-დარეჯანის წერილიდან:  
რისპვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა.

სტრიქონი „ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯა-  
რი მკვდრისა“ რუსთაველის მიერ სიტყვის გამეორების ტიპაურ  
ფორმას იძლევა. შემდეგ აიღეთ ტაეპის კომპოზიონური და ინსტ-  
რუმენტალური მხარე, ბგერების შეხამება, მათი „მიჯრით მიწყობი-  
ლი“ დალაგება და დინამიური სახეების მიწყეტა ერთი - მეორეზე —  
განა ყოველივე ამაში რუსთაველი არა სჩანს მთელი მისი ბრწყინვა-  
ლებით?

სქოლიოში ჩატანილია ტაეპი „მიხვდეს არაბთა საზღვართა“...  
(1338<sup>1</sup>), ამ მოხდენილ ტაეპში ჩვენ გვხვდება ძველი ეპიური პოეზიისა-  
თვის შეტად იშეიათი რაპ—ეგრეთწოდებული Cauleur Locale (ად-  
გილობრივი კოლორი), რომლის მეოხებით მკითხველისათვის განყე-  
ნებულად წარმოდგენილი არაბთი აქ ცოცხალ სახეს ღებულობს:

დახვდა სოფლები, ციხები ხშირ-ხშირად თანისთანები,  
მუნ შიგან მყოფა ემოსა ტანთა ლურჯი და მწვანები.

გარდა ამისა, ეს ტაეპი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში  
აშკარად არის ლაპარაკი ავთანდილის პატრიოტულ გრძნობაზე:

ავთანდილისთვის ყველაი, ცრემლითა არს ნაბანები.

შაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი კავშირი პოემის ტექსტ-  
თან დღესავით ნათელია. წინა ტაეპში არაბეთისაკენ მიმავალი გმი-  
რები ნესტანითურთ ტარიელის ნაცხოვრები ქვაბიდან გაუდგენ გზას, ხოლო  
მომდევნო ტაეპში „ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტენ  
მეფისა“ და შეუთვალა „მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზსა თქვენსა  
სეფესა“-ო. ცნობილია ყველასათვის, რომ მახარობელს ჰგავნიან  
მიმსვლელიბი მაშინ, როდესაც ისინი მისასვლელ ადგილს მიუხსლოვ-  
დებიან. აქ კი, თუ ზემოხსენებული ტაეპი ამოვილეთ ტექსტიდან,  
გამოდის, რომ ტარიელი ჰგავნის კაცის როსტევანის წინაშე მეორე  
სამეფოდან, რამდენიმე თვის სავალი მანძილიდან. ის უთვლის მეფეს,  
მოვდივარ, არაბეთში კი არა, „დარბაზსა თქვენსა სეფესა“-ო, საი-  
დანაც მკაფიოდ სჩანს, რომ გზავრები კაცის გაგზავნის დროს ნამ-  
დვილად როსტევანის რეზიდენციის ახლოს იმყოფებოდენ. უკანასკნე-  
ლი გარემოება კი აუცილებლად მოითხოვს, რომ პოემაში, სადაც

ასე დაწვრილებით არის აღწერილი გშირების საქორწილო მგზავრობა, თუნდა ორი სიტყვით მაინც ნახენები იყოს მათი არაბეთში შესვლის ამბავი. და აი ამ ცნობის შემცველ ტაეპს ი. აბულაძე იღებს ტექსტიდან და თვითონ კი რჩება სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ მოთხოვობის ძაფი ამით არ გაწყვეტილა.

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაჭიოთ ი. აბულაძის მიერ პოემის ტექსტში ზოგიერთი სიტყვებისა და ფრაზების „გასწორებას“, რასაც პევლევარი წიგნის ბოლოში (347—348 გვ.) უძღვნის ცალკე საძიებელს შემდეგი პრეტენციოზული სათაურით „ჩემ მიერ აღდგენილი ადგილები“. სიტყვა, რომ ძალიან არ გაგვიგრძელდეს, მე შევეხები ამ „აღდგენილი ადგილების“ მხოლოდ ორ ნიმუშს — ერთს ავიღებ პოემის პირველი გვერდიდან, ხოლო მეორეს უკანასკნელიდან.

რუსთაველის სახელგანთქმული სტრიქონი თავისი ბრწყინვალე ანტითეზით:

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა

ი. აბულაძეს, როგორც ვიცით, იმ თავითვე არ მოსწონდა: ამ გამოცემაში ეს ადგილი შემდეგნაირად გადუკეთებია მას:

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა.

თურმე „ტყვიის ლბილი გრდემლი არ არსებობს“, როგორც ეს ი. აბულაძემ განაცხადა პოემის წინანდელ გამოცემაში, სამაგიეროდ ჩვენ ვტყუბილობთ მისი ახალი გამოცემიდან, რომ შესაძლებელი ყოფილა სიტყვის, და ისიც ლბილი სიტყვის, გრდემლი! დაუშვათ, რომ ასეით რამ არსებობს; თუ არ არსებობს, შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მისი თქმა პოეტისაგან, მაგრამ ვისგან — რუსთაველი-საგა?!? ეს ხომ წმინდა მოდერნისტული თქმა არის, რომელიც შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლის რომელიშე ქართველ პოეტს და არა რუსთაველს. ასეთ შეცდომას სჩადის ი. აბულაძე, რომელიც თავის კრიტიკულ წერილში სიტყვას არ ამბობს ისე, რომ რუსთაველის სტილი არ მოიხსენიოს.

რაც შეეხება ზემოთმოყვანილი სტრიქონის მნიშვნელობას, ამას მე ვრცლავ ვიხილავ სხვაგან (იხ. „აღიტ. ქართ. შაირი..“, გვ. 73), აქ კი მოვიყვან მის მეტად საგულისხმო განმარტივებას ვახტანგის კომენტარიებიდან:

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა: ეს ეს არი რომ ალ-მას ტყვიაზედ გასთლიან: ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს: აწე ეს ასრე არის როგორც ტყვია ლბილი ალვას გასთლის აგრე ქალი ხომ რბილი არის და ამ ნესტანდარეჯნისა და თინათინის საცოლოდ მონდომებამ: გმირის ტარიელის და ავთანდულის სიმაგრე გასთალა: ვატეხა და ძალიანი საქმეები აქნევინა.“

ეხლა განვიხილოთ ი. აბულაძის მიერ „აღდგენილი აღგილების“ შეორე ნიმუში. აღდგენა ამ შემთხვევაშიაც საქმაოდ ცნობილ სტრიქონს შეეხება, რომელიც ყველა ხელნაწერებში და ბეჭვდითი გამოცემებში შემდეგნაირად იკითხება:

დილარგეთ სარგის თმოგველსა მას ენა-დაუშრომელსა.

აბულაძეს ეს სტრიქონი თავის გამოცემაში ასე აქვს წარმოდგენილი:

დილ არგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა.

მე გადმოგცემთ აბულაძის შეჯელობას ამ ადგილის შესახებ რაც შეიძლება მოკლედ და გარკვეულად. მკვლევარის აზრით „დილარგეთ“ შესდგება ორი ნაწილისაგან: 1) დილ და 2) არგეთ (მიაკუთვნეთ). თავდაპირველად კი აქ ყოფილა ერთი სულ სხვა სამარცვლოვანი სიტყვა, რომლის უკანასკნელი მარცვალი იყო „დილ“. ვიღაც გადამწერს ჩავარდნია ალბად ხელში დაზიანებული ხელნაწერი, სადაც ამ სიტყვას მოხეული ჰქონია ორი პირველი მარცვალი და, მაშასადამე, მთელი სტრიქონი წარმოდგენილი ყოფილა შემდეგი სახით „...დილ სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა“. გადამწერს მოუნდომების დაზიანებული სტრიქონის აღდგენა და ამ მიზნით მას უცნობი სიტყვისაგან დარჩენილი მარცვლის შემდეგ ჩაურთავს ორმარცვლოვანი სიტყვა არგეთ. „მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ის ორი პირველი მარცვალი, რომელიც შეადგენდა სახელის „დილ“-ის პირველ ნაწილს იმ დრომით, სანამ იგი დაიღუპებოდა და დაზიანებული სახით ჩაუგარდებოდა ხელში რესტავრატორის?“ კითხულობს აბულაძე და შემდეგ დასტენს: „ჩვენის აპრილი, ეს უნდა ყოფილიყოს „ავთან“. მკვლევარი განაგრძობს: „ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ რომ „ავთანდილ“ და ორი „დილარგეთ“, ან „დილარ“, უნდა ყოფილიყოს დღემდის იმ უცნობი ნაწარმოების მთავრი გმირის სახელი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო მინაწერის ცნობით „უქია სარგის თმოგველსა მას გნა დაუშრომელსა“.

ამგვარად, როგორც მკითხველი ხედავს, ი. აბულაძის კვლევა-ძიებიდან, რომლის ფანტასტიურობა შეხერხებადასაც კი გააოცებდა გამოღის, რომ თავდაპირველად ეს ადგილი ასე იკითხებოდა:

ავთანდილ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რატომღაც მას არ უსარგებლნია ამ „კვლევა-ძიების“ შედეგით და თავის გამოცემაში სიტყვა დილ არგეთ ყოვლად უაზრო „დილ“ და „არგეთ“-ად დაუნაწილებია. სამწუხაროა, რომ აი ასეთ აბდაუბდას თანამედროვე ქართულ ფილოლოგიაში სახელად მეცნიერული კვლევა-ძიება ეწოდება.

ამით ვათავებ ამ გამოცემის კრიტიკას. მე არ შემეძლო არ ვყოფილყო მკაცრი, ვინაიდან აქ საქმე შეეხება ქართული კულტურის უდიდესი ძეგლის დამახინჯებას და ამიტომ, ჩემის აზრით, არავითარ ლმობიერებას დამნაშავის მიმართ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რომ ასეთი „მეცნიერული ნაშრომები“ არც თუ ისე უკეთოდ ჰქონებიან ჩვენში, როგორც მათ შეეფერება, ეს იქნედანა სჩანს, რომ „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ან თოლოგიამ“ ი. აბულაძის მიერ დასახირებული ვეფხის-ტყაოსანის ტექსტი თავსს ფურცლებზე დასტამბა და ის ამ სახით მთელ სიქართველოს მოეფინა.

## IV. ვეფხის-ტუაოსანი ს. კაკაბაძის მეორე გამოცემით.

ვეფხის-ტუაოსანის არცერთი ბეჭვდითი გამოცემა ისე სრული არ არის, როგორც ს. კაკაბაძის რედაქტორობით მეორედ გამოცემული (ტფილისი, 1927 წ.). პოემის ტექსტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის დაბოლოებას.

ამ გამოცემაში ვახტანგისეული რედაქციისაგან შეტანილი არ არის, გარდა დასასრულისა, სულ რვა ტაპი, რომლებიც, ს. კაკაბაძის აზრით, ჩამატებული უნდა იყოს ტექსტი ყალბისმქნელის მიერ.

ეს ტაეპები ისე ფრთხილად არის ამოღებული, რომ ტექსტიში ამით არ იქმნება რაიმე ისეთი გაუგებრობა, როგორსაც, მაგალითად, ი. აბულაძის მიერ მუხლენილი ოპერაციები იწვევს ზოგიერთ აღგილას. მაგრამ ეს ვარემოება, რა თქმა უნდა, არაფერს არ ამტკიცებს. უშერესი ნაწილი მათ შორის რუსთაველის წერის მანერის უდაონიშებს ატარებს და მათ სიყალბეზე სრულიად ზეღმეტია ლაპარაკი. შესაძლებელია მხოლოდ, რომ ზოგიერთი მათგანი თვითონ რუსთაველის მიერ ამოღებული იყო პოემის ტექსტიდან მისი საბოლოო რედაქციის დროს. ს. კაკაბაძის მსჯელობა ამ ტაეპების შესახებ ზოგჯერ საქმაოდ სუბიექტიურია, მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე სამართლიანად ჰქმობს ასეთ მიდგომას; მაგალითიდ, ტაეპი „მოქცევივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდონ“, ყალბად მიაჩნია მას მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ნათქვამია ფრიდონისა და ავთანდილის შესახებ: „მამკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ანუ ჰყიდონ“, რაც, მკვლევარის აზრით; „რუსთაველის სტილს სრულებით არ უდგება“. მართალია, ეს ვერ არის მოხდენილად ნათქვამი, მაგრამ განაცოტა არის ვეფხის-ტუაოსანში, ისე როგორც სხვა ძველ ეპიურ პოემებში, ულამაზო და უხერხული გამოთქმანი? მაგალითად, მე პირადად ძალიან სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ ისეთ დიდებულ აღგილს, როგორიც ავთანდილის მიმართვაა მნათობთადმი, ამახინჯებს შემდეგი უშნო შედარება: „შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითავირსა“, ან კიდევ: ზღვათა მეფის კარზე გადახდილი ქორწილის ბრწყინვალე აღწერის შემდეგ ნათქვამია, რომ ასმათი „ნესტან-დარეჯანს მოეჭდო, რომე ვერ გახსნის ცულები“. მაშ მე უფლება უნდა მიესცე

ჩემს თავს ეს ადგილები და ზოგიერთი სხვა ასეთები ყალბად გამოვაცხადო? თუ რამდენად სუბიექტიურია და სერიოზულ ნიაღაგს მოქლებული ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა მსჯელობა რუსთაველის სტილის შესახებ, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: ზემოხსენებულ ტაქს პოემის ტექსტში მოსდევს ერთი ჩემს მიერ ზემოთ უკვე განხილული ტაქტი, რომელშიაც ავთანდილი სილამაზით ფრიდონზე მაღლა არის დაყენებული (აბულაძის გამოცემით — 858<sup>1</sup>). პირველი ამ ტაქტაგანი ი. აბულაძეს მიაჩნია ნამდვილად, ხოლო მეორე ყალბად, ვინაიდან ეს უკანასკნელი იქცევს მის ყურადღებას „როგორც სტილის სიახლით და ნაძალადეობით, ისე აშკარა უადგილობით“; სამაგიეროდ, ს. კაკაბაძის აზრით, ნამდვილია მეორე ტაქტი, ხოლო პირველი „რუსთველის სტილს სრულებით არ უდგება“. რომელია მართალი? რა თქმა უნდა, არცერთი.

ვეფხის-ტყაოსანის დასასრული ს. კაკაბაძის გამოცემაში წარმოდგენილია სრულიად ახალი სახით. კაკაბაძე დაკვირვებული მკვლევარია. მან პირველმა შეიტანა ეჭვი ვახტანგისეული რედაქციის დაბოლობის სისტორეში. მან სრულიად სამართლიანად დაიწყო პოემის სხვაგვარი დასასრულის ძებნა, მაგრამ ამ ძების შედეგები მეტისმეტად სამწუხაროა. ს. კაკაბაძეს პოემის დასასრული უძებნია ვახტანგისეული რედაქციის ფარგალთა შიგნი, მაშინ როდესაც ის აუცილებლად ამ ფარგლების გარეშე მოქცეული. ვახტანგისეული რედაქციისათვის მას მოუკვეთია, როგორც ვითომ შემდეგ წამატებული „ვინმე მესხის“ მიერ, უკანასკნელი თავი, — „აქა ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან“, რომლის სინამდვილეში ჯერ არცერთი მკვლევირი არ დაეჭვებულა, და პოემა დაუმთავრებია ავთანდილისა და თინათინის დალოცით როსტევანისაგან: მკვლევარი ფიქრობს, რომ აი სწორეთ ამ აქტით თავდება ბუნებრივად პოემის ფაბულა. თუ რით უნდა გათავდეს პოემა ბუნებრივად, ამის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვეწება ქვემოთ, როდესაც ვახტანგისეულ რედაქციის შევეხები, ხოლო ეხლა კი განვიხილოთ ის მცირე საფუძველი, რომელიც ს. კაკაბაძეს პოემის ტექსტში გამოუნახავს თავისი მეტად პასუხსაგები ოპერაციის მოსახდენად.

პოემის ვრცელ რედაქციაში არის ორი მეზობელი ტაქტი (ს. კაკაბაძის პირველი გამოცემით 1608 და 1609); პირველ მათგანში ნათევამია: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანენტო არა სძულდეს“; ხოლო მეორეში: „ფრიდონცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მოიყვანიან“. ამ ტაქტების შესახებ ს. კაკაბაძე მსჯელობს შემდეგნაირად!

„ტაქპების ასეთ გადასცლის შეუსაბამობა ცხადია: პირველ ტაქპში ლაპარაკია სამს ხელმწიფებელი. წინამორბედ ტაქპების მიწედვით კი შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ საზ ხელმწიფებელ იგულისხმებიან ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან მომდევნო ტაქპში ვკითხულობთ: „ფრიდონცა ესვა მოყვარედ...“ და სხვა... ამის გამო გაუგებარი რჩება, თუ ვინ არის აქ მესამე ხელმწიფე, მაგრამ ეს ადვილი გასაგები იქნება, თუ კი ტაქპს „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს...“ ვიგულისხმებო წინამდებარე გამოცემის მე-1546 ტაქპის გაფრაქლებად: მაშინ სამ ხელმწიფედ იგულისხმებიან როსტევან, ტარიელ და ავთანდილ, „რომელთაც ფრიდონცა ესვა მოყვარედ“. ვინმე მესხის მელექეს ამ lapsus-ის მეობებით შესაძლებელი ხდება მექანიკურად ვეფხის-ტყაოსნის დასასრულის პირვანდელი ჰასით აღდგენა მოცულობის მხრივ ისე, როგორც ეს ქვემოთ ამ გამოცემაში არის წარმოდგენილი“.

არავითარ lapsus-ს „ვინმე მესხის“ მხრით, რომელიც ნამდვილად იგივე რუსთაველია, აქ ადგილი არა აქვს. პირიქით ჩვენ ვდგევართ, ძალიან განციფრებული სახით, თვითონ ს. კაკაბაძის შეუწყნარებული lapsus-ის წინაშე. არა თუ როგორ დაუშვა, როგორ წარმოიდგინა პატიცემულმა მკელევარმა, თითქო სიტყვები „მათ სამთავე ხელმწიფეთა...“ ერთ - ერთ ხელმწიფედ ჰელისხმების არა ურიდონს, არამედ როსტევანს? ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ პოემის შესავალში ვკითხულობთ: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირო ერთმანერთის მონება“, — ისეთი ტრიადა არის ვეფხის-ტყაოსანში, რომლის დაშლა ყოვლად წარმოუდგენელია. გარდა ამისა, ხსენებული ტაქპის დანარჩენი შინაარსი დან: „ერთმანერთსა ნახვიდიან“, „მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორქმულდეს“, განა აშეარად არა სჩანს, რომ აქ ლაპარაკია ამ ახალგაზრდა სამი გვირგვინოსნის შესახებ, რომელთაგან „სახელმწიულს მომატება“ და „გამორქმულდება“ მათი მომავალის საკითხს შეადგენს! ზუთუ სიტყვები „ერთმანერთსა ნახვიდიან“ როსტევანისა და ავთანდილის ყოველდღიურ შეხვედრას შეეხებიან, ან მხოლოდ როსტევანის მოგზაურობას ჰელისხმებინ შორეულ იხდოეთში ტარიელის სანახავად? და პყრდნობია რა ამ სრულიად შეუსაბამო მოსაზრებას, ს. კაკაბაძეს ხსენებული ორი ტაქპი თავიანთი ნამდვილი ადგილიდან გადაუტანია ას ათი ტაქპით უკან, რაც მაჩვენებელია მკვლევარის საარაკო თვითნებობისა ამ შემთხვევაში.

მართალია, ამ ორ ტაქპ შორის ს. კაკაბაძის მიერ აღნიშნული შეუსაბამობა ნამდვილად არსებობს, მაგრამ საკვირველია აქ ერთი გარემოება: განა ას ათი ტაქპის ყალბად გამოცხადების ნაცვლად უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა ეფიქრა მკვლევარს, რომ ერთ-ერთი

ამ ტაქტაგანი დაუმახინჯებია რომელიმე ძველი გადამშერის უნებურ შეცდომას, რასაც შედეგად ეს შეუსაბამობა მოჰყოლია? მართლაც, თვით ს. კაკაბაძეს იქვე (შესავ. XII) მოჰყავს ხელნაწერიდან № 2829 მეორე ტაქტის სხვა რედაქცია, რომელშიაც სიტყვები „ფრიდონცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მოიყვანიან“ იყითხება შემდეგნაირად: „ორთვე მტერი მოყვარედ მათ წინა მოიყვანიან“. ამ ტაქტის ასეთი წაკითხვა, გარდა იმისა, რომ სპობს ყოველგვარ გაუგებრობას, უფრო სწორეც არის, ვინაიდგან სიტყვები „მათ წინა მოიყვანიან“ იმდენად „მოყვრად დასმულ“ ფრიდონს არ შეეფერება, რამდენადაც ბრძოლაში დამარცხებულსა და დატყვევებულ მტერს, რომელიც შიშის გამო „მოყვარედ“ გადაიქცევა.

ვეფხის-ტყაოსანის ამ შედარებით კარგ გამოცემას აფუჭებს მასში წარმოდგენილი პოემის ყოვლად გაუმართლებელი დასასრული. მაგრამ ს. კაკაბაძეს, დამატების სახით, მაინც დაუსტამბავს წვრილი შრიიფტით გახტანგისეული რედაქციის დაბოლოება. ეს „დამატება“ შეიცავს სულ 52 ტაქტს. მიუხედავათ იმისა, რომ საერთოდ სრულიად ზედმეტია მათი ორიგინალობის მტკიცება, მე მაინც მიუთითებ ერთ გარემოებაზე, რომელიც ამ ტაქტებს ყოველგვარი ეჭვის გარეშე აყენებს. ჩემს წიგნში „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხის-ტყაოსანის პრობლემა“, მე ერტლად შევეხე რუსთაველის სტილის მთავარ ნიშანდობლივ თვისებას — სტრიქონში სიტყვის ძალიან ხშირ განმეორებას. ეს ნიშანდობლივი თვისება მე ამ ეამაღაც აბსოლუტურად დამაჯერებელ საბუთად მიმაჩნია ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის შემოწმების დროს, როდესაც ეს შემოწმება მთელ თავებს ეხება. სტატისტიკური ცნობები. რუსთაველის მიერ სიტყვების განმეორების შესახებ მე შემდეგნაირად წარმოვადგინე („ალიტ. ქ. შ.“ გვ. 49): დავითვალე ეს განმეორებანი მთელ პოემაში და აღმოჩნდა, რომ ყოველ 50 ტაქტის (ე. ი. 200 სტრიქონის) მანძილზე არის საშუალოდ 36-37 სიტყვის განმეორების შემთხვევა, მაშინ, როდესაც სხვა ძველი პოეტების ლექსებში სიტყვების ასეთი განმეორება ამდენსავე მანძილზე ხუთმეტს, ყოველ შემთხვევაში ოცს, არ აღემატება. ეხლა დავითვალოთ, თუ რამდენია ამგვარი განმეორება ზემოაღნიშნულ 52 ტაქტში, რომელიც ს. კაკაბაძეს წვრილი შრიიფტით დაუბეჭდავს. სულ არის 38 სიტყვის განმეორება \*). მოვიყვან აქ ხუთ პირველ შემთხვევას.

\*) აი ისინი ს. კაკაბაძისავე ნუმერაციით: 1-1, 2-3, 3-3, 6-3, 6-4, 8-1, 8-2, 10-1, 12-4, 14-1, 14-4, 15-1, 18-2, 20-3, 21-2, 21-3, 21-4, 23-2, 23-3, 23-4, 26-1, 27-4, 34-3, 36-2, 36-2, 36-4, 37-4, 38-3, 40-2, 42-1, 44-2, 44-3, 45-2, 45-3, 45-4, 49-4, 50-2.

1. მას დღე ავთანდილ ხ ელმწიფედ ზის და ხ ელმწიფე ჟენია.
2. შეიქნა ძლის ბა ძლევნისა მათისა შესამგზავსისა.
3. კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.
4. მის ქორწილისა მა ქები კაცი ბრძენთავან იქები.
5. მ ეფე ხარ ყოვლთა მეფეთა და ეგვ დედოფალია.

თუ ს. კაკაბაძე გვიჩვენებს ან კლასიკური, ან ოლორძინებას პერიოდის რომელიმე პოეტიდან ისეთ 50 ერთიმეორებზე გადაბმულ ტაქტს, რომელშიაც 37 სიტყვის ამგვარი განმეორება იქნება, მაშინ ჩემი საბუთი ჩაითვლება შემცდარად, მანამდე კი მის უკუკველობას კათეგორიული ხასიათი უნდა შერჩეს.

გარდა ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს შემდეგ გარემოებას. სარგის კაკაბაძის კრიტიკულ წერილში, რომელიც მას პოემის ტექსტისათვის წაუმდლვარებია, ჩვენ ვნახულობთ რუსთაველის საქმაოდ დეტალურ „ბიოგრაფიას“. დაუსრულებელ კამათს იწვევს საერთოდ პოეტის ვინაობა, სადაურობა, ის, თუ რომელ ეპოქაში სკხოვრობდა იგი, და უცებ მისი ბიოგრაფიის დეტალები—განა საკვირველი ამბავი არ არის? განვიხილოთ სქემატიურად, თუ რა მოულოდნელ აღმოჩენებზე ამყარებს ს. კაკაბაძე ამ საინტერესო ამბავს. აი ის ორი მოსაზრება, რომელიც საფუძველია აქვს დადებული მკვლევარის მიერ რუსთაველის ცხოვრების აღწერას: 1. შოთა რუსთაველი იყო თამარ მეფის დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ჭიაბერის შვილი; 2) ის იყო თამარიანის ავტორის ჩახრუბაძის ძმა. როგორ ასაბუთებს მკვლევარი თავის ამ ორ მოსაზრებას? გაეგმიშვლოთ ეს დასაბუთება, რომ უფრო ნათელი შეიქნება მკითხველისათვის მთელი მისი სიმსუბუქე. თამარ მეფის დროიდან დღემდე შენახულა ერთი სიგელი, რომლითაც ჭიაბერის შეუწირავა შიო მღვიმის მონასტრისათვის უინგანის ქონების ნაწილი. ამ სიგელს ხელს აწერენ მეფე, კათალიკოსი, თვით ჭიაბერი, ვიღაც. შოთა, ავაგ ორბელი და ენე ორბელი. ეს სამი უკანასკნელი პირი, ს. კაკაბაძის აზრით, ჭიაბერის შვილები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მეფის, კათალიკოსის და თვით ჭიაბერის ხელის მოწერის შემდეგ არავის ხელის მოწერა არ იყო საჭირო გარდა შვილებისა. განა შეიძლება ასეთ მოსაზრებაზე ამგვარი დიდმნიშვნელოვანი დასკვნის დამყარება? რა ვიცით ჩვენ, თუ ვინ იყო ეს დანარჩენი სამი პირი, რა თანამდებობა ეჭირათ ან რა კავშირი ჰქონდათ უინვანის ქონებასთან? რომ ს. კაკაბაძის აღნიშული მოსაზრება არ შეიძლება ერთადერთი იყოს, ეს იქედანაცა სიახლის, რომ პავლე ინგოროვა. ამ ვიღაც შოთას მიერ ხელმოწერას. ხსნის, როგორც სიგელის განახლებას შემდეგი მფლობელისაგან, ხოლო თვით ეს შოთა მიაჩინა მას

ჰერეთის ერისთავის გრიგოლის ძეთ. ამ საკითხის შესახებ ქვემოთ გვექნება კიდევ ლაპარაკი, აქ კი ხაზი მინდა გაუსვა მხოლოდ იმ გარემოებას, თუ რა ადვილად იციან თავიანთი მოსაზრებების მტკიცება ვეფხის-ტყაოსანის მევლევარებმა და რა იოლად ეხერხებათ მათ ნემ-სის უურში აქლემის გაძვრენა.

მეორე თავის მოსაზრებას (რომ რუსთველი და ჩახრუხაძე ძმები იყვნენ) ს. კაკაბაძე ამტკიცებს თამარიანის ერთი შემდეგი სტროფით:

„მოხევეს ძეთა ჩახრუხაძეთა  
ექოთ თამარი მეფე წყლიანი,  
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე  
თინათინ ვაქო ბალი წყლიანი.  
ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ,  
არაბეთს იყო სულადიანი,  
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი,  
სამოთხის ვარდი პირად მშიანი.

მკელევარს მოჰყავს ეს ადგილი თამარიანიდან და სწერს:

„საკმაოდ გარკვევით პოეტი აქ უნდა გვიჩვენებდეს, რომ მეორე ჩახრუხაძე, თამარის შემქებელი, არის ის, რომელსაც რომანიული გმირის თინათინის ქებით უკვე წარმოედგინა თამარ მეფის შესხბა, ე. ი. იგივე ვეფხის-ტყაოსანის დამწერი“. თუ ზემოთმოყვნილი სტროფიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, თითქო ერთ-ერთი ჩახრუხაძე ვეფხის-ტყაოსანის დამწერია, მაშინ იმავე საბუთით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთმა ჩახრუხაძემ დასწერა ჰა მ ლ ე ტ ი, ხოლო მეორემ დონ - კი ხოტი. პირიქით, თუ კი სიტყვებიდან „ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“ რაიმე აზრის გამოტანა მოხერხდება ჩახრუხაძეებისა და რუსთაველის ურთიერთობის შესახებ, ეს მხოლოდ იმისი, რომ აქ ჩახრუხაძეები აშკარად არიან გამომიჯნული რუსთაველისაგან.“

საკვირველი კიდევ ის არის, რომ, როდესაც ამგვარად ს. კაკაბაძე არკვებს ჩახრუხაძის მიხედვით შოთას ვინაობის საკითხს და თამარიანში გამოყვანილ მოგზაურ რაინდს ვეფხის-ტყაოსანის დამწერად აცხადებს, ამის შემდეგ ის უკვე შოთას მეოხებით ჩახრუხაძის ვინაობას აშუქებს. ეს გარემოება მე ძალიან მაგონებს ცნობილ ანეკდოტს ორი დაპატიმრებული კაცის მიერ მიცემული მისამართების შესახებ, რომ ისინი ერთიმეორეს პირდაპირ სცხოვრობენ.

ამგვარად, რაკი ს. კაკაბაძის ეს ორი ძირითადი დებულება რუსთაველის ვინაობის შესახებ სრულიად დაუმტკიცებელია, მაშინ ცხადია, რომ მთელი ის შენობა, რომელსაც იძლევა მისი ისტორიულ-



ლიტერატურული კვლევა-ძიება ამ საკითხის გარშემო იგებულია ქვიშაზე. მართლაც, დაუშვათ, რომ ს. კაკაბაძის ვრცელი ცნობები თამარის ეპოქის, ჭიაბერის ვინაობის, ან რუსთავისა და ჰერეთის შესახებ სავსებით სწორია, მაინც რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ვეფხის-ტყაოსანის ავტორთან? ვსოდა, თამარიანში მოხსენებული ვიღაც მოგზაური რაინდი რეალური პიროვნება არის და მან მართლაც ბევრი იმოგზაურა, მაგრამ რა შუაშია აქ შოთა რუსთაველი?

## V. პავლე ინგოროვას „რუსთველიანა“

თავის „რუსთველიანაში“ პავლე ინგოროვა იხილავს ვეფხის-ტყაოსანის თარიღისა და პოემის ავტორის ვინაობის საკითხს. ამ საკითხების გასარკვევად მას აქა-იქ პოემის ტექსტის განხილვა უნდება. ეს განხილვა რომელსაც, ავტორის განცხადებით, „რუსთველიანას“ მესამე წიგნში ვეფხის-ტყაოსანის სრული ტექსტი უნდა მოჰყვეს იმ სახით, როგორც ის მკვლევას ესმის, ჩვენ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რამდენად უფრო ზორს წასულა პ. ინგოროვა ყალბი ადგილების ძებნის საქმეში სხვებთან შედარებით. პ. ინგოროვა განირჩევა პოემის დანარჩენი მკვლევარებისაგან ესთეტიკის საკითხების ცოდნით და ბუნებრივი მხატვრული ალლოთი, ამიტომ მხოლოდ მისგან იყო მოსალოდნელი ვეფხის-ტყაოსანის სრული აპერკეპტია, როგორც მთლიანად, ისე დეტალებში. მით უფრო საინტერესოა ჩემთვის მისი ნაშრომის გარჩევა.

მე ჯერ გვერდს აუყოლი „რუსთველიანას“ პირველ ნაწილში დასმულ საკითხებს პოემის გაგრძელებისა და ეახტანგისეული რედაქციის მნიშვნელობის შესახებ და, თანახმად ჩემგან მიღებული ვეგმისა, პირდაპირ შეუდგები მკვლევარისაგან ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებში ყალბად მიჩნეული ადგილების განხილვას. პ. ინგოროვას აზრით, ვახტანგისეული რედაქცია ყველაზე ძველია და პოემის პირვანდელ სახესთან უფრო დაახლოებული, მაგრამ ჩანართი ადგილები აქაც ბევრია (მისი ფიქრით, დაახლოებით ოთხას ტაეპამდე). ამ ჩანართ ადგილებს ის ჰყოფს ორ კათეგორიად: ტენდენციური და ციკლიური დამატებანი. პირველი წარმოადგენს ვითომც რუსთაველის წინააღმდეგ მიმართულ ფარულ პოლემიკას, ერთი მხრით, და პოეტის რეაბილიტაციას მისი მოსარჩევების მიერ, მეორე მხრით, ხოლო ციკლიური დამატებანი კი ატარებენ ამა თუ იმ ცალკე ეპიზოდის ჩემულებრივი გაშლა-გაფართოების ხასიათს. პირველი ჯგუფის დამატებების შესახებ მკვლევარი სწერს:

„რომ მკითხველმა წარმოდგენა იქნიოს, თუ როგორი იქმნიტურა ხასიათისა ეს ტენდენციური ინტერპოლაციები, ჩვენ პირველად ავიღებთ ერთ დამატებას, სადაც ყალბის მქნელი აწარმოებს ფარულ პოლემიკას და სცდილობს ვეფხის-ტყაოსნის შინაგან გაბათილებას“.

ამის შედეგ მას მოჰყავს პოემის პროლოგიდან სამი თანამიმდევარი ტაქტი—1) „ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“... 2) „მას უშძაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს“.... და 3) „მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა“... იქვე პ. ინგოროვეას წარმოდგენილი აქვს ახალ ქართულზე მათი თარგმანი, რომელიც, მისი აზრით, არის „ზედმიწევნითი და აღექვატური“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოვლად დაუშვებელია ლექსების თარგმნა პროზაული სიტყვით. პოეტური ნაწარმოები იმდენად და-შოკიდებულია სიტყვიერი მასალის შერჩევასა და დალაგებაზე, რომ შას, პროზით გადმოცემულ კონტექსტში, ეკარგება, ან ეცვლება, თავისი ნამდვილი შინაარსი. აი რასა სწერს ამის შესახებ ბ. ტომაშევსკი თავის ერთ წიგნში:

„საქმე იმაშია; რომ მხატვრულ სიტყვას, განსაკუთრებით პოეტურ, რიტომიულ სიტყვას, აქვს თავისი, მარტო მისთვის დამახასიათებელი ესთეტიური ტემპი. მისი აჩქარებით ან შენელებით ჩვენ უკარგავთ ამ სიტყვას ჩამოყალიბების პრინციპს, ვხსნით „კონსტრუქტიულ“ პრინ-ციპს მისგან. ეს არ არის მცირე მნიშვნელობის მომენტი, ყველასათვის ცნობილია, რომ არ შეიძლება ლექსის გადმოცემა პროზით: თითქოს გამოდის ის, რაც უნდა გამოგიდეს, და არც გამოდის. ლექსად გა-მოთმული ღრმა აზრიანი აფორიზმი გაცემილ ჭეშმარიტებად იქცევა პროზაულ გადმოცემაში. შესაძლებელია წინააღმდეგიც: ლექსის მსუ-ბუქი მეტაფორა მძიმება პროზაულ სიტყვაში და იღებს ისეთ მნი-შვნელობებს, რომლებიც მას ლექსში სრულებით არ ჰქონდა (\*).“

ჰავლე ინგოროვეას ამ თარგმანების წინააღმდეგ შეიძლება გა-შოთქვას არა მარტო პრინციპიალური მოსაზრება. რუსთაველის ზო-გიერთი სიტყვები და გამოთქმები ისე თავისებურად არის იქ გან-მარტებული, რომ ზოგჯერ ტაქტის, არა თუ ზედმიწევნითი, დაახლო-ებითი თარგმანიც არ გამოდის, რაც გაუგებრობის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, პ. ინგოროვეა ისე ხშირად მიმარ-თავს პოემის იდგილების ახალ ქართულზე თარგმნას, რომ იბადება კითხვა, თუ როგორი მკითხველი ჰყავს მას მხედველობაში. კვალიფი-ციურ მკითხველთათვის საკმაოა მხოლოდ ძნელად გასაგები სიტყ-ვებისა და გამოთქმების განმარტება და არა ტაქტების პირშმინდათ თარგმნა, ხოლო არაკვალიფიციურ მკითხველს კი რისთვის უნდა გა-უშიოს მკვლევარმა ანგარიში ასეთ სპეციალურ ნაშრომში? ამ თარ-გმანების მიზანია, ჩემის აზრით, გააშიშვლოს და ნათელჲყოს მკით-ხველისათვის პოემის ტექსტში ის, რაც მკვლევარის დაეჭვებულ ყუ-

\* Б. Томашевский: Пушкин. Современные проблемы исто-рико-литературного научения. гл. 95.

რადლებას დაუნახავს და რასაც ნამდვილად ადგილი არა აქვს მასში. ალბად წინასწარ ჩამოყალიბებულმა მთლიანმა კონცეპტიამ ვეფხის-ტყაოსანის შესახებ იმდენად გაიტაცა მქვლევარი, რომ თვითონ ვეღლარ ამჩნევდა, თუ როგორ იხრებოდა, ზოგჯერ კი დიამეტრალურად იცვლებოდა, რუსთაველის ტექსტის აზრი მის თარგმანებში.

ავილოთ ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ ზემოთ დასახელებული ადგილი, რომელიც, პავლე ინგოროვას აზრით, იეზუიტური ხასიათის ფარულ პოლემიკას წარმოადგენს პოემის შინაგანი გაყალბების მიზნით. ეს ადგილი, როგორც აღნიშნე, იწყება სტრიქონით:

ხამს თავისსა ხვაშიადსა არვითანა ამეღავნებდეს.

ამ პირველ სტრიქონს პ. ინგოროვა ასე სთარგმნის ახალ ქართულზე: „ნამდვილი მიჯნური არავისთან არ უნდა ამეღავნებდეს თავის საიდუმლოს“. პ. ინგოროვამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „ხამს“ ნიშავს „მართებს“ და არა „ნამდვილს“, რაც უდავოდ და ამიტომ სიტყვის გაგრძელებას არ მოითხოვს. მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ ამ ერთი სიტყვის შეცვლას დიდი მნიშვნელობა არა აქვს ტექსტის გასაგებად. პირიქით, ეს აქ მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. საქმე იმაშია, რომ პავლე ინგოროვას აზრით, აქ ვიღაც ინტერპოლიატორი შემდეგნაირად ეკამათება რუსთაველს: შენ ვიყვარს თამარი და ამას აშეარად აღიარებ პოემაში, ესე იგი ამეღავნებ სიყვარულის საიდუმლოებას, ნამდვილი მიჯნური კი ასე არ უნდა იქცეოდეს. ამიტომ სიტყვა „ნამდვილი“ მკვლევარის თარგმანს აძლევს იმ საპოლემაკო ტანს, რომელიც საჭიროა მისი აზრის დასამტკიცებლად და რომელიც რუსთაველის ტექსტს ნამდვილად არა აქვს. ავილოთი ეხლა თარგმანის მეორე სიტყვა — „მიჯნური“ („ნამდვილი მიჯნური...“). საიდან იცის მკვლევარმა თავის „ადექვატურ“ თარგმაში, რომ რუსთაველის ზემოთმოყვანილ სტრიქონში ქვემდებარედ ნაგულისხმევი სიტყვა „ის“ შეეხება მიჯნურს და არა ვინმე სხვას? ეს იცის მან წინამორბედი ტაეპადან, რომელიც მას იქ არ მოჰყავს. აი ეს ტაეპი:

არს პირველი მიჯნურობა არ დაჩნა, ჭირთა მალვა.

თავის წინა იგონებდეს ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა;

შორით ბრესა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,

დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ამას მოჰყვება ტაეპი „ხამს თავისსა ხვაშიადსა არავისთანა ამეღავნებდეს“, და ამ გადასელაში აზრის მიმდინარეობას აბსოლუტურად არ ემჩნევა რაიმე განხრა, მსჯელობის ხაზი აქ ლარივით სწორია, მომდევნო ტაეპი უშუალოდ გამომდინარეობს პირველიდან, რო-

გორუ შინაარსის მხრით, ისე გრამატიკულად. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თურმე არც ეს წინა ტაეპი ყოფილა რუსთაველის ნაწარმოები. პ. ინგოროვას აზრით (რაც სჩანს „რუსთაველიანას“ მე-62 გვ. უკანასკნელი სტრიქონიდან, სადაც ნომერი 12 ჰგულისხმობს ამ ტაეპს), ის ჩაურთავს პოემის ტექსტში რომელილაც ინტერპოლია. ტორს, რუსთაველის დამცველთა ბანაკიდან, მოქამათესთან საკამაოდ, გამბათილებელის გასაბათილებლად; ეს ყოფილა, ასე ვსთქვათ, კრიტიკის კრიტიკა. ამ მოსაზრების ფანტასტიურობა ყოველივე ეჭვის გარეშე უნდა იქნეს დაყენებული. გამოდის, რომ რუსთაველის პოემას თინიას მამითადივით შესევია ყალბისმექნელების ხროვა და „ამუშავებენ“ მას. ამგვარი წესით ითოხნება ჩენეში ყანა, იმკება პური, იკრიფება ვენახში ყურძენი, მაგრამ არსად მთელ დედამიწის ზურგზე ასე არ დაწერილა არცირთი მხატვრული ნაწარმოები. გარდა ამისა, როგორ მოხდა, რომ პირველმა ინტერპოლიატორმა თავისი ინტერპოლიაცია დაიწყო ისეთი ფრაზით („ხამს თავისსა ხეაშარდსა“), სადაც ქვემდებარე სრულიად გაურკვეველია? ნუ თუ იმ იმედით, რომ ამ საქმეს გამოასწორებდა შემდეგ ში სხვა, მისი მოწინააღმდეგე ყალბისმექნელი!

პალე ინგოროვა იხილავს ამ სამ ტაეპს აგრეთვე ფორმალური მხრითაც და სწერს:

„ამ სტროფების სიყალბეს ამხელს, გარდა მისი საერთო ვულგარული სტილისა და შინაარსისა, აგრეთვე ფორმალური ნიშნები; საკმაოა აქ აღნიშნოთ, რომ ამ ყალბ დამატებაში წარმოდგენილია დარღვევა: ქართული რითმის ისეთი ელემენტარული განონისა, როგორიცაა ერთმარცვლოვანი (ვაჟური) რითმის ხმარება ორსა და მრავალ-მარცვლოვან სიტყვებში: „გამუღავნოს—ივნოს“; მის სხვა მაგალითი არ არის ვეფხის-ტყაოსანში, არა თუ ნამდვილ ტექსტში, არამედ ჩამატებულ ადგილებშიც“. (გვ. 47).

ამის შესახებ საერთოდ უნდა ითქვას შემდეგი: რითმის კლასიფიკაცია ემყარება არა სარითმო სიტყვების მარცვალთა რაოდენობას, არამედ სალექსო სტრიქონის ეგრეთწოდებულ კლაუზულ ათა ზასიათს. ერთმარცვლოვანი ანუ ვაჟური რითმის ვეფხის-ტყაოსანში არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან აქ ლექსის მეტრი (შაირი) სრულებით არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ის, რაც პ. ინგოროვას ვაჟურ რითმიად მიუჩნევია, ნამდვილად ნაკლული რითმა არის. მეტვლებარი ტყუილად ფიქრობს, თითქო ვეფხის-ტყაოსანში ამის მეორე მაგალითი არ იყოს. აი შეორე მაგალითი ძირითადი ტექსტიდან:

ხამსცა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დარიდნეს, ოდეს სიტყვა უმეცრული უალაგოდ დაიყბედნეს.

წოლო რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ჩამატებულ ადგილებს, მე მოვიყვან ერთ ასეთ მაგალითს პირველი თავიდან (პროლოგიდან) და მეორეს უკანასკნელიდან.

1. ლექს ქართული აღარიბოს, საუბარი გაასრულოს, ნახოს კარგმან გამონემან, არა სადა არ აბრალოს.
2. ამისთანითა სიტყვითა გრძლად და გულმდულრად ტიროდა. მერმე ადგა და ქვანიცა ტიროდეს, ასრე სულთქმიდა.\*)

3. ინგოროვა შენიშვნაში სწერს (აქ საჭიროა გავიხსენოთ ლახმანის საფუძველი—„თავისივე სიტყვის უბადრუე განმეორება“): „აღსანიშნავია აგრეთვე უმწერო განმეორება ერთისა და იმავე სიტყვებისა, ასე:—მოყივნება („იყივნებდეს“, „მოაყივნოს“, „აყივნებს“—ორხელ), გამუღავნება („ამუღავნებდეს“, „გაამუღავნოს“)“. აი ორი სტრიქონი ამ ადგილიდან სიტყვების ასეთი განმეორებით:

ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკედარი მისთვის წყლულსა! თუ არ უყვარს, რად არა სმული!, რად აყივნებს, რაცა სმულსა?!

იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს სტრიქონები, კარგია თუ ცუდი, რუსოველს ეკუთვნის, მე მოვიყვან პოემის უდაო ადგილიდან ორ სხვა სტრიქონს, რომელიც წარმოადგენს ზემოთმოყვანილის ზედმიწევნითი პასტიჩიოს სინტაქსის, სიტყვის გამეორებისა და ინტონაციის მხრით. ავთანდილი ეკითხება ასმათს ტარიელის შესახებ:

იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუე ვით მეცრუა!  
ვერ იქმოდა, რად მიქადა, თუ მიქადა, რად მიტყუა?!

ნუ თუ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ ეს ორი ადგილი ერთსა და იმავე პოეტს ეკუთვნის! განა საერთოდ სიტყვის განმეორება, რომელიც შესაძლებელია ზოგჯერ ულამაზო და რიტორიულიც იქნეს, რუსთაველის სტილის უტყუარ ნიშანდობლივ თვისებას არ წარმოადგენს! ასე რომ, ტექსტის კიყალბის დასამტკიცებლად მკელევარს მოჰყავს ამ შემთხვევაში ისეთი საბუთი, რომელიც, პირიქით, სავსებით ნათელპყოფს მის ორიგინალობას.

წავიდეთ წინ. „ტენდენციურ დამატებათა“ შემდეგ თავში მკვლევარი იხილავს ამგვარი „ჩანართების“ სხვა მაგალითებს. მას მოჰყავს პოემის ეპილოგიდან ტაქტი „დავითის ქნანი ვითა ვთქვნე...“, ხაზს უსვამს შიგ სიტყვა „გილაყფეთანი“—ს და სწერს, რომ აქ „ყალბის-ქნელი პოემის შინაგანი გაბათილების მიზნით უკულმა აბრუნებს

\*) იხ. ს. კაკაბაძის პირველი გამოცემა—107 და 1756 ტაქტი.

პოეტის სიტყვებს, და ვეფხის-ტყაოსანს იგი აცხადებს ლაყბობად“.  
როგორ შეიძლება ერთ სიტყვაზე ამდენი ამბის აშენება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს სიტყვა რითმისთვის არის ნახმარი! ნუ თუ პ. ინგოროვამ არ იცის, რომ ძველი ეპიკის პოეტები, რომელთათვის ნაწარმოების სიდიდე მოცულობის მხრით ერთ-ერთ მთავარ შიზანს შეადგენდა, ღობე-ყორეს ედებოდენ რითმის გულისათვის? განავეფხის-ტყაოსანში ცოტა არის ისეთი რამ ნათქვამი, რომელიც უშუალოდ რითმის ძებნას მოჰყოლია? მე მოვიყვან აქ იმის მაგალითს, თუ რა გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს შედეგად სარითმო სიტყვათა მნიშვნელობის ასეთ გაზიადებას. წარმოიდგინეთ, რომელიმე მკვლევარს აღეძრა სრულიად ბუნებრივი სურვილი, გამოარკვის ვეფხის-ტყაოსანის გმირთა შედარებითი ასაკი. დაიწყო, ვსთქვათ, მან პოემის ტექსტში სათანადო რეალიების ძებნა და წაიწყდა ორს ასეთ ადგილს: ავთანდილი სწერს ერთგან შერმადინის შესახებ — „ოქვენცა იცით, გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი“, ხოლო მეორეგან იგივე ავთანდილი აბბობს ტარიელზე — „შემიტებო და შემიყვარა, ვითა ძმა და ვითა შვილი“. ამ ორი სტრიქონიდან ცალკე სიტყვების მნიშვნელობაზე გადაყალილ მკვლევარს შეუძლია ის დასკვნა გამოიტანას, რომ ტარიელი ავთანდილს. შეეფერებოდა მამათ, ხოლო შერმადინს ბაბუათ. სიტყვა „შვილი“ ამ სამი პირის ურთიერთობის აღსანიშნავად ჩასთაველს არსად არა აქვს შიგნი სტრიქონში, ეს მას მხოლოდ რითმისათვის დასჭირდა. რა უყოთ, რომ ამ ტაეპში პოეტის შესახებ, რითმის საჭიროების გამო ნათქვაშია „ამითა ვილაყფეთანი“, განაიმავე ტაეპში ამ ამბავს „ქებანი მათ მეფეთანი“ არ ეწოდება? თინათინი ერთგან შემდეგი სიტყვებით მიმართავს ავთანდილს: „ქალმან ჰკადრა: მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა“. ნუ თუ ეს ადგილი ყალბად უნდა მივიჩნიოთ იმ მოსახრებით, რომ არაბეთის ბრწყინვა-ლე დელოფალი თინათინი თავის სიტყას „დანაყბედს“ არ უწოდებდა?

გადავიდეთ „ტენდენციურ დამტებათა“ მექანიზმებისა და უკანასკნელი მაგალითის განხილვაზე. პ. ინგოროვას მოჰყვეს პროლოგიდან ორი შემდეგი სტროფი:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;  
ზოგთა აქვთ სალმრთო ბუნება, დაშვრების აღმაფრენითა,  
კვლა ზოგთა ქვე-უც ბუნება კექლუცთა ზედან ფრდენითა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი უერ მიხვდებიან,  
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,  
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცია ხედებიან,  
მართ მასვე ბაძვენ თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

შევლევარი იძლევა ორივე ტაქტის თარგმანს ახალ ქართულზე. აი როგორ სთარგმნის იგი პირველი ტაქტის უკანასკნელ სტრიქონს;

„ზოგს [მიჯნურს] მდაბალი; ქვენა ბუნება აქვს და იგი კმაყოფილ დება ამ ქვეყნიური, ადამიანური მშვენიერებით“.

შეორე ტაქტის ორი უკანასკნელი სტრიქონი მას ასე უთარგმნია:

„ხორციელს მიჯნურობას მე ვუწოდებ მდაბალს, ქვენა [გრძნობას]. სწორედ ამას [ქვენა გრძნობას] ბაძვენ [მიჯნურნი], როცა ისინი არ მრუშიანენ, არამედ შორით სიყვარულს განიცდიან“.

ამგვარად, პავლე ინგოროვას სიტყვა ქვენა (პირველ ტაქტში შემოკლებით ქვე და მეორეში სრული ფორმით) გაღმოყოფარგმნია როგორც „მდაბალი“, „უზნეო“, ანუ „ქვენა“ ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. აჩისტოტელე თავის „პოეტიკა“-ში, სახელდობრ იმ თავში, სადაც ის ეხება პოეტებზე თავდასხმისა და მისი მოგერიების საკითხს, ამბობს, რომ ზოგიერთი თავდასხმის მოგერიება შეიძლება სიტყვის ჩვეულებრივ მნიშვნელობაზე მითითებით, და შემდეგ განაგრძობს: „ხოლო თუ კი ისე სჩანს, რომ ამა თუ იმ სიტყვას აქვს რაიმე წინააღმდეგი მნიშვნელობა, მაშინ საჭიროა მიექცეს უურადლება იმას, თუ რამდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას ამ ფრაზაში“. პავლე ინგოროვას რომ დაკვირვებით გამოერკვია, სიტყვა „ქვენა“-ს შესაძლებელი მნიშვნელობა როგორც ზემოთმოყვანილ კონტექსტში, ისე მთელ პოემაში, მისთვის ცხადი გახდებოდა, რომ რუსთაველს ამ სიტყვის გაგებაში არავითარი ზნეობრივი შინაარსი არ შეაქვს. ვეფხის-ტყაოსანში სიტყვა „ქვენას“ პირდაპირი და ძირითადი მნიშვნელობა არის „ქვედა“—არც მეტი, არც ნაჟლები. აი ეს სიტყვა პოემის სხვა ადგილებიდან—ერთხელ სრული და მეორეთ შემოკლებული ფორმით:

1. „თქვეს: სუნნელნი, სუნნი ვარდთა დღეს მოგვბერა ქვენამ, ბუქ-მან.“

2. გავიჭრ, სრულად დავტკეპნე ქვე მინდორი და ზე მთანი.

პირველ შემთხვევაში „ქვენა“ ნიშანს ქვედა ქარს, მეორე შემთხვევაში „ქვე“, ანუ ქვენა (=ქვედა) დაპირისპირებულია „ზე“-სთან, ანუ ზენასთან (=ზედასთან). სწორედ ასეთსავე დაპირისპირებას ვხედავთ 3. ინგოროვას მიერ ყალბათ მიჩნეულ ადგილში. რომ ეს სავსებით ნათელი იქნეს მყითხველისათვის, მე მოვიყვან ამ ვითომდა ყალბი ტაქტების წინამორბედ ტაქტს, სადაც ლაპარაკია საზეო სიყვარულზე. აი ეს ტაქტი:

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა  
ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა,

იგია საქმე საზეო მომცემი აღმაფრენათა,  
ვინცა ეცდების თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

ამ ტაეპში პოეტი ეხება საზეოს (=ზეციურს), ანუ სულიერს (=სალვოო) სიყვარულს, ესე იგი ლრმა სარწმუნოებრივ გრძნობას; ხოლო მომდევნო ორი ტაეპი შეეხება ქალ-ვაჟის სიყვარულს, ქვენას (=მიწიერს), ანუ ხორციელ (=ადამიანურ) გრძნობას. მაშასადამე, აქ დაპირისპირებულია შემდეგი, ამ შემთხვევაში, ერთი და იმავე მნიშვნელობის ცნებები: ზენა და ქვენა, ზეციერი და მიწიერი, სულიერი და ხორციელი.

3. ინგოროვას პოემის შინაგან გაყალბებად მიაჩნია ხორციელ სიყვარულზე ლაპარაკი. მაგრამ განა მთელი ვეფხის-ტყაოსანი წარმტაცი ხორციელი სიყვარულის აპოლოგია არ არის? ძელმა პოეზიამ, და მასთან ერთად რუსთაველმა, ქალ-ვაჟთა შორის იცის მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი სიყვარული. სულიერი სიყვარული კი ამ სფეროში სისხლ-ნაკლული რომანტიზმისაგან მოგონილი ამბავია. რუსთაველისათვის რომ ვინმეს სულიერ სიყვარულზე დაეწყო ლაპარაკი, მას ალბად ეგონებოდა თუ სარწმუნოებაზე ელაპარაკებიან.

რომ არ დარჩეს არავითარი ეჭვი იმაში, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა ძელად სიტყვა ქვენა, მე მოვიყვან აქ ქართლის ცხოვრებიდან ერთ ადგილს. თამარ მეფის ისტორიული, რაშელიც თამარს საბერძნეთის ლერთებს — კრონისს, ზევსს, აფროდიტეს, აპოლონს და სხვებს ადარებს, სწერს შემდეგს:

“... და ესრულ აღებაძეა ზენა-სა მნათსა ქვენა ესე მნათი, გინდა  
თუ სიბრძნითა და ცეკვიერობით მცყრობელობითა; ანუ-თუ მშეგბრ  
უხვებითა, მიღენად სწორებით მართალთა და ცოდვილთა”. (ქ. ც. ზ.  
ჭის გამოცემა, გვ. 404).

რუსთაველის ტექსტის ინტერპრეტაციის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე. ერთმა ყალბად განმარტებულმა სიტყვამ შეიძლება თავ-დაყირა დააყენოს პოეტის ნათქვამი. მოვიყვან ამის ერთ მაგალითს. თანამედროვე ქართულში სიტყვა მდაბალი, ისე როგორც ქვენა, ზოგიერთ შემთხვევაში ზნეობრივი შინაარსით იხმარება. თუ ჩვენ ამ სიტყვას ვეფხის-ტყაოსანშიაც თანამედროვე მნიშვნელობით განვმარტავთ (ნამდვილად კი ამ პოემაში არსად ეს სიტყვა ამგვარი შინაარსის ელფერს არ ატარებს), მაშინ პოემის პირველი ორი სტრიქონიდან:

იყო არაბეთს როსტევან მეფე ლვთისაგან სვინი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი, ყმიანი,—

აი რა გამოვივა „ახალ ქართულზე“: „არაბეთს იყო სვებედი-ანი მეფე ლვთით როსტევან; ის იყო მაღალი, გულუხვი, მდაბალი

[ზნედაცემული ადამიანი], მას ჰყავდა მრავალი ლაშქარი და ყმები“. პ. ინგოროვას ზემოთ მოყვანილ თარგმანებში ადგილი აქვს სავსებით ანალოგიურ მოვლენას.

ეხლა, როდესაც სრულიად გამოირკვა, თუ რა მნიშვნელობით აქვს რუსთაველს ნახმარი სიტყვა ქვენა, საკითხი შემდეგნაირად შეიძლება დაისვას: თუ კი ზემოაღნიშნულ სამ ტაეპში მოცემულია ერთი მთლიანი პოეტური დაპირისპირება, ეგრეთწოდებული პარალელი იზმი, მაშინ როგორ მოხდა, რომ მისი პირველი ნაწილი (პირველი ტაეპის სახით) დაუწერია რუსთაველს, ან მის რომელიმე დამცველს, ხოლო მეორე ნაწილი (ორი შემდეგი ტაეპი) მოწინააღმდეგე ინტერპოლიატორს შეუთხზავს? ეს ხომ შეუძლებელია: გამოდის, რომ ორ მოწინააღმდეგე მხარეს ერთმანეთთან შეთანხმებით დაუწერია ეს ადგილი, ესე იგი გამოდის აბსურდი.

შეკლებარის შეჯელობა პოლემიკური დანართების შესახებ ეწინააღმდეგება აგრეთვე სალ ლოლიკასაც. ჯერ ერთი, დაუშეათ, რომ რუსთაველის მოწინააღმდეგებს შეპქონდათ პოემაში, მისი გაყალბების მიზნით, თავიანთი ტაეპბი; როგორ მოიქცეოდენ ამ შემთხვევაში პოეტის დამცველნი? ისინი პოლემიკას კი არ გაუმართავდენ ყალბისმქნელებს ვეფხის-ტყაოსანის ფურცლებზე, არამედ თავიანთ ასლებში გასწმენდდენ მას ყალბი ადგილებისაგან. მეორე: რა აზრი ჰქონდა ისეთი სიფრთხილით წარმოებულ პოლემიკას, რომლის პოლემიკური ბუნება პ. ინგოროვამდე, ესე იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ვერავინ შეამჩნა? მესამე: ჩვენ ვხედავთ, რომ ყალბისმქნელებს არა თუ ვერ გაუყალბებიათ მათგან ამოჩემებული პოემა, პირიქით, უფრო განუდიდებიათ იგი, ვინაიდან ზოგიერთი, ვითომც მათ მიერ შეთხზული ადგილები, როგორიც არის, მაგალითად, ორი ზემოთ მოყვანილი ტაეპი, ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილ დამამშვენებელ ადგილებად ჩაითვლება. სად ნახულა და ვის გაუგონია ასეთი გაყალბება? „რუსთველიანას“ იმ თავებს, რომლებშიაც ეს პოლემიკა არის განხილული, სახელად უფრო „ტენდენციური განმარტებანი“ შეეფერება, ვიდრე „ტენდენციური დამატებანი“. თუმცა ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მკვლევარის ტენდენციურობა აქ არ არის წინაშარ განზრახული.

„ტენდენციური დამატებების“ შემდეგ პავლე ინგოროვა გადადის „ციკლიურ დამატებებზე“. მისი აზრით, თუ პირველი ჯგუფის ინტერპოლიაცია რამდენიმე ათეულ ტაეპს არ აღემატება, სამაგიეროდ მეორე ჯგუფი რამდენიმე ასეულ ტაეპს აღწევს ვახტანგისეულის, ე. ი. ყველაზე მოკლე რედაქციის ფარგლებში. ვიდრე ამგვარ

დამატებათა მაგალითის განხილვას შეუდგებოდეს, მკვლევარი ეხება ერთი მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერის (Q-ხელნაწერის) მიერ პოემის ტექსტის ზოგიერთი ადგილების განსხვავებულ წაკითხვას და დაასკვნის, რომ აქა-იქ სატყვები ამ ხელნაწერში უფრო სისწორით არის დაცული, ვიდრე ვახტანგისეულ რედაქციაში. თუ რისთვის სჭირდება პ. ინგოროვას ამ ხელნაწერის ავტორიტეტის აწევა, ამას დავინახავთ შემდეგ, ჯერ კი შევჩერდეთ მის მიერ ამ ხელნაწერიდან სანიმუშოდ მოყვანილ ორ განსხვავებულ წაკითხვაზე. მას მოჰყავს ცნობილი ტაეპი:

უბრძანა: გკითხავთ საქმესა ერთგან სასაუბროსა.

რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკინაროსა,

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა,

მზე ჩაგვისევნდა, ბნელსა ვსჭურებულ ღამსა ჩვენ უმთვარისა.

პ. ინგოროვას აზრით, ეს მიღებული წაკითხვა სწორი არ არის, რასაც ააშეარავებს თითქო ის გარემოება, რომ აქ, მეოთხე სტრიქონში, დარღვევულია რითმა—მესამე მარცვლის წინ აღარ ისმის ბერა „ნ“. სამაგიეროთ Q-ხელწერილში ნაცვლად „ჩვენ უმთვაროსა“ სწერია სიტყვა „მომთენაროსა“, რომელიც, მკვლევარის შეხედულებით, არის დამახინჯებული „უმთენაროსა“, ესე იგი ამ ტაეპის უკანასკნელი სტრიქონი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ასე: „მზე ჩაგვისევნდა, ბნელსა ვსჭურებულ ღამესა უმთენაროსა“. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ არავითარ რითმის დარღვევას ზემოხსენებულ ტაქში ადგილი არა აქვს. რითმის შემაღებან ლობას წარმოადგენს აქ „აროსა“ და არა „ნაროსა“, ვინაიდან ბერა „ნ“ ამ შემთხვევაში თამაშობს ეგრეთწოდებული დასაყრდენი თანხმოვანი რითმის (Opornaya soglasnaya, Consone d'arpui) როლს, და მისი მოქცევა რითმის შემაღებანლობაში არ არის სავალდებულო. როდესაც დასაყრდენი თანხმოვანი შედის რითმაში, მაშინ ჩვენ ვიღებთ განსაკუთრებულ რითმას, და რითმის კლასიფიკაციაში მას სახელიც განსაკუთრებული აქვს. ფრანგულად მას ჰქვიან rime riche (მდიდარი რითმა), რუსულად ზოგი უწოდებს მდიდარს, ზოგი სრულს და ზოგიც (ვ. ბრიუსეკი) „სიცხაյ რიფმა“-ს. ქართულად ზოგიერთი მოსაზრების გამო, რომელზედაც აქ ზედმეტია ლაპარაკი, შეიძლება ეწოდოს მას დაყრდნობილი რითმი. მართალია, რესთაველი, შედარებით სხვა ძველ პოეტებთან, დაყრდნობილ რითმას ხშირად ხმარობს, რასაც მე სხეულიალურად შევეხები ქვემოთ, მაგრამ ასეთი რითმა მაინც ვეფხის-ტყაოსანში წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე პროცენტს, თუ ვიანგარიშებთ მარტო იმ ტაეპებს,

სადაც დასაყრდენი თანხმოვანი ოთხივე სტრიქონშიე რთი და იგივეა. ამ დასაყრდენი თანხმოვანის გარშემო ყოველგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება ვეფხის-ტყაოსნიდან: ზოგჯერ ის სხვა და სხვა არის ტაეპის ოთხივე სტრიქონში, ზოგჯერ მხოლოდ ორ სტრიქონშია ერთნაირი, ზოგჯერ კი სამში, როგორც ამას ადგილი აქვს ზემოთმოყვანილ ტაეპში. მე მოვიყვან ამ უკანასკნელი შემთხვევის ყველა ოთხივე სახის მაგალითს, როდესაც განსხვავებული დასაყრდენი თანხმოვანის მქონე სტრიქონს უჭირავს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილი ტაეპში. აი ეს მაგალითები (ტაეპების ნომრები ნაჩენებია ს. კაკაბაძის მეორე გამოცემით): № 2 (...მარტო ასული—... დასული—... და სული—... ბევრად ასული), № 4 შესავალი-დან (...დათხეული — ...გამორჩეული — ...რხეული—... ხეული), № 802 (მხურვალები — ... შევიცვალები—...იგი აღები — ... სასურვალები) და № 38 (...დაცილებასა — ...კლებასა — ...ხლებასა — ...ქებასა). აი ამ უკანასკნელი მაგალითის სრულ მსგავსებას წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი ტაეპი, სადაც არავითარ რითმის დარღვევას ადგილი არა აქვს. შესაძლებელია რომ ამ ტაეპში პირველ სტრიქონშიაც სხვა დასაყრდენი თანხმოვანი იყოს, ვინაიდან იქ უფრო ხშირად იკითხება არა „სასაუბნაროსა“ (ან „საუბნაროსა“) არამედ „სასაუბაროსა“. მაგრამ დავანებოთ თავი ბერებს და დავაკირდეთ სტრიქონის აზრს (თუმცა ამას დიდი დაკვირვება არ ესაჭიროება): „მხე ჩაგვისვენდა, ბელსა კსკვრეტი...“ აქ ადგილი აქვს ორი მოვლენის და-პირი სპირებას, — რუსთაველის მსჯელობის ამ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ფორმას; დღე (ანუ მხე) აქ დაპირისპირებულია ღამესთან: ერთის მხრით ჩასული მზის ბრწყინვალება — მეორეს მხრით მის ნაცვლად მოსული ლამის სიბნელე. მაშ რაზე უნდა ყოფილიყო აქ ლაპარაკი უმთენარო, ე. ი. გალთენებელ ლამეზე, თუ უმოვარო ლამეზე? პოეტური ფიგურისათვის რა არის აქ საინტერესო სიბნელის ხანგრძლივობა, თუ მისი ინტენსიურობა? — რა თქმა უნდა, უკანასკნელი. პირიქით, მთელი ტაეპიდან აშკარად სჩანს, რომ აქ გაუთენებელ ლამეზე არც შეიძლება რომ იყოს ლაპარაკი. ტაეპის ეს მეოთხე სტრიქონი მხოლოდ შებრუნებული სახით გამოსთქვამს იმ ანალოგიას, რომელიც მოცემულია მეორე და მესამე სტრიქონებში მოვლენათა და საგანთა კანონზომიერი ცვალებადობის შესახებ სამყაროში:

რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭერაროსა,  
იგი წავა და ს ხვა მოვა ტურფუსა საბალნაროსა.

ნუ თუ ამ ბრწყინვალედ გამართული ანალოგის შემდეგ პოეტი სრულიად საჭინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა იქვე: მზის ჩასელას გაუთენებელი ლამე მოჰყებაო?

მეორე და უკანასნელი მაგალითი Q-ხელნაწერის წაკითხვისა, რომელიც პ. ინგოროვას მოჰყავს,— „მისივე ჰეტობს ყვავილთა სუნი და ტურთ ფერობა“ ნაცელად მიღებულის „მისივე ჰეტობს ყოველსა...“, შესაძლებელია მართლაც უფრო სწორი იყოს. მაგრამ ეს ორი მაგალითი მეტად ცოტა არის იმისათვის, რომ მათზე დამყარებით, თუნდაც ორივე სწორ წაკითხვას წარმოადგენდეს, რაიმე აზრი გამოვიტანოთ ზემოხსენებული ხელნაწერის ლირსება-ნაკლულოვანებაზე.

ამის შემდეგ პავლე ინგოროვა გადადის ციკლიური დამატებების ერთ მნიშვნელოვან ნიმუშზე. მისი აზრით, როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის აღწერიდან რუსთაველს ეკუთვნის მხოლოდ შვიდი ტაეპი, ხოლო დანარჩენი შვიდი კი ყალბისმჯელის მიერ არის ჩამატებული. თავის შეხედულებას ამ ეპიზოდის შესახებ მკვლევარი იმდენად მოხერხებულად ანგითარებს, რომ მან ბევრი მკითხველი დაარწმუნა მის სისწორეში. ამიტომ მე არ დავსტოვებ აქ არცერთ მის მოსაზრებას განუხილველად, რათა სავსებით ნათელი შეიქნეს, თუ რა შეცდომას საჩადის იგი. მკითხველს ვსთხოვ განსაკუთრებულ ყურადღებას.

თავის მხრით, პავლე ინგოროვაც მიმართავს მკათხველს ამ ეპიზოდის გარჩევის წინ შემდეგი სიტყვებით: „გადავდივართ რა ტექსტის შინაგანი ნიშნების განხილვაზე, ჩვენ აქ მკითხველისაგან ვითხოვდით განსაკუთრებულს ყურადღებას; რადგან მთელი ანალიზი აქ დამყარებულია ნიუანსებზე“. ხედავთ! ტექსტის ანალიზი, რომელიც პ. ინგოროვას ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ამ შემთხვევაში, როგორც ამას ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, დამყარებული ყოფილა აქ თურმე ნიუანსებზე, ე. ი. ნაჩრიდილებზე, სტრიქონსა და სტრიქონ შუა აღმოცენებულ მოსაზრებებზე. ნიუანსებს ხომ ეჭვების აღძვრა შეუძლია მხოლოდ, და ამის მიხედვით რუსთაველის ტექსტიდან დღემდე ეჭვმიუტანელი ტაქტების განდევნა მკელევარისაგან უდრის იმას, რომ ვინმე მსაჯულმა განუტხადოს პატიმარს: „მე ეჭვი მეპარება შენს სიმართლეში და ამიტომ სიკვდილით უნდა დაგსაჯო“-ო. ნიუანსებზე დამყარება, თუ სხვა საბუთი არ იქნა, შემიძლია მე, პოემის ტექსტის დამცველს, და არა პავლე ინგოროვას, რომელიც ამ ტექსტს არღვევს და შლის. რატომ? რა კინსხვავება არის ჩემსა და იმის შუა ამ შემთხვევაში? არსებობს ერთა დიდი განსხვავება. შე ვლებულობ არსე-

ბულს, ეს არის საუკუნეების განმავლობაში დაცული და თაობი-დან თაობაზე გადმოსული ტექსტი ამ ეპიზოდისა, რომლის არცერთ ტაეპს არ უარყოფს არცერთი დღემდე მოღწეული ხელნაწერი -- აი ჩემი მტკიცე საფუძველი. პავლე ინგოროვა კი უარჲოფს არსებულს და იღებს არარსებულს, — მისი საფუძველი ამ შემთხვევაში არის ჰაერი. ამიტომ ნიუანსები ჩემთვის კიდევ გამოდაგება როგორმე საბუთად, იმისთვის კი არა. მან თავისი შეხედულების დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს ურყევი, ობიექტიური ხასიათის საბუთები, ხოლო რაც შეეხება ნიუანსებს, ისინი მან უნდა დაიტოვოს ბოლოსთვის, როგორც ზედმეტად დამაჯერებელი მასალა, როგორც მესამე და მეოთხე ხარისხოვანი არგუმენტები.

შემდეგ მოყვანილია ის შვიდი ტაეპი ნაღირობიდან, რომლებიც, 3. ინგოროვას აზრით, ნამდვილად რუსთველს ეკუთვნის\*) მაგრამ ის წინასწარ კიდევ შემდეგს შენიშვნას:

„მიგაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომ რუსთველის ამ ტექსტში არის რიტმიული ცვლა ორი მეტრისა: დაბალი შაირისა (5 + 3) და მაღალი შაირის (4 + 4). ყოველ სტროფს დაბალი შაირიდან მოსდევს ანტი-სტროფი მაღალი შაირისა“.

სხვისი არ ვიცი და ჩემი ყურადღება რომ არ მიექცია ამ გარემოებისათვის მკვლევარს სჯობდა, ვინაიდან ისე მას შეიძლება ვერ შევამჩნევდი. ეხლა კი უნდა განვაცხადო, რომ მარტო აქედან შეგვიძლია დავინახაოთ აშკარად, თუ რამდენად ხელოვნურად არის შერჩეული აქ ეს შვიდი ტაეპი. ვე უჯ ხის-ტყაოსანის არცერთი ადგილიდან არა სჩანს, რომ მაღალი და დაბალი შაირი ერთმანერთს პერიოდულად ენაცვლებოდენ. მათი თანამიმდევრობა იქ არ ემორჩილება არავითარ კანონს. მომავალი გვრჩენებს, თუ როგორ დაალაგებს ამ ნიშნის მიხედვით 3. ინგოროვა ვეფხის-ტყაოსანის ტექსტს, წინასწარ კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ, რაც უნდა ლამაზად და გონება მახვილურად არ უნდა იქნეს დალაგებული, ის რუსთაველის ნაწარმოები არ იქნება.

შემდეგ 3. ინგოროვა არკევეს, თუ რა მიხეჭმა გამოიწვია ყალბი ადგილების დამატება. მის მიერ ნამდვილად მიჩნეულ შვიდ ტაეპში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვა — როსტევანმა თუ ავთანდილმა. მკვლევარის აზრით, ეს არც ყოფილა საჭირო, ვინაიდან პოეტის მიზანია ნადირობის საშუალებით მოახდინოს უკეთ ყმასთან შეხვედრა. რაც შეეხება ნაღირობაში ჯობნის საკითხს —

\*1 42, 43, 45, 46, 48, 54, და 55 (ს. კაპ. გამოცემით).

„რუსთველი შეგნებულად არ უსვამს ჩაზს ავთანდილის უპირატესობას როსტვერის წესაშე, ჯერ მარტო იმიტომ, რომ როსტვერი მეფეა, ხოლო ავთანდილი მის მოყმე. პოეტმა დაგვანახა, რომ როსტვერი და ავთანდილ ორივე შეუდარებელი ცშვილდოსანია და ამით დაკმაყოფილდა“.

რა თქმა უნდა, რუსთაველის მთავარი მიზანი იყო ნადირობის ღროს უცხო ყმასთან შეხვედრა მოეწყო, მაგრამ ის აზრი, თითქოს რუსთაველი განზრას გვერდს უვლიდეს ნადირობის შედეგის გამორკვევას, სრულებით არ შეეფერება სიმართლეს.

მკვლევარის ამ შეხედულების დარღვევა შეიძლება მარტო ერთიშე-ერთხვით: თუ რუსთაველის შიზანი მხოლოდ უცხო ყმასთან შეხვედრის მოწყობა იყო, მაშინ რად დასჭირდა მას ნადირობის გამართვის ასეთი რთული დასაბუთება, როდესაც თინათინის გამეფებით გამოწვეული ზეიმი სრულიად საკმარისი საბუთი იყო იმისათვის, რომ მეფეს მოეწყო დიდი ნადირობა ყოველგვარი შეჯიბრების გარეშე<sup>9</sup> ცხალია, რომ რუსთაველს ჰქონდა აქ აგრძოვე მეორე მიზანიც—გაეცნო მკითხველისათვის ავთანდილი, როგორც პირველი რაინდი მთელს არაბეთ ში; ამიტომ პოეტი არავითარ შემთხვევაში ნადირობის ეპიზოდს არ დაამთავრებდა იმით, თითქო „როსტვერან და ავთანდილ ორივე შეუდარებელი მშვილდოსანი იყვნენ“. შეჯიბრებაში სრულიად არა ჰქმის უხერხულ მდგომარეობას, როგორც ამას პ. ინგოროვყა ფიქრობს, ის გარემოება, რომ როსტვერანი იყო მეფე და ავთანდილი კი მისი ქვეშერდომი. საჭმე იმაშია, რომ აქ ადგილი აქვს შეჯიბრებას და არა ინტერესთა დაპირისპირებას. ავთანდილი როსტვერანის გაზრდილია—მისი უძირფასესი შეილობილი. როსტვერანი კი არ ტრაბახობს, ჩემთვის უკეთესი მშვილდოსანი არაბეთში არ არისო, ის სწუხს ამას, ვინაიდან მას საფლიაში მიჰყვება დარდი თავის სამეფოს მომავალზე. ნადირობაში შეჯიბრებულ ორივე მხარეს აქვს ერთი ფარული სურვილი — ავთანდილის გამარჯვება. ეს გამარჯვება გაახარებს ავთანდილს, მაგრამ იმაზე უფრო თვით როსტვერანს. და ეს მართლაც ასე ხდება:

ცეფესა ეს ამბავი უჩანს ვით მღერა ნარდისა.  
უჩარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა.

მაშასადამე, შემცდარია მკვლევარის აზრი როდესაც ის ავიწ-როებს რუსთაველის „არტისტულ მიზანს“. თუ რუსთაველმა მართლა დაუშთავრებლად დასტოვა ნადირობა, მაშინ მისი ბოლომდე მიმყვანი ყალბისმქონელი იმაზე უკეთესი არტისტი ყოფილა ფაბულის გაშლაში.

ამის შემდეგ პ. ინგოროვა გადადის იმ შეიდი ტაეპის განწილვაზე, რომლებიც, მისი აზრით, ყალბისმქნელის ციკლიურ დამატებას წარმოადგენს. მას მოჰყავს ჯერ „ნამდვილი“ და შემდეგ მისი მომდევნო „პირველი ყალბი სტროფი“: „შეეკაზმა მეუე, შეჯდა...“ და „უბრძანა მონა თორმეტი...“ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს მეორე ტაეპი („ყალბი“) გაცილებით სჯობს პირველს („ნამდვილს“). ეს არც გასაკვირია, ვინაიდან უკვე დამტკიცებულ ამბავად ჩაითვლება, რომ ყალბისმქნელები საერთოდ ბევრად უკეთ სწერდენ, ვიდრე რუსთაველი. ამ შეხედულების განმტკიცებაში ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძლვით ა. სარაჯიშვილს, კ. კეკელიძეს და ი. აბულაძეს; ეხლა ამათ პ. ინგოროვაც მიშველებიათ, თითქო მათი ავტორიტეტი საქმარისი არ იყო ამისათვის. პ. ინგოროვას მოჰყავს ოთხი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს მეორე ტაეპი აუცილებლად ყალბია. განვიხილოთ ოთხივე მოსაზრება.

„ა. ზევით ნამდვილ სტროფში გადმოცემული იყო, რომ ნადირობა უკვე დაწყებულია და გაჩაღებულია:

ზეიმი და ზარი იყო, საანი ველთა დაპტარვიდეს;  
ნაძლევია მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.

ამის შემდეგ რასაკვირველია სრულიად მოულოდნელია მომდევნო სტროფის შინაარსი; მისი მიხედვით გამოდის, რომ ნადირობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა აუ მხოლოდ ეხლა ემზადებიან ნადირობისათვის.—ამგვარად ეს სტროფი სრულიად უადგილოა და არღევს მოთხოვის მიმდინარეობას“.

მე არა ერთხელ აღმინიშნავს, და ამის განმეორება აქ ჩემი მკითხველებისათვის, მე მგონია, საჭირო აღარც კი უნდა იყოს. რომ რუსთაველი ხშირად იმეორებს ტაეპში იმას, რაც მან უკვე სთქავა წინა ტაეპში და ამით ზოგჯერ წინ წასულ ამბავს ისევ უკან აბრუნებს. მაგალითისათვის ერთხელ უკვე დავასახელე ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავი; ერთ ტაეპში ტარიელი ამბობს ვეფხის შესახებ: „ველარ გაუქძელ, იგიცა მოკვალ გულითა ხელითა“—ო, მომდევნო ტაეპში კი ვეფხი ისევ ცოცხალია: „რაზომსაცა ვანშვიდებდი ვეფხი ველარ დავამშვიდე“. აი კიდევ მეორე მაგალითი, ტარიელი უამბობს ავთანდილს:

დღესა ერთსა მე და მეფე ნადირობას გამოვედით,  
ზღვასა ზედან წაწურვილსა ქედსა რასმე გარდავედით.

ფრიდონ მითხრა: „გითხრობ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით.  
ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით“.

მე ვითხავდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა:

„დღე ერთ მწაღდა ნადირობა, შევჯე ამა ჩემსა ცხენსა,

ზღვათა შიგან იხვსა ჰეგანდა, ხმელთა ზედან შევარდენსა.

აქა ვდექ და თვალ უგდებდი ქორსა იქით განაფრენსა.

აქ მკითხველი აშენარად ხედავს, თუ როგორ უბრუნდება რუსთაველი უკან წინა ტაქტში დაწყებულ ამბავს. მესამე მაგალითი: ნესტან დარეჯანთან ქაჯეთის ციხეში გაგზავნილი მონა შეუმჩნევლად გაივლის ციხის კარებს, მივა, მიესალმება ნესტან-დარეჯანს და შემდეგ ტაქტში კი... ისევ ციხის კარებში შედის! აი დიდებული მასალა ყალბისმქნელობის კვალიფიკაციისათვის: ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარს აქ შეუძლია ნამდვილ სააშენაოზე გამოიყვანოს გაიძერა ყალბისმქნელი მთელი მისი უგვანო და ულაზათო სტილით. მაგრამ ჩენ ვიცით, რომ არცერთი მკვლევარი ამ აღვილებისა და მრავალი სხვა ასეთი აღვილების სინამდვილეში არ დაეჭვებულა. ამგვარად, პ. ინგოროვას ზემოთ მოყვანილი (ა) მოსაზრება არავითარ წონას არ შეიცავს. პირიქით, სწორედ ის ნიშანი, რომლითაც ასაბუთებს პ. ინგოროვა ტაქტის სიყალბეს, სავსებით იმის მაჩვენებელია, რომ ის რუსთაველს ეკუთვნის.

### 3. ინგოროვას მეორე მოსაზრება:

„B. ამ ყალბი სტროფის თანახმად, მეფის როსტევანისა და სპასპეტრის ავთანდილის უშუალო მხლებლად და მათი მშეილდოსნობის მსაჯულად მოწვეულია მონები. აქ არის სრული შეუსაბამობა. პოემის ნამდვილ ტექტში, ნადიმის აღწერის დროს, როცა გადატყდა ნადირობის მოწყობა, მხლებლად და მოშემცებად დასახლებული იყვნენ „ყმანი“, ანუ „სპანი“. ორივე ტერმინი — „სპანი“ და „ყმანი“ ნიშანას „milites“, საშუალო საუკუნეთა რაინდს, რაიტერს. ყალბისმქნელს კი ეს „ყმანი“ — ე. ი. რაინდი გადაუქცევია „მონებად“. აქ არის სრული არევა სოციალ-პოლიტიკური ცნებებისა, და ეს ეწინააღმდეგება ვეზხის-ტყაოსნის რეალიებს“.

ვეფხის-ტყაოსნის რეალიებს, რომ ანგარიში გასწეოდა ამ შემთხვევაში, მაშინ ასეთ მოსაზრებას აღარ წამოაყენებდა არც პ. ინგოროვა და აღარც აკად. ნ. მარრი, რომელსაც ის აქ ემყარება. წინად მე შემთხვევა მქონდა მოკლედ შევხებოდი („ალიტ. ქ. შ...“ გვ. 43) ნ. მარრის შეხედულებას ამ საკითხის შესახებ, რომელიც გასაოცარი სიმსუბუქით გაიზიარეს პოემის სხვა მკვლევარებმაც. ეხლა დეტალურად განვიხილავ მას, რომ აღარ დარჩეს არავითარი ეჭვი მის სრულს უნიადავობაში.

რა მნიშვნელობით იხმარაბა ვეფხის-ტყაოსანში სიტყვები ყმა, მონა, სპა და რა ურთიერთობა არსებობს ამ თერმინებ შორის?

ნ. მარრისა და მისი მიმდევრების (ამ შემთხვევები პ. ინგოროვას) აზრით ყმა ვეფხის-ტყაოსანში ნიშავს რაინდს მხოლოდ. ნამდვილად კი სიტყვა „ყმას“-ს პოემაში აქვს ორი სხვა და სხვა მნიშვნელობა. ერთი მხრით ის არის ჰასკის აღმნიშვნელი თერმინი და

უდრის ჭაბუკს. ამ შემთხვევაში ის ზოგჯერ რაინდსაც ნიშნავს, მაგრამ უსათუოდ ახალგაზრდა რაინდს. ტარიელს, ავთანდილს და ფრიძონს უმა ეწოდებათ ამ პირველი მნიშვნელობით მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ახალგაზრდა რაინდები არიან. იმის დასამტკიცებლად რომ უმა ამ პირველ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა ჰასაკის აღმნიშვნელი თერმინია, მოვიყვან შემდეგ მაგალითს პოემიდან. ფატმანისაგან ქაჯეთის ციხეში გაგზავნილ ახალგაზრდა მონას, ზანგს, ნესტან-დარეჯანი ასე მიმართავს: „ქალმან უთხრა: მემართლების, უმაო, შენი ნაუბარი“. ეს სტრიქონი თავდაყირა აყენებს ნ. მარრის მიერ სიტყვა უმის განმარტებას; მაგრამ ასეთი დაბრკოლება ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარისთვის საერთოდ არ არსებობს: რისთვისაღა არის საჭირო ყალბისმქნელების მთელი შტატი, თუ კი ისინი გაჭივრებიდან ვერ გამოიხსნიან მას? ნ. მარრმაც ეს ადგილი ყალბისმქნელს მიაწერა. სხვა ადგილები პოემიდან:

1. აქა მოსვლითა გაყმდების კაცი, თუც იყოს ბერები.
2. არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა.
3. იგი მარტო გაპარულა, უმა არ ახლავს, არცა ბერია..
4. ვერ ნახეს შენი მნახველი ვერცა უმა, ვერცა ბერია.

აქედან აშენარაა, რომ უმა არის ჰასაკის აღმნიშვნელი სახელ-წოდება.

მეორე მხრით სიტყვა უმა იხმარება ვეფხის-ტყაოსანში სწორედ იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც გვესმის ის ჩეენ. დღეს, ე. ი. ეს არის ბატონ-ყმობის ინსტიტუტის ცნობილი თერმინი, შემოლებული გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ვეფხის-ტყაოსანი დაიწერებოდა. როდესაც თინათინი ეუბნება ავთანდილს: „პირველ უმა ხარ, ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად“-ო, აქ, ლაპარაკია არა რაინდის, არამედ ქვეშევრდომის შესახებ, რაც კიდევ უფრო აშკარად სჩანს თვით ავთანდილის სიტყვებიდან,—ის ეუბნება წასვლის წინ შერმადინს: „პირველ უმა ვარ, წასვლა მინდა პატრიონისა სამსახურად“. ხოლო, ავთანდილის მიმართვა თვითი მონის შერმადინისადმი—„ვართ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-უმათასა“,—ალარ სტოვებს არავითარ ეჭვს იმაში, რომ უმა აქ ნიშნავს ქვეშევრდომს—ჩვეულებრივ ყმას. ამგვარადვე უდავოა ამ სიტყვის მნიშვნელობა ავთანდილის სიტყვებში ტარიელის შესახებ: „იგი ძმად მიხმიბს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს-ვაო უმობასა“. ყოველი ქართველი მიხვდება, თუ რას ნიშნავს სიტყვა „საკარგ-უმო“ სტრიქონში: „ერთი სამეფო, საკარგ-უმო, უბოძა ამილბარობა“. სიტყვები როსტევანის შესახებ, რომ ის იყო მეფე „ლაშქარ-მრავა-

ლი, ყმიანი“ ნიშნავს არა იმას, თითქო როსტევანს გარს ერტყა მრავალი რაინდები, როგორც რუსულად სთარგმნის ამ აღვილს აკად. ნ. მარრი (Окруженнейший витяземи), არაუდ იმას, რომ როსტევანს ჰყვანდა ბევრი ქვეშევრდომები. როსტევანის სიტყვები: „კარგთა ყმათასა“ ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა“, ჰქეულისხმობენ არა კარგ რაინდებს („добрый витязей“ ნ. მარრი). არამედ კარგ ყმებს, ამ სიტყვის ჩვეულებრუო მნიშვნელობით. სიტყვა „კარგი“ შეეხება აქ მოწმების ზნეობრივ მხარეს და არა მათ გაეყაცობას (თუმცა არც ეს შესაძლებლობა არის გამორიცხული), ამიტომ ზოგიერთი ვარიანტებით ნაცვლად „კარგთა ყმათასა“, იკითხება „კარგთა კაცობაა“.

ეხლა უნახოთ თუ რა მნიშვნელობით ხმარობს რუსთაველი სიტყვა მონას. ვეფხის-ტყაოსანში მონათ იწოდება მოახლე, მსახური ქვეშევრდომი, ყმა, — ეს სიტყვა აქ ვიწოდოთ განსაზღვრული ოერმინი არ არის. შერმაღინს ხან მონა ეწოდება ავთანდილის და ხან ყმა; მაგალითად, როცა ავთანდილი გაიპარა მეორედ:

მონა ტირის და მყერდსა იცემს, სისხლმან მისმან კლდენი ლარნა, აატრონისა ვერ მჭვრეტელმან ყმა მან რამცა გაიხარნა \*).

ქვეშევრდომები იგივე მონები იყვნენ მეფის, მაგალითად, ტარიელი ამბობს:

ამილბარი ვარ ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებუნ..

ფრიდონი ეუბნება ტარიელს:

ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი.

თუ რამდენად უახროა ნატირობის ეპიზოდში იმ თორმეტი მონის უარყოფა, რომლებიც ჯერ როსტევანის და ავთანდილის შხლებლები იყვნენ, ხოლო შემდგე კი ტარიელის დასაჭერად იქმნენ გაგზავნილნი მეფის მიერ, იქედან სჩანს, რომ ეს მონები შემდგომ, ვეფხის-ტყაოსანის სრულიად უდაო ნაწილებში, რამდენჯერმე არიან გახსენებული. როდესაც ავთანდილი შეეყრება ტარიელს ქვაბში, ის აგონებს მას პირველი შეხვედრის ამბავს:

1. გახსოვსცა, ოდეს დახოცე მონები არ საბჭოებია;
2. ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაუეთოთ.

\*) ამგვარადვე ი. ჭავჭავაძის „აჩრდილში“ ჩვეულებრივი ყმა დასახელებულია მონად:

1. აჯერ უფალი და მისი მონა!
2. მონამ მწუარე გულს გაილიმა.
3. მონა ბედშაგი, მონა საწყალი. და სხვა.

ტარიელსაც აგონდება:

რა მონანი შესაპყრობლად მომწიენით, გაულღანდით.

პოემის ბოლოში ის ეუბნება როსტევანს:

დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა.

ამასთანავე უდავოა, რომ ეს თორმეტი მონა „სპანი“-დან, ან, თუ გნებავთ, „milletes“-დან იყვნენ გამოყოფილი. ისინი არა თუ შედიოდენ როსტევანის ლაშქარში, არამედ მეტიც — ითვლებოდენ იქ როგორც საუკეთესო მეომრები („ახლოს უთქს მონა თორმეტი უმხედვი სხვათა მხედვათასა“). სპა, სპანი — გრამატიკულად შემქრებითი სახელია, ისე როგორც ლაშქარი. მაგრამ მაშინ როდესაც ამ უკანასკნელიდან წარმოებულია „მოლაშქრე“, „სპა“-დან ამგვარი ფორმის სიტყვა არ არსებობს. ამიტომ, როდესაც რუსთაველს ნადირობის დროს „სამზოდ“ გაწვეული „სპანი“-დან ცალკე თორმეტ კაცზე უხდება ლაპარაკი, მათ ის ხან ყმებს უწოდებს, ხან მონებს, იმისდა მიხედვით, თუ როდის რა ზომის სიტყვა ესაჭიროება მას ლექსში, რადგან მისთვის ეს სიტყვები ან სრულებით არ განსხვავდებიან მნიშველობით ერთმანერთისაგან ან ძალიან ცოტათი. როგორც დავინახეთ, ამ თორმეტ მონაზე შემდეგაც არის ლაპარაკი, და იქედან უკვე სრულიად აშკარად სჩანს, რომ ისინი როსტევანის „სპანი“-დან იყვნენ გამოყოფილი. ავთანდილი უამბობს ფრიდონს:

1. მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახა და წყრებოდა.

2. მათ სპათაგან ვერ შეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყრლთა.

ზემოთ კი იგივე ავთანდილი აშ სპას მონებს უწოდებს. გარდა ამისა, რომ აქ მონები და სპა ერთსა და იმავეს ნიშნავს, ეს უდაოდ სჩანს ტარიელის სიტყვებიდან, რომლითაც ის მიმართავს როსტევანს:

მე შენთა სპათა ვაჩენენ ნიშანი რამე წყენისა,

დავხოცე მონა ა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა.

მონა არ არის ისეთი უფლება აყრილი პიროვნება ვეფხის-ტყა-ოსანში, როგორც ეს აკად. 6. მარჩს და მის მიმდევრებს ჰგონიათ. აი რასა სწერს 6. მარჩი ორი ტაეპის შესახებ ნადირობის ეპიზოდი-დან, საღაც მოხებზეა ლაპარაკი:

Автор вставки этих двух четверостиший не понял, что в свидетелях должны были быть привезены в итязи, добрые в итязи. ყმაбо, კარგი ყმაбо. Он же принял в значении раба (это значение тоже присуще у слова, но не у Шоты), и вместо описания жюри из витязей идет соображение о призываемых двенадцати рабах — მობა мона: рабы должны сыграть роль судей-ценителей в состязании цария с витязем Автандилом! это полная бессмыслица...\*)

\*) Н. Я. Марр, „Витязь в Борсовой Шкуре“... 433

აბა ვნახოთ ეხლა, თუ რას იტყვის ყოველივე ამის გარშემო ვეფა-  
ხის-ტყაოსანის რეალიები. რომა ქის შესახებ აი რა სწერია პოემაში:  
როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ-ათასისა.

ეს როშაქი, როგორც წარჩინებული პიროვნება, დის დასატი-  
რებლად უნდა გაჰყოლოდა დედოფალს. ის, ეტყობა, ვეზირი უნდა  
ყოფილიყო ქაჯეთის სამეფო კარზე. ეხლა გავიხსენოთ როსტევანის  
სიტყვები ნადირობის წინ:

თორმეტი ჩემად ისრისა ცორითმელად, მოსახმარებლად,  
ერთაი შენი შერმადინ არას მათად დასადარებლად —

და ვიკითხოთ, თუ ვინ იყო შერმადინი? — ის იყო, როგორც  
ცნობილია, ავთანდილის მონა. რას წარმოადგინდა იგი? როდესაც  
ავთანდილი გაემგზავრა პირველად ტარიელის საძებნელად, მან წა-  
სვლის წინ თავის საიდუმლოება შერმადინს გაანდო და შემდეგ აი  
რას ეუბნება მას:

ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,  
ამისთვის გნუკავ სმენსა შენ ამა ჩემთა ხმათას;  
ჩემ-წილ დაგადებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა,  
ამა საქმესა ვერა ვიქ მე განდობათა სხვათასა.

ლაშეართა და დიდებულთა ალაშერებდი, ჰპატრონობდი,  
დარბაზს კაცას გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცრობდი,  
წიგნსა სწერდი ჩემმაგრე.... და სხვ.

ამის შემდეგ ავთანდილი სწერს შერილს „ყმათა მიმართ“,  
რომელშიაც ის ატყობინებს მათ:

მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს...  
ამას ასრუ ჰმორჩილობდეთ, არის ვითამც ავთანდილი.

მერმეა:

შერმადინ ერთად შეყარა ხასნი და დიდებულები,  
უჩერნა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები.

ეს ხასნი და დიდებულები სწუხან ავთანდილის წასვლას, მაგ-  
რამ შერმადინს ეუბნებიან: „უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვის-  
მყა მისცა!“-ო, და ბოლოს:

იგი მონა ააატრონეს, ყველაკამან თაყვანი სცა.

აი ესეც თქვენი მონა! ამის შემდეგ აკალემიკოსი ნ. მარრი და  
პ. ინგოროვა სერიოზულად ფიქრობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ  
შერმადინს და იმ თორმეტ მონას, რომლებიც ალბად ისეთივე „ზო-  
ნები“ იყვნენ, როგორც შერმადინი, უფლება არა ჰქონდათ როსტე-  
ვანისა და, ავთანდილის შეჯიბრების დროს მსაჯულებად გამოსული-  
ყნენ! ვს ეშინააღმდეგება არა თუ „ვეფხის-ტყაოსნის რეალიებს“,  
არამედ ყოველგვარ რეალურ მიდგომას ამ პოემისადმი.

წავიდეთ წინ და განვიხილოთ პ. ინგოროვას მესამე მოსაზრება;

„ც. დამოუკიდებლად ყოველივე ამისა თვით შინაარსი ამ ყალბი სტროფისა უცნაურია: გამოდის, რომ ეს მონები ეზლა იწყებენ ნა-დირობის სწავლას!—მეფე უხსნის თუ როგორ უნდა მოიქცენ მონა-დირენი:

მოდით ჩვენთანა ვლიდითა...  
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით...  
ისარსა მოგვრომიდითა...  
ნასროლსა შეადარებდით...  
ნაკრავსა დასთვალიდითა....

ეს არის ტიპიური ვულგარი, პროტოკოლური სტილი ყალბის მქნელისა“.

3. ინგოროვა ჩვენში სამართლიანად პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო დამფასებლად ითვლება; ამისათვის განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს ჩვენში მისი მსჯელობა აქ და „რუსთველიანას“ ზოგიერთ სხვა ადგილებში. როგორცა სჩანს ყალბისმქნელობის იდეას თვალების ახვევამდე გაუტაცნია იგი. ამ ტაეპში ვულგარობის ნასახიც კი არ არის მოკვეთილი, ლაპიდარული გამოხატვა ბრძანებისა მკვლევარს პროტოკოლურ სტილად მოსჩენებია. გარდა ამისა, რით არის უცნაური ამ ტაეპის შინაარსი? განა პოემაში აწერილი ნადირობა ჩვეულებრივია, რომ მონებს დარიგება არ დასჭირებოდა? ნუ თუ „ნასროლის შედარება“ და „ნაკრავის დათვლა“ ყოველგვარი ნადირობის დროს იყო საჭირო? მაგრამ მაინც თუ ასე ქრიკაში ჩაუდგებით ტაეპის შინაარს, შაშინ ხომ რუსთაველის ტაეპთა უმეტესი ნაწილიდან მხოლოდ ისეთი ცალკე ფრაზები დაგვრჩება, რომლებიც აუცილებელია მოთხრობის მსჯლელობისათვის. რა საჭირო იყო, მაგალითად, მონადირეებისადმი გაცემულ ბრძანებაში, გარდა „დაცევით ჯოვი მრავალისა“, კიდევ „მინდონი მოიარენით“ და „თავნი ამისთვის არენით“? მათ ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ ნადირის მოსარევად მინდვრების მოვლა იყო საჭირო? ან რისი მაქნისია ტარიელის საძებნელად ვაგზავნილი კაცებისადმი გაცემულ ბრძანებაში. ასეთი ფრაზები: „პატიუთა თავიმცა რაზ დარიდეთა“ და „...სხვად ნურად მოიცლიდეთა“? ამ უკანასკნელი სიტყვების ზედმეტობა და ნაძალადეობა, რომლის გამო არავის აზრად არ მოსვლია ეს ადგილი ყალბად გამოეცხადებინა, მართლაც აშკარაა, მაგრამ ზემოხსენებულ ტაეპში კი ოორმეტი მონის შესახებ თავის ადგილზეა ყოველი სიტყვა,

3. ინგოროვას მეოთხე და უკანასკნელი მოსაზრება (d) შეეხება ჩემი შეკითხველებისათვის კარგად ცნობილ ამბავს—ნათქვამის განმე-

ორებას. მკვლევარს მოჰყავს სანიმუშოდ ორი ადგილი „ნამდვილი“ ტექსტიდან და მათი პარაფრაზები „ყალბი“ აღგილიდან შემდეგი სახით:

ნამდვილ ტექსტი:

მოვიდა ჯოგი ნადირთა  
ანგარიშ-მიუწდომელი.

აპა მშვილდი და ისარი  
და მკლავი დაშრომელი.

ამ ნიმუშების შესახებ პ. ინგოროვა სწერს:

ყალბ სტროფი:

დაიწყო მოსელა ნადირთა  
ყოვლათა მინდორთა კიდითა.

მშვილდის ფიცხელსა მოგვცემდით,  
ისარსა მოგვართმიდითა!

„ნუ თუ ასეთი უმწეო განმეორება თავისა სულ ორი სტროფის მანძილზე შესძლოა მიეწეროს რუსთველს, პოეტს დევიზია: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგი!“ ყველა ეს ნიშნები ჩასაკვირველია ეჭვს გარეშე აყვნებს, რომ ეი სტროფი ყალბია.

მეორე ზემოთ მოყვანილ ნიმუშზე ზედმეტია შეჩერება, ვინაიდან იქ რაიმე უხერხუსლ განმეორებას აღგილი არა აქვს,—მშვილდსა და ისარზე იქ სულ სხვა და სხვა მიმართებითაა ლაპარაკი. პირველი კი მართლაც ერთი შეხედვით ნათქვამის სრულიად უმწეო განმეორებას წარმოადგენს. რუსთაველის თაყვანისმცემელ მკითხველს გაუძნელება, რომ პ. ინგოროვას არ დაუთანხმოს ამ შემთხვევაში; მაგრამ მოვიყვანოთ აქ მთლიანად ეს ორი ტაეპი და ენახოთ, თუ მართლა ასე უმწეოდ იმეორებს პოეტი თავის თავს. აი ეს ტაეპები:

უბრანა: მონა თორმეტი მოდით, ჩემთანა ვლიდითა,

მშვილდსა ფირცხელსა მოგვცემდით, ი. არსა მოგვართმიდითა;

ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა.

და იწყო მოსვლა ნადირთა ყოვლგნით მინდორთა  
კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ - მიუწდომელი,

ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლამხლდომელი,

მას პატრონ-ქმანი გაუხდეს, — ჭერეტადმცა სჯობდა რომელი?

აპა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

აი ეს სულ სხვა არის! აქ ადგილი აქვს არა ერთი და იმავე სიტყვების უმწეო განმეორებას, არამედ ერთ-ერთ ბრწყინვალე პოეტურ ხერხს, რომელიც პოეზიისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი და რომელსაც სახელად ანადიპლოზისი ეწოდება. ჩვენ რომ აეილოთ, მაგალითად, ფსალმუნიდან ასეთი სიტყვები:

უფალი სუფებს, შეენირება შეიმოსა,

შეიმოსა უფალმან ძალი და აგრე შეირტყა,

სადაც ანადიპლოზისია მოცემული, და დაუპირისპირით ერთ-მანერთს ეს ორი სტრიქონი, როგორც ამას პ. ინგოროვა სჩა-

დის რუსთაველის სტრიქონების მიმართ, შესაძლებელია ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნეს, რომ ერთი მათგანი მეორეს უმწეო განმეორებად მოგვეჩვენოს. ზემოთ მოყვანილი შემთხვევა რუსთაველისათვის უაღრესად დამახასიათებელია. მართალია, ეს არ არის სასტიკად განსაზღვრული ანადიპლოზისი, რომელიც თანამედროვე განმარტებით ეწოდება ერთი სალექსო სტრიქონის დაწყებას იმ სიტყვით ან ფრაზით, რომლითაც წინა სტრიქონი დასრულდა, მაგრამ მისი მხატვრული ეფექტი სრულიად იგივეა. რუსთაველი იწყებს ხშირად ტაეპს ისეთი სტრიქონით, რომელშიაც განზრახ მოცემულია წინა ტაეპის უკანასკნელი სტრიქონიდან ცალკე სიტყვა ან ფრაზა, ზოგჯერ შეცვლილი, ზოგჯერ უცვლელი სახით, და ამ გზით მომდევნო ტაეპი რაღაც მომხიბლავი გენეტიური კუშირით იკვრება წინამორბედ ტაეპთან.

მაგალითად, ნესტან-დარეჯანის პირველ წერილში ტარიელი-სადმი ერთი ტაეპი ასე თავდება:

რომე წელან მოგეხვინეს, იგი ჩემთვის არიდენო.

შემდეგი ტაეპი კი დაწყებულია ასე:

იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წელან გეხვივნეს.

ეს ბგერითი და აზრობრივი განმეორება აქ, გარდა ნათქვამი-სათვის ხაზის გასმისა; ჰემნის რაღაც გრაციოზული შესტით უკან მიბრუნების მოულოდნელ შთაბეჭდილებას. \*)

მოვიყვანოთ კიდევ ნიმუში რუსთაველის მიერ თავისივე სიტყვების ასეთი „უმწეო განმეორებისა“. როდესაც აეთანდილმა ნესტან-დარეჯანის წერილი მიუტანა ტარიელს შემბის პირს, სადაც მას ლომი მოეკლა ხმალით, მოულოდნელი სიხარულით ელდახაცემი ტარიელი გულშემოყრილი დაეცა მიწაზე. შეწუხებულმა ავთანდილმა ამგვარად სცადა მისი მობრუნება:

უცნობო-ქმნილი ტარიელ ქეს მსგავსად ნატურალისად.

ავთანდილ ადგა, გამოვლნა შემბინი საქებრად წყალისად;

მან ჰერვა სისხლი ლომისა, მოაქვს საკუბლად ალისად.

მკერდსა დაასხა, გავეხდა ლაუგარდი ფერად ლალისად.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ მ კ ე რ დ ს ა დ ა ს ხ ა მ ა ს ლ ო მ ს ა ს ი ს ხ ლ ი ლ ო მ ი ს ა.

ტარიელ შექრთა, შეინძრა რაზბი ინდოთა ტომისა;

თვალნი აღახენა, მიეცა ძალი ზეწამოჯვდომისა.

ორუეჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ ნაკრთომისა.

\*) ა. სარაჯიშვილისა და ი. აბულაძის აზრით კი აქ ყალბისმქნელის ბორჯო ხელია გარეული.

ამ მეორე ტაეპის პირველ სტრიქონში ყველა სიტყვები, გარდა ერთი უმნიშვნელო სიტყვისა „მას“, გაღმოტანილია წინა ტაეპიდან. აღარაფერს ვიტყვი იმ ბრწყინვალე ეფექტის შესახებ, რომელსაც აქ უს სიტყვების განმეორება იძლევა. \*)

აი კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ აკავ-შირებს რუსთაველი ტაეპებს ერთომეორესთან სიტყვების განმეორებით.

შემან მზემან, უშენოსა არვის მიხედვს მთვარე შენი,  
შემან მზემან, ვერვის მიხედვს, მოცავიდნენ სამნი მზენი:  
აქა თავსა გარდავიქცევ ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი;  
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხედვს ნუთუ ფრთენი.

ღმერთსა შე მ ვ ე დ რ ე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა ჰაერთა თანა ძრომასა;  
მომცენს ფრთენი და აღვგრუნდე, მივხედვე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ეხედვიდე მ ზ ი ს ა ელვათა კრთომასა.

მ ზ ე უშენოდ ვერ იქნების რადგან შენ ხარ მისი წილი,  
გაღანამცა მას იახლო, მისი ეტლი არ თუ წილი.  
მუნა გნაბო, მასცე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი.  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, ს ი კ ვ დ ი ლ ი მ ც ა მქონდეს ტკბილი.

მე ს ი კ ვ დ ი ლ ი აღარ მიმძიმს, შემოგვერებ რადგან სულსა,  
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;  
მომეგონს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;  
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ ჩემსა სიყვარულსა.

აქ ყოველი ტაეპის უკანასკნელ სტრიქონში არის ერთი ისეთი შნიშვნელოვანი სიტყვა, რომლიდანაც შემდეგი ტაეპი ისე გამოდის, როგორც ყვავილი კვირტიდან. შექმნილია აზრთა მიმღინარეობის რაღაც განუწყვეტელი ჯაჭვი, რომლის რგოლებს ტაეპის საზღვრებზე განმეორებული სიტყვები წარმოადგენენ. რუსთაველის მიერ თავისივე სიტყვების აზგვარ განმეორებაში ჩენენ უნდა დავინახოთ არა ყალბის-მქნელის უმწეო ლულლული, არამე განსაკუთრებულ გამახვილებამდე მიყვანილი პოეტური კულტურა.

\*) სამაგიეროდ არ შემიძლია მოკლედ არ შევეხო ამ დიდებული ტაეპების სა-ერთო სილამაზეს. დააკვირდით, როგორი სურათი იშლება აქ. გულშემოყრილი ტა-რიელის მოსაბრუნებლად ავთანდილს წყალის მაგიერ ახლად მოკლული ლომის სისხლი მოაქვს პერვეთ, — „მკერდისა დაასხა, გავეხდა ლაუვარდი ფერად ლალისად“. მხოლოდ გრანდიოზულ შთაგონებას და პოეტური შემოქმედების პროცესში უკი-დურეს გაფიცხებამდე მისულ ფანტაზიას შეეძლო ამ სურათის ჯერ წარმოდგენა და შემდეგ ასეთი შეუძარებელი ფორმით გადმოცემა. განსაკუთრებით აღსანი მნავია ერთი მეტაფორა მეორე ტაეპში: „ტარიელ შეკრთა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტო-მისა“. აქ ლაბარაკა მობრუნებული გმირის შავი წამწამების შერჩევაშე. რუსი პოე-ტი ფერი ჟარი ჰა ფი ზ ი ს ერთი მეტაფორის შესამბ, საღაფ სპარსელი პოეტი ლამა-

ამის შემდეგ შეეჩერდეთ პ. ინგოროვას მხოლოდ მთავარ მოსაზრებებზე „ნადირობის“ გარშემო.

მკვლევარი დაჟინებით იმეორებს ომდენიმე ადგილას, რომ რუსთველის მიზანი იყო ეჩვენებია, ვითომეც მეფე და ავთანდილი ორივე უცდომელი მშვილდოსნები იყვნენ და მხოლოდ ყალბისმქნელს მიუნიჭებია ავთანდილისათვის უპირატესობა ამ მხრით. ნადირობაში ჯერ ნათქვამიც ორივე მონადირის შესახებ: „ჭრეტაღმცა სჯობდა რომელი“, ხოლო შემდეგ კი ავთანდილს ექცევა მეტი ყურადღება („ავთანდილის შემხედველთა: ჰგავსო ალვას ედემის ხეს“). ამ გარემოების გამო პ. ინგოროვა სწერს შემდეგს (გვ. 81):

„ეს ყალბი ეპხოდი ნადირობის შედეგის შესახებ თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება ნამდებილ ტექსტს. მკითხველმა უკვე იცის, რომ თითონ ნადირობის აღწერაში მეფე და ავთანდილი ორივე ჭარმოდგენილი იყო, როგორც უცდომელი მშვილდოსნები... ხოლო ნადირობის შედეგის გადმოცემაში ყალბისმქნელი მხოლოდ ავთანდილს მიაწერს უცდომელობას.“

არსებობს მართლა რაიმე წინააღმდეგობა იმაში, რომ რუსთაველი ჯერ ორივე მონადირეს ერთნაირად აქებს („ჭრეტაღმცა სჯობდა რომელი“), ხოლო შემდეგ კი ის უპირატესობას თანდათან აფთანდილს ანიჭებს? აქ ადგილი არა აქვს იორტის ოდენ წინააღმდეგობას. პ. ინგოროვას დავიწყნია პოემაში და საერთოდ მხატვრულ ნაწერებში მიღებული ჩევულებრივი წესი: როდესაც მწერალი ორ მოპირდაპირე პიროვნებას ერთმანერთს შეაჯახებს, ის თავიდანვე კი არ ააშეარავებს იმის უპირატესობას, ვინც ბოლოს იმარჯვებს, არამედ ხშირად, პირიქით, რომ ფინალი მოულოდნელი იქნეს და მკითხველის ინტერესი გაძლიერდეს, უპირატესობას ჯერ იმას ანიჭებს, ვინც ბოლოს უნდა დამარცხდეს. გავიხსენოთ თუნდაც „შაჰნამედან“-ის ეპიზოდი, სადაც აწერილია როსტომისა და ზურაბის ომი და რენა, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. იქ გამარჯვება ჯერ თითქო ზურაბის მხარეზეა: მან დასცა როსტომი („მედგრად დასცა მიწაზედან, პირი მტვერსა გაურია, ვითა ვეფხი ზედ შეახტა, შვილი

ზი ქალის შავ თვალი. სასტიკ ზანგს ადარებს, შენიშნავს შემდეგს: აი ნამდეილი გადმოხტომა მეშვეოდე სართულიდან, მაგრამ სამაგიეროდ რა პოეზია არისო. თუ ეს ასეა, მაშინ რუსთაველის ზემოთმოყვანილი ბერაფორა თავისი მოულოდნელობით უდრის მეთორმეტე სართულიდან გადმოხტომას, მიუხელვათ იმის, რომ იგი პოეზიის მიუკარებული სიმაღლეებიდან იმზირება.“

რუსთაველის მეტაფორა ჯერ შესწავლილი არ არის. ეგებ გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნეს, თუ ვიტყვით, რომ რუსთაველს, როგორც მეტაფორის უდიდეს ისტატს, შეკილება ბადალი არ ჰყვანდეს მსოფლიო პაეზიაში.

მამას მოქრია“) და ამ უკანასკნელმა მხოლოდ მოტყუებით გადაირჩინა სიკედილისაგან თავი; მაგრამ ბოლოს მაინც როსტომი ამარცხებს და ჰკლავს ზურაბს. ან კიდევ, ვინ წარმოიდგენდა, რომ ალ. ყაზბეგის „ელეონორა“ -ში კრეჭიაშვილი ასლან გირეის დაამარცხებდა? აკაკი წერეთელი „თორნიკე ერისთავში“, ორბელიძისა და აფრანიკეს შეტაკების ეპიზოდში სწერს შემდეგს: „მოღუნეს მშვილდი მოსდვეს საცერე და ერთმანეთსა სტყორცეს ისარი, მაგრამ ორივე მსწორი სიმარტით მას მიაგებეს მათ-მათი ფარი“. ბოლოს ორბელიძე ამარცხებს აფრანიკეს, და თუ ისე ვიმსჯელებთ, როგორც პ. ინგოროვა მსჯელობს „ნადირობის“ გარშემო, გამოდის, რომ „თორნიკე ერისთავის“ ამ ეპიზოდში ადგილი აქვს წინააღმდეგობას, ვინაიდან აკაკის ზემოთმოყვანილი სიტყვებიდან სჩანს, რომ ორივე მებრძოლი ერთნაირი სიმარტით ხმარობდა იარაღს.

სწორედ ამგვარსავე მოვლენას აქვს ადგილი ნადირობის ეპიზოდში. რუსთაველს რომ ავთანდილის უპირატესობა თავიდანავე გამოემულავნებია, მას რომ ნაცვლად სტრიქონებისა:

ცხენთა მათთა ნატერფალი მშესა შუქსა წაუხმიდეს;  
მიპატაცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მისხმიდეს  
მხეცნი მათგან დაკოდილი ბიჯსა წალმა ვერ წასვგმიდეს—

ეთქვა, — „ავთანდილის ცხენი ქარივით მიჰქროდა, როსტევანის მიფორხილებდა, ავთანდილის ისარი ფეხს არ ადგმევინებდა ნადირს, როსტევანი კი უფრო ხშირად მიწაში აკვრევინებდა თავს ნადირისათვის დამიზნებულ ისრებს“, მაშინ ხომ როსტევანის და ავთანდილის შეჯიბრებას არავითარი გამართლება და ინტერესი აღარ ექნებოდა.

3. ინგოროვას მოჰყავს ერთი, პირველი შეხედვით თითქმინიშვნელოვანი მოსაზრება. ის სწერს:

„როგორ მოხდა, რომ წყლის პირას ჩამომხტარი მეფე და ავთანდილი ვერ ხდავენ მათ თვალზენ მყოფ ვეფხის-ტყაოსანს, და შენიშვნავენ მხოლოდ მაშინ, როცა დამთავრდება ეს გრძელი ამბავი ნადირთა დათვლისა, მოხსენებებისა, ავთანდილის უპირატესობის გამორკვევისა. რასავირველია, ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია მხოლოდ იმრთ, რომ აქ სრულიად უადგილოდ არის ჩართული ეს ყალბი ამბავი ნადირობის შედეგებზე“.

საქმე იმაშია, რომ აქ პ. ინგოროვას ყურადღებას ერთი გარემოება გამოჰვარვია. წყლის პირას მჯდომი ტარიელი როსტევანისა და ავთანდილის „თვალის წინ“ კი არ იყო, როგორც ეს მკვლევარს წარმოუდგენია, არამედ საქმაოდ მოფარებული მათი თვალისაგან. იმ ადგილის სიტუაცია, სადაც ნადირობა შესწყდა, ჩვენ ამგვარად შე-

გვიძლია წარმოვიდგინოთ: მონაცირეთაგან გადარჩენილი მინდორი თავდება ლელით, რომელსაც ნაპირზე კლდეები და ტყე მიუყვება:

მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია,  
ნადირნი ტყესა შესწრებს, სადა ვერა რბილ ცხენია.

მაშასადამე, მინდორში ჩამომხტარ მეფესა და ავთანდილს არ შეეძლო დაენახათ წყლის პირსა მჯდომი ტარიელი, რომელიც ალ-ბად ლელის მეორე მხრით მდებარე ველებიდან მოსულა და ცხენი გადმომხტარს შეუყვნია ლელეში. ტარიელს პირველად ამჩენე ვერ არა როსტევანი და ავთანდილი, არამედ მათი მხლებლებიც შეჰქვენ ტყეში შესწრებულ დაკოდილ ნადირს. („ნადირნი ტყესა შესწრებს, საღა ვერა რბის ცხენია“) და იქ თავს წააღენ მტირალ ჭაბუქს. ვეფხის-ტყაოსანის საბოლოო რედაქტირდან არა სჩანს აშკარად, თუ ვინ შეხედა პირველად ტარიელს, მაგრამ პოემის ვარიანტებში შენახულია პირდაპირი ცნობა ამის შესახებ („მნახავნი მოდგეს, ჩვენ ვნახეთ ტურფა რამ სანახავია“), რაც, სხვათა შორის იმის უდაო მაჩვენებელია, რომ რუსთაველს თავის პოემა რამდენიმეჯერ გადუკეთებია. ამ აღგილს ვრცლად განვიხილავ ქვემოთ, იმ თავში, საღაც ლაპარაკი იქნება ვეფხის-ტყაოსანის ვარიანტებზე.

3. ინგოროვას მოპყავს კიდევ ერთი შემდეგი მოსაზრება ამ საკითხის გარშემო:

„არის კიდევ ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენება, რომელიც ამტკაცებს, რომ ნადირობის შედეგის აღწერა ყალბია. მართლაც შეიძლებოდა თუ არა ჯერ კიდევ ყოფილიყო საუბარი ნადირობის შედეგის შესახებ? რასაკვირველია არა. პოემის შემდეგი მოთხოვობიდან ირკვევა, რომ ნადირობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული“.

ამ აზრის დასამტკიცებლად მკვლევარს მოპყავს პოემიდან აღავთ, საღაც ნათქვამია, რომ, რადესაც როსტევანი შეწუხდა ტარიელის გადაკარგვით, მაშინ „ყველაკაი დაიშალა საღაცა ვინ მხეცთა სრვიდა“, რასაც მკვლევარი დაასკვნის: „ამნაირად, ნადირობა ჯერ კიდევ არ ყოფილა დამთავრებული და ნადირობის შედეგებზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრნვი იყო“-ო.

ეს მოსაზრება არა თუ „გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენება“ არ არის, ჩემის აზრით, სრულიად მოკლებულია რაიმე მნიშვნელობას. როსტევანისა და ავთანდილის ცხენიდან გადმოხტომით გათავდა მათი შეჯიბრება და არა ნადირობა საერთოდ. ამის შემდეგ „სამზოდ“ გაწვეულ ლაშქარს, და ნადირის მოსარეეკად გაგზავნილ მონადირეებს იმდენი შეეძლოთ ენადირნათ გამომფრთხალ ნადირზე, რამ-

დენიც მათ სურდათ. ბატონები რომ გაათავებენ ჭამას, მისამსახურენი სხდებიან იჯრათ, მეფე-დელოფალი რომ სუფრიდან ადგება, მაყრიონი კიდევ ვანაგრძობს ქეიფს,—რა არის აქ არაჩეულებრივი? განა სტრიქონიდან „ყველაკა დაიშალა, სად აცა ვინ მხეცთა სრვიდა“ აშეარად არა სჩანს, რომ აქ სხვა მონადირებზეა ლაპარაკი და არა როსტევანსა და ავთანდილზე? ამ უკანასკნელების მიერ დაკოდილ ნადირებს სპეციალურად დანიშნული პირები ადევნებდენ თვალ-ყურს და, მაშასადამე, იმის გამოსარკვევეად, თუ რომელი დარჩა მათ შორის გამარჯვებული, სრულიად არ იყო საჭირო ნადირობის შეწყვეტა საერთოდ.

საინტერესოა ერთი გარემოება. როგორც ვიცით, ვეუხის-ტყაოსანის ზოგიერთ ხელნაწერებში არის ბევრი ისეთი ტაეპი, რომელიც ვარიანტების ხასიათს ატარებს. კერძოთ არსებობს „ნადირობის“ ეპიზოდის ვარიანტი. ეს ვარიანტი შესრულებულია გაცილებით უფრო სუსტად, მაგრამ მისი შინაარსი თითქმის იგივეა, რაც ძირითადი ტექსტის; ნადირობის შედეგი იქაც სავსებით იმგვარია, ესე იგი იქაც ავთანდილი იმარჯვებს მეფეზე. აი ზოგიერთი ადგილები იქნედან ავთანდილის შესახებ:

1. ისრითა ეტლსა დაბამს, არ უჩანს მისი სწორია.
2. თქვეს ავთანდილ აჯობაო..
3. მონათა ჰევადებს: „მეფეო, ვერ მოგახსენებთ რიდითა, ლომსა ავთანდილს უფროსი მოუკლავს ოცდაშვიდითა.

თუ ჩვენ პ. ინგოროვას შეხედულებას მივიღებთ ნადირობის შედეგის შესახებ, მაშინ გამოდის რაღაც ორსართულიანი ყალბის-მქნელობა: რუსთაველის „ნადირობის“ ეპიზოდს გასჩენია ყალბისმქნელი (ის, რომელსაც პ. ინგოროვა ჰგულისხმობს), ხოლო ამ ყალბისმქნელის ნაშარმოები კიდევ სხვა ყალბისმქნელს შეულამაზებია. ეს მეორე ყალბისმქნელი ყოფილა, ასე ვსოდებათ, ყალბისმქნელი კვადრატში. ეს ხომ საზღაპრო ამბავია და ამაზე ლაპარაკიც არა ღირს.

პ. ინგოროვას არ უნდა, რომ მისი მოსაზრება ამ ეპიზოდის შესახებ მხოლოდ ტექსტის ანალიზის ნიუანსებზე დამყარებული, ე.ი. ჰერში გამოკიდებული იყოს; ამიტომ მას მოუნახავს ერთხელნაწერში—Q-ხელნაწერში—ნადირობის ეპიზოდიდან ერთი სიტყვი ს განსხვავებული წაკითხვა, რომელსაც ის ობიექტიური ხასიათის საბუთად იყენებს. აი თურმე რისთვის სჭირდებოდა მას ამ Q-ხელნაწერის პრესტიჟის აწევა! ადგილი, რომელიც პოემის ყველა ხელნაწერში იყითვების: „იგი მაშერალი ორნივე მოსწყდეს, აზომცა მხენინია“, Q-ხელნაწერში შემდევი სახით ყოფილა წარმოდგენილი: „იგი მაშვ-

რაღმი გარდა ხდეს, მოსწყდეს, რაზომცა მხნენია“. საკვირველია, პ. ინგოროვა ანგარიშს არ უშევს იმ გარეშოებას, რომ ვეფხის-ტყაოსანის არცერთი რედაქცია, ხელნაწერი თუ ბეჭვდითი, არ უარპყოფს „ნადირობის“ შედეგს, ხოლო ერთი სიტყვის ერთ ხელნაწერში სხვანირ წაკითხვას კი ასეთ დიდ მნიშვნელობას აწერს. ვეფხის-ტყაოსანის ტაქტთა უმეტეს ნაწალში ყოველთვის მოიპოება ისეთი ცალკე სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც პოემის ესა თუ ის ხელნაწერი განსხვავებულად ჰქითხულობს, მაგრამ ეს არის უმთავრესად გადამწერთა აუცილებელი შეცდომების ნაყოფი.

მაინც განვიხილოთ, თუ როგორ იყენებს პ. ინგოროვა ამ სტრიქონის განსხვავებულ წაკითხვას. მისი აზრით, ნადირობის ეპიზოდის ნამდგილი ტექსტი თავდება ამ სტრიქონით, ხოლო შემდეგ კი ყალბისმქნელის მიერ ჩამატებული ტაქტები მიღის. ვითომც ყალბისმქნელს, იმ მოსაზრებით, რომ მას ტექსტის გაგრძელების შესაძლებლობა მისცემოდა, აქ სიტყვა „გარდახდეს“, რაც ნადირობის გათვებას ჰგულისმობს, შეუცვლია სხვა სიტყით („ორნივე“-თი), ხოლო ცნობა ცხენებიდან ჩამოხტომის შესახებ გადაუტანია თავისი ყალბი დამატების ბოლოში („იგი ორნივე საგრილოდ გარდახდეს ძირთა ხეთასა“). მკვლევარის ასეთი მოსაზრება უეჭველად შემცდარია. საქმე იმაშია, რომ სტრიქონი „იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს რაზომცა მხნენია“ ისედაც აუცილებლად ჰგულისხმობს როსტევანისა და ავთანდილის ცხენებიდან ჩამოხტომას, რაც სჩანს მისი მომდევნო ტაქტიდან, რომლითაც, პ. ინგოროვას აზრით, ყალბი ეპიზოდი იწყება:

ერთმანერთსა თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,  
ამხანაგობდეს, ლალობდეს იქით და აქათ დგებოდეს.

რას ნიშნავს სიტყვები „იქით და აქათ დგებოდეს“? — რათქმა უნდა იმის, რომ ცხენებიდან უკვე ჩამომხტარი როსტევანი და ავთანდილი ერთმანერთს, დღევანდელი სიტყვა რომ ვიშმაროთ, რევერანსებს უკეთებენ, ხუმრობენ და იცინიან \*). ამასვე ადასტურებს მესამე მომდევნო სტრიქონიც — „მე რმე მოვიდეს მონანი, რომელნი თანა ჰყვებოდეს“, საიდანაც სჩანს, რომ ცხენოსნებისაგან უკან ჩამორჩენილი მონები დაეწინენ ბატონებს მაშინ, როდესაც ისინი შეჩერდენ და ძირს გადოხტენ. ეხლა დააკვირდით, თუ

\*) არას ვაშბობ აქ იმის შესახებ, თუ რამდენად დამახასიათებელია ეს მშვენიერი სტრიქონები რუსთაველისათვის და რა მოხდენილად არის აქ გადმოცემული როსტევანისა და ავთანდილის განწყობილება ერთმანერთისადმი. როგორ შეიძლება მათ სიყალებებზე ლაპარაკი!

როგორ წინააღმდეგობაში ვარდება როგორც პ. ინგოროვა, ისე მისი ყალბისმქნელი: ის გვარშმუნებს, ყალბისმქნელს ზემოთმოყვანილ სტრიქონში მოჟსახია ცნობა მეფის და ავთანდილის ცხენებიდან ჩამოხტომის შესახებო, ხოლო „ყალბი დამატების“ მეორე სტრიქონიდან კი („იქით და აქათ დგებოდეს“) აშკარად სჩინს, რომ ეს ორი მონადირე უკვე ჩამოქვეეთებულნი არიან. როგორ მოხდა, რომ ყალბისმქნელი ჯერ ასწორებს რუსთაველის ნამდვილ დედანს იმისათვის, რომ გვაჩვენოს, ვითომც „მეფე დი ავთანდილი ჯერ კიდევ ისევ ცხენებზე სხედან“ (რუსთაველიანა, 84 გვ.), ხოლო იქვე ორი სტრიქონის შემდეგ თავის ყალბ დამატებაში სრულიად საწინააღმდეგოსა სწერს?! ჩა თქმა უნდა, არავითარი ამის მაგვარი არც მომხდარა—არავითარ ყალბ დამატებას აქ ადგილი არა აქეს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ რამდენიმე ტაეპის ქვემოთ ისევ მეორდება ცნობა ცხენებიდან ჩამოხტომის შესახებ („გარდახდეს ძირთა ხეთასა“) ეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია ვეფხის-ტყაოსნში. Q-ხელნაწერის განსხვავებული წაკითხვა კი, საესებით ადგილი ასახსნელია: გადამწერს შეცდომით „ორნივე“-ს ნაცვლად ჩაუწერია „გარდახდეს“, ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ ტექსტის აზრით აქ სწორედ ჩამოხტომა არის ნაგულისხმევი.

დასასრულ, საჭიროა გადავაკლოთ თვალი, თუ რას წარმოადგენს ის შვიდი ტაეპი მთლიანად, რომელიც პ. ინგოროვას გამოუყვარა „ნადირობის“ ეპიზოდიდან, როგორც „ნამდვილი ტექსტი“. ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ ორი უკანასკნელი მათ შორის აღბულია არა „ნადირობიდან“, არამედ შემდეგი თავიდან („ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა“), და, მაშასადამე, ეს ეპიზოდი, პ. ინგოროვას რედაქციით, შესდგება ნამდვილად არა შვიდის, არამედ მხოლოდ ხუთი ტაეპისაგან. რათ დასჭირდა მკელევარს ტაეპების ასეთი გადარიცხვა ერთი თავიდან მეორეში? მას დასჭირდა ეს ჯერ ერთი იმისათვის, რომ როგორმე გაედიდებია ყალბად მიჩნეული ტაეპების ამოღების შემდეგ მეტად დაპატარავებული „ნადირობა“. ის გრძნობდა ალბად ერთგვარ უხერხულობას, როდესაც ტექსტის გაწმენდის შემდეგ მას ხელში შერჩა შხოლოდ ხუთი ტაეპი იმ „ნადირობიდან“, რომ ლის შესახებ ჯერ მარტო წინასწარ ლაპარაკს რუსთაველი 10—12 ტაეპს ანდომებს. მეორე მხრით, „ნადირობის“ ეპიზოდისათვის ზემოხსენებული ორი ტაეპის წაბმა მკელევარს დასჭირდა ერთგვარი სიმეტრიის დასაცავად: 7 ტაეპი რუსთაველის—7 ყალბისმქნელის. გვაგონდება აქ ლახმანის მიერ „ნიბელუნგების“ ტექტის დალაგება: მის მიერ „ყალბი

ადგილებისაგან“ გაწმენდილი პოემის ყოველი ქების ტაეპთა რიცხვი, როგორც ბოლოს გამოირკვა, ისე იყო შერჩეული რაღაც მისტიური ხასიათის მნიშვნელობით, რომ უთუოდ შვიდზე იყოფოდა. აქ მხგავსება, რა თქმა უნდა, მხოლოდ გარეგნულია და ის გამოიხატება ნამდგილად არარსებულ სიმეტრიის და წონასწორობის ხელოვნურ შექმნაში.

ცალკე ალსანიშნავია ამ შვიდ ტაეპში ერთი სტრიქონი:

ნახსი!—უცხო მოყმე ვინმე სჯდა მტრიალი წყლისა პირსა!..“

3. ინგოროვას სასვენი ნიშნები, მძიმე და წერტილ-მძიმე, შეუცვლია განცვიფრების ნიშნებით, რითაც სტრიქონის მოთხრობითი კილოსა და მშვიდი რიტმისათვის. სრულიად მოულოდნელი და ამ ადგილისათვის შეუფერებელი ექსპანსიურობა მიუცია. განსაკუთრებით მიუღებელია პირველი განცვიფრების ნიშანი; რუსთაველის სალექსო სტრიქონმა არ იკის რიტმის დატეხა და კადანსები შუაში, ის გასროლილი ისარივით სწორი და შეუფერხებელი ხაზით მიემართება; გამონაკლის მხოლოდ ისეთი სტრიქონები შეადგენენ, სადაც ადგილი აქვს ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრის გადმოცემას პირველი პირით. 3. ინგოროვა ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას, ის ხშირად რუსთაველის ცალკე სტრიქონებს თავისი შესწორებებით რაღაც თანაბედროვე ლექსის ხასიათს ანიჭებს.

3. ინგოროვა ანგარიშს არ უწევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სხვა და სხვა დროის პოეტები სრულიად არ ხელმძღვანელობენ ერთი და იმგვე წერის პრინციპებით. მკვლევარის ცდა, რომ რუსთაველის პოემა რაც შეიძლება მოკლედ და დაწურულად წარმოგვიდგინოს, გამომდინარეობს მის მიერ პოეტური შემოქმედების თანამედროვე პრინციპებზე დამყარებიდან, მაშინ როდესაც ეს პრინციპები ნამდვილ პროკრუსტოს საწოლს წარმოადგენს ვეფხის-ტყაოსანისათვის. მე არა ერთხელ აღმინიშნავს ძველი ეპიური პოეზიის თვისებები—აღწერის სისრულე და ზედმეტი დეტალიზაცია, ეპიზოდების განხრას გაჭირება და ამის გამო ნათევების ხშირი განმეორება. მოვიყან აქ ცნობილი რუსი კრიტიკოსის ი. აიხენვალ და ის აზრს ამის შესახებ:

„Древний, типичный эпос будто читает книгу мира по складам: он не спешит перейти от предмета к предмету, а подолгу сосредотачивается на каждом из них, описывает его во всех подробностях, не раз и не два раза,—прибегает к повторениям“.

რუსთაველიც ასე იქცევა. ის ამბობს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვჭრას იტყვის ვინცა გრძელად“-თ და მეორე ადგილას: „სიტყვა კარგი

გამოვაგო ლექს მრავალმან, ენა მეტმან.“ ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები ამაღლ სცდილობენ შეამოკლონ რუსთაველის მრავალი ლექსი და ენამეტობა.

ამით ვასრულებ „ნაღირობის“ ეპიზოდის დაცვას ყოველგვარი შემოკლებისაგან..

შემდეგ „რუსთველიანაში“ მიდის თავი „ვეფხის-ტყაოსანის უძველესი ინტერპოლატორი“. ასეთ ინტერპოლიატორად პ. ინგოროვას მიაჩნია „ვინმე მესხი მელექსე“. მკვლევარის აზრით, „ციკლიური დამატებანი“, რომელთა რაოდენობა პოემის ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებში ვითომც თოხას ტავპამდე ადის, უმთავრესად დაწერილია ამ მესხის მიერ, რომელიც თურქე „საქმაოდ კარგად ჰყლობს ლექსის ტეხნიკას“. ვიდრე ამ აზრის დარღვევას შეუდგებოდე, რე წინასწარ კათეგორიულად შემიძლია დავარწმუნო მკითხველი იმაში, რომ ეს „ვინმე მესხი“ არის იგივე რუსთაველი და, მაშასადამე. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რუსთაველი, სექართველოს უდიდესი პოეტი, „საქმაოდ კარგად ჰყლობს ლექსის ტეხნიკას“!

იმ შეხედულებას, რომ არსებობდა ვილაკ ყალბისმქნელი „შესხი მელექსე“, პ. ინგოროვას გარდა, აღიარებენ პოემის თითქმის ყველა მკვლევარები (ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე კ. კეკელიძე); ისინი ემყარებიან უმთავრესად შემდეგი, მათ მიერ ყალბად მიჩნეული, ტაპის უკანასკნელ სტრიქონს:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა;  
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე უამისა;  
გის გრძლად ჯვრია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.  
ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად  
ამისა.

პ. ინგოროვას აზრით, ამ უკანასკნელ სტრიქონში ინტერპოლიატორი აშეარად ამჟღავნებს თავის ვინაობას, —, თვით მისივე სიტყვებით იგი სწერს ამ სტროფს რუსთველის თქმულის შესავსებად“—ო. მკვლევარს ჰეონია, რომ სიტყვა „რუსთველისად ნიშნავს „რუსთველისათვის, რუსთველის დამატებად“. ნამდვილად კი ამ სიტყვის ასეთი განმარტება სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ავილოთ პოემის სხვა აღილები, საღაც ამგვარადვე დაბოლოებული სიტყვები გვხვდება, მაგალითად:

ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად.

ნუ თუ აქ სიტყვა „შესართავისად“ ნიშნავს „შესართავისათვის“ ან „შესართავის მაგიერ“, ან „შესართავის ნაცვლად“, ან კიდევ „შესართავის დამატებად“? ვეფხის-ტყაოსანში საქმაოდ ბერი სი-

ტყვებია ამგვარი ფლექსით (უმთავრესად რითმებში) და არ სად მათი გაგება ზემოხსენებული აზრით არ შეიძლება. ხსენებულ მაგალითში სიტყვა „შესარჩავისად“ ჩიშნავს შესართავად. ამგვარადვე სტრიქონი „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ ნიშნავს, უსწერ მე—ვინმე მესხი—ამის რუსთველად, ე. ი. რუსთველის სახელით, ანუ, დღევანდელი თერმინი რომ ვიხმაროთ, რუსთველის ფსევდონიმით. შოთას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა ვსწერ „ამის რუსთველად“-ი, ვინაიდან ის მაშინ რუსთაველი იყო მხოლოდ როგორც ვეფხის ტყაოსანის ავტორი, ისე კი მას ალბად სხვა გვარით იცნობდენ. სხვანაირად ამ სიტყვების ახსნა არ შეიძლება.

პ. ინგოროვას მოჰყავს (თუმცა სხვა აზრის დასამტკიცებლად) პოემიდან რამდენიმე ისეთი ტაეპი, სადაც რითმები იგივეა, როგორიც ამ ტაეპში, და აღნიშნავს, რომ იქედან ვითომც „ინტერპოლატორი სესხულობს თავის რითმებს“. ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა შორის პ. ინგოროვას ყველაზე ნაკლებად შეეფერება ასეთი გულუბრყვილო და მსუბუქი შეხედულება რითმაზე. რითმა გაოეგნული სამკაული არ არის ლექსის, რომ ცოტად თუ ბევრად სერიოზულ პოეტურ ნაწარმოებში მის სესხებაზე და მექანიკურ გადაჟებაზე ლაპარაკი შეიძლებოდეს. რითმა დიდ როლს თამაშობს შემოქმედების პროცესში, ის ხშირად ტრამპლინია პოეტის აღმაფრენისათვის; ტაეპის ოდნავ მოხაზული შინაარსი, უკეთ ვსოჭვათ—თემა, დეტალურად იშლება და სახიერდება სიტყვიერ ფორმაში რითმის ძიების დროს; ზოგჯერ ერთი რომელიმე მაგისტრალური სტრიქონის უკანასკნელი, ესე ივი სარითო სიტყვა მთელ გადატრიალებას ახდენს ტაეპის განზრახულ შინაარსში.

რითმის გადალება ერთი პოეტის მიერ მეორესაგან თანამედროვე ქართულ მწერლობაშიაც არ ხდება, როდესაც რითმის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ არის დასმული პრაქტიკულად; მით უშეტეს არ შეიძლებოდა ამას ადგილი ჰქონდა ძეველად, როდესაც რითმას არ უყვნებდენ დიდ მოთხოვნილებებს, რის გამო მისი მონაცვა საკუთარ ლექსიკონში არამე სიძნელეს არ წარმოადგენდა პოეტისათვის. სამაგიერო ძეველად პოეტი ძალიან ხშირად იმეორებდა თავისსავე რითმებს, ისე როგორც თავის სახეებს და სხვა და სხვა პოეტურ ფიგურებს.

ყოველივე ამის გამო, პ. ინგოროვას მიერ პოემიდან მოყვანილი ტაეპები, სადაც გამეორებულია საესებით, ან თითქმის საესებით, ყალბად მიჩნეული ტაეპის—„გასრულდა მათი ამბავის“—რითმა (ლა-

მისა—უამისა—წაშისა—ამისა), სრულიად საჭინააღმდეგო დასკვნისა-თვის უნდა გამოვიყენოთ. საკუთარი რითხების ამგვარი დაუინებული პასტიჩიო უდაოდ ამტკიცებს იმ ფაქტს რომ ყველა ეს ტაეპები დაწერილია ერთი პოეტის—რუსთაველის მიერ.

ამ ტაეპის მნიშვნელობა მეტად დიდია ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად. მისი შინაარსი შეეხება პოემის გმირთა გარდაცვალებას და, მაშასადამე, სრულიად არ შეეფერება ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოებას, ეს უდაოა. აშკარა არის, რომ ეს ტაეპი ეკუთვნის იმას, ვინც დასწერა ვრცელი რედაქციის უკანასკნელი თავები, სადაც აწერილია ვეფხის-ტყაოსანის გმირთა დაბერება, დასნეულება და გარდაცვალება, და ის ხელოვნურად გადმოტანილია ვახტანგისეულ რედაქციაში.

ეს გარემოება გამოუვალ შინააღმდეგობაში აყენებს პ. ინგოროვას, რომლის აზრით „ვინმე მესხი მელექს“ სცხოვრობდა მე-XIII საუკუნეში, ხოლო ვეფხის-ტყაოსანის ვრცელი რედაქციის უკანასკნელი თავები შეტანილია პოემაში არა უადრეს მე-XV საუკუნისა. გამოდის რომ პოემის გმირთა გარდაცვალება დაიწერა ერთ განსაზღვრულ ეპოქაში, ხოლო ტაეპი „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა, გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე უამისა“, ორი საუკუნით უფრო ადრე!

საინტერესოა, თუ როგორ ცდილობს პ. ინგოროვა დაახწიოს თავი ამ აშკარა წინააღმდეგობას. მისი აზრით, ეს ტაეპი ჰგულისხმობს არა პოემის გმირთა სიზმარისაებრ გასვლას ამ ქვეყნიდან, არა-მედ თამარის გარდაცვალებას მოელი მისი შედეგებით. აი სიტყვა-სიტყვით ეს აღგილი „რუსთველიანა“-დან:

„მონღოლთა მფლობელობის დროს თამარითველობა საქართველოს მფარველ გენიად, საქართველოს დიდების სინონიმიად. და ეს მელექსე თავის ელეგიურ ეპილოგში სჩანს აღნიშნავს, რომ თამარმა, რომლის ბრწყინვალება გადმოცემულია რუსთველის პოემით, „განვლო სოფელი“, და რომ ამის შემდეგ საქართველოს დიდება სიზმარისაებრ დამთავრდა“.

ტაეპის შინაარსის ასეთი განმარტების შემდეგ, რომლის ნაძლადეობა და სრული უსაფუძვლობა აშკარა უნდა იყოს მკითხველი-სათვის, მევლევარი გადაჭრით აცხადებს, რომ „ახსნა სხვანაირად ამ ელეგიური სტროფის შინაარსისა შეუძლებელია“. მე კი ვიტყვი, რომ, პირიქით, ახსნა ამნაირად ამ ელეგიური სტროფის შინაარსისა შეუძლებელია და გამოვსთქვამ ჩემს გაოცებას მკვლევარის ამგვარი

დაჯერებული ტონის გამო იქ, სადაც საქმე ყოვლად დაუჯერებელ ამბავს შეეხება.

3. ინგოროვას მოსაზრებათა ნაძალადეობა ამ ტაეპის შესახებ, რომელიც, ვიმეორებ, თავდაყირა აყენებს მთელს იმის ქრონოლოგიას, იქამდე მიღის, რომ გვიმტკიცებს, ვითომც ტაეპის შინაარსი „დია-მეტრალურად ეწინააღმდეგება“, პოემის იდეას და საზოგადო მსოფლ-მხედველობას“. თუ ასეა, მაშინ ისეთი პირველხარისხოვანი ტაეპები პოემაში, როგორიც არის „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“, „ვაპ სოუე-ლო, რაშიგან ხარ...“ და ბევრი სხვა, სადაც პოეტი სჩივის ადამიანის სიცოცხლის წარმავლობაზე და საერთოდ სოფლის უკულმართობაზე, ეწინააღმდეგებიან თავისი შინაარსით პოემის იდეას, რომელიც 3. ინგოროვას შემდეგს მეტად მდაბალი მხატვრული ლირებულების სტრიქონში დაუნახაეს:

ბოროტი სძლია კეთილმან, არაება მისი გრძელია.

ტაეპი „გასრულდა მათი ამბავი...“ წინააღმდეგობაში აყენებს არა მარტო 3. ინგოროვას, არამედ პოემის თითქმის ყველა მკვლე-ვარებს, იგი ნათელსა ჰქონდას ვეფხის-ტყაოსანის-ერცელი რედაქციების საკითხს და ამიტომ მას კიდევ შევეხები ქვემოთ, როდესაც პოემის ვარიანტებზე მექნება ლაპარაკი.

აუაროთ გვერდი 3. ინგოროვას ისტორიულ კვლავა-ძიებას, რუსთაველის ვინაობის შესახებ, რაზედაც მე ქვემოთ სხვა თავში გამოვსთქვამ ჩემს შეხედულებას, და გავყვეთ „რუსთველიანას“ ფურ-ცლებზე ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის შემცდარი ინტერპრეტაციით გამოწვიულ გაუგებრობათა განხილვას.

3. ინგოროვა აცხადებს, რომ რუსთაველს ვეფხის-ტყაოსანის დაწერამდე გამოუქვეყნებია სხვა პოემა — „ქებანი“. მკვლევარი, დარწმუნებული იმაში, რომ მან სავსებით დაამტკიცა ასეთი პოემის არსებობა, მთელს ათეულ ფურცლებზე არკვევს, თუ რა ერქვა მას, როდის დაიწერა, რა შინაარსის იყო, პოეზიის რომელ დარგს ეკუთ-თქნოდა, რა როლი ითამაშა რუსთაველის ცხოვრიბაში და სხვა. მხო-ლოდ 3. ინგოროვას დიდი ლიტერატურული ნიჭით უნდა აიხსნას ასვთი დეტალური განხილვა ნაწარმოების, რომელიც არასოდეს არ დაწერილი.

რას ემყარება ის თავის აღმოჩენაში? მთელს იმის საბუთს წარ-მოადგენს პოემაში ნახმარი ერთად-ერთი სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მკვლევარის დაჭვებულ უურადლებას არაჩვეულებრივად გაუზიადებია. საერთოდ, როგორც ზემოთ მქონ-და აღნიშნული, ყოვლად შეუწყნარებელია. ლექსის ტექსტუალური

განხილვის ისეთი სისტემა, რომელიც პ. ინგოროვასა აქვს მიღებული. ის კითხულობს რუსთაველის ლექსს ნელა, თითქმის მარცვლა-მარცვლა, აკვირდება ცალკე სიტყვებს, ითვალისწინებს მათ შესაძლებელ მნიშვნელობას და იღებს იმ მნიშვნელობას, რომელიც ასე თუ ისე ამართლებს მის წინასწარ ჩამოყალიბებულ კონცეპციას პოემის შესახებ. მას გამოაქვს აზრი ცალკე სიტყვიდან, მაშინ როდესაც ცალკე სიტყვას აქვს მნიშვნელობა და არა აზრი. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფრაზის სახით შეიძლება რომ იქნეს მოცემული.

აი რასა სწერს ზემოთ დასახელებული ტომაშევსკი ტექსტის ნელი კითხვის შესახებ:

„Замедляя чтение, мы как бы нереактивируем (в смысловом, логическом плане) речь, разбивая ее на более мелкие фразы (ибо поневоле отягощаем ее остановками, логическими ударениями, смысловыми кадсициями). Смыслы начинают склоняться там, где их не было, каждое слово начинает выскакивать из контекста, вырабатывая себе какую то суррогатную фразовую среду“. \*)

სწორედ ასეთი ნელი კითხვის შედეგია პ. ინგოროვას მიერ რუსთაველის შემდეგი ორი სტრიქონიდან იმ აზრის გამოტანა თითქო მას ვეფხის-ტყაოსნამდე სხვა პოემა ჰქონოლა დაწერილი:

თამარს ვაჭებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული.

პ. ინგოროვას ჰქონია, რომ აქ, მეორე სტრიქონში, „ქებანი“-ს სახით ლაპარაკია რაღაც სხვა, წინათ დაწერილ პოემაზე. აი როგორ ვკითარებმნის ახალ ქართულზე ის ამ სტრიქონებს:

„მეფის თამარის ქებათა ვიწყებ აქ, მე — დამატრევეველი სისხლისა ცრემლთა [—განშორებული მისი მიჯნური] ქებანი თამარისა სადიდებლად მე უწინაც მითქვამს და [იგი პირველი ქებანი] არ იყო ცუდად შერჩეული“.

ამ თარგმანს მკვლევარი უწოდებს „სიტყვა-სიტყვითი“ თარგმანს „ყველა მეტაფორების გახსნით“. თუ რანაირი თარგმანია აქ მოცემული და როგორ არის მეტაფორები გახსნილი, ამაზე ქვემოთ მექნება ლაპარაკი, როდესაც ამ ტაქსს უფრო დაწერილებით განვიხილავ, აქ კი ამ „ქებანი“ - ს შესახებ ეილაპარაკოთ მხოლოდ.

მკვლევარის აზრით „ქებანი“ ნიშნავს „შოთას ტერმინოლოგით“ პოემა-რომანს. დაუშვათ ერთი წუთით, რომ ეს ასეა, და ვნახოთ თუ რა გამოვა. რუსთაველი ზემოთმოყვანილ სტრიქონებში

\*) Б. Томашевский: „Соврем. проб. историко-литер. изучения“, გვ. 96.

ამბობს—მე ვსთქვი თამარის ქებანიო. თუ „ქებანი“ აქ ნიშნავს არა უბრალო ქებას, არამედ პოემა-რომანს ან პოემის სახელს, მაშინ ხომ ეს „ქებანი“ თამარის კი არ იქნებოდა, არამედ რუს-თაველის, ისე როგორც პოემა-რომანი „ევგენი ონეგინი“ ეკუთვნის ჟუშკინს და არა ტატიანა ლარინას! გამოდის თითქო რუსთაველი ამბობდეს: მე ვსთქვი თამარის პოემა რომანიო. ასეთ შეუსაბამობას ის არ იტყოდა. რუსთაველი ჰელლისხმობს აქ თვით ვეფხის-ტყაოსანს, რომელიც მას თამარის საქებრად დაუშერია. პ. ინგოროვა შეცდომაში შეუყვანია იმ გარემოებას, რომ აქ ვეფხის-ტყაოსანზე ლაპარაკია ისე, როგორც დასრულებულ ნაწარმოებზე. სწორედ ამგვარივე შეცდომა დაუშვა აკად. 6. მარრმაც, როდესაც მან სტრიქნი „ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ საქმე ვქმენ საჭოჭმახები“ ასე გადააკეთა: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვა, საქმე ვქმნა საქოჭმანები.“ \*) საკვირველია, ნუ თუ პ. ინგოროვამ და 6. მარრმავერ შემჩნიეს პროლოგში სხვა ადგილები, სადაც ვეფხის ტყაოსანზე ლაპარაკია ისე, როგორც შესრულებულ ნაწარმოებზე? მაგალითად:

1. მისი სახელი შეფრევევით ქვემოთ მითქვამს, მიქია.
2. ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცია ხვდებიან. და სხ.

ვიმეორებ წინად გამოთქმულ ჩემს მოსაზრებას („ალიტ. ქ. ზ.“, გვ. 97), რომ ვეფხის-ტყაოსანის პროლოგი დაიწერა არა პოემის შექმნამდე, არა მისი ღამთავრების შემდეგ (რაც უფრო შესაძლებელი იქნებოდა პირველზე), არამედ ის მუშავდებოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც პოემის დაწერას მოუნდა. სწორედ ამიტომ იქ ვეფხის-ტყაოსანი ნაგულისხმევია ხან როგორც დაწერილი, ხან როგორც დასაწერი ნაწარმოები.

„ვთქვენი ქებანი“, ისე როგორც „ვთქვენ ხელობანი“, ვეფხის-ტყაოსანს დაწერილად ჰელლისხმობს. აქ სიტყვა „ქებანი“ ნახმარია საკუთხით იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ის ეპილოგში გვხვდება — „ქებანი მათ შეფეთანი“. პროლოგში ვეფხის ტყაოსანი მოხსენებულია როგორც თამარის ალეგორიული ქებანი, ხოლო ეპილოგში კი როგორც უცხო მეფეთა (ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის) ქებანი პირდაპირი გაგებით. არავითარ წინააღმდეგობას აქ აღვილი არა აქვს, როგორც ამას პ. ინგოროვა და კ. კეკელიძე ფიქრობენ.

პ. ინგოროვა, როგორც ზემოთ აღვიშნე, დეტალურად იხილავს ამ არარსებულ პოემა-რომანს „ქებანს“. ის, სხვათა შორის, იმასაც კი

\*) H. Mapp; „Тексты и разыскания по арм.-груз. филол.“ გვ. 34.

არკვეტს, თუ რა შეხედულების იყო თვითონ რუსთაველი ამ პოემის შესახებ. მას მოჰყავს რუსთაველის პოეტიკის დასახასიათებლად ცნობილი სტრიქონი „არ ძალუძი სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“ და დასძენს:

„ხოლო შოთას პირველი „ქებანი“, თვით მისივე სიტყვით, წარმოადგენდა სრულებით სხვას; აյ იყო ის, რაც შოთას აზრით არ შეიძლება გადმოიცეს ლირიკით: მხატვრული სრულქმნა აზრისა, რომელსაც ძალუძი განვიტრვა გულთა; [„გინცა ისმინოს“ — ამბობს შოთა თავის პირველ ნაწარმოებზე — „დაესვას ლახვარი გულსა ხეული!“].“

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: როგორ მოხდა რომ რუსთაველი თავისი პირველი პოემის შესახებ, რომელიც, პ. ინგოროვეს გამოანგარიშებით, ვეფხის-ტყაოსანზე ათი წლით ადრე დაიწერა და გამოქვეყნდა, სწერს „ვინცა ისმინოს“-ო? მკვლევარისავე მტკიცებით, ეს პოემა კიდეც „ისმინეს“ და კიდეც გააძევეს ავტორი საქართველოდან მისი შეუფერებელი შინაარსის გამო ეს იმას ემგვანებოდა, რომ ილია ჭავჭავაძეს „განდეგილის“ გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ, ეთქვას: ჩემს პოემას ვინც მოისმენს, ლახვარით გაიგმირება მისი გულიო.

გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილ ციტატაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პ. ინგოროვეს შემცდარად აქვს გაგებული რუსთაველის სიტყვა „სრულ-ქმნა“ („არ ძალუძი სრულ-ქმნა სიტყვათა...“) მკვლევარს ეს სიტყვაც თანამედროვე მნიშვნელობით გაუგია და ჰქონია; რომ აქ ლაპარაკია რაღაც მხატვრულ სრულ-ქმნაზე, რასაც ის რამდენგანმე იმეორებს ხაზგასმით. ამგვარადვე აქვს გაგებული ეს სიტყვა აყად. 6. მარტს, რომელიც ზემოხსენებულ სტრიქონს ასე სთარგმნის რუსულ ენაზე:

„это удел поэтов, бессильных отлить мысли, проливающиеся из сердце, в совершенные [формы]...“<sup>\*)</sup>

აქ აშეარა გაუგებრობა არის: სრულქმნა, თანამედროვე გაებით, ნიშნავს სრულყოფას, უნაკლოდ შესრულებას; რუსთაველის ლექსიკონში კი ეს სიტყვა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ შესრულებას, გარეშე ყოველგვარი ლირისობრივი ელფერისა. „არ ძალუძი სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“, ესე იგი — არ ძალუძი გულის გამგმირავი სიტყვების შესრულება, ანუ შეთხვაო. აი ნიმუშები ვეფხის-ტყაოსანიდან, პომლებიც საესებით ნათელჲყოფენ თუ რა მნიშვნელობით ხმარობდა ამ სიტყვას რუსთაველი:

<sup>\*)</sup> H. Mapp: „Вступ. и заключит. строфы...“ გვ. 9.

1. ქალმან მისცნა მარგალიტნი ს რულ - ქმნა მისი საწადელი.
2. უბრძანა დარბაზს მოყვანა, ს რულ - ქმნა უსენის თქმულისა.

ორივე შემთხვევაში აქ „სრულ-ქმნა“ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ შესრულებას.

პოემა „ქებანის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მომხდარა ვითომც „შოთას განდევნა სამეფო კარიდან და მისი უცხოეთში ყარიბობა“. პ. ინგოროვა სწერს: „რომ შოთა ვეფხის-ტყაოსნის დაწერის დროს განდევნილი იყო სამეფო კარიდან, ამის შესახებ დაცულია პირდაპირი ცნობა იმავე ვეფხის-ტყაოსნის შესავალში“-ო. ასე-თი პირდაპირი ცნობის შემცველად მას მიაჩნია შესავალის სამი შემდეგი ტაქტი:

თამარს ვაჭებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული.

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაუსვას ლახვარი გულსა ხეული.

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა.

აპა გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა.

მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კარის, მისცეს სულთა ლზენა.

სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა.

ჩემი აწ სცანით ყოველმან მას ვაჭებ, ვინცა მიქია,  
ესე მჩანს დიდად სახელად, არ თავი გამიჭიქია.

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;

მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია.

პ. ინგოროვა სთარგმნის ამ ტაქტებს ახალ ქართულზე ისეთი სახით, რომ მყითხველს ეგონება თითქო ის ახალი, დღემდე უცნობი ტაქტების შინაარსს კითხულობდეს. აი სანიმუშოდ პირველი ტაქტის თარგმანი:

„მეფის თამარის ქებათა ვაწყებ აქ, მე — დამატოქვეველი სისხლისა ცრემლთა [განშორებული მისი მაჯნური!] ქებანი თამარის სადიდებლად მე უწინაც მათქვამს, და [იაი პირველი ქებანი] არ იყო ცუდად უერჩეული: მელნად მე მაშინ მქონდა გიშრის ტბა, [—თამარის თვალები, რომელის პირისპირ ხილვას იმ დროს ლირს ვიყავი]; ხოლო კალმი თვით მე ვიყავ, რხეული ლერწამი, [—მიჯნურობით გალეული მისი პოეტი] ვინც მოისმენს [იმ პირველ ქებათა], მასაც დაესობა გულში ლახვარი [—განიგმირება ჩემის მიჯნურობის მოსმენით]“.

ამ თარგმანს მკვლევარი უწოდებს „სიტყვა-სიტყვითი“ თარგმანს „ყველა მეტაფორების გახსნით“.. განვიხილოთ ეს მეტაფორები. „სისხლისა ცრემლ დათხეული“, რომელიც მკვლევარს მეტაფორად მიაჩნია, ნამდვილად მეტაფორა არ არის. ამ ფრაზაში მხოლოდ ერთი სიტყვა „სისხლისა“, შეიძლება მივიღოთ ეგრედწოდებულ მეტა-

ფორულ ეპიტეტად. მაგრამ რასაც არ უნდა წარმოადგენდეს პოეტური ფიგურების თვალსაზრისით ეს ფრაზა, ჩვენ არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მათში რაიმე მითითება ან განშორებაზე, ან შეერთებაზე. სისხლის ცრემლებით ტირილი ვეფხის-ტყაოსანში ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დიდი მწუხასების გამომეულავნებას (თუ რა მწუხასებას უნდა ამჟღავნებდეს აქ პოეტი, ამაზე სხვაგან მექნება ლაპარაკი). მაგალითად, როდესაც ავთანდილი შორდება შერმადინს, ის მას „მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლის ფერითა“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ერთად იყვნენ.

სიტყვები: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“ (პ. ინგოროვას რედაქციით — „ნაი რხეული“), ჩემის აზრით, ჰერლისხმობენ არა თამარის თვალებს მელნად და რუსთაველის სხეულს კალმად, რაც მეტის-მეტად ანტიესთეტიკურ შთაბეჭდილებას მოახდენდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ მელანს და კალმს, რომლითაც ვეფხის-ტყაოსანი იწერებოდა; ამ შემთხვევაში გვექნება არა მეტაფორა, არამედ ჰიპერბოლა, — მაღალი ხოტბის დასაწერ საშუალებათა ღირსებების გაზვიადება. მაგრამ დაუშვათ, რომ ეს არის მეტაფორა, ესე იგი აქ ნაგულისხმევია გიშრის თვალები, რის შესაძლებლობა უთუოდ არსებობს, მაინც რაგვარად შეიძლება აქედან გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, რომ რუსთაველი გაძვებული იყო სამეფო კარიდან და უცხო ქვეყნებში ყარიბობდა? თა სახითაც არ უნდა განვმარტოთ ეს ადგილი, როგორც არ უნდა გავხსნათ აქ წარმოდგენილი პოეტური ფიგურა, ყოვლად შეუძლებელია მივიღოთ მისგან ის, რაც პ. ინგოროვას მიუღია: „თამარის თვალები, რომლის პირის პირ ხილვას იმ დროს ღირს ვიყავი“.

ამგვარადვე თავისებურად არის გადათარგმნილი დანარჩენი ორი ტაქპიც; განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს მესამე ტაქპის შინაარსი, სადაც ასეთ ფრაზებსა აქვს ადგილი: „ახლად შთაგონებული“, „ზეციურ მნათობს [თამარს]“, „ეს არის სამარადისო ძეგლი სახელისა, აქ არ არის [— მარადი იყვეს მათი მეფობა! —] შეურაცხება!“ და სხვა.

ამ თარგმანებს მოჰყვება მკვლევარის შემდეგი დასკვნა:

„ინტერპრეტაცია ამ ტექსტის შინაარსისა არ იწვევს არავითარ დაეპვებას. შოთას, როგორც ვეძედავთ თვით მისი სიტყვებიდან, თავისი პირებით თხზულება „ქებაზი“ თამარის კარზე დაუშერია; ხოლო ვეფხის-ტყარსნის დაწერის დროს იგი უკვე მოშორებულია მეფე თამარს, განდევნილია სამეფო კარიდან“.

ყოველივე ეს და ამაზე მეტიც შეიძლება სჩანდეს ტექსტის იმ ინტერპრეტაციიდან, რომელსაც პ. ინგოროვა იძლევა, მაგრამ რაც

შეეხება თვითონ რუსთაველის ზემოთ მოყვანილ სამ ტაეპს, არაფერი ამის მსგავსი იქ არა სჩანს.

მკვლევარი პოემის ტექსტშიაც ეძებს რუსთაველის გაძევების. დამამტკიცებელ ფაქტებს. მისი აზრით, პოემაში გვჭვდება ისეთი ლი-რიული გადახვევები, რომლებშიაც რუსთაველი იძლევა თავის ზოგი-ერთ ბიოგრაფიულ ცნობებს. ამ ლირიული შესავლებისა და გადახვე-ვების შესახებ პ. ინგოროვა ისე ლაპარაკობს, თითქო საქმე ვეფხის-ტყაოსანს კი არა, „ჩაიჭლდ-ჰაროლდს“ ან „ევგენი ონეგინს“ შეეხ-ბოდეს.

ასეთი ბიოგრაფიული ცნობის შემცველ ტაეპად პ. ინგოროვას მიაჩნია რუსთაველის სახელგანთქმული ტაეპი „ვაჰ“, სოფელო, რაში-გან ხარ...“ ამ ტაეპს აქ დაწვრილებით უნდა შევქხო, ვინაიდან ვეფ-ხის-ტყაოსანის ერთ-ერთმა მკვლევარმა, სახელცობრი პროფ. ქ. ქვემ-ლიძემ, ისეთი ყოვლად შეუსაბამო აზრიც კი გამოსთქვა, თითქო ეს ტაეპი პოემის ტექსტში ყალბისმქნელის მიერ იყოს ჩამატებული \*).

საქართველოში ომმ ანკეტა მოეწყოს ვეფხის-ტყაოსანის ცალკე ტაეპთა პოპულიარობის გამოსარკვევად, უპირველად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს არც ვეფხის-ტყაოსანში და არც სხვა რომელიმე ნაწარ-მოებში მეორე ისეთი ტაეპი, რომელიც ასე ღრმად იყოს შეწრილი მთელი ხალხის გულში. რა არის ამის მიზეზი? ეს ტაეპი ვეფხის-ტყაოსა-ნის გამოცემებში არც წითელი საღებავით იბეჭდებოდა და არც ლურ-ჯით, რომ ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მისთვის მკითხველს. ცხადია, მასში მოთავსებულია ისეთი შინაგანი ძალა, რომლის მეობებით ის მთელი საუკუნეების განმავლობაში რჩება მუ-დომ აქტუალური და ცხოველი ცეცხლით ანთებული. მოიგონეთ „გლა-ხის ნაამბობიდან“ სიკვდილის პირზე მისული გლახის აღზნებული დეკლამაცია:

ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირსა!

ყოფილიც შენი მონდობილი ნიაღაგმუა ჩემებრ სტირსა.

სად წიცყან სადაურსა, სად აღუფხრი სადით ძირსა,

მაგრა ღმერთი არ გაშირავს კაცსა შენგან განაწირსა!

ილ. ჭავჭავაძე ასეთი სიტყვებით გადმოგვცემს იმ განცვიფრე-ბულ სასოებას რუსთაველისადმი. რომელიც გლახის ამ დეკლამაციამ გამოიწვია მასში:

„ბარაქალა იმ კაცის მეტაველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუ-გეშოსაც . ნუჯეშებს საფლაკის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდ ვო რუსთაველო!“

\*) მნათობი — 1927 წ. № 2, გვ. 196.

არა თუ ქართულ მწერლობაში, მსოფლიო პოეზიაში არ მეგულება მე ოთხი ისეთი სტრიქონი, სადაც კოსმიური ს ე ვ დ ა ისე ღრმად და ფართოდ იყოს გაშლილი, როგორც ამ ტაეპში. სიმკაცრე და უკულმართობა, როგორც ძირითადი პრინციპი ცხოვრებისა, აღამიანის უმწეობა ამ ცხოვრების წინაშე, მისი ატირება და მისი უკანასკნელი იმედი გადარჩენისა, ისეთი პათოსით, ამაღლებული ტონით და ფილოსოფიური განკენცბულობით არის აქ გადმოცემული, რომ ეს ტაეპი ყოველთვის დარჩება როგორც კაცობრიობის ტკივილებისა და მისი ულრმესი სევდის ბრწყინვალე პოეტური განსახიერება.

ვინც ამ ტაეპში დიდი პოეტის გენიის მაგიერ ყალბისმქნელის თაღლითობას ხედავს და საკაცობრიო მწუხარების ნაცვლად „ცხოვრების ზნეშე წუწუნს“, იმან უმჯობესია პოეტურ ნაწარმოებთა განხილვისაგან თავი შეიკავოს.

გავარჩიოთ ებლა ეს ტაეპი ფორმის მშრით, და ჩვენ დაერწმუნდებით, რომ ის ატარებს რუსთაველის სტილის უტყუარ ნიშნებს\*).

როგორც ვიცით, რუსთაველი ხშირად იმეორებს ევფონიური მიზნით, ერთსა და იმავე ბგერებს სიტყვების თავსართებში, ფლექსიებში ან თვითონ ძირებში, მაგალითად:

1. ბროლ-ბალაშისა თლილისა მით მი ჯრით მიწყობილისა.
2. მი პჰოცდეს და მი ი სროდეს, მი ნდორს სისხლსა მიასხამდეს.
3. ს ი ბრძნე, ს ი მდიდრე, ს ი უზვე, ს ი ყმე და მოცალეობა.
4. კა რვის კა ლთა ჩა ხლართული ჩა ვსჭერ, ჩა ვაკარაბაკე.
5. მელავი მი ის სასთუმალად მი იდვის და მი წვის მითა.
6. ვწერ ვინ მე მე სხი მე ლექსე მე რუსთველისად ამისა.

### ამ ტაეპში:

1. ვაჲ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა..
2. სად წაიყვან სა დაურსა, სად ალუფხერი სად ით ძირსა.

შემდეგ მოვიგონოთ რუსთაველის წერის მანერის მთავარი, შეიძლება ითქვას, ყოვლად უცდომელი ნიშანი — სიტყვის განმეორება სტრიქონში:

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცას შენგან განაწირა..

დააკვირდით აგრეთვე აქ მოცემულ პარალელიზმს, რომელიც არა ნაკლებ დამახასიათებელია რუსთაველისათვის. განა შეიძლება ამ ტაეპის სიყალბეზე ლაპარაკი?

\* ) რუსთაველის სტილის არ უტყუარი ნიშნების დანახვა აქა-იქ უკვე დაიწყეს ვეფარის-ტყაოსანის მკელევარებმა, მაგრამ საჭირო არ არის, განსაკუთრებულ ჩემთვის, იმის დავიწყება, რომ ეს „უტყუარი ნიშნები“ თვალსაჩინო გახდა მნიშვნელოვანი მას შემდეგ, რაც გამოვიდა წიგნი „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფას-ტყაოსანის პრობლემა“.

პ. ინგოროვა არა სთვლის მას ყალბად, ის ფიქრობს, რომ აქ რუსთაველი სწერს თავისი პირადი ცხოვრების შესახებ. მკელევარის შეხედულებით, ამ ტაეპის პირველი სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს:

ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.

რომ ამ სტრიქონის ასეთი რედაქცია ყოვლად მიუღებელია, ამას ჩვენ აქვთ აშერად დავინახავთ. ჯერ ერთი, ეს ტაეპი იმდენად არის დიდებული, რამდენდაც იქ აღამიანის ჩივილი სოფელის უკულმართობის გამო ზოგადი სახით არის გაღმოცემული. ბევრი პოეტი და მრავალი მოქალაქე უჩივის თავის პირად ცხოვრებას, მაგრამ მათი აცრემლება ძალიან შორს არის კოსმიური სევდისაგან. დააკვირდით კარგათ ამ სიტყვებს — „ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“ და თქვენ დაიხახავთ, რომ რუსთაველის მაღალი ტრაგიზამით გამსჭვალული მსოფლმხედველობა აქ სასაცილოდ დაპატარავებულა — პირდაპირ სასაცილოდ! აი რა ძირითადი გადატრიალება მოახოინა სტრიქონში ერთი ბერის გამოცვლამ. კარგად არის რუსულად ნათქვამი: „От великого до смешного лишь один шаг“.

გარდა საერთო აზრის დამახინჯებისა, ამ კონიექტურაში აშკარად დამახინჯებულია აგრეთვე მსჯელობის ლოგიური წყობა. მართლაც: რუსთაველი პირველ სტრიქონში ლაპარაკობს ზოგადათ („რას გვაბრუნებ“), მეორე სტრიქონის პირველ ნაწილში კიდევ უფრო აყოვლადებს თავის აზრს („ყოვლიმც შენი მონდობილი“) და მხოლოდ შედეგ შედარებისათვის გადადის პირადულებები („ჩემებრ სტირსა“) აქ მსჯელობა მიემართება დედუქციის გარკვეული გზით. პ. ინგოროვას რედაქციით წარმოდგენილ ტაეპში კი მსჯელობა ასეთი უსისტემო ხაზით ვითარდება: კერძო — ზოგადი — კერძო. რა შუაშია აქ შედარება „ჩემებრ სტირსა“, თუ კი წინ თავის თავზეა ლაპარაკი? დასასრულ, ამ სტრიქონის სწორ და ყველასაგან მიღებულ წაკითხვაში ჩვენ ვხედავთ ბერის გ-ს ალიტერაციას:

ვაჲ, სოფელო, რაშიგ ან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა

მარტო ეს უკანასკნელი მოსაზრება ქმარა იმისათვის, რომ კათეგორიულად უარეყოთ პ. ინგოროვას მიერ წარმოდგენილი კონიექტურა, რომელიც ცენტრალურ აღგილის არღვევს სტრიქონის ინსტრუმენტალობას (გ-ს შეცვლა მ-თი).

უოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, აშერაა რომ ამ ტაეპში რუსთაველი ლაპარაკობს არა თავისი, არამედ აეთანდილის პირით.

მე განვიხილე ვეფხის - ტყაოსანის ტექსტის ყველა ის ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხები (ვახტანგისული რედაქციის

ფარგლებში), რომლებიც „რუსთველიანას“ ფურცლებზეა დასმული და გამოვიტანე შესაფერი დასკვნები.

დასასრულ, მინდა მოკლედ შევეხო იმ წვრილმანს, მაგრამ ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც შეუტანია აქა-იქ პ. ინგოროვას რუსთაველის ლექსში. ავიღოთ სანიმუშოდ მის მიერ წარმოდგენილი კონიექტურების ორი მაგალითი. სტრიქონს:

სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა.

### პ. ინგოროვა ასე კითხულობს:

სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.

ამ აღვილის ასეთი წაკითხვა აშეარად მიუღებელია. ჯერ ერთი, თუ აქ ლაპარაკია ღვევების „ვლენაზე“ და არა „ლევნაზე“, მაშინ რაღა საჭიროა სიტყვა „ლამის“? მეორე, — მომდევნო ტაეპიდან უდავოდ სჩანს, რომ რუსთაველს მხედველობაში აქვს ლექსების „ლევნა“ და არა „ვლენა“; იქ ნათქვამია:

რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყნს ლექსმან ლევა.

მესამე, — ეს წაკითხვა არღვევს რუსთაველის სიტყვების ბერათა ევფონიას; რუსთაველს აქვს: ლექსთა ლევნა, სადაც მოცემულია ბერათა ჯვუფის ეგრეთწოდებული ან აფორული განმეორება.

ვახტანგიც თავის: კომენტარიებში სიტყვებს „ლამის ლექსთა უნდა ლევნა“ ასე „სთარგმნის“: „ლამის ლექს დალევნა უნდაო“. განვიხილოთ მეორე მაგალითი. შესავალში ნათქვამია:

ჩემი აშ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია.

პ. ინგოროვა კი, ისე როგორც ნ. მარტი, ამ სტრიქონს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

ჩემი აშ სცანით ყოველმან მას ვაქებ, ვინ ცამ იქია.

ამ წაკითხვის ხელოვნურობა, ისე როგორც პ. ინგოროვას მიერ მისი შინაარსის განმარტების ნაძალადეობა, არ იწვევს არა-ვითარ ეჭვს.

რად დასჭირდა აქად. ნ. მარტის, ან პ. ინგოროვას, ამ მარტივი და სავსებით გასაგები სტრიქონის უკანასკნელი ბერების ასეთი უაზრო დაჯვუფება? ალბად იმისათვის, რომ თავიდან აეცილებიათ სარითმო სიტყვის უცვლელი განმეორება ამ ტაეპში:

ჩემი აშ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია.

• • • • •  
მისი სახელი შეიტრვევით ქვემოთ მითქვამს, მიქია.

ამგვარ რითმას ვერსიფიქაციაში ტავტოლოგიური რითმა ეწოდება. მკვლევარების ყურადღებას გამოჰქონდა, რომ ტავტოლოგიური რითმა ვეფხის-ტყაოსანში არა ერთხელ და ორჯერ გვხვდება. მაგალითად:

ტარიელ ნახა ნაწერი კვლაცა მყვლელისა მისისა;  
იყითხავს, თუცა აშეთვებს კითხვა წიგნისა მისისა.

ტავტოლოგიური რითმები ვეფხის-ტყაოსანში არ შეიცავს სავსებით იდენტიური მნიშვნელობის სიტყვებს. განსხვავება არის ხოლმე გრამატიკულ ფორმებსა და მიმართებებში. მაგალითად, უკანასკნელ ნიმუშში ნაცვალსახელი „მისისა“ პირებელ სტრიქონში ტარიელს აღნიშნავს, მეორეში კი ნესტან-დარეჯანს. ხოლო რაც შეეხება „მიქია“-ს, იქ არსებობს ნიუანსური განსხვავება დროისა და ადგილის მიმართ (მიქია საერთოდ და მიქია აქ, ამ პოემაში).

ამით ვამთავრებ „რუსთველიანას“ ცალკე განხილვას. იქ დასმულ სხვა საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, ვახტანგისეული რედაქტიისა და შოთას გინაობის საკითხი, შემდეგ თავებში შევეხები.

აქვე თავდება აგრეთვე დასაბუთება ჩემი პირველი დებულებისა, რომ ვახტანგისეულ რედაქტიის ყალბი ადგილები არ არის. ამ მიზნით მე განვიხილე და დავიცავი ათეტიზატორთა მიერ ყალბად მიჩნეული ადგილები ვახტანგისეული რედაქტიის ფარგლებში. თუ ჩემი მსჯელობა ყოველივე ამის გარშემო დამაჯერებელია, მაშინ მიზანი მიღწეულად ჩაითვლება.

## VI. ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია.

ვეფხის-ტყაოსანის ეგრეთწოდებული ვახტანგისეული რედაქციის საკითხი კარდინალური საკითხია ვეფხის-ტყაოსანის პრობლემაში. ამ საკითხის სწორი გადაჭრა დიდ სინათლეს შეიტანს ჩუსთაველის სახელის გარშემო გამეფებულ წყვდიადში. როგორც წიგნის შესავალში მქონდა განმარტებული, ვახტანგისეული რედაქცია ეწოდება ვეფხის-ტყაოსანის იმ ტექსტს, რომელიც დაბეჭდა ვახტანგ მეფემ 1712 წელს და რომელიც რაღიყალურად განსხვავდება პოემის ყველა უძველესი ხელნაწერების ტექსტისაგან. შემდეგი დროის ბეჭვდითი გამოცემები, გარდა ს. კაკაბაძის პირველი გამოცემისა, ემყარებიან ვახტანგისეულ რედაქციას, ასე რომ ფართო მკითხველი საზოგადოება ვეფხის-ტყაოსანს იცნობს დაახლოებით იმ სახით, რა სახითაც ის ამ რედაქციაშია წარმოდგენილი.

წიგნის ამ ნაწილში მე შევეცდები დავამტკიცო ჩემი მეორე დებულება: ვახტანგისეულ რედაქციას აკლია ნამდვილად რუსთაველის მიერ დაწერილი ცალკე ტაეპები სხვა და სხვა ადგილას და მთელი თავები ბოლოში. დავიწყოთ ცალკე ტაეპებიდან.

1 მაგალითი. პოემის თავი „ნახევა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსანისა“ პირველ ორ ტაეპში („ნახეს უცხო მოყმევინმე...“) და „მას ტანსა კაბა ემოსა..“) აგვიშერს წყალის ნაპირას შჯდომარე ტარიელს. ამ ტაეშს ვახტანგისეულ რედაქციასა და ყველა შასზე დამყარებულ ბეჭვდითი გამოცემებში, გარდა ს. კაკაბაძის უკანასკნელი გამოცემისა, მისდევს ტაეპი — „წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდულარისა“. ეს ყოვლად შეუძლებელია, მონა ვერ წავიდოდა, თუ ის არავინ გაგზავნა, თუ მას არავინ უბრძანა წასკლა. ასეთი მნიშვნელოვანი მომენტის გამოტოვებას არა თუ ენა-წყლიანი ეპიური პოეტი, არავინ არ დაუშვებდა. მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერებში ორ პირველ ტაეპს მისდევს შემდეგი ტაეპი, რომლის აუცილებლობა პოემის ტექსტისავთის დღესაცით ნათელია:

მეფემან ბრძანა, ვინ არის უცხო პირად და ტანადო,  
უბრძანა ერთსა მონასა წადი ფიცხლად და ჯანადო;  
გიბრძანებს, უთხარ, ვერ გიცნობ ჩვენთა ლაშქართა თანადო;  
ვინცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩემგან მონაყვანადო.

ამ ამ ტაქპის შემდეგ უკვე სრულიად ბუნებრივია ტაქპი — „წა-  
ვიდა მონა საუბრად...“

2 მაგალითი. ოსტევანი უამბობს თინათინს უცხო ყმის გა-  
დამალვის ამბავს. ვახტანგისეულ რედაქციასა და მასზე დამყარებულ  
ბეჭედითი გამოცემებში აქ ტაქპს „მე რა მნახა, ცენტრი შეჯდა...“  
უშუალოდ მოჰყება ტაქპი — „ტკბილი მისნი წყალთბანი ბოლოდ  
ასე გამემწარენს...“; სრულიად გაურკვეველია თუ ვის პეტლისხმობს  
აქ ნაცვალსახელი „მისნი“, ომლის შესახებ არაუგრი წინა ტაქპში  
ნათქვამი არ არის. მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, თუ ამ აღ-  
გილს ზოგიერთ ხელნაშერებში წავიკითხავთ, სადაც შენახულია ტაქპი:

აწ ეს მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე დარული;  
მან დამიხოცა ლაშქარი სისხლი ადინა ღვარული;  
კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისე თვალთაგან ფარული;  
უცილოდ ღმერთ სა მოსტულდი აქამდის მე მხიარული.

ამის შემდეგ სავსებით ნათელია ტაქპი „ტკბილი მისნი წყალთ-  
ბანი...“, ომელშიაც ასტევანი უჩივის ღმერთს. მოვიყვან შე-  
სადარებლად ამ ტაქპის პირველი სტრიქონის გვერდით სხვა სტრი-  
ქონს პოემიდან და მკითხველი აშკარად დაინახავს, ომ თრივე ერთ  
ავტორს ეკუთვნის:

აწ ას მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე დარული.

ტარიელი ამბობს მის მიერ ნახული რიდის შესახებ:

ვერა შევიგენ რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.

3 მაგალითი. ნესტან დარეჯანი შიმართავს ტარიელს: „წა-  
შეები ხატაელთა...“ ამ ტაქპს, ომელიც მთლიანად ნესტან-დარეჯა-  
ნის სიტყვებს წარმოადგენს, ვახტანგისეულ რედაქციაში მოსდევს  
ტაქპი — „აწ რასაცა მე მაღირსებ ხორციელი არგინ ლირსა...“ მკით-  
ხველს პგონია, თითქმ აქ ისევ ნესტან-დარეჯანი განაგრძობს ლაპა-  
რაქს, მაგრამ ნათქვამის აზრიდან სჩანს, ომ ეს ტარიელის პასუხია.  
ვინც ვეფხის-ტყაოსანის დიალოგის წყობას იცნობს, მისთვის აშკარა  
უნდა იყოს, ომ აქ რაღაც გამოტოვებულია. როდესაც სიტყვა მე-  
ორე პირზე გადადის, რუსთაველი ყოველთვის ამბობს — „მიუგო“,  
„უთხრა“, „მოახსენა“, „უბრძანა“, ან „მოვახსენე“, „ვუბრძანე“ და  
სხვა. მართლაც, ხელნაშერების უმეტესი ნაშილიდან სჩანს, ომ  
სიტყვა ტარიელმა აიღო. იქ იმ ორი ტაქპის შუა ასეთი. ტაქპი იკი-  
თხება:

მოვახსენე: არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად;  
მაგრა რადგან დამარჩინე, არ გამიჩნდი ჩემად მკვლელად,  
შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდენ მზეებრ სანახველად,  
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად.

ამის შემდეგ ტარიელი განაგრძობს: „აწ რასაცა მე მაღირსებ..“ და სხვა.

4 მაგალითი. ტარიელმა რომ ხატალებზე გაიმარჯვა, მას სასახლეში ნადიმი გაუმართეს და დიდათ დააჯილდოეს. მეფე-დედოფალი მიმართავენ მას:

აწ ვითა გმართებს შემოსვა, ვის მორჭმით მოგივლენიან,

არ შეგმოსთ მაგა კაბითა, არ აგხდით—ტურფად გშვენიან;

აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქი მოგიფენიან.

თვით შეიკერე, რაცა გწადს, ჩვენგან ნუდარა გრცხვენიან.

ამას ვახტანგისეულ რედაქტირაში მოჰყვება ტაეპი — „კვლაცა და ჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მლერა...“

ვინ დაჯდა? ვისი „კვლაცა“ დაჯდომის შესახებ არის ლაპარაკი, როდესაც ადგომის შესახებ არაფერი გაგვიგია?

შეგრამ ვეფხის-ტყაოსანის ხელნაწერებში დაცულია რუსთაველის უდავო ტაეპი, რომელიც აქარწყლებს ამ გაუგებრობას; იქ ზემოთმოყვანილ ტაეპს მისდევს არა „კვლაცა დაჯდა...“, არამედ შემდეგი ტაეპი.

მომართვეს ასი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;

თაყვანი ვეც და დავლოცე დავლანი მათთა სკათანი;

მაკოცეს, ა დ გ ე ს ორნივე თვით იგი მზენი მზეთანი;

რა გასცეს ზომნი, ვით გითხრენ ლაშქერთა სისაცხეთანი.

ამის შემდეგ უკვე სრულიად გასაგებია ტაეპი „კვლაცა დაჯდა“, ვინაიდან წინა ტაეპში ლაპარაკია მეფე-დედოფლის ადგომის შესახებ.

5 მაგალითი. ტარიელი უმშბოს აეთანლილს ნესტან-დარუჯანის დაკარგვას:

მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა;

თავსა უთხარ: ნუ მოკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა.

გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა,

აპა ჟამი ვისაც ვინდა ჩემი თანა წამოყოლა“.

ამის შემდეგ ვახტანგისეულ რედაქტირაში მიღის ტაეპი: „ნავსა ჩავჯე, ზღვასა შეველ...“. ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსთაველს ასე მოულოდნელად დაეწყო ლაპარაკი ნავში ჩაჯდომის შესახებ. ის ჯერ უეპველად იტყოდა რამეს ზღვის, ნავის ან მენავის გარშემო; მართლაც, აი ასეთი შინაარსის შემცველი ტაეპი არსებობს ზოგიერთ ხელნაწერებში:

შეველ, ფიცხლა შევეკაზმე, ცხენსა შევჯე შეკაზმული;

ას სამოცი კარგი მოყმე ჩემსა თანა ზანდაზმული

წამოყვა და წამოვედით კართა გარე დარაზმული.

ზღვის პირს მიველ, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზმული.

აი ამის ნამდვილ გავრძელებას წარმოადგენს ტაეპი უნაუსა ჩა-  
ვჯე, ზღვასა შეველ...“.

ესეც არ იყოს, ამ ტაეპის პირველი სტრიქონი ერთი და იმავე  
თავსართის ოთხეკურ ჩამორეკით და სიტყვის განმეორებით:

„შეველ, ფიცხლა შევიკაზე მე, ცხენსა შევჯე შეკაზე მული  
განა იოტის ოდენა ეჭვსა სტოვებს იმაში, რომ ის რუსთაველს  
ექუთვნის?

ეს ხუთი მაგალითი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ დაერწ-  
მუნდეთ იმაში, თუ, ერთი მხრით, რამდენად შორს არის ვახტანგი-  
სეული რედაჭურა პირველი დედნისაგან და, მეორე მხრით, რამდენად  
ყოველგვარ დაკვირვებას მოქლებული იყო ამ რედაჭურაზე დამყა-  
რებული ბეჭვდითი გამოცემების რედაჭტორთა მიერ კრიტიკული  
შესწავლა პოემის ტექსტისა.

ეხლა ვადავიდეთ ვახტანგისეული რედაჭურის დაბოლოების  
განხილვაზე.

როგორც ამ წიგნის თავში იყო აღნიშნული, ვახტაგისეული  
რედაჭურა მთელი ათი თავით უფრო მოკლეა, ვიდრე ხელნაწერებში  
წარმოდგენილი ვეფხის-ტყაოსანი. პოემის მკვლევარებს ეს თავები  
ერთხმად შემდეგ საუკუნეებში (XIII — XVI) სხვა და სხვა ყალბის-  
მქნელების მიერ დამატებულ ნაწილებად შიახნიათ. ჩემი შეხედულება  
კი ამის შესახებ სრულიად სხვა არის.

მე შევეხები ჯერ გაგრძელების სამ პირველ თავს, ვინაიდან  
მათი ორგანიული კავშირი მთელ პოემასთან გაცილებით უფრო ნა-  
თელია და, გარდა ამისა, ისინი პოემის ნამდვილ დაბოლოებას წარ-  
მოადგენენ.

ეს თავები უთუოდ რუსთაველს ექუთვნის. აი ამ თავების სახელ-  
წოდება: 1) „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“,  
2) „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება“ და  
3) „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“. ამ უკანასკნელი  
თავიდან მექანიკურად არის ამოლებული ვახტანგისეული რედაჭურის  
დაბოლოება დაწყებული ტაეპიდან „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰ-  
ხვდა მათი საწადელი...“ და გათავებული ტაეპით „ყოვლთა სწო-  
რად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს...“, ესე იგი სულ 22  
ტაეპი.

გასულ 1927 წელს მწვავე კამათი გაიმართა ვახტანგისეული  
რედაჭურის გარშემო. პ. ინგოროვას „რუსთველიანას“ ქვაქუთხედს  
წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ ვახტანგისეული რედაჭურა პოემის  
დედანის ყველაზე უფრო ძველი და ნაკლებად დამახინჯებული პი-

რია. უურნალ „მნათობის“ ფურცლებზე პ. ინგოროვას გამოეკამათა პროფ. პ. კეკელიძე, რომელიც ამტკაცებდა, რომ ვახტანგისეული ორდაქცია წარმოადგენს ვახტანგის მიერ პოემის ტექსტის კრიტიკულ გამოცემას. უწინარეს ყოვლისა, საინტერესო და საკითხავი აქ შეძლევი გარემოება არის:

რამდენი ზანია მას შემდეგ რაც კ. კეკელიძეს ვახტანგისეული ორდაქცია ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის შემოკლებულ გამოცემად მიაჩნია? თავის წიგნში — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებას ამტკიცებს. გადაშალეთ ამ წიგნის 47 გვერდი, სადაც მოთავსებულია თავი „ვეფხის-ტყაოსანის დამატებანი“ აი რასა სწერს სხვათა შორის ის ამ თავში:

„ჯერ ერთი ამ პოემას დამატებია პროლოგი და ეპილოგი, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი თვით პოემის მიმოხილვისა. უფრო მეტი და თვალსაჩინო დამატებანი ჩვენ გვაქვს პოემის ბოლოში; აი ეს დამატებანი:

„1) არაბეთიდან ტარიელ-ნესტანი გამოემართენ ინდოეთისაკენ; ერთ ტაბში შოკლედ აღწერილია მათი მგზავრობა (1527 ტ. ს. კაკაბაძის გამოცემით) და მერე უცბად იწყება ლაპარაკი იმის შესახებ თუ როგორ „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“ (1527), ეს იგი როგორ გამეფდენ ისინი. ვიღაც მელექსეს აღმრია სურვილი შეეთხა ამბავი იმის შესახებ, რა პირობებში გამეფდა ტარიელი, ცოცხალი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი. ამ მიზნით მას ჩაურთავს აღნიშნული ტაეპის შუა თავები: „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“. „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაულთ დამორჩილება“ და ზოგიერთი დეტალები (ხაზი ჩემია — პ. ჭ.) ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში“.

ამ აღილს პროფ. კ. გეკელიძე უკეთებს შენიშვნას, რომელშიაც ნომრებით აღნიშნულია ვითომეც ამ „ვიღაც მელექსის“ მიერ ჩამატებული ტაეპები. აი ეს შენიშვნა:

„ს. კაგაბაძის გამოცემა, ტაეპ. 1528. — 1584; 1589 — 1594; 1596, 1602, 1609“.

თუ ზემოაღნიშნული 3 თავიდან ამოვილებთ ამ ტაეპებს, ჩვენ უცვლელად მივიღებთ ვახტანგისეული ორდაქციის დაბოლოებას და, მაშასადამე, ამ დაბოლოებას პროფ. კეკელიძე სთვლის ნამდვილ დაბოლოებად. „მნათობში“ კი ის, როგორც აღვნიშნე, სრულიად საწინააღმდეგო აზრს ამტკიცებს. აი რასა სწერს იგი იქ: „ამ გამოცემაში (ლაპარაკია ვახტანგის გამოცემაზე. კ. ჭ.) ჩვენ ვხედავთ 22 ტაეპს

(1568—1689), რომელთა გაეგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ისინი ამოღებულია ამ დანართი ეპიზოდიდან<sup>\*</sup>. საკვირველი ამბავია! პროფ. კეკელიძე ერთი მხრით გვიმტებულს, რომ ვახტანგისეული რედაქციის ეს 22 ტაქტი „ვიღაც შელექსეს“ თავის სამთავიან დამატებაში შეუტანია, მეორე მხრით ის გვარწმუნებს, რომ ვახტანგს ეს 22 ტაქტი ამოღულია „ვიღაც მელექსის“ მიერ დამატებული სამი თავიდან ვის ეკუთვნის ბოლოს და ბოლოს ეს 22 ტაქტი და ვინ ვისგან გადაიღო ისინი? ჩვენ ვიცით, თუ როგორ გულმოდგინეთ ააშკარავებდა პროფ. კ. ეკელიძე ნამდვილად არარსებულ წინააღმდევობებს პოემის პროლოგში, მისი სიყალბის დამტკიცების მიზნით, და შემდეგ ჰკითხულობდა „რომელს დაუჯეროს კაცმა-ო?“ („ქართ. ლიტ. ისტ.“, გვ. 91). ეხლა ჩვენ შევვიძლია შევეკითხოთ მას: რომელს დაუჯეროს კაცმა, — „ქართული ლიტერატურის ისტორიას“ თუ „მნათობში“ მოაგსებულ წერილს? ერთი მათგანი უთუოდ ყალბისმქნელის დაწერილი იქნება. თუ პროფ. კეკელიძემ თავისი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ გამოიცვალა შეხედულება ამ საკითხის გარშემო, დამოუკიდებლად ან ვინმეს გავლენით, მაშინ რატომ არაფერს ამბობს ის ამის შესახებ?\*).

ეხლა გადავიდეთ იმის მტკიცებაზე, რომ ვახტანგისეული რედაქცია არის ნამდვილად ხელოვნურად შემოკლებული პოემის ტექსტი, სულ ერთია ვისგან—ვახტანგის მიერ, როგორც ეს უფრო საფიქრალია, თუ რომელიმე წინამორბედი რედაქტორისაგან, როგორც ამას. ს. კაკაბაძე ფიქრობს თავის უკანასკნელ გამოცემაში.

\*) ძალიან კარგი იქნებოდა, რომ პროფ. კეკელიძეს პირდაპირი პასუხი გაეცა ყოველივე იმაზე, რასაც მე ვსწერ იმის კვლევა-ძიების შესახებ ვეფხის-ტყაოსანის გარშემო აქ და ჩემს პარველ წიგნში, თორემ ვინ დაიჯერებს მის განცხადებას, თითქო მე მეტად „აუნდოვანი წარმოდგენა“ მქონდეს ალიტერაციაზე (მ ნ ა თ ი ბ ი, № 2. 1927 წ.). ჩემი წიგნი „ალიტ. ქართ. შროში“ საკმაოდ მარტივად არის დაწერილი მაკამ არც იმდენად, რომ ის ბუნდოვანდ არ მოსჩერენებოდა ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთ ისეთ მკლევარს, რომელიც რუსთაველის სრულიად სადა lart potentielle-შიაც კი ვერ გარკვეულა. სამაგიტოდ, როგორც პროფ. კეკელიძე გამოგვცემს, ალიტერაციაზე წარმოდგენა ჰქონია ი. აბელაძეს; ეს ალიტერაცია მას თურმე ჯერ კიდევ შეგირდად ყოფნის დროს შეუმჩნევია ვეფხის-ტყაოსანში. აბულაძის „პოეტიკა“ ჩვენ პროფ. კეკელიძისათვის დაგვითმია, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია გულწრფელად არ ურჩიოთ მას, რომ მოერიდოს ის ამგვარი წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით პოეტიკას ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას და მით უმეტეს, კ მათს. არსებობს ამ თემაზე გაცილებით უფრო ახალი და სანდო წყაროები, რომელთა ცოდნა მხოლოდ ქართველი ფილოლოგებისთვის არ ყოფილა სავალდებულო.

ჯერ საერთო მოსაზრება. ჩვენს მუხეუმებში დაცულია პოემის მრავალი ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული რედაქციაზე უმაღლეს რულებული ყველა ხელნაწერები შეიცავენ ყველა ზედმეტ თავებს. როგორ მოხდა, რომ საქართველოში, სადაც ვეფხის-ტყაოსანი მეორე სახარებად იყო გადაქცეული, ყალბის-მქნელების მიერ ბოლოწამატებული ტექსტისაგან დარჩა რამდენიმე ათეული ასლი, ხოლო ნამდვილისაგან კი არცერთი? მეორე: თუ ეს ათი თავი სხვადა სხვა დროს სხვა და სხვა გადმომწერთაგან არის წამატებული, როგორც ამას პოემის მქვლევარები აღნიშნავენ ერთხმად, — რატომ არ წარმოგვიდგენენ გადარჩენილი ხელნაწერები ტექსტის განვითარების ეტაპებს, ესე იგი რათ არის ყველა ხელნაწერებში სულყველა ათი თავი მოცემული? ძველ საქართველოში, სადაც ბეჭვრითი სიტყვა არ არსებობდა, ხელნაწერები ვრცელდებოდა აღბად კუს ნაბიჯით. როგორ მოხდა რომ ამ ათი თავიდან მეტად სუსტი ლექსით დაწერილი უკანასკნელი რამდენიმე თავი, რომლის წამატებას მქვლევარები ძალიან ნაგვიანევ ამბავად სთვლიან, ისე მაღვე გა ვრცელდა და, რაც უმთავრესია, ისე დაკენონდა ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილ ტექსტზე აღზრდილი მყითხველების თვალში, რომ ეს თავები უკვე მეთექსმეტე საუკუნის დასასრულისა და მეჩვიდმეტე საუკუნის ყველა ხელნაწერებში მოექცენ?

თუ ისტორიულ ლიტერატურულ წყაროებს მიემართავთ, მით უმეტეს მიუღებელი ხდება ის პრიორიტეტი, რომლითაც სარგებლობს ვახტანგისეული რედაქცია ძველ ხელნაწერებთან შედარებით. ვეფხის-ტყაოსანის სრული დაბოლოების სინამდვილეში უპევბი აქვს შეტანილი არჩილ მეფეს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, იმაზე

პროფ. კველიძე სწერს: „პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები არსად არ გადაწყვეტილა და ვერც ჩვენში გადაწყდება“. პროფ. კველიძე რომ აბულაძის შეგირდული ლიტერატურული კვლევა-ძიების ნაცვლად თანამედროვე რუსეთისა და უცხოეთის ფილოლოგიურ ნაშრომებს გასცნობოდა, თუნდაც ზერგლედ მაინც, მაშინ ამას აღარ დასწერდა. მაგალითად სახელგანთქმული გერმანელი მქვლევრი ფორმალისტი ს ი ვ რ ს ი, ეგრეთწოდებული ალიტერაციონული ლექსის შესწავლის გზით, არავეგს ძველ-გერმანულ უსახელო პოემების ავტორიანობის საკითხს. რა არის ეს, თუ არა პოეტიკის საშვალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაჭრა? უირმანს კი ჩვენთვის მეტად საინტერესო საკითხის შესახებ სწერს: „Новейшая же история происхождения германского эпоса, выдвинутая А. Гейслером (Andreas Heusler) непосредственно основывается на изучении морфологии эпической формы“ (поэтика № 2 გვ. 23). განა ეს პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაჭრა არ არია?

გაცილებით უფრო ძველი მწერლები, „ომანიანის“ ავტორი და თეიმურაზ მეფე, ამ თავებს სთვლილნენ ვეფხის-ტყაოსანის განუყოფელ ნაწილად.

ფსიქოლოგიურად სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ვახტანგის მიერ 1712 წელს შემოკლებით დაბეჭდილმა ვეფხის-ტყაოსანმა თანდათან დაახრჩო ძველი ხელნაწერები და დაუკარგა მათ ნდობა მკითხველი საზოგადოების თვალში. საქმე იმაშია, რომ დაბეჭდილი წიგნი რაღაც თილისმურ გავლენას ახდენს განსაკუთრებით იმაზე, ვინც ბეჭედითი საქმეს ახლოს არ იცნობს. არა თუ მკითხველის, ხშირად თეით ავტორის თვალშიაც კი მეტი წონისა და მეტი ლირებულებისა ხდება ნაწარმოები მას შემდეგ, რაც ის დაიბეჭედება. მით უფრო მეტი უცდომელობის დალით იქნებოდა ალბეჭდილი ვახტანგის მიერ დასტამბული პოემის ტექსტი იმდროინდელი ქართველების წარმოდგენაში, რომლებსაც დაბეჭდილი წიგნი არც კი ენახათ მანამდე. თუ დღეს ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი შეუდარებლად მეტი ლირს, ვიდრე დაბეჭდილი, მაშინ სრულიად წინააღმდეგ მოვლენას ექნებოდა ადგილი. ამას უნდა დაუმატოთ ის მოსაზრება, რომ წინადა ეს-თეტიური თვალსაზრისით (რაც ფილოლოგიური კვლევა-ძების დროს სახელმძღვანელოდ არ გამოდგება) ვახტანგის მიერ შემოკლებული პოემა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შემოკლება უნდა შეხებოდა არა ათს, არამედ შვიდ თავს, გაცილებით უკეთესია, გილრე ხელნაწერების სრული ტექსტი.

დავანგებოთ თავი საერთო მოსაზრებებს და დავავიწროოთ უფრო ვახტანგისეულ რედაქციაზე მიტანილი იერიშის რკალი.

ვახტანგისეული რედაქციის პრიორიტეტობის დამცველთა შორის მხოლოდ პ. ინგოროვების მოჰყავს რეალური მოსაზრებანი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. ის არ ზოგავს თავის ძალ-ლონეს ამისათვის, რაც სავსებით გასაგებია, ვანაიდან მისივე თქმით: „თუ ვახტანგის დედანი არის ხელოვურად შემუშავებული რედაქცია, ცხადია, მას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის გენერალოგიის გამოსარკვევად“. \*) ამ სიტყვებს, ჩვენის მხრით, შეგვიძლია დაუმატოთ, რომ მაშინ „რუსთველიანას“ ვამოებულება მთავარი საფუძველი, ვინაიდან შელვევარის ერთ სისტემაში ჩამოსხმული კონკრეტური ვეფხის-ტყაოსანის შესახებ თითქმის სავსებით იმ აზრს ემყარება, რომ ვახტანგისეული რედაქცია ჩამოყალიბებულია მეტამეტე საუკუნეში და ყველაზე უფრო უაღლოვდება პირველ დედანს.

\*) რუსთველიანა. გვ. 12.

განვიხილოთ პ. ინგოროვყას მიერ მოყვანილი საბუთები ამ საკითხის გარშემო. წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ეს საბუთები მეტისმეტად სუსტია, მაგრამ ეს მკვლევარის ბრალი არ არის, ვინაიდან საკითხის ობიექტიური მდგომარეობა მას არ აძლევს არცერთ სერიოზულ საბუთს.

1. პ. ინგოროვყა გადმოგვცემს, რომ ვახტანგისეული ტექსტის მსგავსი რედაქცია შენახულა წერა-კითხის მუხუმის ერთ ხელნაწერში. ამ ხელნაწერის შესახებ მკვლევარი სწერს შემდეგს: „მართალია ეს ხელნაწერი გადაწერილი არის ვახტანგის გამოცემის შემდეგ, მაგრამ...“ მეტის თქმა საჭირო აღარ არის, პირველი მოსაზრება თავისთავად იხსნება. აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ ვახტანგისეული რედაქციის წარმოშობის საკითხში რაიმე მნიშვნელობა მივანიჭოთ მის შემდეგ შესრულებულ ხელნაწერს. რასაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი.

### 2. პ. ინგოროვყა სწერს:

„ვახტანგის გამოცემის ბეჭედის ბეჭრად უფრო წინ, ასეთივე რედაქცია ხელში ჰქონიათ ორს მე-XVII საუკუნის მწერალს, რომელთაც შეუსრულებით ხელნაწერები B და C (№ 5006 და 4988). საკმარის, ამ ორ ხელნაწერის შედარება სხვა და სხვა ვარიანტებთან, რომ დავრჩენებულდეთ შემდეგში: გადამწერნი ხელმძღვანელობენ ორი დედნით: ერთია ვახტანგის დედნის მსგავსი, ხოლო მეორე ვრცელი ხელნაწერი მე-XVII საუკუნის ტაბისა. ძორული ტექსტი პოემისა გადმოწერილია ვახტანგის მსგავსი დედანიდან, ხოლო პოემის დამატებანი და გაგრძელებანი ამოღებული მეორე ვრცელი ხელნაწერიდან.“<sup>\*)</sup>

მკვლევარის მსჯელობა აქ მე მაგონებს მარჯვენა ხელით მარცხენა ყურის ჩვენებას. მართლაც, დაუშვათ, რომ ხელნაწერებს № 5006 და 4988 ახლო მსგავსება აქვთ ვახტანგისეულ რედაქციასთან (რაც ნამდვილად სწორი არ არის), ნუ თუ ამ შემთხვევაში მხოლოდ ისეთი დასკნის გამოტანა შეიძლება, როგორიც პ. ინგოროვყას გამოაქვს? ვიღაც ორი გადამწერისა და რომელილაც ორი ხელნაწერის მაგიერ უფრო მოხერხებული და საღ ლოლიკურ მსჯელობასთან დაახლოებული არ იქნება წარმოვიდგინოთ ამ მსგავსების ასახსნელად, რომ ვახტანგს, პოემის ტექსტის შემოკლების დროს, უსარგებლნია ზემოთ დასახელებული ხელნაწერების ტიპის ერთ-ერთი ხელნაწერით?

3 და 4. პ. ინგოროვყა გვარწმუნებს, რომ ვახტანგს არ შეუტანია არავითარი ცვლილება პოემის დედანში, ის სწერს: „ვახტანგს

<sup>\*)</sup> რ უ ს თ ვ ე ლ ი ს გ ა რ შ ე მ თ 13.

არ შეუცვლია არა თუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი...“

ექთილი, დაუჯეროთ მკვრამ უბედურება იმაშია, რომ ის დიდ წინააღმდეგობაში ვარდება ამით. ზოგიერთ ხელნაწერში ვეფხის-ტყაოსანი იწყება ტაეპით — „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ ეს ტაეპი ვახტანგის გამოცემაში არ არის. ამიტომ პ. ინგოროვას შეეძლო ის გადაეტანა მეორე ან მესამე პლასტში; მაგრამ საქმე იმაშია, რომ მკვლევარს ეს ტაეპი განსაკუთრებით ესაჭიროება პირველი პლასტში, ე. ი. ვახტანგისეული დედანისათვის, რომელიც, მისი აზრით, მე-XIII—XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა; ესაჭიროება იმიტომ რომ ამ ტაეპში ის ხედავს „ტენდენციურ დამატებას“, პოლემიკას რუსთაველთან მისი პოემის „შინაგანი გაყალბების მიზნით“. გამოდის ასეთი წინააღმდეგობა: მკვლევარი გვარწმუნებს, ვახტანგს თავის გამოცემაში ტაეპების რიცხვიც კი არ შეუცვლია, და ნამდვილად კი მას პირველივე ტაეპი უარუყვა. პ. ინგოროვა ცდილობს თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობას, ის ერთგან (გვ. 54) წერილი შრიფტით შენიშნავს ორიოდე სიტყვას ამის გამო. აი ეს შენიშვნა:

„ეს სტროფი, როგორც ირკვევა, შემთხვევით არის გამორჩენილი ვახტანგისეულ დედანში, რადგან იგი თავისი რეალიებით ჯფრო არ-ქაიულია, ვიდრე ვახტანგისეული დედნის მე-16 სტროფი.“

„როგორც ირკვევა“ — საიდან ირკვევა? — მხოლოდ იქნედან, რომ ის ვახტანგისეულ რედაქციაში არ არის. „შემთხვევით“ ამ ტაეპის გამორჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო. ვახტანგი დიდის ამბით შეუდგა უდიდეს საქმეს — ვეფხის-ტყაოსანის დაბეჭვდას, და უცებ შემთხვევით გამორჩა ამ პოემის პირველივე ტაეპი — ეს ხომ დაუჯერებელი ამბავია. შემთხვევით შესაძლებელია გამორჩენოდა სხვა რომელიმე ტაეპი ტექსტში, მაგრამ პირველი კი არას თდეს.

შემთხვევით კი არ გამორჩენია, ვახტანგმა სრულიად შეგნებულად არ შეიტანა ის თავის გამოცემაში და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან ეს ტაეპი არც რუსთაველს ეკუთვნის და არც ყალბის-მქნელს — ეს არის ვიღაც გადამწერის მიერ შეთხზული უბრალო წინა-ა-მინაწერი, რომელსაც ხშირად წაუმძლვარებდენ ხელნაწერს გადამწერები, არა მისი გაყალბების მიზნით, არამედ გადაშერის თაორილის, გადამწერის ვინაობის ან ნაწარმოების ლირსების ალსანიშნავად. ეს წინა-მინაწერი ტაეპი სრულიად ბუნებრივად შემდეგ გადაწერათა დროს პოემის ტექსტში შესულა და დაუქერის იქ პირველი ადგილი.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავავიწროოთ ქრისტიკის რეალი და გადავიდეთ ვახტანგის უშლი რედაქციის ხელოვნურობის მაჩვენებელ პირდაპირ ნიშნებზე.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ ვეფხის-ტყაოსანის შინაარსი, მისი საუკეთესო კომპოზიცია, და ვნახოთ თუ რამდენად შესაძლებელია, რომ პოემა დასრულდეს ისე, როგორც ის დასრულებულია ვახტანგის გამოცემაში. აქ, ზოგიერთ შემთხვევაში. მე მომიხდება უკვე ჩემს პირველ წიგნში ნათქვამის განმეორება, მაგრამ ეს საკითხი იმდენად კარდინალურია ვეფხის-ტყაოსნის პრობლემაში, რომ დასაშვებია ნათქვამი ვიმეოროთ მანამდე, სანამ მოწინააღმდეგენი მას ან არ გააბათილებენ, ან არ მიიღებენ.

აი ვეფხის-ტყაოსანის მოკლე, სქემატიური შინაარსი:

არაბეთის მეფეს როსტევანს ტახტზე აჰყავს, თავისი მოხუცებულობის გამო, მისი ერთად-ერთი მემკვიდრე თინათინი. ამ ზემდეს სხვა დიდებულებთან ერთად ესწრება არაბეთის სპასპეტი, თვით როსტევანის მიერ აღზრდილი და თინათინის ფარული მიჯნური ავთანდილი. მეფე და ავთანდილი ზემდეს დროს შეეცილებიან ერთმანერთს პირველობაში, როგორც მსროლელნი, და ამის გამო ეწყობა შესაჯიბრებელი ნადირობა. ნადირობის დროს მონადირენი წააწყდებიან ვიღაც უცხო ჭაბუქს, რომლის შეპყრობას ისინი უნაყოფოდ ლამობენ. ეს უცხო ჭაბუქი გაუსხლტება მათ ხელიდან და უკვალოდ გადაიკარგება. ამით შეწუხებული როსტევანი პგზავნის კაცებს ყოველი მხრით ჭაბუქის ამბავის გასაგებად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაგზავნილი კაცები უკან ბრუნდებიან და ეუბნებიან მეფეს, რომ მათ ვერაფერი ვერ გაიგეს. ამის შემდეგ უცხო ყმის საძებნელად, თინათინის დავალებით, მიემგზავრება ავთანდილი. მას დადებული აქვს სამი წლის ვადა. დიდი ხეტიალის შემდეგ ის მიაგნებს უცხო ჭაბუქს, ტარიელს, ერთ გამოქვაბულში, გაეცნობა და მალე დაუმეგობრდება მას. ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის თავგადასავალს. ის ყოფილა ინდოეთის ერთ-ერთი მეფის სარიდანის შეილი, ფარსადან მეფის შეილობილი და მთელი ინდოეთის ამილბარი. პატარაობითვე დაობლებული ტარიელი იზრდება ფარსადანის სასახლის კარზე. ფარსადანის ერთად-ერთ ასულს ნესტან-დარეჯანს და მას ერთმანერთი შეუყვარდებათ. თავისი მუჯნურის დავალებით ტარიელი შეებრძოლება ხატაელებს და დაამარცხებს მათ. ნესტან-დარეჯანის მშობლებმა არ იციან, თუ ტარიელს მათი ქალი უყვარს, და მისივე თანდასწრებით აწყობენ ბჭობას იმის შესახებ, თუ ვინ მოიწვიონ ინდოეთში თავიანთი ასულის ქმრად და ტახტის მემკვიდრედ. მათი არჩევანი

ხვდება წილად ხვარაზმელ უფლისწულს. ეს უკანასკნელი დიდი ამა-ლით შემოდის ინდოეთში, როგორც სასიძო. ნესტან-დარეჯანის მოთხოვნით ტარიელი მოჰკლავს მას მძინარს და გადაუდგება ამის გამო განრისხებულ ფარსადანს. ნესტან-დარეჯანის აღმზრდელი, ფარსადანის და, დავარი, როდესაც შეიტყობს, რომ მკვლელობა მისი გაზრდილის დავალებით არის ჩადენილი, გაატანს მას გადასაკარგავად ორ მონას, ხოლო თვითონ კი თავს მოიკლავს. ტარიელი რომ გაიგებს ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ამბავს, საჩქაროდ გაიჭრება მის საძებნელად, მაგრამ ველარსად ნახულობს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლობით დახეტიალობს ყველგან, სადაც კი ფეხი მიუწვდება. ავთანდილი დაეხმარება ტარიელს დაკარგული მიჯნურის ძებნაში. ამიერიდან აშებნის მთელი სიმძიმე ავთანდილზე გადადის. ავთანდილი აგნებს ნესტან-დარეჯანის კვალს, რომელიც ჯერ ზღვათა მეფის კარზე ყოფილა, ხოლო შემდეგ კი ქაჯეთის ციხეში მოხვედრილა. ტარიელსა და ავთანდილს ჰყავთ მესამე მეგობარი ფრიდონი. სამივენი მცირედი ჯარით გაილაშვრებენ ქაჯეთის ციხეზე, აიღებენ მას და გამოიხსინან ნესტან-დარეჯანს. შემდეგ ისინი განუწყვეტილი ქორწილითა და ზეიმით გამოივლიან ზღვათა მეფის კარზე, ფრიდონის სამეფოზე, ქვაბთან, სადაც ტარიელი ცხოვრობდა, და მივლენ არაბეთში; აქ მოხდება ავთანდილისა და თინათინისა დაქორწინება. ქორწილის შემდეგ სამივე გმირი ნესტანითურთ გაემგზავრებიან ინდოეთში. მათ თანახლავს ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი. არაბთა ლაშქარი.

აქ თავდება ვეფხის - ტყაოსანის ამბავი ვახტანგისეულ რედაქციაში; ამის შემდეგ იქ მოთავსებულია, გარდა ხუთ ტაეპიან ეპილოგისა, კიდევ ის 22 ტაეპი, რომელიც უცვლელად მეორდება, მხოლოდ ცოტა სხვა დალაგებით, მესამე ზედმეტ თავში. რომ ეს 22 ტაეპი გაგრძელების მესამე თავიდან არის ამოკრეფილი — ეს მოსაზრება უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს; ამ შეხელულებას ადგანან ამ უამად სარგის კაკაბაძე და კ. კეკელიძეც. მაგრამ მათი აზრით გამოდის, რომ ვეფხის - ტყაოსანის ნამდვილ დედანთან შედარებით ვახტანგისეული რედაქცია არის არა შემოქლებული, არამედ გაგრძელებული ტექსტი. სარგის კაკაბაძის აზრიდ, როგორც დავინახეთ, რუსთაველს თავისი პოემა პოსტევანის მიერ თინათინისა და ავთანდილის დალოცვით გაუთავებია\*).

\*). თუ გაგრძელების მაგიერ საერთოდ როგორ მოკლდებოდა ვეფხის-ტყაოსანის ტექსტი საუკუნეთა განმვლობაში, ამის ბრწყინვალე დადასტურება მოხდა აგერ ჩვენი თვალის წინ: ს. კაკაბაძემ თავის შარშანდელ გამოცემაში შეამოკლა პოემის უმოკლესი (ვახტანგისეული) რედაქცია თიაშემს. ორმცდაათი ტაეპით. ეს წიგნი რომ იპავე პირობებში გამოცემულიყო, რა პირობებშიაც ვახტანგისეული

კეკელიძე კი, რამდენადაც შესაძლებელია გავიგოთ მისი შეტად აბნეული შეხედულება ამ საკითხის გარშემო, უნდა ფიქრობდეს ამ უამად, რომ ვეფხის - ტყაოსანის ნამდვილი ტექსტი თავდება თინათინისა და ავთანდილის ქორწილით. მოკლედ რომ ითქვას, ამ მკვლევარების შენედულებით ვახტანგისეული რედაქცია შემოკლებულია ვრცელ ხელნაწერებთან შედარებით, ხოლო რუსთაველის ხელიდან გამოსულ ტექსტს თუ მივიღებთ მხედველობაში, ის გაგრძელებულ ია ყალბი ტაეპებით. ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოების ხელობნური შეკორწიშება იმდენად აშეარაა, რომ მისი უცვლელად მიღება ყოვლად დაუშვებელია. აქ მართლაც შესაძლებელია მხოლოდ ორი მოსაზრება: პოემის ნამდვილი დაბოლოება უნდა იქნეს მოძებნილი ან ვახტანგისეული რედაქციის შიგნი, როგორც ზემოაღნიშნული მკვლევარები ფიქრობენ, ან და მისი ფარგლების გარეშე, როგორც მე ვთიქრობ.

ეხლა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ რუსთაველს თავისი პოემა თინათინისა და ავთანდილის დალოცვით ან მათი ქორწილით გაეთავებიოს. უკველია, რომ ვეფხის-ტყაოსანში უმთავრესად ინდოეთის ამბავია აწერილი. არაბეთი იქ არის როგორც ერთი მთავარი ეპიზოდი მხოლოდ, და მას პოემის სიუჟეტურ კოპპოზიციაში უჭირავს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტის აღვილი. პოემის მთავარი გმირებიც — ტარიელი და ნესტან-დარეჯანი — ინდოელები არიან. ვეფხის-ტყაოსანის ამბავი იწყება არა არაბეთში, როგორც ეს მკითხველს პირველი შეხედვით ეკონება, არამედ ინდოეთში, ტარიელისა და ნესტანის ბავშობისა და შემდეგ მათი გამიჯნურების აღწერით. არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ პოემა არაბეთის ამბავით იხსნება, — მწერალს შეუძლია თავისი ნაწარმოებისათვის აღებული ამბავის მოთხოვნა დაიწყოს, შუაგულიდან და, ასე გასინჯეთ, ბოლოდანაც კი; ეს დამოკიდებულია ნაწარმოების იმ კომპოზიციაზე, რომელიც ავტორს უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევია. ამრიგად, რაკი ვეფხის-ტყაოსანის ამბავი ინდოეთისა და ინდოეთში იწყება, ის არაბეთში კი არა, ინდოეთში უნდა გათავდეს. ნუთუ შესაძლებელია რომ რუსთაველს, ვინც ასე დაწვრილებით გვიშლის თავისი რომანის ფაბულას არ აეწერა ბოლოს, თუ რა მდგომარეობაში იყო ინდოეთი, რომელიც მისმა გმირებმა ათი წლის წინად დასტოვეს და

დედანი გამოიცა, მომავალი საუკუნის ფილოლოგს შეეძლო ეფიქრნა, რომ ს. კაკაბაძეს ხელთა ჰქონდა პოემის რაღაც უძველესი დედანი, თუმცა კი ნამდვილად, როგორც ეს ჩვენ კარგად ვიცით, მის მიერ მოხდენილი ათეტიზურია წარმოადგენს ვეფხის-ტყაოსანის მკვლევართა სუბიექტიურ მოსაზრებებზე დამყარებულ თვითწებობათა იშვიათ ნიმუშს.

რომელსაც ისინი ახალი მბრძანებლების სახით უნდა მოევლინონ, ან რა ბედი ეწვიათ ნესტან-დარეჯანის მშობლებს, ვისი ადგილიც ამი-ერიდან ტარიელმა და ნესტანმა უნდა დაიკავონ? თუ ფარსადანი ცოცხალი იყო, დაუთმობდა თუ არა ის თავის ტახტს ტარიელს, რო-შელმაც იმდენი მწუხარება მიაყენა მას? თუ ცოცხალი აღარ იყო, მის ნაცვლად სხვა ვინმე გამეფდებოდა და ეს გარემოება მით უფრო გა-უძნელებდა ტარიელს ინდოეთის ტახტზე ასვლას. გარდა ამისა, რუს-თაველმა არ გაუშვა პოემაში მოხსენებული არც ერთი ქვეყანა ისე, რომ იქ მრავალტანჯული მიჯნურებისათვის ბრწყინვალე ქორწილი არ გადაეხადნა, და ნუთუ წარმოსადგენია, რომ მას თავისი პოემის ამბავი ტარიელისა და ნესტანის საშობლო ინდოეთში გადახდილ ქორწილამდე არ მიეყვანა?

ამ საკითხებს ეხება სწორედ ის სამი თავი, რომლებიც მკვლე-ვარებს ერთხმად პოემის გაგრძელების პირველ, დამოუკიდებელ ნა-წილად მიაჩნიათ. წავაბათ ზემოთ მოყვანილ ვეფხის - ტყაოსანის ში-ნაარსს ამ თავების შინაარსი, ისე როგორც ეს პოემის ხელნაწერშია, და ჩვენ დავინახავთ, რომ ამბავი შესანიშნავი დალაგებით და აუცი-ლებელი გზით მიმდინარეობს.

ინდოეთისაკენ დიდი ლაშქრის თანხლებით მიმავალ რაინდებს წინ შემოყრება შავებით შემოსილი ვაჭართა ქარავანი. ისინი გა-მოელაპარაკებიან ამ ვაჭრებს. ეს ვაჭრები ინდოეთში სავაჭროდ წა-სული ეგვიპტელები ყოფილან და ეხლა სახლში ბრუნდებიან. არაბულ ენაზე უამბობენ ტარიელსა და მის მხლებლებს, რომ შავები აცვიათ შათ იმ წესის გამო, რომელიც ეხლა შემოღებულია ინდოეთში, ვი-ნაიდან ამ ქვეყანას უდიდესი უბედურება დასტეხია თავს. ვაჭრები სქემატიურად უამბობენ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს მათსავე ამ-ბავს: ინდოეთის ძლევამოსილ მეფეს ფარსადანს ჰყუვდა ქალი „მნა-თობი, მზისაცა უფრო მზიანი“. ამ ქალსა და ინდოეთის ამილბარს ერთმანერთი შეუყვარდათ. „ამილბარმან სიძე მოჰკლა“ და მას მოჰკუვა მთელი უბედურება. ქალი გადაჲკარგა გრძნეულმა მამიდან და თვი-თონ თავი მოიკლა. „ცნა ამილბარმან, წავიდა ლომი მის მზისა მძებ-ნელად“. ორივენი დაიკარგენ უკვალოდ, რამაც უდიდეს მწუხარებაში ჩააგდო მეფე ფარსადანი:

მეფე გაშმაგდა მათისა ულონო ქნილი ძებნისა;

შავად შესცვალა ინდოეთს ხმა წინწილისა, ებნისა;

ცოტასა ხანსა გაეყიდო დება სახმილთა გზნებისა,

აწ თვითცა მოკვდა, შეიქნა ბოლო სრისა და ტკეპნისა\*).

\*) ვინც ამ ტაქტში რუსთაველს ვერ იცნობს, ის არ იცნობს რუსთაველს.

ამ სიტყვების გავონებაზე ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა მო-  
თქმა დაიწყეს: „ნარგისთაგან ნაშვიმარი ლვარი ადგა, თოვლი გად-  
ნა“. ვაჭრები შეკრტენ და დაიბრუნ ასეთი სურათის დანახვაზე. მაგ-  
რამ მათ აცნობეს, თუ რაში იყო საქმე, და სოხოვეს ეამბნათ ინდო-  
ეთის დანარჩენი ამბავი. ვაჭრებმა უპასუხეს, რომ ინდოეთში ამ უა-  
მად დიდი ომია ატეხილი. ინდოეთს თავს დასხმიან ხატაელები, სწო-  
რედ ის რამაზ მეუცე, რომელიც ისე სასტიკად დაამარცხა ოდესლაც  
ტარიელმა. ინდოეთი განადგურების პირზე ყოფილა მისული. რაინ-  
დები თავიანთი ლაშქრით სასწრაფოდ გაემურებიან წინ — „ეჯა სამ  
დღე წასვალი ერთსა დღესა წაიარა“. ტარიელი, ზურგიდან მოუ-  
ლოდნელი თავდასხმით, დაამარცხებს ხატაელებს და ძლევამოსილი  
მიუახლოვდება სასახლეს, საიდანაც მის შესახვედრად გამოდიან სი-  
ხარულით და მწუხარებით ატირებული ქვრივი დედოფალი — დედა  
ნესტან-დარეჯანისა — და დიდებულები. დედოფალი გასცემს ბრძანებას  
შავების ახდის შესახებ და გაიმართება დიდი ზემი და ქორწილი\*).

აი ეს არის ვეფხის-ტყაოსანის ამბავის ბუნებრივი დასრულება, აქ ყველაფერი ახსნილია, ყველაფერი ნათლად სჩანს, მოთხრობის რეალი ბოლომდება მიყვანილი და მტკიცებ შეკრული.

მაგრამ სიუკეტის გაშლისა და განვითარების შესახებ კიდევ შეიძლება კამათი. ამიტომ მე შევეცდები მოვიყვანო აქ ისეთი სრულიად ობიექტიური ხასიათის საბუთი, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე დააყენებს იმ აზრს, რომ ეს სამი თავი პირდაპირ რუსთაველიდან მომდინარეობს.

მკიოთხველს მოვაგონებ ამ წიგნის პირველი თავიდან ერთ აღვილს: დიღმა ალექსანდრიელმა ფილოლოგმა არისტარხმა იმ აზრის გასაბა- თილებლად, თითქო „ილიადა“ ერთ ავტორს ეუუთვნის, ხოლო „ოდი- სეა“ მეორეს, შემდეგი დროის პოეტს, სცადა „ილიადაში“ აღმოე- ჩინა ისეთი აღვილები, რომლებიც წინასწარ ჰგულისხმობენ „ოდი- სეის“ დაწერას.

საკითხისაღმი უფრო ობიექტიური მიღვომა შეუძლებელია. ამიტომ მიგბაძოთ ამ ძველ მეცნიერს და ვნახოთ, ხომ არ არის ვეფხისტყაოსანის ძირითად, უდაო ნაწილში ისეთი ნიშნები, რომლებიც უთუოდ ჰგულისხმობენ ამ სამი თავის დაწერას მთლიანად ან ნაწილობრივად? ასეთი ნიშნები უკველად არსებობს. პოემის ძირითად ტექსტში რამოდენიმე ადგილიდან აშენად სჩანს, რომ ინდოეზი დიდ

<sup>1)</sup> ამ ქორწილის აღწერიდან არის ამოღებული ვახტანგისეული ოდაქციის ხსნებულო 22 რაპი.

განსაკულტობი იმყოფება, მას მტერი დასხმია თავს და, ვიდრე ეს მტერი დამარცხებული არ იქნება, ზედმეტია ლაპარაკი ტარიელის გამეფებაზე იქ. გავყვეთ ამ აღგილებს.

ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანი სწერს ტარიელს:

წადი ინდოეთს მიქმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,  
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელა...

ინდოეთის გაჭირვებაზე აქ პირდაპირაა ლაპარაკი.

ტარიელის გამეფება ინდოეთში რომ ისე ადვილად არ მოხდება, როგორც ეს ვაქტანგისეული რედაქციის დაბოლოების შემკოწიწებელსა ჰგონია („ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი...“), ნათლად სჩანს ავთანდილის სიტყვებიდან, ფრიდონის კარზე, ქორწილის გადახდის შემდეგ. აქ კამათი იმართება ტარიელსა და აქთანდილს შუა ფრიდონის მოკიქულობით. ტარიელის სურვილია წავიდენ არაბეთში და დააქორწილონ ავთანდილი და თინათინი; ავთანდილი კი ინდოეთში მოითხოვს წასელას და აი რა მოსაზრებით— ის უთვლის ტარიელს ფრიდონის პირით:

ვარ მუცლიდგანავე დედისა თქვენად სამონოდ შობილი,  
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.

და შემდეგ:

ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსაზრებელი,  
ინდოეთს გნახო მორჭებული, საჯდომისა ზედან მჯდომარე.  
შეერდსავე გიჯდეს მნითიბი, პირი ელგათა მერთომარე,  
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არ ვინ ჩნდეს მუნ მეომარე!

ტარიელს გააქვს თავისი. გმირები მიემგზავრებიან არაბეთში, სადაც იმართება ავთანდილისა და თინათინის დიდი ქორწილი. ხან-გრძლივი ზეიმის შემდეგ ტარიელი გაიწევს ინდოეთისაკენ, და აქ საესებით ირკვევა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ეს უკანასკნელი. აი ეს ადგილი:

ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად:  
ავთანდილ როსტენს წინაშე გაგზავნა დასათხოველად,  
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,  
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი, მუნ შიგან მძო-

ველად.

უცები მოსირის მცირდნეთა ცოდნამან ხელოვნებამან,  
ვეჭვა, მოგცეს თქვენცა დალრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან;  
წავიდე, ავი არ მიცოს მეაქა დაყოვნებამან,  
ადრე კვლა გნახე მორჭებული, ინებოს ღმრთისა ნებამან.

ამაზე როსტევანი უპასუხებს:

როსტევან ჰერა: „მეფეო, რად ხარ რასაცა რიდითა,  
რაცა გიჯობდეთ, იქმოდით, გასჭრეტდით, გაიცდიდითა,  
ავთანდილ თანა წამოგყვეს წალი ით ლაშქრითა დიდითა,  
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაპურეწდით, და-  
ცასაჭრიდითა!

ამის შემდეგ:

ავთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოველგნით მისთანა წვევასა,

აი როგორ ლაშქარს მოუყარა მან თავი:

შეჭყარნა სპანი არაბეთს—ალარა ხანსა ზმულია—  
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია—  
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია.  
არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნალველ სმულია.

შემდეგ:

გაემართეს და წავიდეს დირ სპითა და ბარგითა,  
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თაგითა მეტად კარგითა.  
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყავა ცხენებითა ვარგითა.  
მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა.

რისთვის გაიყოლა ტარიელმა თან თოხმოცი ათასი კაცისაგან  
შემდგარი ლაშქარი—საცეკვაოდ, სარიკაოდ თუ მაყრულის სამღერ-  
ლად? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმისთვის, რომ შებრძოლებოდა თა-  
ვის მტერს, ხატაელებს, და გამოეხსნა ინდოეთი განსაცდელისაგან,  
რაც ნამდვილად აწერილია, როგორც დავინახეთ, „გაგრძელების“  
მეორე თავში და რის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნადევამი  
ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოებაში. იქ მხოლოდ მესამე თა-  
ვიდან აშკარად ამოღებულ ტაქპში ვკითხულობთ შემდეგს:

სრულნი ჰინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოდიან.

„თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი“, მართ ამას მოიტყოდიან,

რაც გაუგებარია ვახტანგისეულ რედაქციაში, ხოლო ხელნაწე-  
რებში კი სავსებით გასაგები, ვინაიდან ამ სიტყვებს ინდოელები იქ  
ეუბნებიან ავთანდილსა და ფრიდონს იმ დიდი ღვაწლის გამო, რო-  
მელიც მათ დასცეს ინდოეთის განთავისუფლების საქმეს.

საკითხავია ერთი რამ, საიდან გაიგო ნესტან-დარეჯანმა თავისი  
სამშობლოს უბედურება? ამ კითხვას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს,  
მაგრამ ისე კი ძალიან საინტერესოა. ქაჯეთი შედარებით უფრო ახლოს  
მდებარეობდა ხატაეთსა და ინდოეთან, ვიდრე ის სახელმწიფო ორენი,  
სადაც პოემის სხვა გმირები იმყოფებოდენ მაშინ. ქაჯეთში აღბად  
გვარდინილი იყო ხმა იმ დიდი ომის შესახებ, რომელიც მის მეზო-

ბელ სახელმწიფოებ შორის გაიმართა; ეს ხმა ნესტანის ყურამდეც მიაღწევდა. მაგრამ აქ შეიძლება კიდევ ასეთი კითხვა დაისვა: თუ ნესტან-დარეჯანმა იცადა ინდოეთის დიდი გაჭირვება, რატომ მაშინვე გარევეულად არ აცნობა ეს ტარიელსა და მის მეგობრებს, როდესაც მათ გაანთავისუფლეს ის ტყვეობიდან? ეს შეუძლებელი იყო, და აი სწორედ აქა სჩანს რუსთაველის ბრწყინვალე ნიჭი პოემის ფაბულის დამუშავებაში. საქმე იმაშია, რომ ინდოეთის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ აშკარა ცნობების მიწოდება ტარიელისათვის ქაჯეთში სრულიად დაარღვევდა პოეტის მიერ შემუშავებულ იმ გეგმას, რომლის მიხედვითაც პოემის შემდეგი თავები იშლება. მართლაც, როგორ შეეძლო ტარიელს გაუთავებელი ზემითა და ქორწილებით ქაჯეთიდან შორეულ არაბეთში გამობრუნებულიყო, თუ კი მას აშკარად (თვითონ ავტორის დადასტურებით) ეცოდინებოდა, რომ მისი სამეფო ფეხით გაუთელავს მტერს? ნესტან-დარეჯანს, როგორც ეტყობა, უამბნია უველაფერი მისი მხსნელებისათვის, მაგრამ რუსთაველი განზრას არა არას ამბობს ამის შესახებ, რათა მკითხველმა ინდოეთის უბედურება მთლიად გამორკვეულ ფაქტად არ მიიღოს და ამის გამო შეუფერებლად არ ჩასთვალოს ის უდარდელი ლხინი და ზეიმი, რომელსაც ჩაინდები ეძლევიან ქაჯეთის ციხის ალების შემდეგ. მაგრამ აქ შეიძლება კითხვა ასე შეტრიალდეს კიდევ: თუ რუსთაველს არ სურდა დაერღვია საზეიმო განწყობილება ინდოეთის ამბით, მაშინ რალა საჭირო იყო ეჭვების ალძრა ამის გამო, მას შეეძლო სრულებით არაფერი ეთქვა ინდოეთის მდგომარეობის შესახებ არა, არც ეს შეიძლებოდა, რადგან საჭირო იყო პოეტს გაემართლებია ჯარის წაყვანა არაბეთიდან ინდოეთში, ვინაიდან მან ძალიან კარგად იცოდა, თუ ჩას წარმოალგენდა ამხელა მანძილზე ასეთი დიდი ლაშქრის წაყვანა (დაახლოებით ამდენი ლაშქარი გაპყავდა იმდროინდელ საჭიროთველოს თავის უდიდეს ბრძოლებში). აქ რუსთაველი ისე მოხერხებულად იქცევა, რომ მკითხველი ერთი მხრით, თითქმის სრულებით არ აქცევს ყურადღებას ცნობებს ინდოეთის მდგომარეობის შესახებ და, მეორე მხრით, არც სახტად რჩება, როდესაც ტარიელს ოთხმოცი ათასი ჯარისკაცი გაპყვება არაბეთიდან ინდოეთში. ეს ძალიან ჩამოჰვავს იმ გასაოცარ სიფრთხილეს, რომელსაც რუსთაველი იჩენს დაკარგული ნესტან-დარეჯანის თავგადასავალის აღწერის დროს, სადაც ის ყოველ ლონეს მიმართავს, რომ დაასაბუთოს მკითხველის თვალში ნესტან-დარეჯანის შეუბლალავი გადარჩენა. \*)

\*) დაწერილებით ამის შესახებ იხ. „ალიტ. ქართ. შაირიში“.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ისეთი ადგილი ტექსტი-დან, რომელიც საესებით ნათელპყოფს ვახტანგისეული რედაქტირების დაბოლოების ხელოვნურობას. ამ რედაქტირაში ზემოხსენებული ოცდა-ორი ტაქტის წინ არის ასეთი ტაქტი:

სიმთავე ვლეს,—დმერთმან მათებრ სხვა ნურა ნუ დაპბადოსა,  
მოეგბნიან; მტერობა ვერავინ დაიქადოსა.

მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა,

ვითა ჰმართებდა, პურობდეს, ლვინოსა სვემდეს არ დოსა.

ამის შემდეგ იქ უშუალოდ მიდის: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი...“ და სხვა. ერთი ვიკითხოთ — რა შუაშია აქ ზემოთმოყვანილი ტაქტი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ტა-რიელი თავისი მხლებორებით მინდორს ჩამოხტა სასადილოდ? სამი თვის მგზავრობის დროს ისინი ალბად ყოველ დღე ჩამოხტებოდენ სადილის საჭმელად, მაგრამ რუსთაველი ამაზე არას ამბობს; სჩანს რაღაც მიზეზის გამო დასჭირდა მას მგზავრების შეჩერება ამ ადგილას, რასაც ვახტანგისეული ტექსტიდან ვერა ვტყობილობთ. მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ამ ადგილს ხელნაწერებ-ში წავიკითხავთ, სადაც ეს ტაქტი აბოლოებს ერთ თავს, და შემდეგ მიდის სხვა თავი, სახელობრს „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკუ-დილის ცნობა“. ეს უკანასკნელი თავი შემდეგი სტრიქონებით იწყება:

ქედსა რასმე გარმოადგა მეტად დიდი ქარავანი,  
კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! რუსთაველმა თავისი გმირები იმიტომ ჩამოახტუნა მინდორზე სასადილოდ, რათა მოაწყოს მა-თი შეხვედრა და გამობაასება ინდოეთიდან მომა-ვალ ქარავანთან, რომელმაც მათ ინდოეთის ამბავი უნდა აცნობოს. ვისთვისაც ნათელი არ არის, რომ, თუნდაც სხვას ყველაფერს თავი დავენებოთ, მარტო ეს ფაქტი ააშკარავებს ვახტანგისეული რედაქტის დაბოლოების ხელოვნურობას და მომ-დევნო თავების აუცილებლობას, იმას თამამად შეუძლია პოეტურ ნა-წარმოებათა კვლევა-ძიებით მომავალში მაინც აღარ შეიწუხოს თავი:

მიუხედავათ იმისა, რომ საკითხი უკვე საესებით გამორკვეულია, მე მაინც განვიხილავ ხსენებულ სამ თავს აქ რუსთაველის ლექ-სის ფორმალური ნიშნების მიხედვით, ეგრეთწოდებული ინდივი-დუალური კრიტიკის (ბეკის თერმინი) თვალსაზრისით, და ესთხოვ მკითხველს ამ განხილვის შედეგი მიიღოს მხოლოდ როგორც ზედმეტად დამაჯვერებელი მასალა, როგორც დამატება ზემოთ წარ-მოდგენილი სრულიად ურყევი ობიექტიური საბუთებისა.

ჩვენ ვიცით, რომ რუსთაველს ახასიათებს ბგერათა წყობის განსაკუთრებული მუსიკალობა. რუსთაველის ლექსის დაკვირვებულ მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ეცეს მთელი სიტყვების ან მათი თავსართების თუ ფლექსიების ხშირი განმეორება ევფონიური მიზნით.

სიტყვებისა და თავსართების განმეორებაზე ხშირად მქონია მსჯელობა როგორც ამ წიგნში, ისე პირველში. აქ კი მე მოვიყვან საინტერესო სტატისტიკურ ცნობას ერთი ფლექსიის განმეორების შესახებ. ავილოთ ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის სრული დაბოლოვება „სა“. ძალიან ხშირია როდესაც რუსთაველის სტრიქონში ერთი ამგვარად დაბოლოებული სიტყვა იწვევს სხვა სიტყვებს ასეთივე დაბოლოებით. მაგალითად:

ალაფონბდეს საჭურჭლე სა მის სა, ვითა ნათურქალ სა,  
მას ტაიჭ სა არაბულ სა ქვენაბამ სა ნასუქალ სა.

მოვახდინოთ ამ მხრით რუსთაველის შედარება სხვა ძველ პოეტებთან. ამისათვის საჭირო იქნება ერთგვარი სტატისტიკური ანგარიში, რასაც, უნდა ითქვას საერთოდ, ღიდი მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე ლიტერატურულ კვლევა-ძიებაში. ეს ანგარიში შესაძლებელია ამგვარად მოვაწყოთ, ჩავათვალიეროთ ტექსტი რითმებზე ყურადღების მიქცევით და შევჩერდეთ ისეთ ტაქტებზე, რომელთა რითმის უკანასკნელი მარცვალი არის ნაწილაკი „სა“. წავიკითხოთ ასეთი ტაქტის ყოველი სტრიქონი და დავითვალოთ, თუ რამდენჯერ მეორდება შიგ ეს დაბოლოება რითმის უკანასკნელი მარცვალის ჩათვლით. ხოლო ისეთ სტრიქონში, რომელშიაც ეს ნაწილაკი არ მეორდება, უკანასკნელ მარცვალსაც ნუ ვიანგარიშებთ. ავილოთ მაგალითისათვის შემდეგი ტაქტი და გაუსვათ ხაზი დაბოლოება „სა“-ს ყველ მის სტრიქონებში, გარდა მეორისა, სადაც ეს დაბოლოება განმეორებული არ არის:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსები ს ა ტკბილი ს ა—2  
ქება წარბთა და წამწამთა თმათა და ბაგე კბილისა—0  
ბროლ ბალაზში ს ა თლილი ს ა მით მიჯრით მიწყობი-  
ლი ს ა—3

გასტეხს ქვასაცა მაგარ ს ა გრდემლი ტყვიი ს ა ლბი-  
ლი ს ა—3

სულ ტაქტი 8

ს. კაკაბაძის პირველ გამოცემაში, რომლის მიხედვით მე ჩემს სტატისტიკურ ანგარიშს ვაწარმოებ საერთოდ, ვინაიდან მხოლოდ ამ გამოცემაშია ზედმეტი თავები წარმოდგენილი, ასეთი დაბოლოებით

გვაქს სულ 287 ტაქპი ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებში (შეიძლება შემთხვევით რამდენიმე ტაქპი გამომრჩა, რასაც მნიშვნელობა არა აქვს). ვიანგარიშოთ ყველა ტაქპებში, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, ნაწილაკი „სა“. რომ ჩვენ მოზრდილ და, მაშასადამე, შედარების დროს უფრო თვალსაჩინო რიცხვთან გვქონდეს საჭმე, ეს 287 ტაქპი დაუყოთ ათეულ ტაქპებად და ავიღოთ ნაწილაკი „სა“-ს განმეორების ჯამი ყოველ ასეთ ათეულში.

მაგალითად:

- I. ათეული— $5+5+7+3+$   $2+4+9+5+5+3=48.$
- II. ათეული— $7+7+9+2+$   $7+8+8+6+4+4=62.$
- III. ათეული— $5+7+7+8+$   $8+7+8+8+6+7=71.$
- IV. ათეული— $5+0+2+9+10+6+4+6+4+6=52.$

და სხვა.

აი ყველა 28 ათეულისა და ერთი შეიდეულის ჯამები: 48, 62, 71, 52, 35, 40, 40, 54, 47, 56, 53, 53, 70, 64, 40, 64, 40, 61, 60, 44, 53, 57, 50, 51, 49, 67, 69, 52 და 22 (შეიდ უკანასკნელ ტაქპში). აქედან საშუალო რიცხვი ყოველ ათეულ ტაქპში წენებული დაბოლოებით ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებისათვის იქნება 54.

ავიღოთ ეს საშუალო რიცხვი და შევადაროთ ზოგიერთი სხვა ძველი პოემების ასეთსავე საშუალო რიცხვებს:

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ა ნ ი . . . . .	24
ს ა ა მ ი ა მ ი (შ ა ჰ - ნ ა მ ე) . . . . .	28
ლ ე ი ლ - მ ე ჯ ნ უ ნ ი ა ნ ი . . . . .	29
ი თ ს ე ბ ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ა ნ ი . . . . .	35
რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი (შ ა ჰ - ნ ა მ ე) . . . . .	37
ს ა ა მ ი ა ნ ი (შ ა ჰ - ნ ა მ ე) . . . . .	42
ბ ა რ ა მ - გ უ რ ი ა ნ ი . . . . .	47
ვ ე ფ ხ ი ს - ტ ყ ა მ ს ა ნ ი . . . . .	54*).

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსთაველის ლექსში დაბოლოება „სა“ მეორდება უფრო მეტჯერ, ვიღრე სხვა რომელიმე ზემოთ დასახელებულ პოემაში.

ეხლა მოვახდინოთ ასეთი ანგარიში ვეფხის-ტყაოსანის გაგრძელების იმ სამ თავში, რომლის წარმოშობის საკითხიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. იქ არის სულ შეიდი ისეთი ტაქპი, სადაც რითმების უკანასკნელი მარტვალი არის „სა“. შეიდი ტაქპის ჯამი უდრის 41-ს.

\*) ზოგიერთ აქ ჩამოთვლილ შედარებით პატარა ზომის პოემებში ანგარიშისათვის აღებულია მთელი ტექსტი, ზოგშიაც კი ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ შეიდი ტაეპის ჯამი რომ ათი ტაეპის ჯამამდე ავიყვანოთ პრო-პორციონალური გადიდებით ( $41: \frac{7}{10}$ ) მივიღებთ 60-ს. არც ერთი ზემოთ დასახელებული პოემა, ვეფხის-ტყაოსანის გარდა, ამხელა რიცხვის არ იძლევა. ეს ფაქტი უსათუოდ ყურადღების ლირსად უნდა ჩაითვალოს.

ავიღოთ მეორე ფაქტი. ამ წიგნის იმ ნაწილში, საღაც „რუს-თველიანას“ ვიხილავ, მე შემთხვევა მქონდა ორიოდე სიტყვა მეტყვა და ყრდნობილი რითმის, ესე იგი ისეთი რითმის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შეტანილია ევრეთშოდებული და საყრდენი თანხმოვა ანი, რაც სავალდებულო არ არის თვით კლასიკურ რითმიშიაც კი\*). დაყრდნობილი რითმი განსაკუთრებით ხმიერია, მაგრამ მისი გატარება შაირით დაწერილ ტაეპში, საღაც ოთხი სტრიქონი ერთ რითმაზეა აგებული, დიდ სიძნელეს წარმოადგენს. აი დაყრდნობილი რითმით დაწერილი ტაეპი ვეფხის-ტყაოსანიდან, საღაც და-საყრდენი თანხმოვანი არის ბგერა ჲ:

ამა ქალაქსა წესია დღესა მას ნავროზობასა,  
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა,  
ყველაი სწორად დავიწყებო კაზბასა ლამაზობასა,  
დადსა შეიქმნე მეფენი პურიბა დარბაზობასა.

ასეთი რითმია შედარებით ხშირია ვეფხის-ტყაოსანში, მაშინ როდესაც ის ზოგიერთ ძეველ პოემაში სრულებით არ გვხვდება (მაგალითად, უზარმაზარ შაპ-ნამეში მე ის არც ერთხელ არ შემხვედრია), ზოგიერთში კი ძალიან იშვიათად (ბარამ-გურამიანის პირველ ას ტაეპში მხოლოდ ორი ტაეპი იძლევა დაყრდნობილ რითმას). რუს-

\* რითმის პრობლემას ვრცლად შევეხები ცალკე წერილში. ეს საკითხი სრულიად დაუშესვავებელია ქართულ ლიტერატურაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში და სასლვარგარეთ ალბად არითმეტიკულ ამოცანათა კრებულების შემდგენელები უფრო ვალდებულად სთვლიან თავს იცნობდენ ვერსაფიკაციის სხვა და სხვა საკითხებს, ვიდრე ჩვენი კრიტიკოსები და ფილოლოგები. კერძოთ, მეტად უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები, პ. ინგორუშვას გამოკლებით, როდესაც მათ ლექსთაწყობის ამა თუ იმ საკითხზე უხდებათ. სიტყვის ჩამოგდება. მაგალითად, პრ. კეკელიძეს თუ რითმა მოეწონა, ეს უკევლად „დახვეწილი რითმა“ იქნება, თითქოს რითმა ცხენის ძუა-ფაფარი იყოს და არა მეცნიერების მიერ კარგდ შესწავლილი პოეტური ხერხი. ი. აბულაძე ასეთი სიტყვებით უწყებს თავის წერილს „პოიმის ენის ხალხურობა“ (ვეფხ. ტყაოს. გვ. 321): „რითმისა და ლექსთაწყობის საჭიროებით არის გამოწვეული“... ამას ემგვანებოდა, მაგალითად, რომ ვნებ მათემატიკოსმა ასე დაიწყოს წერილი: „ტრიგონომეტრიისა და მათემატიკის საჭიროებით არის გამოწვეული“... ან ექმება რომ დასწეროს: „ტერაპიისა და მედიცინის საჭიროებით არის გამოწვეული“... ცხადია, აქ საქმე გვაქს ელემენტარულ გაუგებობასთან.

თაველს ამ მხრით უახლოედება რითმის ისეთი ვირტუოზი მხოლოდ, როგორიც არის დავით გურიამიშვილი.

ავილოთ ეხლა იმ სამი „ზედმეტი“ თავისან ერთი შესანიშნავი ადგილი, სახელობრ ტარიელის შეხვეძრა დამარცხებული ინდოეთის დედოფალსა და დიდებულებთან. მე მოვიყავნ ოთხს ერთი-მეორის მიმდევნო ტაქს, რომელთა შორის სამი უკანასკნელი დაწერილია დაყრდნობილი რითმით (დასაყრდენი თანხმოვანები ბ, ტ, ბ) და ხაზს გაუსვამ გამეორებულ სიტყვებს:

ტარიელ მიდგა, უყილა: მე მოველ მეფე თქვენიო,  
თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენიო;  
ჩვენ მოგვია მა ღლით მა ღლ მან აწლა ორბისა ფრთენიო;  
გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩვენგარ მოუთმენიო.

მაშინ ღა იცნეს ტარიელ, მათგან მიდამო სრბანია;  
სრულად ნათლითა აიგოს ზღუდე და ბანის ბანია;  
ხმა მალად ხმო ბდეს, იზახდეს: „მოვეშორდეს სალმობანია,  
აქამდის რისხვა მალალმან, აწ მოგვცა წყალობანია!“.

კარნი გა ა ხვნეს, გამოჩნდეს, მოიხვნეს მათ კლიტენია,  
ერთობ ფლასითა მოსილი უმწერდეს მუზ მჭვრეტელნია;  
ტირან ორნივე ქალ-ყმანი, ვარდისა ბალსა ტენია,  
ზახილით თავსა იცემდეს, ყორნის თმა ბროლს ატენია.

ვითა გამზრდელ სა მართებდა გა ზრდილი აგრე ხელია,  
რომე სდის ცრემლი თვალთაგან ცეცხლთაგან უფრო ცხელია,  
თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულფიცხელია,  
გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

მე შემიძლია გადაჭრით განვაცხადო, რომ მთელს ქართულ პოეზიაში არ მოინახება მეორე ისეთი ადგილი, სადაც ოთხი შაირით დაწერილი ტაეპიდან სამში დაყრდნობილი რითმა იქნება მოცემული. ჩემის აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ფაქტსაც.

ანგარიშ გასაწევია ის გარემოებაც, რომ ზემოთ მოყვანილ ოთხ ტაეპში ჩვენ გვხვდება. ექვსი სიტყვის განმეორება, რომლის მეორე მაგალითს, რუსთაველის გარდა ვერცერთ ქართველ პოეტს ვერ მოუნახავთ.

მრავალია ამ სამ თავში რუსთაველისათვის უალრესად დამახასიათებელი პოეტური ფიგურები, მაგალითად მეტაფორები. როგორ შეიძლება დავიჯეროთ რომ რუსთაველს არ ეკუთვნის, მაგალითად, ასეთი შესანიშნავი მეტაფორა:

გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია\*).

\* ) ეს სიტყვები შეეხება მამის გარდაცვალების გამო ატირებულ ნესტანდა-რეჯანს. გიშრის ტევრი თმებია ნენსტანის, ბროლის საფოცხელი კი მისი ხელი.

რუსთაველი მეტაფორის უდიდესი ოსტატია; ხოლო მეტაფორის შესახებ აი რასა სწერს არისტოტელე თავის პოეტიკაში:

„განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეტაფორებში დახელოვნებას, ვინაიდან მთლიან ამის გადმოღება არ შეიძლება სხვისაგან, და ეს ნიჭი მჩვენებელია ტალანტის, კარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების შენიშვნის ნაყოფია.“

დიახ არც ერთ ყალბისმქნელს არ შეეძლო გადმოელო რუსთველისაგან ის მეტაფორები, რომლებიც ამ საშ თავში გვხვდება. ამის გარდა, აქ არის მრავალი პასტიჩიო ისეთი სტრიქონების, ცალკე ფრაზებისა და სიტყვათა წყობის, რომელიც ჩვენ ვეფხის-ტყაოსანის უდაო ნაწილში გვხვდება. აი ამ პასტიჩიოების ნიმუშები:

გაგრძელების სამი  
თავიდან:

გიშრისა ტევრისა მოფოცდა  
ბროლისა საფოცხელია.

სრულად ნათლითა აიგსო  
ზღუდე და ბანის ბანია.

ქედსა ზედა გარდმოადგა  
მეტად დიდი ქარავანი.

მათ ჰყადრეს: „ზეცით მოსრულა  
ინდოეთს რისხვა ზეცისა.

გავს, თუ ტყუპნი მარგალიტნი  
სხენ ბროლისა საჩხაჩა.

დადუმდი, სული დაიღე  
ჩემჯან ამისგან მომქნელმან.

ვახტანგისეული რედა-  
ქციიდან:

გარდისა ბალსა მოგუბდა  
ცრემლისა საგუბარია.

ერთობ ლაშქრითა აიგსო  
მინდორი, ტყე კაპანია.

სრულად ნათლითა აევსო  
სახლი, შუკა და უბანი.

ქედსა რასმე გარდავადექ  
მინდორს მტვერი დავინაზე.

რა მოვა ჩემთვის განგება,  
ზეცით მოსრულნი ზენანი.

განახედ მწიფა გვირგვინი  
ზეცით მოსრულმან ზენამან.

შუა ძოშისა და აყიყსა  
სჭვირს მარგალიტი ტყუპები.

დადუმდეს, ცრემლი მოპკვეთა  
შავმან გიშრისა დანამან.

ამ პარალელურად წარმოდგენილ სტრიქონებში უეპეველად სჩანს ერთი ავტორის შემოქმედებითი აზრის მუშაობა.

მე აღარ შევჩერდები აქ ცალკე სიტყვებზე, განსაკუთრებით კი ბგერათა შერჩევასა და სიტყვათა განმეორებაზე, რომელიც იმტის ოდენ ეჭვს არა სტოვებს იმაში, რომ ეს სამი თავი რუსთაველს ეკუთვნის.

მართალია აქ არის სუსტი ალგილები, მაგრამ არ არის ისეთი, რომელზე სუსტი პოემის უდაო ნაწილში არ მოიძებნებოდეს. ეს თა-

ვები, პოეტს საბოლოო რედაქციაში, —ჩემის აზრით, მესამეში, — მეორე რედაქციიდან უნდა ჰქონდეს შეტანილი გადაუმუშავებლად, ისე როგორც ბევრი სხვა ადგილები (მაგალითად, ავთანდილის პირველი წასვლა ტარიელის საძებნელად და მომდევნო თავები), რომელთა პოეტური ღირსება ამ თავებზე მაღლა არა სდგას. კერძოთ, არ განიჩევა ამ თევებისაგან ღირსებით ვახტანგისეული რედაქციის უკანასკნელი რამდენიმე ათეული ტაქტი (ქორწილი თინათინ-ავთანდილისა და მომდევნო ტაქტები).

ასეთ აუცილებელ დასკვნამდე მივყევართ ვეფხის-ტყაოსანის ტექსტუალურ კრიტიკას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ფილოლოგიურ კვლევა-ძიებაში. ფილოლოგიური კვლევა-ძიება, შლეიერმახერის აზრით, სრულიად განსხვავებულ კრიტიკულ დისკიპლინას წარმოადგენს საერთო კრიტიკაში; მისი მთავარი მიზანია დოკუმენტის სინამდვილის დამტკიცება, და, მაშასადამე, ამ დოკუმენტის ტექსტის ყოველმხრივი შესწავლა. აი რასა სწერს თანამედროვე რუსი ფილოლოგი ვინოკური სხვა და სხვა კრიტიკული თველსაზრისის შესახებ: „ესთეტიკური კრიტიკა იტყვის: ეს ნამდვილია, მაგრამ ლამაზი არ არის. ისტორიული კრიტიკა იტყვის: ეს ნამდვილია, მაგრამ სწორი არ არის. ხოლო ტექსტუალური კრიტიკა უბასუხებს: ეს არც ლამაზია, არც სწორი, მაგრამ ნამდვილია“.

ვასრულებ რა ვახტანგისეული რედაქციის კრიტიკას, მე საჭიროდ მიმაჩნია კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ლექსის ფორმალური ნიშნების განხილვა წარმოდგენილია აქ როგორც ზედმეტად დამადასტურებელი მასალა იმისა, რაც უეჭველად გამომდინარეობს ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი სხვა უფრო ობიექტიური ხასიათის საბუთებიდან. აი სახელდობრ რა გამომდინარეობს იქნედან;

I. ვახტანგისეული რედაქციია არის ვეფხის-ტყაოსანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, წინააღმდეგ 3. ინგოროვასა და ი. აბულაძის შეხედულებისა.

II. ვახტანგისეულ რედაქციია მოცემულია პოემის თავდაპირველი ტექსტი შემოკლებით და არა გაგრძელებით, როგორც ეს ს. კაკაბაძეს და პროფ. კ. კეკელიშვილის წარმოუდგენიათ\*).

\*.) ამ წიგნის ეს თავი უკვე გამოქვეყნებული იყო კრებულ „არიფიონში“ როდესაც მიმდინარე წლის ზაფხულზე მე გადმომცა ლეჩხუმში პატივცემულმა ფარნაოზ ჯიჯავაძემ ერთი ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი ამ ხელნაწერში პოემა თავდება, სწორედ ისე, როგორც მე ვ ფიქრობ,

## VII. 397606-ტუაოსანის ვარიაციები.

VII. ვეზეუს-ტრამსანის ვარიანტები.

როგორც აღნიშნული მქონდა, ვეფხის-ტყაოსანის მკლევარებს პთი უკანასკნელი თავი ერთხმად ყალბისმქნელების მიერ წამატებულად მიაჩნიათ. საკამათოდ ისინი სთვლიან მხოლოდ წამატებულზე ადგილების დათარიღებას. მათი საერთო აზრით, ეს თავები შეოთხული უნდა იყოს სხვა და სხვა ყალბისმქნელთა მიერ მე-XIV — XVI საუკუნეებში. განვიხილოთ, თუ რამდენად სერიოზულ საბუთებს ემყარება ამგვარი დათარიღება.

საერთოდ, როდესაც არ ხერხდება ამა თუ იმ სტორიული მოვლენის თარიღის ზედმიწევნით გამორკვევა, ისტორიულები შემდეგ საშუალებას მიმართავენ: ისინი არკვევენ, ერთი მხრით, დროს, რომლის უმაღ არ შეიძლებოდა მომხდარიყო ესა თუ ის ფაქტი (Terminus ante quem non), და, მეორე მხრით, დროს, რომლის შემდეგ ის ფაქტი ვერ მოხდებოდა (Terminus post quem non): ამგვარად ხდება დასა-თარიღიერებით მოვლენის დაახლოებითი ლოკალიზაცია დროში.

სასრულის ხელნაწერები—პოემის ყველაზე ძველი ხელნაწერები, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულიან, — უკვე იცნობენ მას მთლიანად. ისინი საესებით მართალი არიან ამ მხრით, ისე როგორც მართალი იქნება, მაგალითად, რომელიმე მომავალი საუკუნის მკვლევარი, თუ კი ის განაცხადებს შემდეგს: „ვეფხის-ტყაოსანის უკანასკნელი თავების წამატება არ შეიძლებოდა. მომხდარიყო მეოცე საუკუნის დასაწყისშე უფრო გვიან, ვინაიდან ამ თავებს უკვე იცნობს მთლიანად სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემული პოემის ტექსტი“. შორეული მომავალის მკვლევარს სრული უფლება ექნება დასწეროს ეს, თუ კი მისი ცხოვრების დრომდე ს. კაკაბაძის რედაქტურობით პირველად გამოსულ ვეფხის-ტყაოსანზე უფრო ძველი წყაროები ვეღარ მიაღწევს.

ცხადია, რომ ამ თარიღების დაახლოებითი გამოსარკვევად საჭიროა პირველი საზღვარის დადება, ესე იგი იმის გამორკვევა, თუ რომელ დროზე ადრე არ შეიძლებოდა დაწერილიყო ეს თავები. როგორაა ამ მხრით ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარების მდგომარეობა? ძალიან ცუდათ. საქმე იმაშია, რომ არცერთი ძველი ლიტერატურული წყარო არ იძოვევა იმის მოწმობას, თითქოს ოდესმე ეს თავები ვეფხის-ტყაოსანში არ ყოფილიყო. არც თვითონ პოემა იძლევა რაიმე ხელმოსაკიდებელ საბუთს ამის დასამტკიცებლად. ტექსტისა და მისი ვარიანტების იმ ადგილებში, რომელთა სიყალბე მკვლევარებს უდავოთ მიაჩნიათ, არსებობს სამი ისტორიული ხასიათის რეალია; ამ რეალებს ზოგიერთი მკვლევარი ისე მაგრად უჭირს ხელს თარიღების გამორკვევის მიზნით, რომ ლამის ძმარი გაადინოს მათ, მაგრამ შაინც არაფერი გამოდის. განვიხილოთ ეს სამი ადგილი და მათი გამოყენება მკვლევარების მიერ.

მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილ სამ თავში, სახელდობრ პირველში, სადაც ტარიელი და ნესტანი მწარედ მოსთქვამენ ფარსაღანის გარდაცვალებას, პოეტი ავთანდილისა და ფრიდონის შესახებ, რომლებიც გამამხნევებელი სიტყვით მიმართავენ ჭირისუფალთ, ამბობს შემდეგს:

მაგრამ ექნეს სულის მღებლად ქათალიკაზ-მაწყვერელად.

პროფ. კეკელიძე ემყარება ამ ადგილს და აცხადებს, რომ ეს დამატებული თავები უნდა დაწერილიყო არა უადრეს მეთექვსშეტე საუკუნისა. ის სწერს ამის შესახებ შემდეგს:

„აქ მაწყვერელი და კათალიკაი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებინი და სწორაცივიანი იერარქები; მაშასადამე, ეს იმის მაჩვნენებელია, რომ, როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სა-

მცხის ეკლესია უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის ეკლესის და მის სრულუფლებიან გამგეთ, როგორც მცხეთაში კათალიკოსი, ითვლებოდა უკვე მაწყვერელი. პროცესი სამცხის ეკლესიურად ჩამოშორებისა მცხეთისაგან, დაწყებული ჯერ კი დვე მეოთხშეტე საუკუნის გასულიდნ, ძლიერდებოდა მეთუთმეტეში და დამთავრდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს მშეგაბუ ათაბაგის დროს (+1516), რომელმაც მაწყვერელდა განწესა ტრაპიზონელი ბერძნი სიმონი. ამნაირად, პირველი და, მაშასადმე, კველაზე ადრინდელი დამატება მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე დაწყერილი ვე იქნება.”\*)

ყოვლად დაუშევებელია პოეტის მიერ რითმისათვის ნახმარი ურთი სიტყვიდან ამდენი ამბების გამოტანა. საქართველოს საეკლესიო ისტორიის მოყოლის მაგირ, ისა სჯობდა, რომ პროფ. კეკელიძეს ჯერ კარგათ გაერკევია ზემოღ მოყვანილი სტრიქონის „შინაარსი, რომელიც არავითარ „სწორუფლებიანისა და სწორპატიიანი“ იერარქების დაპირისპირებას არ ჰგულისხმობს. აქ ავთანდილი და ფრიდონი (უქმევლად ცოტათ თუ ბევრად განსხვავებული ხარისხის გმირები) შედარებულია კათალიკოსა და მაწყვერელთან. ჩვენში იტყვიან „მღვდელ-დიაკონივით“-ო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშანავს იმას, თითქოს მღვდელი და დიაკონი „სწორუფლებიანი და სწორპატიიანი“ სასულიერო პირები იყვნები.\*\*) ამ ხსენებული სტრიქონის

\*) პ. კ ე კ ვ დ ი ძ ე ქართული ლიტერატურის ისტორია, II ტ. გვ. 218.

\*\*) საგებით მატალია პ. ინგოროვა ამ საკითხში კეკელიძესთან კამათის დროს. მიუხედვად ამისა, პ. კეკელიძე თავის მეორე საპასუხო წერილში (მ ნ ა-თ ო ბ ი № 1927 წ., № 5—6, გვ. 173) სტრიქონის შემდეგს: „ის (ინგოროვა) მხოლოდ ეკამთება ჩემს მოსახლეებას „კათალიკოს-მაწყვერელი“ შესახებ და ამბობს: „განა შე დარ ე ბ ა ში თ რი პირის ერთად დასახლება იმას მოასწავებს, რომ ისინი სწორუფლებიანი და სწორ პატიიანი არაანო“ (მ ნ ა თ ო ბ ი, III, 215)! მე იმას კი არ ვამბობდი, რომ დამატების ცნობილ სტრომში კათალიკოს - მაწყვერელი „შედარებული“ არაან, არამედ „დაპირისპირებული“ მეთქი (II, 188); რა უნდა ელაპარაკო ისეთ ადამიანს, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ შედარება სხვა და დაპირისპირება, პარალელიზმი, სხვ?!! ჯერ ერთი, არავითარი დაპირისპირება, როგორც დაინახეთ, ვეზნის-ტყაოსანის შემოთმოვეანილ სტრიქონში არ არის, რომ კეკელიძე იქ დაპირისპირებას ხედას, ეს კიდევ არაფერს არ ნიშანავს, და რუ მაინც და მაინც ნიშანავს რამეს, — მხოლოდ იმას, რომ თვითონ კეკელიძეს ვერ გაურჩევა ერთმანეთისაგან შედარება და დაპირისპირება; შეორებება, შეიძლება „რუსთველიანა“დან არაფერი არ მივიღოთ, მაგრამ იმის თქმა, რომ მისმა ავტორმა არ იცის, თუ რა არის შედარება და რა დაპირისპირება, შეუწყნარებელია ყოველი მხრით. დასასრულ, პიროვ. კეკელიძეს ავწყდება, რომ დაპირისპირება თითქმის ყოველთვის შედარებასაც ჰგულისხმობს.

პროფ. კეკელიძეს ძალამ უცვარს სხვების უმეტებაზე ლაპარაკი, ამიტომ ჟედმეტე არ იქნება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი მისა—არ ვიტყვი უმეტობის—

ავტორი უეჭველად მესხი უნდა ყოფილიყო, რასაც თვითონ კეკელიძე აღიარებს (იქვე, გვ. 269), და რა გასაკვირია, რომ, როდესაც ამ პოეტს დასჭირდა რითმისათვის მაწყვერელის ხსნება, იქვე დასახელა იმაზე მაღალი სასულიერო პირი კათალიკოსი; ეს მით უფრო დასშვები იყო, რომ ანალოგია სწორი გამოღილდა: ავთანდილი მაღლა-იდგა ფრიდონზე, როგორც კათალიკოსი მაწყვერელზე. ეს პოეტი (რომელიც, ჩემის ლრმა რწმენით, იგივე რუსთაველია) მესხეთიდან კი-არა, იმ დროინდელ „ქუთათისიდან“ რომ ყოფილიყო, მას სრული უფ-ლება ჰქონდა ანალოგისათვის ესევა — „კათალიკოს-ქუთათელად“<sup>3</sup>.

ამრიგად, ქ. კეკელიძის Terminus ante quem იონ პირველი სუ-ლის შებერვისთანავე სკდება, როგორც საპნის ბუშტი.

დანარჩენ ორ ცნობას უმთავრესად პ. ინგოროვა იყენებს თა-რილების გამოსარკვევად. წინასწარ საჭიროა განვიხილოთ მოქლეთ, თუ რას წარმოადგენენ მისი „ვეფხის-ტყაოსანის პლასტები“, რამელ-საც მე „რუსთველიანას“ გარჩევის დროს გვერდი ავუარე; პ. ინგო-როვას აზრით, ვეფხის-ტყაოსანის ნამდვილ ტექსტს საუკუნეთა გან-მავლობაში სხვა და სხვა დროს დაერთო მრავალი ყალბი ადგილი. ეს დანართი ადგილები მას გაყოფილი აქვს სამ პლასტად. პირველ პლასტს, ყველაზე ძველს, წარმოადგენს ვატანგისეული რედაქტია. თავისი ტენდენციური და ციკლიური დანართებით, რაც მე დაწვ-რილებით განვიხილე ზემოთ ამ წიგნში. მეორე პლასტი, მისი აზრით, შეიცავს სამს ერთი მეორესაგან დამოუკიდებელ დამარტებას პოემის ბოლოში (229 ტაქსი, მისი ანგარიშით), ესე იგი იმ ათ თავს, რო-მელიც მეითხველს უკვე გავაცანი. მესამე პლასტში შედის ტაეპები (რიცხვათ 496, მისივე ანგარიშით), რომლებიც ვარიანტების სახით თავიდან ბოლომდე გასდევენ პოემის ტექსტს. პავლე ინგოროვა იძ-

ძალიან პატარა ცოდნისა მეცნიერების იმ დარგში, რომელიც ლიტერატურის-მკელევარისათვის ყველაზე უფრო ცნობილი უნდა იყოს: პ. ინგოროვას საპასუხო წერილის შესახებ ქ. კეკელიძე თავის მეორე წერილში (მ ნ ა თ ო ბ ი, № 5—6, გვ. 187) სწერს შემდეგი: „მთელი ეს დაუსრულებელი „პასუხი“ წარმოადგენს პერი-ფრაზს, ხშირად სიტყვა-სიტყვით განმეორებას იმისას, რაც ნათქვამი აქვს მას „რუსთველიანაში“. როგორც ხედავთ, ქ. კეკელიძე ნათქვამის განმეორებას. პ ე რ ი ფ რ ა ზ ს უწოდებს. სიტყვიერების თეორიაში ეს თერმინი სულ სხვა რამეს ნიშნავს. პ ე რ ი ფ რ ა ზ ა ეწოდება საგნის ან მოვლენის დასახელებას მისი პირ-დაპირი სახელწოდების მოუხსენებლად, მაგალითად: ფრინველების მეფე (არწივი), განდევილის ავტორი (ილია ჭავჭავაძე) და სხ. რაც შეეხება ნათქვამის განმეო-რებას, მის აღსანიშნავად არსებობს თერმინი პარაფრაზი პარაფრაზი.

ლევა „რუსთველიანა“-ში (გვ. 20): ამ პლასტების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობის სურათს. არ ირჩ მისი მოსაზრება ამ საკითხის-ვარშემო:

„საკითხი პირველი პლასტისა, ე. ი. ვახტანგისეული დედისი შესახებ მარტივია. ვახტანგისეული დედანი, როგორც აღნიშული იყო, არის ყველა ხელნაწერების საერთო საფუძველი. ვახტანგისეულ ტექსტს ყველა მე-XVI — XVII საუკუნის ხელნაწერები უცვლელად იმეორებენ.“

აქედან მცვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ ვახტანგისეული რეალურია არის ყველაზე ძველი ფენა, ე. ა. პირველი პლასტი.

მე მგონია, არაფერი ისე ნათლად არ არის გამორკვეული ამ ჩემს წიგნში, როგორც საკითხი ვახტანგისეული რეალური შესახებ, ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში შემუშავებულისა და გამოცემული ვახტანგისეული რეალური ისე გან მეორება არ შეეძლო მეთევესმეტე — მეჩვიდმეტე საუკუნეების ხელნაწერებს. მოხდა სწორეთ პირუკულმა; ვახტანგისეულმა რეალურიამ გაიმეორა მე-XVI — XVII საუკუნეების ხელნაწერები უკანასკნელი ათი თავის გამოკლებით.

მეორე და მესამე პლასტების დასათარიღებლად პ. ინგოროვგას მოჰყავს ის მოსაზრება, რომ სამი დამატება (ცნობილი ათი თავი) წარმოდგენილია ყველა ძველ ხელნაწერებში, ხოლო სხვა დამატებები (მისი ანგარიშით თორმეტი) ზოგში არის და ზოგში არა. აქედან ის დაასკვნის: „მაშასადამე პირველი სამი დამატება წარმოადგენს პოემის მეორე პლასტს, ხოლო დანარჩენი თორმეტი დამატება პოემის მესამე პლასტს“<sup>-ო</sup>.

ბგერების გარდა, არაფერი საერთო ერთიმეორესთან არა აქვთ. მაგრამ ასეთი შეცდომის დაშვება ყოველთვის შეიძლება, და მე არც ვახსენები მას, ერთი გარემოვბა რომ არა. საჭმელიაშია, რომ კ. კეკელიძეს ეს სიტყვა, მთელი მისი შემცდარი მნიშვნელობთ, „რუსთველიანა“-დან ამოუღა. პ. ინგოროვგაც თავის წიგნში, რამდენჯერმე, ალბად შემთხვევითი შეცდომით, ნათევაშის განვითარებას პერიოდურაზე უწოდებს (ასეთივე შეცდომით არის ამ ორი სიტყვის იდენტურობის აღნიშნული იმედაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში). მე შენია, არ არის ლაპაზი მწერალმა მწერლისაგან ისესხო სიტყვა, ისიც შემცდარი მნიშვნელობით, და შემდეგ მიაძახომას: რა უნდა გელაპარაკო შენ, რომელსაც შედარება დაპირისპირებისაგან ვერ გაგირჩევით.

ამ შენიშვნით მე სრულიადაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო პროფ. პ. კეკელიძეს ღვაწლას და დამსახურებას ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე, მაგრამ ის ხშირად მდაბალი ხარისხის პოლემიკურ ხერხებს მიმართავს და საჭიროა ამას გადაეჩვიოს.

ეს დასკვნა უეჭველად შემცირია. საქმე იმაშია, რომ იმ ტაქ-  
ბთა უდიდესი ნაწილი, რომელთაც პ. ინგოროვა მესამე პლასტი  
ათავსებს წარმოადგენს ძირითადი ტექსტის ვარიანტებს. რაც ამ  
ტაქებშია ნათქვამი, იმას უმეტეს შემთხვევაში ძირითადი ტექსტი  
გაცილებით უკეთესად გადმოვცემს, ამიტომ შეუძლებელია, რომ ეს  
ტაქები, როგორც აშკარად ზედმეტი, ყველა ხელნაწერებს შერჩე-  
ნოდენ, ისინი დარჩენ ალბად უფრო მდარე ლირსების ხელნაწერებში.  
ხოლო რაც შეეხება უკანასკნელ ათ თავს, ესე იგი იმ სამ დამატებას,  
რომელსაც პ. ინგოროვა მეორე პლასტიდა სთვლის, საკითხი მათ  
მიმართ სდგას სულ სხვანაირად. ეს თავები პოემის ტექსტის ვარიან-  
ტებს კი არ წარმოადგენ, არამედ მისი ამბავის გაგრძელე-  
ბას, და სწორედ ამიტომ შედიან ისინი ყველა ხელნაწერებში და  
არა იმის გამო, რომ ვითომც უფრო აღრე იყვნენ დაწერილი, ვიდ-  
რე ვარიანტული ხასიათის ტაქტი.

ამგვარად, პ. ინგოროვას მიერ პოემის ტექსტის პლასტებად  
დაყოფას არავითარი მკვიდრი ნიადაგი არ მოეპოვება.

განვიხილოთ ეხლა, თუ როგორ იყენებს პ. ინგოროვა თარიღე-  
ბის გამოსარკვევად ყალბად მიჩნეულ ადგილებში მოთავსებულ ორ  
დანარჩენ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობას.

ჩვენთვის კარგად ცნობილ სამ თავს, რომელიც პოემის ბუნებ-  
რივ დასასრულს წარმოადგენს, მოსდევს მეოთხე თავი, სადაც აწე-  
რილია ხეარაზმელების ომი ინდოეთთან. ამ ეპიზოდს აქვთ დამოუ-  
კიდებელი შესავალი და ბოლოსიტყვაობა. იქ ნახენებია ვინმე სარ-  
გისი თმოგვიდან. თავში ნათქვამია:

ძველნი ნარჩომნი ამბავი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით!  
სარგისს დაურჩა უთქმელად მას ესე დავაბარენით.

#### ბოლოში:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად.  
შემდევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად.  
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად.  
მან მიბრძანა ლექსად თქვიო მჭევრ ქართულად შესაწყობლად.

პ. ინგოროვას ამ საგულისხმიერო ცნობიდან ის დასკვნა გა-  
მოაქვს, რომ აქ მოხსენებული სარგის თმოგველი ცხოვრობდა მე-XIV  
საუკუნეში, როდესაც თმოგველების გადასახლება მოხდა თმოგვიდან. ამ  
სარგის თმოგველს, მისი აზრით, დაუწერია პოემის პირველი და-  
მატება, ესე იგი სამი პირველი თავი. ამგვარად პ. ინგოროვას გა-  
მოჰყავს მეორე პლასტის თარიღის terminus ante quemem non-ეს  
არის მე-XIV საუკუნის ნახევარი.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით „ისტორიული ფაქტების“ ფასი ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიების საკითხში. ეს ფაქტები ყოველთვის მეტყველებენ იმას, როს თქმაც ამა თუ იმ მკვლევარსა სურს. მაგალითად, როდესაც ს. კაკაბაძემ, ზოგიერთი მისთვის საგულისხმიერო ნიშნების მიხედვით, იფიქრა, რომ ვეფხის-ტყაოსანი მე-XIV საუკუნეში უნდა ყოფილიყო დაწერილი, მაშინ აღმოჩნდა, რომ თმოგველებიც ამ საუკუნეში გადასახლდნ თმოგვიდან, დავითიც ამ საუკუნეში ცხოვრიბდა, თამარიც, თვით პოემის ზოგიერთი სიტყვები ქართულ ენაში მხოლიდ ამ საუკუნიდან იქნა შემოლებული და სხვა და სხვა. ეხლა, როდესაც ს. კაკაბაძემ რადიკალურად გამოიცავა შეხედულება პოემის წარმოშობის შესახებ და ის ისევ დიდი თამარის ეპოქას დაუკავშირა, აღმოჩნდა, რომ თუნდაც იმავე თმოგველების გადასახლება თმოგვიდან სავებით შესაძლებელი იყო თურმე მე-XII საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი მწერლის სარგის თმოველის დროს\*).

გარდა ამისა, ზემოთმოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომლის შესახებ მე კიდევ მექნება ლაპარაკი ქვემოთ, იოტის ოდენ საბუთს არ იძლევა იმისათვის, რომ ვიფიქროთ, თითქოს ამ სარგის თმოგველს დაეწეროს პირველი დამატება, ან საერთოდ პოემის რომელიმე ნაწილი.

სარგის თმოგველი პავლე ინგოროვას გამოჰყავს როგორც ტიპური ყალბისქმნელი, რომელიც აგრძელებს სხვის ნაწარმოებს ისე, რომ თავის სახეს არ აჩენს. თმოგველები მეტად დიდი ფეოდალები იყვნენ იმისათვის, რომ რომელიმე მათგანი ამდენად დაკანიებულიყო და ასე შემოლეოდეს მას საქმე.

საერთოდ იმის ფიქრი, რომ სხვის მხატვრულ ნაწარმოებს ვინარებენ ფარულად გააგრძელებდა, არის ისეთი აბსურდი, რომელზედაც ლაპარაკი არა ღირს. ყოველ პოეტს თავისი ნაწარმოები უყვარს, როგორც საკუთარი ბუნების ნაწილი, როგორც მისი შინაგანი სამყაროს სიტყვიერი გამოხატულება; ამასთანავე ის ყოველთვის მაღალი ჭარბოდგენისაა თავის ნაწარმოებზე, ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე ამ ნაწარმოების გამომწვევი იმპულსები ჯერ კიდევ აქტუალურია მასში. ამიტომ არცერთი პოეტი არ შეიწუხებს სერიოზულად თავს იმისათვის, რომ ბოლოს თავისი ნაშრომი სხვას მიაწეროს. ის თუ რამეს დასწერს, კიდევაც თავისი სახელით გამოაქვეყნებს მას. ჩვენ ვიცით ვეფხის-ტყაოსანის ერთადერთი გაგრძე-

\*). ს. კაკაბაძე: ვეფხის-ტყაოსანი. II გამოცემა, გვ. XLIV.

ლება—ეს არის სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელსაც სახელად უმანანიკ ქოდება და რომლის ავტორს აზრადაც არ მოსვლია თავისი პიროვნების წაშლა. რუსთაველის სასარგებლოდ. მესამე ისტორიული ხსიათძის ცნობა გვხვდება ერთ ფარიანტულ ტაქტში, რომელიც წარმოადგენს ჭომის ამბავის პირველ ტაქტის ვარიაციას. აი. ეს ტაქტი:

იყო პრაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისი.

მას ჰქონდა საპარამი ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი. უძრავის და ჰმონებს ყოველი, ხელთა აქვს მას საბრძანისი; თქვენ, თუ: ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი.

ამ ტაქტის შესახებ ჰქონდოუყვა: სწერს, რომ ის ეკუთვნინ ერთ უძველეს დამატებას რიგით მეორეს. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ მკვლევარის მიერ ვარიანტული ტაქტების მესამე პლასტში გამოყოფას საფუძვლად სრულიად შემუდარი შოსაზრება აქვს დაღუ-ბული. მაგრამ დაუშვათ, რომ ეს ტაქტი მესამე პლასტს ეკუთვნის, საკითხავია მაიც, თუ რატომ ეკუთვნის ის ამ პლასტში „უძველეს“ და ისიც „რიგით შეორე“ დამატებას? ნუ თუ შის უძველესობას ამტკიცებს, რომ იგი პოემის დასაწყისშია მოთავსებული?

აქ მოხსენებული შანშე, პ. ინგოროვებს აზრით, არის ანისის მფლობელი შანშე II მხარგრძელი, მე-XIV საუკუნის მოღვაწე. მკვლე-ვარი ერთ სიტყვასაც არა სძრავს იმის შესახებ, რომ შესაძლებე-ლია ეს იყოს არა შანშე II, არამედ შანშე I, ზაქარია მხარგრძელის შვილი, რუსთაველის თანამედროვე და მე-XIII საუკუნის პირველი წარევრის ცნობილი მოღვაწე. ჩვენის აზრით, სწორედ ეს შანშე პირ-ველია აქ ნაგულისხმევი და არა შანშე II, და თუ ამ შესაძლებლობის შესახებ მკვლევარი არას ამბობს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მო-საზრება თავდაყირა დააყენებს მთელს იმის ქრონილოგიას.

პ. ინგოროვებს აზრით, ეს ტაქტი გადაუკეთებია ასე ან როგორიმე მხარგრძელს თავის გვარის განსაღილებლად, ან ვრნეც ანისელ, მელექსეს შანშეს პატივსაცემად.

ჩვენ მხად ვართ ყოველგვარი შეუსაბამობა მივაწეროთ შორეულ წარსულს. ეს არ არის მართებული: ნივთების ძირითადი ლროვე ძველადაც ისეთი იყო, როგორიც ამ უამიდ არის. უნდა ვითიქროთ, რომ ვეფხის-ტყაოსანი მე-XIV საუკუნეში უფრო ნაკლებად გავრცე-ლებული და სახელგანთქმული არ იქნებოდა, ვიზრე შემდეგ საუკუ-ნებში, მაგალითად, მეფე ერეკლეს დროს. ვინაიდან ჩვენთვის ერე-კლე მეფე უფრო რეალური პიროვნება არის, ვიზრე შანშე ანისელი, და პირველის ცხოვრების დრო უფრო ნაჟღულებად ზღაპრულია, ვი-

დღე მუორესი, ამიტომ წარმოვიდგინოთ, რომ ერტყლე მეფის რომელიმე კარის პოეტმა გადააკეთა ვეფხის-ტყაოსანის პირველი, ტაქბისე, რომ შიგ როსტევანის გვერდით ერტყლე მოიხსენია. ასეთ სისულელეს ხომ უწინარეს ყოვლისა თვითონ მეფი დაპგმობდა. არა, ისეთი დიდი წიგნები, რომლებშიაც ახალი პიროვნების ჩაჩრდოა არა. თუ არ განადიდებს ამ პიროვნებას, არამედ სასაცილოდ გახდის მასა ან შესაძლებელია, მაგალითად, რომ მე-18—19 საუკუნის რომელიმე ბაგრატიონს თავისი გვარი ჩაერთოს ვეფხის-ტყაოსანის ტექსტში არა, კინაიდან ეს მისა გვარის განდიდება კი არა, გამასხარავება იქნებოდა. ამგვარადვე უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება მეოთხმეტე საუკუნეშიაც. გარდა ამისა, ჩემის აზრით, არავინ არ გაკადნიერდებოდა ისე, რომ ვიღოც ანისელი მთავარის სახელი ჩაერთოს იმ წიგნის ტექსტში, რომელიც საუკუნოდ დაკავშირებულიყო დიდი თამარის სახელთან, მით უმეტეს, რომ თვითონ ფამარიც კი მხოლოდ პროლოგსა და ეპილოგში იყო მოხსენებული. და არა მოსატევანისა და თინათინის გვერდით:

ასე თუ ისე, ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარებმა კვერძო ჭიახერხეს ვერცერთი ყალბად მიჩნეული ადგილის საფუძვლიანზე დათარიღება მათ მხოლოდ ერთი რამ იციან კარგზე, სახელობრი ის, რომ პოუმის ყველაზე უფრო ნაგვიანევი დამატება არ შეიძლებოდა დაწეროლიყო მე-16 მე-17 საუკუნეების საზღვარზე უფრო გვიან.. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მკვლევარუბს დაუსვათ ერთი საინტერესო კიცხვა და კარგი იქნება, თუ პასუხს მიერთოთ — რას წარმოადგენს ეს მე-16 — 17 საუკუნეების საზღვარი ისეთს; რომ ყველა ყალბის მქნელები მის იქით მოექცენ, ხოლო პატიოსანი მწიგნობრები კი აქეთ? თუ მე-13 — 16 საუკუნეებში ვეფხის-ტყაოსანის გარშემო განუშება ვეტელ ყალბის მქნელობას ჰქონდა ადგილი, რით განსხვავდებოდა ისეთი ამ საუკუნეებისაგან მე-17 და მე-18 საუკუნეები, რომ ეს ყალბის მქნელობა სრულიად მოისცო ამ ხანებში? რა თქმა უნდა; რაიმე, საამისო განსხვავება ამ საუკუნეებ შორის არ ყოფილა... საქმე მხოლოდ იმაშია, რომ პოემის ჩვენამდე მოლწეული ძველი ხელნაწერების რომლებიც, როგორც ვიცით, მე-16 საუკუნის დასასრულსა და მე-17 ს. დასაწყისს ეკუთვნიან, საგსტბით წარმოგვიდგენენ ყალბად მიჩნევა ულ ადგილებს მაგრამ ჩვენამდე რომ პოემის უფრო ძველ ნაწერებს მოელწია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, იქაც ასეთივე სურათი გადაიშლებოდა, რის გამო ყალბის მქნელთა ფანტასტიური ლაშქარი იძულებული გახდებოდა კდლევ უფრო შორს. წასულიყო საუკუნეების სილრმეში და მოსახურობა აწინაურებული და დადგინდებოდა და დადგინდებოდა.

მე მგონია, ზემოთ, ვახტანგისეული რედაქციის განხილვის დროს, სავსებით ნათლად გავარკვიე, რომ ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანის ათი უკანასკნელი თავიდან სამი პირველი თავი, ეგრედწოდებული ინდო-ხატაელთა ამბავი, წარმოადგეს პოემის განუქვეთელ ნაწილს, მის ბუნებრივ დაბოლოებას და, მაშასადამე, იმავე პოეტის ნაწარ-მოებს, რომელმაც მთელი პოემა დასწერა. რაც შეეხება დანარჩენ შვიდ თავს, ისინი აგვიწერენ ხვარაზმელების ომს ინდოეთთან (ხვა-რაზმელები ილაშქრებენ დაავადებული ტარიელის წინააღმდეგ, მის მიერ ოდესლაც მოკლული ხვარაზმელი სასიძოს სისხლის ასაღებად), პოემის გმირთა სიბერებს, მათ ანდერძებს სიკვდილის წინ და გარ-დაცვალებას.

მკვლევარების საერთო აზრით, ეს შვიდი თავი წარმოადგენს, პირველ სამ თავთან შედარებით, კიდევ უფრო ნაგვიანევ დამატებას და შეთხზულია სხვა და სხვა გადამწერთა მიერ. ეს შეხედულება იმდენად უდავოა მათთვის, რომ არცერთი მათგანი უბრალოდ არ დაეჭვებულა მასში. ჩემი აზრი ამ საკითხის გარშემო დიამეტრა-ლურად განსხვავდება მათისაგან. მე ვფიქრობ, რომ ეს შვიდი თა-ვიც არა თუ იმ თავიდანვე მომდინარეობენ, უფრო აღრეა დაწე-რილი, ვიდრე ვეფხის-ტყაოსანის საბოლოო რედაქცია. საამისო ნიშ-ნები არსებობს. აი ეს ნიშნები:

### 1. მეოთხე თავში ნათქვამია:

„ეს ამბავი დარჩომოდა ს ა რ გ ი ს ს ლექსთა შეუწყობლად“. ვის შეეძლო ამ სტრიქონის დაწერა მე-XIV—XV—XVI საუკუნეებში, რო-დესაც მთევსი მკითხველი საქართველო უკანასკნელ კაცამდე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ვეფხის-ტყაოსანის ერთად-ერთი ავტორი არის რუსთავე-ლი? გამგრძელებელს უკვევლად უნდა ეთქვა: ეს ამ-ბავი დარჩომოდა რუსთაველს ლექსთა შეუწყობლადო. ცხა-დია, რომ ეს ადგილი ვეფხის ტყაოსანის საბოლოოდ ჩამოყალი-ბებამდე უნდა დაწერილიყო და უნდა ეკუთვნოდეს ან რუსთაველს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიმე მის წინამორბედ პოეტს. ხო-ლო აქ მოხსენებული სარგისი უკვევლად რუსთაველის წინადროინ-დელი ცნობილი „დილარიანის“, სახელგათქმული ავტორი ს ა რ გ ი ს თმოგველი უნდა იყოს, ის სარგის თმოგველი, რომელიც მოხსე-ნებულია აგრეთვე პოემის უკანასკნელ ტაქტში („დილარგეთ სარგის თმოგველსა მას ენადაუშრომელსა“). სხვა რომელიმე სარგის თმოგ-ველის ძებნა აქ, როგორც ამას პ. ინგოროვა სჩატის, მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. ეს მოსახრება პირველად გამოვსთქვი მე ჩემს

წიგნში „ალიტ. ქართ. შაირში...“ ამავე აზრისაა დღეს ს. კაკაბაძეც,\* რომელიც წინად ფიქრობდა, თითქოს აქ ნაგულისხმევია მე-XIII საუკუნის მოღვაწე სარგის თმოველი, შვილი-შვილი „დილარიანის“ ავტორისა. მაგრამ ს. კაკაბაძე ვერ განთავისუფლებულა იმ აზრისა-გან, ვითომც ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანის დაბოლოება შემდეგი დროის დამატებას წარმოადგენს და ამიტომ ის აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება. გამოვაშკარავოთ ეს წინააღმდეგობა: ჩვენ დავინახეთ, რომ ის კიდევ უფრო ამოქლებს ვახტანგისეულ რედაქ-ციას; ამ ახლად დადგენილ ტექსტში მას გადმოაქვს სრულიად თვით-ნებურად გაგრძელების მეოთხე თავიდან ტაქპი „ეს ამბავი დარჩო-მოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად“, როგორც ნამდვილათ რუსთავე-ლის მიერ დაწერილი, ხოლო პოემის დანარჩენ ნაწილს, დაწყებულს თინათინისა და ავთანდილის ქროწილით ბოლომდე, ე. ი. თერთმეტ თავს, მიაწერს „ვინმე მესხს მელექსეს“, რომელიც, მისი აზრით მე-XIII—მე-XIV საუკუნეების საზღვარზე ცხოვრობდა. ს. კაკაბაძეს ავიწყდება, ან, უკეთ რომა ვსთვათ, ის განზრახ ივიწყებს, რომ გაგრ-ძელების მეოთხე თავში კიდევ არის მეორე ტაქპი, სადაც მოხსენე-ბულია იგივე სარგის თმოველი:

სარგის დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,  
ლექსნი მიქენით ამისთვის ენანი მომართენით.

ს. კაკაბაძის ჰიპოთეზის მიხედვით გამოდის, რომ ტაქპი „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად“ დაუწერია რუსთ-ველს მეთორმეტე საუკუნის დასასრულს, ხოლო ტაქპი „სარგის და-ურჩა უთქმელად მას ესე დავაბარენით“ — „ვინმე მესხს“ მეცამეტე საუკუნის მიწურულში. ეს შეუძლებელია. ხენწნბული ორი ტაქპი ერ-თი და იმავე თავის (გაგრძელების მეოთხე თავის) პროლოგსა და ეპი-ლოგს წარმოადგენ და მათი მიკუთვნება სხვა და სხვა პოეტები-სათვის ყავლად მიუღებელია. ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარები მალე იქამდე მივლენ, რომ ერთი რომელიმე ტაქპის ოთხ სტრიქონს ოთხი სხვა და სხვა საუკუნის ჰიპოთეზის მიაწერენ. ს. კაკაბაძის მიერ თუნ-დაც ერთი ზემოხსენებული ტაქპის რუსთაველისათვის მიწერა, და ყველა უკანასნელი თავების მე-XIII ხაუკუნეში. გადატანა, ჩემის აზ-რით ფრიად სიმპტომატიურია. დარწმუნებული ვარ, ეს მკვლევარი კიდევ დაიხევს მომავალში უკან და ალიარებს, რომ ხელნაწერი პოე-მის ბოლო თავები არ შეიძლება, ყავილ შემთხვევაში, მივაწეროთ რუსთაველის ცხოვრების დროშე უფრო ნაგვიანევ ხანას.

2. მეორე ნიშანს, რომელიც გვატიქრებინებს, რომ ეს თვეებზე ვეფხის-ტყაოსნის საბოლოო, რუტაქციაზე უმაღ არის დაწერილი, წარმოადგენს ამ თვეებში არსებული ძირითადი ტექსტის საწინააღმდეგო ცნობები. მაგალითად, ავთანდილი თავის ანდერძში სიკვდილეს წინ ამბობს:

უცხენოდ ვეფზი შეგიპრი, არ გჩხდა დაჭირვის ძნელობა.

ამას ვერ დასწერდა ვერცერთი შემდეგი დროის პოეტი, ვინაულიან მას ძალიან კარგად უნდა სცოდნოლა, რომ ვეფზი ხელიდ შეიარყმა არა ავთანდილმა, არამედ ტარიელმა. ასეთივე წინააღმდეგობას შემცელია სტრიქონი ტარიელის ანდერძიდნა:

როსტომს უნდოდა შეპყრობა; ყმა მწივა ოცდარვანია.

ვეფზის-ტყაოსნის ყოველმა წამკითხველმა იცის, რომ ტარიელზე უადევნა როსტევანმა შესაპყრობად არა ოცდარვა, არამედ თორმეტი ყმა, რა თქმა უნდა; ასეთ ტლანქ შეცდომს არცერთი შემდეგი დროის გამგრძელებელი პოეტისა არ დაუშეებდა.

3. გაგრძელებაში არის ისეთი ძველი ჩიტყვები და გამოთქმები, რომლებიც პოემის ძირითადი ტექსტში არა გვხვდება; შემდეგი დროის გაგრძელებელისაგან ასეთი არქაზმების დაშეება წარმოსადგენი არ არის.

ხოლო ეს აზრის დასასაბუთებლად, რომ ეს შვერი ზავი დაწერ რომელია თვით რუსთაველის და არა სხვა რომელიმე მასზე აღრინდელი პოეტის მიერ, შეიძლაბა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ორი შორს საჭიროებით:

1. ამ შუალ რავში, ისე როგორც გაგრძელებს პირველ სამ თაუზში; მრავალია ისეთი სტრიქონები და ცალკე გამოთქმები, რომლებიც ძირითადი ტექსტის სხვა და სხვა აღგილების პროტოტიპს წარმოადგენენ: ხოლო თვესაივე ნათქვამის შესწორებული განმეორება, როგორც ვიცით, რუსთაველის უალრესად დამახასიათებელი თვისება არის. მნელი დასაჯერებელია, რომ რუსთაველს არ ეკუთვნის, მაგალითად, ასეთი სტრიქონი ხვარაზმელთა ამბავიდან:

ომსა ხვალდისას ასკვნიან; გესმის წიტყვისა ჩემისა?

ამ სტრიქონს პოემის ძირითად ნაწილში აქვს არი შემდეგზე პარალელი: „დაასკვნეს იგი თათბირი ტაროს განაზრახებრ“ და განსაკუთრებით კი — „ნურვინ გარევთ ერთმანერთსა, გ ეს მის ჩემი ნაუბარი?“

მოვიყვან კიდევ პასტიჩიშოების რამდენიმე ნიმუშს:  
**გაგრძელების შვიდი თავიდან:** ძირითადი ტექსტიდან:

1. ბრძანებს ვადინოთ ინდოეთის სისხლი რუდ მონაცენისა\*).
  2. კადრეს ვაზირთა, მეფეო, ვართ დედის მუცლით მონანი.
  3. მაგა საქმისა ვერ მქნელნი ვართ აქამდისცა მონანი.
  4. ღმერთსა სწადს, ასრე სუბუქ ვქნათ, ვითა დრამისა წინანი.
  5. წამჭამთაგან უქრის ქარი.
  6. ომ გარდახდილნი გბრწყინვიდეთ, ვართ ვითამც გუნდნია ცისა. ომგარდახდილი შვენოდეს, ჩამოხდეს, უდილადოსა.
  7. ლხინი მოსძლელდა, არ უჩნდა ჩანგ, ბარბით და ნა ცემული.
  8. მე ვერ ვიტყვი, რაცა სტირდა, ბევრი უნდა ქებად ენა.
  9. დალივნეს შიშით მებრძოლნი..
  10. დაასკვნეს ესე თათბირი თარასეგან ნავაზირები.
  11. მოვიდა ინდოთ ლაშქარი სიკეთე მიუწოდია.
  12. მჯობი ყოველთა, მჩნეთას.
  13. ერთკენ ავთანდილს და ფრიდონს...
  14. კვლა მოუბრუნდა ხეარაზმშას რისხი ცისა ცით მონაბერისა. რისხვა ცით მონაბერისა.
  1. ღმერთმან ქნას უხვად ვადინოთ შიგნით სისხლისა რუები.
  2. ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი.
  3. ვინცა და ჰყადრებს, მან ჰყადროს, რაცა ვთქვი, მასცა ვინანი.
  4. მისი ვერა ვსცან ამბავი, ვერცა დრამისა წინანი.
  - ცოტა ლხინი მომეცა მგზავნი დრამისა წინანისა.
  5. ჰქონის, ვითა ქარი არ ავი,
  6. ომგარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი. ომგარდახდილი შვენოდა, შენატევები ცხენისა.
  7. მოვშორდი ლხინსა ყველასა ჩანგსა, ბარბით და ნასა.
  8. ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული. მე ვინ ვაქები? ათენს ბრძენთა ხამს აქებდეს ენა ბევრი.
  9. დალივნეს ბრენი ომითა...
  10. დაასკვნეს ესე თათბირი ტარიას განაზრახები.
  11. თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე მიუწოდით.
  12. უმხნესი სხვათა მხნეთასა;
  13. ერთგან ფრიდონ და ავთანდილ.
  14. შთვე რისხებით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა შვიდისა.
- \* ) საერთოდ ეს სტრიქონი თავისი წყობით და სიტყვის განმეორებით უადრესად რუსთაველურია.

15. აწ უყურეთ ფქვენ, მსმენელნო,  
რა ფიცხელი არის ომი.
16. ჩამოხდეს ჩრდილთა ხეთასა.
17. მე თქვენი ქება ვითა ვთქვა,  
ბუდე ვარ აწ აუგისა.
15. აწ იყურებდით, მსმენელნო,  
გესმნეთ ფიცხელნი ომნია.
16. გარდახდეს ძირთა ხეთასა.
17. ავთანდილ უთხრა: „ვით შაქებ საქე-  
ბი ბრძენთა ენისა?“

2. ეს მეორე მოსაზრება მე განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიმაჩნია და ამიტომ საჭიროა მისი უფრო მეტი ყურადღებით წაკითხება. ზემოთ, ვახტანგისეული რედაქციის განხილვის დროს, საცხებით გამოირკვა გაგრძელების სამი პირველი თავის—ინდო-ხატაელთა ამბავის—ორგანიული კავშირი ძირითად ტექსტთან და ის გარემოება, რომ ძირითადი (ვახტანგისეული რედაქციის) ტექსტი და ეს სამი თავი ეკუთვნის ერთ ავტორს. ხოლო ამ სამი თავის ავტორი, როგორც ამას ყველა მკვლევარები აღიარებენ, ჩამომავლობით უნდა იყოს მესხი, რაც სხანს შედარებილან „კათალიკოს-მაწყვერელი“, და, მაშასალამე, ეს მესხია აგრეთვე ძირითადი ტექსტის ავტორი. მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს პოემის ეპილოგის პირველი ცნობილი ტაქპი, რომელშია მისი ავტორი პირდაპირ ამბობს: „ესწერ ვინმე მესხი შელექს...“ ამ ტაქპის დაწერა, რომელშია ლაპარაკია ვეფხის-ტყაოსანის ამბავის სიზმარივით დასრულებისა და მისი გმირების სიკვდილის შესახებ, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ იმ პოეტს, რომელმაც დასწერა გაგრძელების უკანასკნელი თავები, სადაც აწერილია პოემის გმირთა სიბერე, დასნეულება და გარდაცვალება. მაშასალამე, გაგრძელების უკანასკნელი შვიდი თავიც იმავე მესხის მიერ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან ორი სხვა და სხვა მესხის დაშვება აქ ძალიან ძნელია. ეს მესხი არის რუსთაველი—მთელი ვეფხის-ტყაოსანის ავტორი.

აღნიშნული შვიდი თავი მეტის-მეტად სუსტია პოემის უდავო წაწილთან შედარებით. ეს თავები უნდა წარმოადგენდენ პოემის პირველი რედაქციის ნამსხვრევს. მათი წარმოშობის საკითხს ვრცლად ვეხები ჩემს პირველ წიგნში ვეფხის-ტყაოსანის შესახებ და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამის გარშემო. მხოლოდ კიდევ გავიმეორებ აქ ჩემს მოსაზრებას, რომ, თუ ეს თავები რუსთაველს არ ეკუთვნის, მაშინ ისინი დაწერილია უფრო აღრინდელი პოეტისაგან.

გარდა ამ ზედმეტი თავებისა, პოემის ზოგიერთ ძველ ხელნა-წერში დაცულია მრავალი ისეთი ტაქპები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ძირითადი ტექსტის ძალიან სუსტ განმეორებას წარმოადგენენ და თავიანთი მდარე პოეტური ღირსებით დიდად წააგვანან ვაგრძელების უკანასკნელ შვიდ თავს. ეს ტაქპებიც პირველი და ზოგ-

ჯერ მეორე რედაქციიდან უნდა იყვნენ შემორჩენილი. ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარებს ეს აზრი, რა თქმა უნდა, სასაცილოდაც არა ჰყოფნით. მათვის წარმოუდგენელია, რომ ისეთ დიდებულ პოეტს, როგორიც რუსთაველია, ასეთი სუსტი ტაეპები შეეთხზა. ჩემთვის კი, პირიქით, წარმოუდგენელია, რომ ვეფხის-ტყაოსანის გადამწერლებს, რომლებიც იმავე დროს რუსთაველის თაყვანის მცემლები და მისი საუკეთესო დამტასებლები იყვნენ, ამგვარი უშნო ლექსებით შეეცვალათ პოეტის ბრწყინვალე ადგილები. რაც უფრო სუსტია ეს ტაეპები, მით უფრო ძლიერია ჩემი რწმენა იმაში, რომ ისინი უმაღ არიან დაწერილი, ვიდრე მათი ორეულები უდაო ტექსტიდან. მაგალითად, ცველამ იცის, თუ რა ბრწყინვალედ არის აწერილი ვეფხის-ტყაოსანში ნადირობა. მე ვერ წარმომიდგენია თუ შემდეგი დროის რომელ შეშლილს მოუვიდოდა აზრად მისი ამგვარი დამახინჯება:

მეფე უბრძანებს: კაცი ხამს ჩენთა ნაკრავთა მოგალავად,  
ნაკოდთა შემადარებლად და მყვდართა არ დამბალავად;  
სხვანი ისრისა მართავად, მომრთმელი არ დაფალავად,  
შენთა ნაკრავთა მართლად თქმა, სხვათათვის არ დამბალავად.

უბრძანა სრულად ლაშქართა, ვით ხელმწიფეთა წესია:  
ყოვლგნით მოცეკით მინდოორი, მუნ ცეცხლი ნუ აკვესია;  
სადაცა ნახოთ ნალირი ჩევნებდა მოასესია;  
აწ აკრონ-ყმანი ნახენით, რომელი უარესია.

როსტან უბრძანა მომხრეთა, თვითონ აქავე დგებოდა;  
მუნით ფიცხლადე წაგიდეს, ურჩობა არ ეგებოდა.  
მოვიდა ჯოგი, ისრისა სხვად ტყორცნა ვერ ერგებოდა;  
მათ პატრონ-ყმისა ნასროლი უცთურად დაეგებოდა.

მას პატრონ-ყმანი გაუზდეს საჭვრეტლად უნდა გორიო;  
მას დღესა მოკლა ავთანდილ, დაგსთვალეთ ას-და ორიო.  
ისრითა ეტლსა დააბამს, არ უჩანს მისი სწორიო,  
ვისმცა დასკრების ლახვარი, ახლოს არს თუნდა შორიო.

დაუწეუს პყრობა ნადირთა, სროლა არ დაგიწყებოდა;  
დახოცილითა მათითა ქვეყანა აიღსებოდა;  
მათ მყვდართა სისხლნი დინდიან, კლდე და ლრე იწერებოდა.  
მათთა მნახავთა კვლა ნახვა მათივე ენატრებოდა.

ეს ულაზათო ტაეპები უთუოთ ნადირობის აღწერის პირველ ვარიანტს წარმოადგენს, მათი ავტორი ან რუსთაველია, ან ყოველ შემთხვევაში, ადრინდელი მელექს. უფრო კი რუსთაველი, ვინაიდან აქ არის ამის აშეარა ნიშნები; მაგალითად, ისეთი სრულიად უჩვეული ფრაზა, როგორც არის „მათთა მნახველთა კვლა ნახა მათივე ენატ-

რებოდა“, შეეძლო ეთქვა მხოლოდ იმას, ვინაც სთქვა: „ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“, ე. ი. რუსთაველს.

არაფერი გასაკვირი აქ არ არის. პირიქით, გასაკვირი ჩი. იქ ნებოდა, რომ ვეფხის-ტყაოსანი მის ავტორს უვარიანტო დაეწერა. მსოფლიო ლიტერატურა აუარებელ მაგალითებს იძლევა იმისას, თუ როგორ ახდენდენ მწერლები თავიანთი ნაწარმოებების გადაკეთებას. მაგალითად, ვოლტერი ხშირად თავის უკვე დადგმულ პიესებს სწერდა ხელახლა; ვარიანტები აქვს ჰამლეტს და ფაუსტს; გოგილის „რევიზორს“ აქვს ხუთი ძირითადი ვარიანტი; ლერმონტოვის „მასკარადი“ და განსაკუთრებით „დემონი“ ყველასათვის ცნობილია თავიანთ ვარიანტებით; ტოლსტოის ჯერ მოფიქრებული ჰქონდა შედარებით ჰატარა მოთხრობა „დეკაბრისტები“, ხოლო მასალების ძებნის დროს მოთხრობის პირველი ქარგა გაფართოებდა და აქედან „ომი და ზავი“ გამოვიდა. ქართულ მწერლობაში ცნობილია ამ მხრით ი. ჭავჭავაძე („აჩრდილი“); მ. ჯავახიშვილი ჩვენი თვალის წინ ასწორებს თავის მოთხროებს. შეიძლება ითქვას, რომ ლექსის არცერთი ტაქტი უგარიანტო არ ყალიბდება, მხოლოდ ზოგიერთი პოეტი ინახავს ამ ვარიანტებს, ზოგი არა.

მოვიყან აქ ერთ საგულესხმო ნიმუშს. პროფ. კეკელიძე თავის წიგნში „ქართ. ლიტ. ისტორია“ იხილავს ვახტანგ მეფის ერთ ნაწარმოებს და, სხვათა შორის, სწერს შემდეგს: „ამ ნაწარმოებს ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში და მისივე ხელით სამი რედაქცია განუცია.“ მცვლევარს მოჰყავს. რაზღუნიშე ტაქტის სამივე რედაქცია. აი ერთი ტაქტი სამივე სახით:

პირველი ვარიანტი:

დაუტევე სახლ-სამყოფი თვისინი; ტომნი; მონა, ძები; დავაკარგულვარ უცხო თემსა, ვარ არვისგან განაძები, ვინ დამბადე, შემიწყალე, ყველასაგან მონაძები, შემომძარცვე რაც მაცია, კირი, შემუნვა, საძაძია.

მეორე: ვარიანტი:

დავაგდე სამკვიდრებელი, შორევასი, რშონე, ძები; დავაგდე სამკვიდრებელი, შორევასი, რშონე, ძები; დავაგდე გადმოვიკარე, არვისგან მონაძები, გამომიყვანე წყალობით გავარდნილ მონაძებია, მომხადე შესამოსელი საგლოვი, საძაძია.

შესამე ვარიანტი:

დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონა, ძებია, მომხა იშვიერდო სხვას თემიდ გადმოვიკარე, არვისგან მონაძებია, აწ დავრჩომილვარ ლარიბად გავარდნილ, მონაძებია, ეგების შემომძარცვს საგლოვი, მონაძებია.

წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ ეს ნაწარმოები ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ვეფხის-ტყაოსანია და ჩვენამდე, ავტორის ხელნაწერის მაგიერ, მხოლოდ მის ასლებს მოეღწია. მაშინ ხომ ჩვენი ფილოლოგები უველა ამ ვარიანტებს ყალბისმქნელებს მიაწერდენ და თან იმასაც კი გამოარყევედენ, თუ რომელი ყალბისმქნელი როდის ცხოვრობდა ან საქართველოს რომელი კუთხის შვილი იყო.

ი. აბულაძის აზრით, ვეფხის-ტყაოსანს სამი სხვა და სხვა პოეტის ხელში გაუვლია, პ. ინგოროვას შეხედულებით, პოემს საუკუნეთა განმავლობაში დართვია ყალბი ადგილების სამი სხვა და სხვა პლასტი. მე კი ვფიქრობ, რომ რუსთაველმა რამდენჯერმე (შეიძლება სამჯერ) გადაამუშავა თავისი პოემა, რომელსაც ის სწერდა უთუოდ ათეული წლების განმავლობაში.

თუ ძალიან დაკვირვებით წავიკითხავთ, ჩვენ დავინახავთ, რომ პოემის უკანასკნელ რედაქციისაც შერჩენია აქა-იქ ამ გადაკეთების ნიშნები. მოვიყვან ამის ორ-სამ მაგალითს.

1 მაგალითი. შესავალის პირველ ორ ტაქტში რუსთაველი მიმართავს ლმერთს; შემდეგ მიდის თამარის ქება. ამის შემდეგ მეტვე ტაქტი ასე იწყება:

აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება,  
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქს, მიღსცე გონება.

აქ რუსთაველი ისევ ლმერთს მიმართავს. შეუძლებელია, რომ პოეტს თავდაპირველად იმ თანამიმდევრობით დაეწერა ეს ტაქტები, როგორც ისინი პოემაშია წარმოდგენილი. მიმართვა ლმერთისადმი მან თითქოს უკვე გაათავა მეორე ტაქტში და რაღა საჭიროა მეტებეს ტაქტში ისევ ეს მიმართვა და ისიც ნაცვალსახელის საშუალებით („შენგნით“), რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს აქ პოეტი მიმართავდეს არა ღმერთს, არამედ თამარს. საფიქრებელია, რომ იყო ისეთი მომენტი, როდესაც შესაგაბლის პირველი ტაქტები რუსთაველს ასე ჰქონდა დალაგებული:

რომელმან შეპქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა.

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახათა მის მიერითა.

ჰე, ლმერთო ერთო, შენ შეპქმნ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.

მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე გასატანისა,  
ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა.

აწ ენა მინტა გამოთქმად გული და ხელოვანება  
ძალი მომეც და შეწევნა შეგნით მაქს, მიკცე გონება.  
მით შევერჩინეთ ტარიელს ტურფადცა უნდა ხსენება.  
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება

რუსთაველს მხოლოდ შემდეგ (შეიძლება სულ მაღლე, მაგალითად, ამ ტავების ქაღალდზე გადატანამდეც კი) მეორე და მესამე ტავების შუა ჩაურთვას თამარის ქება, ვინაიდან სხვა ადგილი ამისათვის არც შეიძლებოდა მოეძებნა მას: თამარის ქება, ცხალია, უნდა ყოფილი-ყო ღვთისკადმი მიმართვის შემდეგ და პოემის გმირების დასახელე-ბამდე...\*).

2 შაგალითი. კეფხის-ტყაოსანის ამბავის მეორე თავი იწყება ტაქტით: „ნახეს უცხო მოყმდ ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა...“ საერთოდ დიქტობდენ, რომ ტარიელი პირველად როსტევანმა და ავთანდილმა შეამჩნიეს: ამ ნიაღაგზე, როგორც დავინახეთ, 3. ინგოროვა მთელ ამბავს აშენებს. ეს შეცდომა არის. ტარიელი პირველად უეჭველად მონებმა ნახეს, რომლებმაც შემდეგ ჩრდილში მოსვენებულ როსტევანსა და ავთანდილს მოახსენეს ეს ამბავი. რუსთაველს იმდენად უყვარს ყოველი მოვლენის დეტალურად და გარკვევით აღწერა, რომ საკირველია, თუ რად არის ეს ადგილი ასე გაურკვეველი. მაგრამ, როგორც ზოგიერთი ხელნაწერებიდანა სჩანს, თავდაპირველად აქ ყველაფერი ნათლად ყოფილა გამოთქმული; პირველ რედაქტიაში ყოფილა ტაქტი:

მანახავი მოდგეს, ჩეკენ ვნახეთ ტურფა რამ სანახავია,  
ტირს ვინმე გმირი ცრემლითა, უღელავს ზღვითა ნავია,  
ვეშპის ოდენი ცხენი ჰყავს ლამაზი რამე შავია;  
რაც შეიტყობის იმისგან, ჩეკენთან არ უჩანს ზავია;

შემდგომ ოცაქციაში ეს ტაეპი, როგორც სუსტი, რუსთაველს  
მოუხსნია, მაგრამ სხვა მის ნაცვლად ალარ დაუწერია, რის გამო შექმ-  
ნილა ერთგვარი გაუგებრობა\*\*)

\*\*) პოლეტები ხშირად იღებენ თავათო ლექსიგენულ ისეთ ადგილებს, რომ-ლენგბიკ, მათი აზრით, ან სუსრია ან ძალიან აჟიანურებს ნაწარმოვ ს. საბოლოო

3. მაგალითი. ავილოთ ნესტან-დარეჯანის პირველი წერილი ტარიელისადმი. ეს წერილი ოთხი ტაქტისაგან შესდგება, როგორც ემჩნევა, ერთ-ერთ წინა რედაქტურაში წერილი ერთი ტაქტისაგან შესდგებოდა, ხოლო დანარჩენ ამბავს ტარიელს მოუთხრობდა ასმათი, რომელმაც ის ბარათი მიუტანა მას. ზოგიერთ ხელაწერებს შეუნახავს ამის დამადასტურებელი ტაქტი, მაგალითად:

ასმათ დგას ჩემთვის მისისა წიგნისა წასაკითხავად:

მე ძოღან შენი ამბავი მითხრიან, ვისცა ვკითხავად,

გიბრანებს,—მესმის, მოვლენო ლაშქარი შენად მკითხავად,

ლომისა არ გმართებს ვაგლახი, თუ ჩემი თავი ითხა ვად.

4. მეორე ტაქტში ნათქვამია: „ასმათი მეუზნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა“ და სხ. უკანასკვნელ რედაქტურაში ასმათის პირით გადაცემული დავალებები პოეტს თვითონ ნესტან-დარეჯანის წერილში შეუტანია, მაგრამ ამ გადაკეთების კვალი მაინც დარჩენილა იქ კიდევ ასე, მაგალითად, წერილის პირველი ტაქტი თავდება სტრიქონით:

აწ ასმათი მოგასხვენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა.

ცხადია; ამის შემდეგ სიტყვა ასმათზე უნდა გადადიოდეს; კიდევ მეტი, წერილის მეორე, ე. ი. ზემოთმოყვანილი სტრიქონის მომდევნო ტაქტს ემჩნევა, რომ ის პირველად ასმათის სიტყვებს წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგ ნესტან-დარეჯანის წერილში იქნა შეტანალი შეუსწორებლად.. ამ მეორე ტაქტში ნათქვამია:

ბედითი ბეჭდა სიკედილი რა მიჯნურობა გვონია?

სჯობს, საყვარელ სა უჩვენო საქმენი საგმირონია:

რედაქტის ამგვარი ათერიზაცია რშვიათად შეემჩნევა. მაგალითად, „ევგენი ონეგინის“ ერთი თავი ასე იწყება:

Чем меньше женщину мы любим,  
Тем больше нравимся мы ей.

თავდაპირველად კი ამ სტროფის წინ პოეტს ჰქონია კიდევ ოთხი სტროფი. აი უკანასკველი მათგანი:

Дозвался я, что дамы сами,  
Душевной тайне познанья,  
Не могут надивиться нам,  
Себя по совести цепя.  
Восторга наши воспирали  
Им очень кажутся забавны;  
И, право, с нашей стороны  
Мы неизрательно смешины;

მართალია, ნესტან-დარეჯანსაც „შეეძლო მიეწერა თავის შესახებ სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია,“ რის გამო რუსთაველს აღარც გარაუკეთებია ეს ადგილი, მაგრამ სხვა დასახელებული ნიშნების გვერდით ამ გამოთქმიდან უეჭველად სჩანს, რომ თავდაპირველად ის ასმათს მიეწერებოდა.

ის გარემოება, რომ ნესტანის წერილი პირველად ძალიან მოკლე იყო და ამ სიმოკლეს ასმათის ზეპირი გადაცემა ავსებდა, იქედანაცაც სჩანს, რომ ტარიელის პასუხი ამ წერილზე სულ ორნახევარ სტრიქონს შეიცავს, ხოლო დანარჩენ სათქმელს იგი პირადად ასმათს აბარებს: „ესე კაღრუ, რადგან, მზეო...“ და სხვა.

მაგრამ ამ წერილის ტექსტის ისტორია მარტო ამით არ თავდება; როგორც სჩანს, ვეფხის-ტყაოსანის უპირველეს რედაქციაში მთელი ის ამბავი, რომელსაც ტარიელი უყვება ავთანდილს, მოთხრობილი იყო ავტორის პირით. ხსენებული წერილის შესახებ ასეთი ცნობა დარჩენილა იქედან:

ზედ მოსდგომია ასმათი ტარიელს იქა მჯდომელსა,  
წიგნი მოართვა, იგ მისი მზე ვერ უდარებს რომელსა. და სხვა. \*)

აი კიდევ მეორე ვარიანტული სტრიქონები, სადაც ტარიელი-საგან პირველი პირით მოთხრობილი ამბავი („რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე“ და „ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება“) გადმოცემულია შესამე პირით:

ხატაეთს გამარჯვებული ხელჩამობმული ტარია  
რამაზ მოჰვევარა მეფესა ხელ ხუნდით შენაკარია.

Закабалясь неосторожно,  
Мы пх любви в нуграду ждем,  
Любви в безумии завеим,  
Как будто требовать возможно  
От мотыльков и от лилей  
И чувств глубоких и страстей.

ამას მოჰვებოდა სტროფი „Чем меньше женщину мы любим...“ მაშასადამე, თავდაცირველად აქ ყოფილა ერთი რთული ჭარალელი ზოგი მი, მაგრამ პოეტს მოუხსნია მისი პირველი ნაწილი და გაუყოლებია ის სამი სხვა მოხსნილი სტოფისათვის, რის გამო აქ დარღვეულა მთლიანი პოეტური ფიგურა და დარჩენილი ამ პარალელიზმის მეორე ნაწილი მხოლოდ. პოეტის ამ შავ მუშაობას და მისი შემოქმედებითი აზრის პირველ ჩანასახს მკაფეველი მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როდესაც ის მოხსნილ ადგილებს წაიკითხავს.

\*) ნაწარმოების გადაკეთების დროს მესამე პირის შეცვლა პირველით, ან პირველის მესამეთი, იშვიათი მოვლენა არ არის. მაგალითად, სტრიქონები ლერმონტოვის „დემონის“ უკანასკნელ რედაქციიდან:

არ არის არავითარი ეჭვი იმაში, რომ ეს სტრიქონები უმალ არის დაწერილი, ვიდრე ვეფხის-ტყაოსანის საბოლოო რედაქცია ჩამოყალიბდებოდა. მართლაც, როგორ შეიძლება წარმოვიღვინოთ, ვითომც რომელიმე შემდეგი დროის ყალბისმექნელს ისე დაბნეოდა დავთარი და პოემის ისეთი უცოდინარობა გამოეჩინა. რომ იქ პირველი პირით მოთხრობილ ამბავში აერია იგივე ამბავი, მაგრამ გადმოცემული მის მიერ მესამე პირით?!

В борьбе с могучим ураганом,  
Одетый малиней и туманом,  
Я шумно мчался в облаках—

პირველ რედაქციაში ასე იკითხებოდა:

В борьбе с шипучим ураганом,  
Одетый малиней и туманом,  
Он дико мчала в облаках.

## რუსთაველის ვინაობა.

ამ საკითხის გარშემო ბევრი არაფერია სათქმელი. ჯერ-ჯერობით არ არსებობს არავითარი ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იყოს რუსთავლის ბიოგრაფიის აღდგენა თუნდაც ზოგად ხაზებში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მკვლევარმა, სახელმძღვანელო და ს. კაკაბაძემ, თავიანთ უკანასკნელ ნაშრომებში პოეტის საკმაოდ დეტალური „ბიოგრაფია“ წარმოგვიდგინეს. ს. კაკაბაძის ამ ცდის შესახებ მე უკვე მქონდა ზემოთ ლაპარაკი. იმგვარადვე უარყოფითად უნდა შევხედოთ პ. ინგოროვას ცდასაც. მათი თავისთავად საინტერესო და აქა-იქ, შესაძლებელია, სიმართლის შემცველი ისტორიული ექსკურსები არ არის ვეფხის-ტყასანის ავტორთან გადამშული არც ერთი მაგარი ძაფით. მათი ისტორიული ცნობები ერთსა და იმავე პიროვნებაზე სრულიად არ უდგება ერთი მეორეს, და ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემი შეხედულების სისწორეს იმის შესახებ, რომ ვეფხის-ტყასანის საკითხების გადაჭრა ისტორიის საშულებით არამც და არამც არ შეიძლება.

რუსთაველის ბიოგრაფიის გარევევის დროს ს. კაკაბაძე და პ. ინგოროვა მხოლოდ ერთ პუნქტში ხვდებიან ერთმანერთს. ორივეს აზრით ის ვიღაც შოთა, რომელსაც ხელი უწერია ჭიაბერის სიგელზე, არის შოთა რუსთაველი. მე მინდა გამოვსთქვა ამ ხელმოწერის შესახებ ერთი მოსაზრება. ჩემის ფიქრით, ეს ვიღაც შოთა, რომელიც ჭიაბერის სიგელზე აწერს ხელს, არ უნდა ყოფილიყო წერა-კითხვის საქმაოდ მცოდნე პირი. ის უნდა ეკუთვნოდეს იმ დიდგვაროვან პირთა რიცხვს, რომლებიც საშუალო საუკუნეებში, როგორც ჩენწმი, ისე სხვაგან, გაცილებით უფრო მარჯვეთ ხმარობლენ ხმალს, ვიდრე კალაშს.

ასეთ შთაბეჭდილებას სტოკებს ამ ვიღაც შოთას ავტოგრაფი თუნდაც იმავე სიგელის ტექსტსა და კათალიკოსის ხელმოწერასთან შედარებით. ვეფხის-ტყასანის ავტორი უეჭველად მწიგნობარი უნდა ყოფილიყო. ძველად კი, როდესაც სტამბა არ ასებობდა, ან გავრცელებული არ იყო, მწიგნობრებს მოეთხოვებოდა „ლამაზი ხელი“. ცხადია, კერძოთ, ძველ პოეტებს ჰქონდათ ბუნებრივი სურვილი, რომ

თავიანთი პოეტური ქმნილებისათვის მხატვრული სახე მიეცათ გრაფიკული თვალსაზრისითაც. რომში, ვატიკანის მუნიციპალიტეტი, ამ სტრიქონების ავტორს საკუთარი თვალით უნახავს იტალიანური რენესანსის დიდი პოეტების ავტოგრაფები. ეს ავტოგრაფები იშვიათი სილამაზით არის შესრულებული. პეტროვარკა, მაგალითად, არა მარტო დიდი პოეტი, შესანიშნავი კალიგრაფიც ყოფილა. შეგვიძლია ასე შორსაც არ წავიდეთ, გავიხსნოთ ბარათაშვილის ხელნაწერი „ბერი ქართლისა“ და ჩეენ დავინახავთ, თუ რა ფაქტი სიყვარულით გამოჰქონდა.

სიგელის ტაქსტის ნაწყვეტი.

კათალიკოსის ხელმოწერა.

ვილაც შოთას ხელმოწერა.

ყავდათ ასოები იმ მწერლებს, რომლებიც მაკლებული იყენენ სასტამბო ხელოვნების მექანიკურ მხატვრობას. ამიტომ მე უღრმესად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ იმ ხელს, რომელმაც ვეფხის-ტყაო-

სანი დასწერა, ალბად ბევრად უკეთ შეეძლო ქართული ასოების წერა, ვიღებ ამ ვიღაც შოთას.

რომ ჩემი შეხედულება თვალსაჩინო გახდეს. მკითხველთათვის, მე მომყავს აქ ნაწერის შესაღარებლად ჭიაბერის სიგელის ნაწყვეტი, კათალიკოს თევდორეს ხელმოწერა და ბოლოს ხელმოწერა ამ ვიღაც შოთასი. ერთი თვალის გადავლებითაც კი შეიძლება დარწმუნდეს კაცი იმაში, რომ პირველი ორი ნიმუში მწიგნობრების ხელით არის დაწერილი, ხოლო უკანასკნელი კი თავის ყოვლად უსისტემო ასოებით მწიგნობრის ნაწერი არ უნდა იყოს. წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია რომ ვეფხის-ტყაოსანისებური პოემის დაწერისათვის საქმარისი იყოს, მაშინ ხომ ჩვენი მწერლობა გაცილებით უფრო მდიდარი იქნებოდა.

საინტერესოა კიდევ აქ ერთი დეტალი. პავლე ინგოროვება ამ ხელმოწერის შესახებ სწერს შემდეგს:

„იმავე სიგელზე, მეთორმეტე საუკუნის დამლევის ან მეცამეტე საუკუნის დასაწყისის ხელით ჭარწერილია...“

მე ვფიქრობ, ამ სიტყვების მიზანი უნდა იყოს იმ უხერხულობის დაფარვა, რომელსაც ავტოგრაფის ულაზათობა იწვევს, თორემ, სხვა რომ არა იყოს რა, ყველასათვის ცნადია, რომ ასეთ ზედმიწევნითი თარიღებს ქართული პალეოგრაფიის ისტორიაში არ ვარა და არც შეუძლია მოგვცეს.

ხედავთ: რუსთაველი სკოვრობდა მეთორმეტე საუკუნის დამლევს და მეცამეტე საუკუნის დასაწყისში და ეს ავტოგრაფიც სწორედ „მეთორმეტე საუკუნის დამლევის ან მეცამეტე საუკუნის დასაწყისის ხელით“ ყოფილა თურმე შესრულებული! რა „ზუსტი“ სისწორით ხედებიან ერთმანეროს თარიღები! საერთოდ ეს „სიზუსტე“ რუსთაველი ანაში, თითქოს ჩვენი ძველი ისტორიის ფაქტები და მოვლენები სასწორზე აწონილი მიელოს მის ავტორს, დამახასიათებელია მთელი ამ წიგნისათვის, როგორც იმის ნიშანი, რომ იქ ბევრი რამ ყურით არის ერთი მეორესთან მიყვანილი.

3. ინგოროვება ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი იყო ერთის ერისთავი — უდიდესი ფეოდალი, თითქმის მეფე პატარა მასშტაბით. ეს მე დაუჯერებლად მიმაჩნია თუნდაც შემდეგი ზოგადი მოსაზრების გამო. კაცობრიობის ისტორიაში თითქმის არ იყოს ისეთი დიდი პოეტი, რომელიც იმავე დროს მეფე ან ძლიერი ფეოდალი ყოფილიყო: დიდი პოეზია, ისე როგორც ყოველი დიდი საქმე, შესაფერნიჭთან ერთად, დიდ თავდადებას მოითხოვს; მისთვის საჭიროა ადამიანის მთელი სულიერი ცეცხლი; მასთან არ შეიძლება ისეთი მოღ

ვაწეობის შეთავსება, როგორიც არის, მაგალითად, სარდლობა, რომელიც თავის მხრით მოითხოვს უდიდეს ენტუზიაზმს. პოეტს ყველაზე უფრო პოეტის სახელი უნდა ხიბლავდეს; საშუალო საუკუნის ფეოდალისათვის კი მეომარის სახელი თითქმის ყველაფერი იყო; ეს სახელი სიყრმიდანვე მისი მხურვალე ოცნების საგანს შეადგენდა, ვინაიდან არცერთ სახელთან ისეთი თაყვანისცემა არ იყო დაკავშირებული იმდროინდელ საზოგადოებაში. ეს ფსიქოლოგია მით უმეტეს თამარ მეფის დროინდელი ქართველი ფეოდალებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რადგანაც იმ დროს, ქართულმა იმპერიალიზმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და ქართველი მეომარის სახელი უდიდესი ბრწყინვალებით შეიძლოს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ, როდესაც ძლევამოსილი ქართული სარდლობა მუსრს ავლებდა თავის ისტორიულ მტრებს კავკასიასა და წინა აზიაში, ერეთის ერისთავი, ეს უძლიერესი ქართველი ფეოდალი, სწერდა ლექსებს და საერთოდ გატაცებული იყო სერიოზული პოეტური შემოქმედებით? მართალია, პ. ინგოროვა გადმოგვცემს, რომ რუსთაველმა ვითომც ვეფხის-ტყაოსანი გაძევებაში დასწერა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ გაძევებაში დიდი პოეტური ნაწარმოები არ იწერება. სამშობლოდან გადახვეწის დროს შეიძლებოდა დაწერილიყო „არჩილიანი“, ან თუნდაც თეომურაზის ლექსები და თარგმანები, მაგრამ არა ისეთი ყალიბის პოემა, როგორც ვეფხის-ტყაოსანია.

თვით ის შეხედულება, რომ რუსთაველი ერეთიდან იყო, რომელსაც დღეს მევლევართა უმეტესი ნაწილი იზიარებს, მოკლებულია რაიმე მნიშვნელოვან საფუძველს. ეს შეხედულება პირველად თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოსთქვა მეცხრამეტე საუკუნეში. მაგრამ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის ზეპირ განცხადებას, თითქოს რუსთაველი ერეთის მთავარი იყო და თამარ მეფის „ფინანსათა მინისტრი“? პროფ. კეკელიძე სრულიად სამართლიანად იხსენიებს ამ წყაროს აბუჩად (მნათობი, 1927, 5-6 გვ. 182) პ. ინგოროვასთან კამათის დროს. ვეფხის-ტყაოსანში დაცულია ორი ზემოთ განხილული ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ავტორი არის მესხი. ამასვე ადასტურებს ისეთი მტკიცე ზეპირი გადმოცემა, რომელშიაც არაეითარ შემთხვევაში დაეჭვება არ შეიძლება. პ. ინგოროვასა და ს. კაკაბაძის მტკიცება, თითქო „რუსთველი“ რუსთავის მფლობელობას პეტლისხმობს და წარმოებულია მზგავსად ზოგიერთი სხვა არისტოკრატიული გვარებისა, ჩემის აზრით, სრულებით სწორი არ არის. „რუსთველი“ ამ შემთხვევაში არის ფსევდონიმი, ისე როგორც ხმელი, შავთელი, ბიზანტიელი, როდოსელი, კოლოფონელი და სხვა.

ასეთი ფსევდონიმები ლიტერატურაში ნათელსა ჰქონენ მწერალთა არა მფლობელობის, არამედ წარმოშობის საკითხს. რუსთაველი რომ უმაღლესი არისტოკრატიის შეილი, ან პოლიტიკური მოღვაწე ყო-ფილიყო, ის, იმავე დროს როგორც დიდი პოეტი, მეტად პოპულიარული და საპატიო პირი იქნებოდა თანამედროვეთა თვალში და უეპველად მატიანეს ფურცლებზე მოხვდებოდა, მზგავსად დიდ გვაროვანი სარგის თმოვველისა, რომელსაც მემატიანე რიტორსა და ფილოსოფოსს უწოდებს, მიუხედავათ იმისა რომ ეს მისი „რიტორობა და ფილოსოფოსობა“ შესაძლებელია პრობლემატიურიც იყო. ზეპირი გადმოცემაც იმას ადასტურებს, რომ რუსთაველი ძალიან მაღალი წოდებიდან არ იყო გამოსული. ის უნდა ყოფილიყო მწიგნობარი: და სიყრმიდანვე პოეზიაში გადავარდნილი მთელი თავისი ბუნებით. უამისოდ ის ვეფხის-ტყაოსანს ვერ დასწერდა.

რუსთაველის ცხოვრებისა და ვეფხის-ტყაოსანის დაწერის დროს შესახებ ყველა მკვლევარები უკვე თითქმის ერთი და იმავე აზრისა არიან. ეს დრო უკავშირდება მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა საზღვარს. ჩემის აზრით, რუსთაველი უნდა ყოფილიყო თამარის უნცროსი თანამედროვე. ვეფხის-ტყაოსანის წერა დაწყებული უნდა იყოს თამარის სიცოცხლეში და დამთავრებული მისი სიკვდილის შემდეგ. ამის საბუთს იძლევა პროლოგი, რომელიც, როგორც აღნიშნული მქონდა, იწერებოდა ავტორის მიერ სხვა და სხვა დროს და ამიტომ ყველა რედაქტიონის კვალს ატარებს. პროლოგის ერთ ცნობილ ტაქტში, ჩემის შეხედულებით, დაცულია გადამწყვეტი მნიშვნელობის ცნობა. აი ეს ტაქტი:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვინი მე არ ავდ გამორჩეული;  
მელნად ვიზმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

ჩენტში ყველა იმ აზრის არის, თითქოს ამ ტაქტში რუსთაველი ამჟღაენებს თავის უიმედო სიყვარულს თამარისადმი. ეს სრულიად შემცდარი შეხედულება უნდა იყოს. მე ვფიქრობ, პოეტი გადმოგვცემს აქ თავის უღრმეს მწუხარებას იმის გამო, რომ თამარი ცოცხალი აღარ არ არის. ის აქ „სისხლის ცრემლებით“ დასტურის თამარის გარდაცვალებას, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ მისი სიცუკვი ლახვარივით მოხვდება ყოველი მსმენებლის გულს. „სისხლის ცრემლები“ ვეფხის-ტყაოსანში მოხსენებულია რამდენჯერმე და ის ყოველთვის დიდ მწუხარებასა და გლოვას აღნიშნავს. მაგალითად, ფარსადანის სიკვდილის გამო ატირებული

ტარიელის შესახებ ნათქვამია: „სისხლისა ცრემლი თეალთაგან სდის და მიწყობით მიღნია“. ზემოთ მოყვანილ ტაეპში რომ რუსთაველს მხოლოდ თავისი პირადი გრძნობა არა აქვს მხედველობაში, ეს იმ მრავლობითი რიცხვიდანაცა სჩანს, რომელშიაც იქ სიტყვა „ვაჭებდეთ“ არის ნახმარი.\* ამასთანავე ხსენებულ ტაეპს ემჩნევა, რომ თამარის გარდაცვალებიდან მის დაწერამდე დიდი დრო არ უნდა ყოფილიყო გასული.

თვით ის გამტკიცებული შეხედულება, თითქო შოთა რუსთაველი თამარზე იყო შეყვარებული და ამ თავისი გრძნობებს აშკარად გამოსთხვამდა, ეპვის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული. ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთ მკელევარს თამარისა და რუსთაველის ურთიერთი დამკიდებულება ძალიან გულუბრყვილოდ აქვს წარმოდგენილი. თამარ მეფის კარზე გამეფებული იყო სასტიკი ეტიკეტი, თამარს მისი თანამედროვენი უწოდებდენ მეფეთ მეფეს და ღვთისა სწორს; თაყვანის-ცემა და მოკრძალება მის წინაშე განუსაზღვრელი იყო. იმ ღროინდელ პოეტებს ევალებოდათ ალბად მისი ქება; ყოველ შემთხვევაში მათ აკრძალული არ ექნებოდათ აღტაცებულიყვნენ მისი სულიერიდა ხორციელი სილამაზით; მაგრამ ყოველივე ამას უნდა ჰქონოდა. მხოლოდ და მხოლოდ პოეტური ფრაზეოლოგიისა და პლატონიურ ზრახვათა გამომუდარების ხასიათი. ქართველ ხალხს თამარ მეფის გვერდით წარმოდგენილი ჰყავს მეორე უდიდესი პიროვნება—შოთა რუსთაველი. ხალხის შეხედულებით ორივე ღირსი იყო იმისა, რომ მათ ერთმანერთი ჰყავარებოდათ, ამიტომ მათი ურთიერთობა მან რომანტიკის სამოსელში გაჰვია. მაგრამ მკელევარებს მეტი სერიოზულობა და კრიტიკული განსჯა მოეთხოვებათ ამგვარი ლამაზი ლეგენდების განხილვის დროს. რუსთაველის პიროვნების სიდიადე ნათელი შეიქნა მხოლოდ თანდათან, მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ ის უდიდესი ქართველი პოეტია. მის თანამედროვეთა თვალში ის ალბად გაცილებით უფრო პატარა ადამიანი იყო. თამარისა და რუსთაველის შუა ამართული იქნებოდენ მრავალი ისეთი ბრწინვალე პირები, რომ-ლებიც გაცილებით უმაღლები იყო სიყვარულის ცეცხლის უურადღებას, ვიდრე ლამაზ შაირებზე გადამეცდარი პოეტი. ყველაფერს რომ თა-

\*) პ. ინგოროვეას, რომელიც ამ ტაეპში სიყვარულის გამოცხადებას ხედავს, ეს სიტყვა წარმოდგენილი აქვს მხოლობით რიცხვში იმ მიზნით, რომ იქ გამოთქმულ გრძნობას მიანიჭოს ვიწრო ინდივიდუალური ხასიათი, მაგრამ რუსთაველის სტრიქონის ასეთ კონიექტურას არ ამართლებს არც ხელნაწერები და არც გრამატიკა.

ვი დავანებოთ, დავით სოსლანის მეუღლეს საჯაროთ სიყვარულის გამოცხადებას ვერ გაუტენდავდა ვერცერთი მისი ქვეშევრდომი რამ-დენადაც თავზე ხელალებული არ უნდა ყოფილიყო იგი.

იმის დასამტკიცებელ ნიშნებს, რომ რუსთაველს თავდავიწყებით უყვარდა თამარი, ვეფხის-ტყაოსანის პროლოგში ნახულობენ. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე; პროლოგის ზოგიერთი ტაქტების ზედ-მიწევნითი გაგება საქმაოდ ძნელია და, გარდა ამისა, დროთა ვითარების გამო მათ დალაგებაში ცვლილება უნდა აყოს მომზღარი, ამი-ტომ ადვილი შესაძლებელია რუსთაველის მიმართვებს შემცდარი მი-სამართები გაუკეთდეს და სრულიად ყალბად განიმარტოს მისი სიტ-ყვები. მაგალითად, ს. კაკაბაძე, რომლის აზრით რუსთაველი იმდენად იყო შეყვარებული თამარზე, რომ ველადაც კი გაიჭრა და მთელს იმდროინდელი სამყარო შემიიარა, სწერს შემდეგს: „ამ ახლოს მყოფთა შორის იყო ჩვენი პოეტიც, რომელიც თამარზე გამიჯნურებული უძლენის თავის ტრაფობის საგანს „სისხლის ცრემლით“ შეზავებულ სიტყვებს:

მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;  
ვის პოვრჩილაბს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;  
დაუძლურდი, მიჯნურათვის კვლა წამალი არსით არი;  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.“

არა მარტო ს. კაკაბაძე, ყველა იმ აზრისაა, თითქო რუსთაველის ზემოთ მოყვანილი სიტყვები თამარს ჰგულისხმობდენ; ჩემის აზრით, აქ ნაგულისხმევია არა თამარი, არა მეც ტარიელი. პოეტი ძალიან მწვავედ განიცდის თავის გმირების, განსაკუთრებით ტარიელის, უბედურებას. სწორეთ ამ ტაქტის წინ რუსთაველი სწერს შემდეგს:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი,  
მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი!  
დავჯე, რუსთველმან გავლექს, მისთვის გულ ლახვარს ო-  
ბილი.

ამის მომდევნო ზემოთ მოყვანილ ტაეპშიაც ტარიელზე უნდა იყოს ლაპარაკი. იქ რუსთაველი სწერს თავის „დაუძლურების“ შესახებ არა როგორც შეყვარებული, არამედ როგორც პოეტი, როგორც შემოქმედი, რომელსაც ვერ მოუნახავს წამალი სიყვარულით გულ-დაკოდილი ტარიელის მოსარჩენად.

ასე გასინჯეთ, იმის თქმაც კი არ შეიძლება გადაჭრით, თითქო ტაქტი „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია...“ ჰგულისხმობს თამარს. ჩემის აზრით, აქაც ვეფხის-ტყაოსანის გმირები, კერძოთ ტარიელია ნაგულისხმევი. ამ შემთხვევაში სი-

ტყეები „მას ვაქებ, ვინცა მიქია“ კიდევ ზედმეტი საბუთი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ რუსთაველი დიდხანსა სწერდა თავის პოემას და უცვლიდა მას სახეს. სწორედ ასეთ გარემოებას გორტე „ფაუსტის“ მიძღვნის პირველსავე სტრიქონში აღნიშნავს: ისევ ჩემთან ხართ თქვენ, აჩრდილნო, რომელიც ჯერ კიდევ სიყრმის დროს მევლინებოდითო. არც სტრიქონი „იგია ჩემი სიცოცხლე უწყალო, ვითა ჯიქია“ შეიცავს ამ ტაეპში ხსენებული აზრის საჭინაალმდეგო მნიშვნელობას, ვინაიდან რუსთაველი პირდაპირ გამიჯნურებულია თავისი პოემის გმირზე და დატანჯულიც არის მისგან („მისთვის გულ ლახვარ სობილი“, „მისთვის ვხელობ მისთვის მევდარი“). ეს ჩემი შოსაზრება ამ ტაეპის ნამდვილი შინაარსის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებო იქნება მკითხველისათვის იმ შემთხვევაში, თუ ის გადაიკითხავს პროლოგში მის წინამორბედ ტაეპებს, სადაც რუსთაველი მსჯელობს პოეზის საკითხებზე, და წვრილი ლექსების ავტორებს უპირისპირებს დიდი შესტაბით გატაცებულ პოეტს. ეს მსჯელობა ბოლოვდება ტაეპით:

ჭამს მელექს ნაპირებსა მისა ცუდათ აბრკემობდეს,  
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,  
ყოვლასა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს; მას აქეობდეს,  
მისგან კიდე წურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.\*)

ამის შემტევე კი რუსთაველი გადადის თავის თავზე, როგორც პოეტზე, და აცხადებს: „ჩემი აწ სუანით ყოველმან მას ვაქებ, ვინცა მიქია“-ო და სხ. აქ პოეტი ლაპარაკობს არა იმის შესახებ, თიოქო ის მთელი თავისი სიცოცხლე თავგამოდებით აქებდეს რომელიმე რეალურ პიროვნებას, ვინც არ უნდა იყოს იგი, თამარი თუ სხვა, არა-მედ იმას, რომ ის წვრილ-ფეხა მოშაარეებივით არ გადახტის ერთი ლექსიდან მეორე ლექსზე, რომ ის შეპყრობილია ერთი დიდი პოეტური თემით, ერთი შემოქმედებითი ცეცხლით, ერთი მიჯნურობით“. ვეთხის-ტყაოსანის მკვლევარები (მარრი, ინგოროვა, კაქაბაძე და სხვ.) შეცდომაში შეუყვანია ალბად აქ სწორედ ამ სიტყვა „მიჯნურობას“, რომელიც ზემოთ მოყვანილ ტაეპში გვხვდება. მათ დავიწყინით, რომ „მიჯნურობა“ რუსთაველის ლექსიკონით ნიშავს არა მარტო ქალ-ვაჟის სიყვარულს, არა-მედ საქრთოდ ყოველგვარ მხურვალე სიყვარულს, გატაცებას და ტრფიალს. გავიხსენოთ თუნდაც სიტყვები როსტევანის შესახებ — „აქეს მიჯნურობა იმისი...“, ესე იგი ავთანდილის. ასე გასინჯეთ, რუსთა-

\*) იხ. ს. კაკაბაძის მეორე გამოცემა.

ველი ღრმა სარწმუნოებრივ გრძნობასაც კი მიჯნურობას უწოდებს, და რა გასაკვირია, რომ მას ვეფხის-ტყაოსანის გმირების მიჯნურად მოჰქონდეს თავი. დასასრულ, ამ ტაეპის ასეთი განმარტება მოსპობს ერთ ცნობილ გაუგებრობას, რომელსაც ჰაბადებს მისი უკანასკნელი სტრიქონი:

მისი სახელი შეფრქვევით ქვემოთ მითქვამს, მიქია.

ყველამ ვიცით, რომ „ქვემორე“ თამარი სრულებით არ არის ნახსენები. ამ გაუგებრობის თავიდან ასაკილებლად პოემის ზოგიერთი მკლევარები სიტყვა „შეფრქვევით“-ის მაგიერ სწერენ „შეფარვით“-ს, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს ვითომე, რომ თამარი პოემაში ნაქებია ფარულად; მაგრამ სტრიქონის ამგვარი გასწორება ყოვლად დაუშევებელია ევფონიური თვალსაზრისით, ვინაიდან იქ ადგილი აქვს რამდენიმე ბეგრის, კერძოთ „ქ“-ს, ალიტერაციას („მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია), რასაც არღვევს ზემოხსენებული გასწორება.

საკითხავია აგრეთვე, თუ ტაეპი „მიბრძანეს მათდა საქებრად...“ ვის „წარბთა და წმწამთა“ ქებას ჰგულისხმობს —თამარ მეფისას თუ ნესტან-დარეჯანისა და თინათინისას? ვახტანგის კომენტარიების მიხედვით, აქ რუსთაველს მხედველობაში ჰყავს თავისი პოემის გმირები და არა თამარი. თუ ეს ასეა, მაშინ ხსენებული ტაეპი თავდაპირველად შეიძლება სხვა ადგილას იყო მოთავსებული.

რა თქმა უნდა, თამარისადმი რუსთაველის სიყვარულის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, მაგრამ არ არსებობს არავითარი საბუთი ძმისათვის, რომ ვითიქროთ, ვითომე ეს სიყვარული პოეტური თაყვანისცემის ფარგლებს გასცილდა და ამ გარემოებამ საბედისწერო როლი ითამაშა პოეტის ცხოვრებაში. პროლოგის ერთი ტაეპი, რომელიც ფორმალური ნიშნების მიხედვით შეუძლებელია რომ ყალბი იყოს, აშკარად გაღმოგვცემს, რომ სიყვარულის ცეცხლს მართლაც სასტიკად დაუდაგავს პოეტის გული. იქ რუსთაველს პარალელი გაჰყავს თავისი პოემის გმირებისა და საკუთარი თავის შუა და ამბობს: „მე ვით ვიცან საქმე მათი თავით ჩემით შენახედმან“ და შემდეგ — „შეიზომნეს ჭირნი მათნი ჭირთა ჩემთა მეათელმან.“ მაგრამ შოთა რუსთაველის დროს თამარის გარდა სხვა ქალებიც იყვნენ საქართველოში და რომელიმე მათგანის სიყვარულსაც შეეძლო მრავალი ჭირისა და უბედურების მოტანა პოეტისათვის. ლეგენდაც რუსთაველის შესახებ ამასვე ადასტურებს...

## შ ი ნ ა პ რ ს ი

აკტორისაგან . . . . .	3
შესავალი . . . . .	5
1. ანალოგიები . . . . .	18
2. ვეფხის-ტყაოსანის ათეტიზატორთა წოგადი საფუძვლები . . . . .	18
3. ვეფხის-ტყაოსანის მე-26 გამოცემა ი. აბულაქის რედაქტორობით . . . . .	30
4. ვეფხის-ტყაოსანი ს. კაკაბაძის მეორე გამოცემით .	52
5. პავლე ინგოროვას „რუსთველიანა“ . . . . .	59
6. ვეფხის-ტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია . . . . .	106
7. ვეფხის-ტყაოსანის ვარიანტები . . . . .	129
8. რუსთაველის ვინაობა . . . . .	150

---

### შეიცვლი შეცდომების გასწორება

დაზღვრების:	გვ.	სტრ.	უნდა იყოს:
აკტირების	10	29	აკტორების
მოახტინა	10	35	მოახტინა
წლებშის	12	5	წლებში
ის	14	29	ისე
მოდის	19	30	მიდის
მიათებისა	41	32	მითითებისა
ტიპაზრ	48	8	ტიპიურ
ტაეიბების	48	9	ტაეპების
მიწყერა	48	11	მიწყერა
!	53	38	
გამოარკვის	64	11	გამოარკვიოს
ვიაჩენი	77	34	ვიაჩენი
жюри	77	36	жюри
ნატურალისად	81	28	ნატურალისად
ასეთი	96	32	ასეთი
l'art	100	30	l'art
ასე	105	20	ესე

---

୩୧୬୦ । ୧. ୫୦ ଟ.